



სახელმძვანელო

ქართული საკვირაო სკოლებისათვის



მასწავლებლის წიგნი

მესამე საფეხური





საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
სახელმწიფო ჰიმნი 1918-1921 წლებში

„დიდება“

დიდება ზეცით კურთხეულს!
დიდება ქვეყნად სამოთხეს!
ტურთა ივერსა,
დიდება ძმობას, ერთობას!
დიდება თავისუფლებას!
დიდება სამარადისო
ქართველ მხნე ერსა!
დიდება ჩვენსა სამშობლოს!
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა!
„ვაშა!“ ტრფობასა, სიყვარულს,
„ვაშა!“ შვებასა, სიხარულს,
„სალამი!“ ჭეშმარიტების
შუქ-განთიადსა.

სახელმძღვანელო

ქართული საკვირაო სკოლებისათვის

მასწავლებლის გზამკვლევი

მესამე საფეხური

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

2018 წელი

მესამე საფეხურის სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული საკვირაო სკოლების 6-14 წლის ასაკის მოსწავლეებისათვის. სახელმძღვანელოს ახლავს კალიგრაფიის რვეული და მასწავლებლის რეკომენდაციები. სახელმძღვანელო შეიქმნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.

სახელმძღვანელო ეძღვნება საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის იუბილეს.



ავტორი:

მაია მელიქიძე

რედაქტორი:

მაია ბოჭორიშვილი

მხატვარი:

მაკა ჭიბირაშვილი

დიზაინერ-დამკაბადონებელი:

დათო მოსიაშვილი

ISBN 978-9941-8-0786-2



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

2018 წელი

წინასწარმეტყველება

საქართველოდან ემიგრაციაში წასული ჩვენი პატარა თანამემამულეები ვერ ახერხებენ, სრულფასოვნად ეზიარონ არა მხოლოდ მშობლიურ ლიტერატურას, არამედ მშობლიური ქვეყნის ისტორიასა და კულტურას.

ამ ფაქტის გათვალისწინებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამა, რომელიც მშობლიური ენის სწავლებასთან ერთად – ქართული ენის კურსის ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ქართული კულტურის საკითხების ათვისებას გაერთიანებული სწავლების პრინციპით; ისეთი კონკრეტული ამოცანების გადაჭრას, როგორებიცაა:

- მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარის განვითარება;
- სხვადასხვა ჟანრისა და ტიპის ტექსტების გააზრებული კითხვისა და შექმნის უნარის გამომუშავება;
- საქართველოს ისტორიის მიმართ ინტერესის გაღვივება და ქართულ კულტურასთან ზიარება; ისტორიის მნიშვნელობის სათანადოდ გაცნობიერება სამშობლოზე ზრუნვის კონტექსტში;
- ქართული ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარის განვითარება;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის გრძნობის გამომუშავება და ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდის გაღრმავება;
- სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და პატრიოტ მოქალაქედ ჩამოყალიბება;
- იმგვარი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს საკუთარი წვლილის შეტანას საკუთარი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში.

მესამე საფეხურის სახელმძღვანელოები (მოსწავლის წიგნი, მასწავლებლის გზამკვლევი და კალიგრაფიის რვეული), რომლებიც შეიქმნა ქართული საკვირაო სკოლებისათვის, გამიზნულია საშუალო და/ან საშუალოზე მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე მოზარდებისათვის და ეყრდნობა ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამის **III მოდულის** მოთხოვნებს.

სარჩევი

შესავალი	6
სახელმძღვანელოს ზოგადი დიდაქტიკური საფუძვლები	7
მესამე საფეხურის სახელმძღვანელოს კომპონენტები	8
სახელმძღვანელოს კომპონენტების ზოგადი დახასიათება	9
მეთოდოლოგიური საკითხები:	
1. მესამე საფეხურის სწავლების პრიორიტეტული მიზნები	12
2. პედაგოგიური პრინციპები და მიდგომები	15
3. ძირითადი რეკომენდაციები:	
❖ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარება	18
❖ ლინგვისტური კომპეტენციების განვითარება	27
❖ პოსტერები, დიაგრამები და სქემები სწავლების პროცესში	28
ტიპური დავალებები და გასათვალისწინებელი რეკომენდაციები	32
ცალკეული თემების ძირითადი აქცენტები	45
1. პირველი ნაწილი – ვისწავლოთ წერა-კითხვა	46
2. მეორე ნაწილი – ზოგადი განმარტებები და რეკომენდაციები	59
➤ პირველი თემა – ეს ჩემი საქართველოა	61
➤ მეორე თემა – ბურჯი ეროვნებისა	69
➤ მესამე თემა – თბილისური ჰანგები	73
➤ მეოთხე თემა – ფესვები	82
➤ მეხუთე თემა – ადამიანი და საზოგადოება	90
➤ მეექვსე თემა – ადამიანი და ბუნება	99
➤ მეშვიდე თემა – პარალელები	114
➤ მერვე თემა – ფანტაზიის გაკვეთილები	126
მოსწავლის შეფასება და შეფასების რუბრიკები	143
დანართი	
1. დამატებითი რესურსები	149
2. ცალკეულ დავალებათა პასუხები	154

შესავალი

მესამე საფეხურის სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს ფარგლებ გარეთ არსებული ქართული საკვირაო სკოლების 6-14 წლის საშუალო ან საშუალოზე მაღალი ენობრივი კომპეტენციების მქონე მოსწავლეებისათვის.

სახელმძღვანელო შეესაბამება საქართველოს ფარგლებ გარეთ არსებული საკვირაო სკოლებისათვის სპეციალურად შექმნილი ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამის III საფეხურის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ქართული ენის სწავლებას ევროსაბჭოს ენობრივი პოლიტიკის განყოფილების მიერ დადგენილი ენის ფლობის B1 დონის სრულად და B2 დონის ნაწილობრივად დაძლევის (იხ. „უცხოური ენების ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები; შესწავლა, სწავლება, შეფასება“, უცხოური ენების დეპარტამენტი, სტრასბურგი, 2000 წ.).

სახელმძღვანელო მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სთავაზობს ისეთ სასწავლო მასალას, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო ენობრივ / კომუნიკაციური კომპეტენციების ათვისება-განვითარებასა და III საფეხურის მიზნების მიღწევას, კერძოდ:

- წერა-კითხვის დაწყებას / ათვისებას; წერისა და კითხვის უნარების განვითარებას;
- სხვადასხვა ჟანრისა და ტიპის ზეპირი და წერილობითი ტექსტების გაგება-გააზრებისა და მათი შექმნის უნარის განვითარებას;
- ენობრივ-გრამატიკული საკითხების ცოდნას; შესაბამისი დარგობრივი ლექსიკის ათვისებას / მიზნობრივ გამოყენებას.

სახელმძღვანელოს გოგადი დიდამტიკური საფუძვლები

ქართული ენის ეს კურსი მოსწავლეებს უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს. მათი ენობრივი კომპეტენციები საშუალებას აძლევს მათ, ეზიარონ მშობლიურ ლიტერატურასა და ქართული ენის სიმდიდრეს (თუმცა, ამ საფეხურზეც დასაშვებია ტექსტების ადაპტირება საგანმანათლებლო საჭიროებებისა და ასაკის გათვალისწინებით), გაიმდიდრონ ლექსიკური მარაგი, გამოიმუშაონ ნაირგვარი წერილობითი თუ ზეპირი ინფორმაციის გააზრებისა და გამოყენების უნარ-ჩვევები, გაეცნონ საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის, ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

ქართული ენის სწავლება ამ ეტაპზე უკვე მშობლიური ენის სწავლების მეთოდოლოგიაზე ეფუძნება. საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, ყურადღება ექცევა კრიტიკული მოსმენის, მოსმენილის ინტერპრეტაციისა და შეფასების უნარ-ჩვევების გამოუმუშავებას; მხატვრული ტექსტების მიმართ მოსწავლეთა ესთეტიკური და ემოციური დამოკიდებულების სტიმულირებას; მასალის კონტექსტში გააზრებისა და ინტერპრეტაციის, კრიტიკული აზროვნებისა თუ ნაკითხულის შეფასების უნარების განვითარებას; საუბრისა თუ დიალოგის წარმართვას შესწავლილი ტექსტების, საინტერესო თემებისა თუ საკითხების შესახებ, მათ შორის, ისეთ თემებზეც, რომლებიც შეეხება მის პირად გამოცდილებას, სამყაროს შემეცნებას, სოციოკულტურისა და კულტურის საკითხებს (მაგ., ტრადიციები, ჩვევები, ურთიერთობები, გატაცებები და ა.შ.), სამოქალაქო განათლებას (მაგ., საკუთარი და სხვისი უფლებების დაცვა, გარემოსთან დამოკიდებულებები, ურთიერთობები და ქცევის წესები სხვადასხვა სოციალურ გარემოში, საზოგადოების სხვადასხვა ფენასთან და ა.შ.).

სახელმძღვანელო ხელს უწყობს მოსწავლის ოთხივე საკომუნიკაციო კომპეტენციის განვითარებას. ის ითვალისწინებს როგორც რეცეფციული, ისე პროდუციურებაზე ორიენტირებული სამეცხველო უნარ-ჩვევების გამოუმუშავებას. სათანადო ადგილი ეთმობა როგორც მოსმენასა და კითხვას, ისე ლაპარაკსა და წერას.


სახელმძღვანელოს აგებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ქართული და უცხო სოციოკულტურული რეალიების ინტეგრაცია სასწავლო მასალის საკომუნიკაციო მიზნებთან.

III საფეხურის სასწავლო პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად, სახელმძღვანელოში იზრდება როგორც ტექსტების მოცულობა, ისე მათი სირთულის დონე. მოსწავლეებს მოეთხოვებათ უკვე სხვადასხვა ფუნქციური სტილის (როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული) ტექსტების გაგება და გაანალიზება როგორც შინაარსის, ისე მათი სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით.

მოსწავლეებს მოეთხოვებათ არა მხოლოდ სამეცხველო სიტუაციისა და მოცემული ინფორმაციის ამოცნობა როგორც ექსპლიციტურად, ისე იმპლიციტურად, არამედ სხვადასხვა ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება და ლოგიკური დასკვნების გამოტანა; ინფორმაციის დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან; მოვლენათა / მოქმედებათა განსაზღვრა დროსა და სივრცეში; სათაურისა და ტექსტის აზრობრივ/შინაარსობრივი ურთიერთკავშირების დანახვა, საკუთარი შეხედულების / შეფასების დასაბუთება და სხვა; სახელმძღვანელო სთავაზობს მოსწავლეებს არა მარტო გაანალიზონ ტექსტი ინტერკულტურული თვალსაზრისით, არამედ იმსჯელონ სხვადასხვა ნაწარმოებში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების მსგავსება-განსხვავებებზე.

მესამე საფეხურის სახელმძღვანელოს კომპონენტები



სახელმძღვანელო შედგება 3 კომპონენტისაგან:



მოსწავლის წიგნი, რომელშიც წარმოდგენილია როგორც საანბანო პერიოდის, ისე ანბანის შემდგომი პერიოდის სასწავლო მასალა, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო ენობრივი / კომუნიკაციური კომპეტენციების ათვისება-განვითარებას.

მოსწავლის წიგნს დანართის სახით ახლავს ძირითადი გრამატიკული საკითხები თავისი ენობრივი სავარჯიშოებით და ტექსტები.

მასწავლებლის გზამკვლევი, რომელშიც მოცემულია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო რეკომენდაციები და მითითებები; დამატებითი რესურსები და ა.შ.



„დედანი“, რომელიც ემსახურება საანბანო პერიოდში კალიგრაფიული ჩვენების გამომუშავებასა და ქართული ასოების მოხაზულობის დაუფლებას.

კომპონენტების გოგადი დახასიათება

1. მოსწავლის წიგნი

სტრუქტურა და შინაარსი

მოსწავლის წიგნი შედგება 3 ნაწილისაგან.

პირველი ნაწილი („ვისწავლოთ წერა-კითხვა“) მოიცავს საანბანო პერიოდს და, ძირითადად, წერა-კითხვის ათვისებას ეთმობა. თუმცა, წერა-კითხვის სწავლებასთან ერთად საანბანო პერიოდშივე პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ზეპირმეტყველების უნარის განვითარებაზე.

მეორე ნაწილი მოიცავს 8 თემატურ ერთეულს, ესენია:

ეს ჩემი საქართველოა

უცხოეთი გადახვლია ნოსტალგია
ნათლორძეანისი „კული“
საქართველო - უნიკალური ქვეყანა
მოთები და რეალობა - იმერელების ცხოვრება
„ღროში გაიკვდილეთ“ კამიფიკაში
ისტორიის ფრაგმენტები - საქართველო და აზიის დიდი ვაზა
საქართველოს ოქროს ხანი - აღმშენებელი და მამარ მუჯი
იმის ქრონიკები - მასანი და დიდი

ძირითადი კომუნიკაციური მიზნები

- იმერეთის სახელმწიფოს შესახებ
- სხვადასხვა ტიპის ტურისტული რესურსების შესახებ
- ფაქტების წყაროს დასაბუთების შესახებ
- საერთო ცხოვრების წესების შესახებ
- ფრაგმენტების წარმართვის შესახებ
- იმერეთის და საქართველოს ისტორიის შესახებ
- ოქროს ხანის საქართველოს შესახებ
- გლობალიზაციის შესახებ

31

ბურჯი ეროვნებისა

დედის კალიგალი
ერო ტელის ისტორია
დედი პედილი
„ქრთველია შირის წერა კალიგალი“
განმარტველი ხსოვილი
დამწერლის წარმოება და განვითარება
მოთები და რეალობა - მასლის ცილილი
ერო სოფლის ისტორია - ცილილი და ცილილი

ძირითადი კომუნიკაციური მიზნები

- იმერეთის ცილილი კალიგალი და ცილილი დამწერლის შესახებ
- ცილილი დამწერლის ცილილი დამწერლის შესახებ
- ცილილი დამწერლის შესახებ
- ცილილი დამწერლის შესახებ
- ცილილი დამწერლის შესახებ
- ცილილი დამწერლის შესახებ
- ცილილი დამწერლის შესახებ
- ცილილი დამწერლის შესახებ

39

1. „ეს ჩემი საქართველოა“

2. „ბურჯი ეროვნებისა“

თბილისური ჰანგები

თბილისის ისტორია
ქველი თბილისის უბნები და თბილისური კონსტრუქტორი
თბილისური კონსტრუქტორი
ქართლის პირველი მუჯი - ეპიტაფი კონსტრუქტორი
ერეკლე II და კონსტანტინე
თბილისის 100 წლის წინ - 28 მასის დღის ქრონიკა
პორტრეტები

ძირითადი კომუნიკაციური მიზნები

- კარგის შესახებ აღწერის შესახებ
- სხვადასხვა ტიპის ტურისტული რესურსების შესახებ
- საერთო ცხოვრების წესების შესახებ
- ფრაგმენტების წარმართვის შესახებ
- იმერეთის და საქართველოს ისტორიის შესახებ
- ოქროს ხანის საქართველოს შესახებ
- გლობალიზაციის შესახებ
- ცილილი დამწერლის შესახებ
- ცილილი დამწერლის შესახებ
- ცილილი დამწერლის შესახებ

83

ფესვები

ეპიტაფი კონსტრუქტორი
„ეპიტაფი კონსტრუქტორი“
„ეს ჩემი საქართველოა“
„ეს ჩემი საქართველოა“
„ეს ჩემი საქართველოა“
„ეს ჩემი საქართველოა“
„ეს ჩემი საქართველოა“
„ეს ჩემი საქართველოა“
„ეს ჩემი საქართველოა“

ძირითადი კომუნიკაციური მიზნები

- იმერეთის ცილილი კალიგალი და ცილილი დამწერლის შესახებ
- ცილილი დამწერლის შესახებ
- ცილილი დამწერლის შესახებ
- ცილილი დამწერლის შესახებ
- ცილილი დამწერლის შესახებ
- ცილილი დამწერლის შესახებ
- ცილილი დამწერლის შესახებ
- ცილილი დამწერლის შესახებ

113

3. „თბილისური ჰანგები“

4. „ფესვები“

რაც შეეხება ტექსტურ მასალას, ერთად სახელმძღვანელო მოიცავს მრავალფეროვან მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს, კერძოდ:

- ❖ **მხატვრული ლიტერატურიდან** – ენის გასატეხები და გამოცანები, საბავშვო ლექსები, ნაწყვეტები ადაპტირებული მოთხრობებიდან, მითები და ლეგენდები;
- ❖ **არამხატვრული ლიტერატურიდან** – ა) პრაგმატული ტექსტები – რეკლამა, განცხადება, ინსტრუქცია, გზამკვლევი; ბ) კორესპონდენცია – პირადი წერილები; დ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები; ე) ბიოგრაფიული ტექსტები – ბიოგრაფია, პორტრეტები, დღიური, მოგონება; ვ) დარგობრივი ტექსტები;
- ❖ **სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები:** თხრობითი და აღწერითი ტექსტები; კითხვარები.

მესამე ნაწილი – დანართი, სადაც მოცემულია ძირითადი გრამატიკული საკითხები თავისი ენობრივი სავარჯიშოებით და საკითხავი ტექსტები.

ენობრივი საკითხები წარმოდგენილია ფუნქციურ ჭრილში, რაც აადვილებს ქართული ენის სტრუქტურის გააზრებასა და მის გამოყენებას.

აქვე განვმარტავთ იმასაც, რომ ეს საკითხები არ არის კონკრეტულ თემაზე მიბმული, რაც საშუალებას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, ყოველ ჯერზე მიუბრუნდეს მასწავლებელი მათ და ტექსტების ენობრივი კორპუსიდან გამომდინარე, მოსწავლეებს შესთავაზოს შესაბამისი ენობრივი სავარჯიშოები.

2. მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნის ფუნქციაა, კონკრეტული რჩევებით, რეკომენდაციებითა და ცალკეული თემის ფარგლებში არსებული მეთოდური კომენტარებით გაუადვილოს მასწავლებლებს მუშაობა დასახული მიზნებისა თუ დასმული ამოცანების გადასაჭრელად.

რჩევებისა და რეკომენდაციების გარდა, წიგნი ცალკეულ შემთხვევებში მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სთავაზობს აგრეთვე სწავლა/სწავლების კონკრეტულ სტრატეგიებს ამა თუ იმ საკითხის მიწოდებისა თუ ათვისების გასაიოლებლად. დეტალურად არის აღწერილი ისეთი სავარჯიშოები თუ ენობრივი საკითხებიც, რომლებიც გარკვეულ სირთულეებს შეიცავს როგორც მოსწავლისთვის, ისე მასწავლებლისთვისაც. ასევე ცალკეული საჭიროებებისათვის, დამატებითი რესურსის სახით, მასწავლებლის წიგნში ჩადებულია მთელი რიგი აქტივობები, რომლებიც შეუძლია გამოიყენოს მასწავლებელმა სწავლების პროცესში, აგრეთვე საჭირო თვალსაჩინოებები სქემებისა და ცხრილების სახით და შედარებით რთული სავარჯიშოების პასუხები.

შესაბამისად, მასწავლებლის წიგნი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- სახელმძღვანელოს ზოგადი დიდაქტიკური საფუძვლები და კონკრეტულად მესამე საფეხურის სწავლების პრიორიტეტული მიზნები;
- მესამე საფეხურის სახელმძღვანელოს კომპონენტები და მათი ზოგადი დახასიათება;

- მეთოდოლოგიური საკითხები, სადაც მიმოხილულია ზოგადი პედაგოგიური პრინციპები და მიდგომები; ასევე მოცემულია ძირითადი რეკომენდაციები საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარებისა და ლინგვისტური კომპეტენციების დასაუფლებლად;
- პოსტერების, დიაგრამებისა და სქემების როლი და ფუნქცია სწავლების პროცესში;
- ტიპური დავალებების ჩამონათვალი და მათი განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელი რეკომენდაციები;
- ცალკეული თემების ძირითადი აქცენტები;
- მოსწავლის შეფასების რუბრიკები;
- დანართი, რომელიც მოიცავს დამატებით რესურსებს, მინიპროექტებსა და შედარებით რთულ დავალებათა პასუხებს.

მეთოდოლოგიური საკითხები

1. მესამე საფეხურის სწავლების პრიორიტეტული მიზნები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული ენის ინტეგრირებული სწავლება ამ ეტაპზე უკვე მშობლიური ენის სწავლების მეთოდიკას ეფუძნება. საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, ყურადღება ექცევა:

- ❑ კრიტიკული მოსმენის, მოსმენილის ინტერპრეტაციისა და შეფასების უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- ❑ მხატვრული ტექსტების მიმართ მოსწავლეთა ესთეტიკური და ემოციური დამოკიდებულების სტიმულირებას;
- ❑ მასალის კონტექსტში გააზრებისა და ინტერპრეტაციის, კრიტიკული აზროვნებისა თუ წაკითხულის შეფასების უნარების განვითარებას;
- ❑ საუბრისა თუ დიალოგის წარმართვას შესწავლილი ტექსტების, საინტერესო თემებისა თუ საკითხების შესახებ, მათ შორის, ისეთ თემებზეც, რომლებიც შეეხება მის პირად გამოცდილებას, სამყაროს შემეცნებას, სოციოკულტურისა და კულტურის საკითხებს (მაგ., ტრადიციები, ჩვევები, ურთიერთობები, გატაცებები და ა.შ.), სამოქალაქო განათლებას (მაგ., საკუთარი და სხვისი უფლებების დაცვა, ქცევის წესები სხვადასხვა სოციალურ გარემოში და ა.შ.).

საგნობრივ უნარებზე მუშაობა გულისხმობს საკომუნიკაციო, აკადემიურ, ენობრივ და სასიცოცხლო (/გამჭოლ) უნარებზე ინტეგრირებულად მუშაობას. წარმოვადგენთ საგნობრივი უნარების ცხრილს პრიორიტეტების მითითებით.

საკომუნიკაციო უნარები	პრიორიტეტები
ზეპირმეტყველება (მოსმენა/ ლაპარაკი)	<p>სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კრიტიკული მოსმენის, მოსმენილის ინტერპრეტაციისა და შეფასების უნარ-ჩვევების გამო-მუშავებას; ინდივიდუალური და ჯგუფური საკომუნიკაციო უნარების, ასევე თვითგამოხატვის უნარ-ჩვევების განვითარებას.</p> <p>საჭიროების შემთხვევაში, არ გამოირიცხება მოსწავლეთა ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარებაზე მუშაობაც, რაც კითხვისა და მართლმეტყველების საფუძველს წარმოადგენს. ამგვარი აუცილებლობის შემთხვევაში, სასურველია, მუშაობა წარიმართოს ინდივიდუალურად.</p>
კითხვა	<p>საწყის ეტაპზე კითხვის სწავლების უპირველესი მიზანია მოსწავლეებში წერილობითი ტექსტის გაშიფვრის უნარის გამოიმუშავება – ასოების ამოცნობა და მათი დაკავშირება შესაბამის ბგერებთან; ბგერების გამოლიანება სიტყვად, აკუსტიკური ხატის დაკავშირება სიტყვის მნიშვნელობასთან, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, განივითარონ განაფული კითხვის უნარ-ჩვევები; შემდგომ ეტაპზე ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა ნაკითხულის გაგება-გააზრების უნარის განვითარების მიმართულებითაც.</p> <p>მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციების გათვალისწინებით, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს უკვე მხატვრული ტექსტების მიმართ მოსწავლეთა ესთეტიკური და ემოციური დამოკიდებულების სტიმულირებას. მუშაობა უნდა წარიმართოს იმ მიმართულებითაც, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ და განუვითარდეთ ქვეტექსტის (იმპლიციტური ინფორმაციის) წვდომის, ასევე მასალის კონტექსტში გააზრებისა და ინტერპრეტაციის, კრიტიკული აზროვნებისა თუ ნაკითხულის შეფასების უნარები.</p>
წერა	<p>წერილი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებაზე მუშაობა გულისხმობს: აზრის წერილობით ჩამოყალიბებას, აგრეთვე მკაფიო ხელწერას, მართლწერისა და პუნქტუაციის სავალდებულო ნორმების დაცვას.</p> <p>მუშაობა უნდა წარიმართოს იმ მიმართულებით, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ გამართული წერილი მეტყველების, აზრის თანამიმდევრულად და ლოგიკურად გადმოცემის უნარ-ჩვევები. ასევე სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა თვითგამოხატვისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.</p>
აკადემიური უნარები	პრიორიტეტები
ვერბალური მასალის აღქმა, გაგება და გააზრება	<p>ტექსტის გაგება/გააზრება ამ ეტაპზე გულისხმობს სამეტყველო სიტუაციისა და მოცემული ინფორმაციის ამოცნობას როგორც ექსპლიციტურად, ისე იმპლიციტურად; სხვადასხვა ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირებას; მოვლენათა / მოქმედებათა განსაზღვრას დროსა და სივრცეში; სათაურისა და ტექსტის აზრობრივ/მინაარსობრივ ურთიერთკავშირების დანახვასა და ა.შ.</p>
ლოგიკური მსჯელობა და ანალიზი	<p>მოსწავლემ უნდა შეძლოს: კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და/ან სხვადასხვა ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირების საფუძველზე ლოგიკური დასკვნების გამოტანა; ინფორმაციის დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან; საკუთარი შეხედულების/შეფასების დასაბუთება, მარტივ დისკუსიებში მონაწილეობა და სხვა;</p>

ინფორმაციის დამუშავება და მისი გამოყენება	მოსწავლემ მასწავლებლის დახმარებით ან დამოუკიდებლად უნდა შეძლოს ინფორმაციის დამუშავება სხვადასხვა გზით, კერძოდ: მათი კატეგორიზაცია, მაგ., აჯგუფებს კონკრეტული ნიშნის – სემანტიკური, მსგავსება-განსხვავების, მზარდი-კლებადი ხარისხისა და ა.შ. მიხედვით; ოპერატიული რესურსების შექმნა და, საჭიროებისამებრ, მათი გამოყენება (მაგ., მარტივი სექემები, დიაგრამები, კითხვარები ...) და სხვა;
სასიცოცხლო უნარები	პრიორიტეტები
შემოქმედებითობა	მოსწავლემ უნდა შეძლოს: ფანტაზიის / წარმოსახვის უნარის გამოვლენა წერიტი და ზეპირი მეტყველების დროს; საკუთარი აზრებისა და ემოციების თავისუფლად გამოხატვა; საგნებისა და მოვლენების წარმოჩენა სხვებისაგან განსხვავებულად; საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა სხვადასხვა ფორმით (სიტყვით, ხატვით, მუსიკით, საქმიანობით);
თანამშრომლობა	მოსწავლე უნდა ფლობდეს წყვილური და ჯგუფური მუშაობის უნარებს – ახერხებდეს თანაგუნდელებთან მორიგებას; მათთან ერთად აგვარებდეს დასმულ პრობლემას; კამათისას ყურს უგდებდეს განსხვავებულ მოსაზრებებს, შეფასებისას იჩენდეს კორექტულობასა და ა.შ.
პრობლემების გადაჭრა	ამ ეტაპზე მოსწავლეს უნდა შეეძლოს: სათანადოდ რეაგირება გადანყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით; იმის ახსნა, რატომ წარმოადგენს სიძნელეს ესა თუ ის საკითხი/მოვლენა; პრობლემის გადაჭრის საკუთარი გზის დასახელება და ამ არჩევანის მარტივად დასაბუთება;
საკუთარი საქმიანობის მართვა	მოსწავლეს მოეთხოვება ისეთი მეტაკოგნიტიური უნარების გამოყენება საწყის დონეზე, რომლებიც გულისხმობს: მიზნის შესაბამისად, სათანადო სტრატეგიების შერჩევასა და გამოყენებას; საკუთარ სწავლის პროცესზე დაკვირვებას, დამოუკიდებლად მუშაობას, სასწავლო საქმიანობის ორგანიზებას (დაგეგმვას, განხორციელებასა და მონიტორინგს), დროის მართვას და სხვა.
ინფორმაციული ტექნოლოგიების (ისტ) გამოყენება	ეს უნარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან სასწავლო დისციპლინების უმეტესობა ისწავლება ინტეგრირებულად; ისტ-ის გამოყენება თავისთავად გულისხმობს შემოქმედებითობისა და ინოვაციური მიდგომების განვითარებასაც.
ენობრივი უნარები	პრიორიტეტები
ენა, როგორც აზროვნების საშუალება	მშობლიური ენის სწავლება გულისხმობს მოსწავლეებში ენობრივი კომპეტენციის განვითარებას და არამხოლოდ გრამატიკული ცოდნის თვითმიზნურ დაგროვებას. ინფორმაციის გაგების, ანალიზისა და შეფასებისათვის მოსწავლეებს მოეთხოვებათ სათანადო ენობრივი კომპეტენციების დაუფლება და მათი ფუნქციური გამოყენება, რაც გულისხმობს პროგრამით განსაზღვრული ენობრივი საშუალებების ფლობას, ენის სემანტიკური და სტრუქტურული კანონზომიერებების ცოდნასა და, რაც მნიშვნელოვანია, ამ ცოდნის მიზნობრივ გამოყენებას.
ენის კომუნიკაციური ასპექტი	ენის სწავლების ეს კომპონენტი მიზნად ისახავს სოციალური ინტერაქციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია ნებისმიერ სოციალურ გარემოში წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად, კომუნიკაციის ძირითადი ხერხებისა და სტრატეგიების დასაუფლებლად.

2. პედაგოგიური პრინციპები და მიდგომები

მოკლედ შევჩერდებით მხოლოდ იმ რამდენიმე მეთოდზე, რომელთა აქტიური გამოყენებაც საგაკვეთილო პროცესში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მისაღწევი შედეგების უზრუნველსაყოფად. ესენია:

დემონსტრირების ხერხი, ანუ თვალსაჩინოებების გამოყენება.

აქ საუბარია ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენაზე, რომელიც შედეგის მიღწევის თვალსაზრისით, საკმაოდ ეფექტურია. საუბარია დამატებით პოსტერებისა და სქემების შექმნა და გამოყენება, რომელთა კონკრეტულ ნიმუშებსაც მოგანვლით თემების მიმოხილვისას კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით.

სასწავლო მასალისა და ინფორმაციის მიწოდებისას უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის ბუნება, ასაკი და მათი განსხვავებული უნარები და ცოდნის დონე.

ინფორმაცია აუცილებლად უნდა მივანოდოთ სხვადასხვა არხით – ეს იქნება ვიზუალური, სამეტყველო თუ ჟესტიკულაციური.

რაც შეიძლება აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენ ხელთ არსებული ყველა რესურსი, კერძოდ:

- ვიზუალური (თვალსაჩინოებები; თემატური პოსტერები, გრამატიკული ცხრილები თუ სქემები, დაფაზე ან „ფლირჩატებზე“ გაკეთებული ჩანაწერები, კომპიუტერული მასალა და ა.შ.).
- სმენითი – როგორც აუდიოჩანაწერების სახით, ისე მასწავლებლის მხრიდან.

კეთებით ანუ პრაქტიკით სწავლება.

კეთებით სწავლა ეხმარება მოსწავლეს, აქტიურად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში. ეს გულისხმობს როგორც როლურ და სიტუაციურ თამაშებს, ისე სხვადასხვა მინიპროექტების განხორციელებასაც; აგრეთვე სწავლებას ბარათებითა და ა.შ. კეთებით სწავლების დროს უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- პირველ რიგში, აქტივობის შესრულებამდე, მოსწავლეებს ზუსტად უნდა მივანოდოთ საჭირო ინსტრუქცია და დავრწმუნდეთ იმაში, რომ მოსწავლეებმა ზუსტად გაიგეს შესასრულებელი ამოცანის პირობა;
- ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამგვარ როლურ თუ სიტუაციურ თამაშებს (მით უფრო, მინიპროექტების განხორციელებას) წინ უნდა უძღოდეს გავარჯიშების ფაზა. უნდა დავრწმუნდეთ იმაში, რომ მოსწავლეებს აქვთ სათანადო ენობრივი კომპეტენციები მათ შესასრულებლად.
- როლური თამაშის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო თემატიკას, მოსწავლეთა ცოდნის დონეს, ინტერესებსა და საჭიროებებს.

თანამშრომლობითი სწავლება.

ამ მეთოდის გამოყენება მიზნად ისახავს მოსწავლეთა ერთობლივ ძალისხმევას დავალებების შესასრულებლად. თანამშრომლობითი სწავლებისას უნდა გამოვიყენოთ როგორც წყვილური, ისე ჯგუფური მუშაობის ფორმები.

წყვილებში შეგვიძლია წარვმართოთ დიალოგები, მინიინტერვიუები; მოსწავლეები დავანყვილოთ კონკრეტული საკითხავი, წერილობითი თუ ენობრივი ამოცანების გადასაჭრელად.

სასურველია, მოსწავლეთა დანყვილება შედარებით სუსტი მოსწავლის დახმარების მიზნითაც ხდებოდეს.

რაც შეეხება ჯგუფურ მუშაობას, მისი მიზანია, ჯგუფის ყველა წევრმა ერთობლივად მიაღწიოს მიზანს. ეფექტურობისთვის აუცილებელია, წინასწარ განვსაზღვროთ ჯგუფის კომპოზიცია და ისე შევადგინოთ დავალება, რომ ჯგუფის თითოეულ წევრს კონკრეტული ამოცანა ჰქონდეს შესასრულებელი.

ჯგუფური მუშაობისას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- მოსწავლეთა დაჯგუფებისას ერთ ჯგუფში არ უნდა მოვახვედროთ მხოლოდ თანაბარი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები. ასეთ შემთხვევაში, სუსტი ძალების მქონე მოსწავლეები კარგავენ ჯგუფური მუშაობის აზრსა და ინტერესს და, შესაბამისად, სწავლის მოტივაციასაც.
- ფუნქციების გადანაწილებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა შესაძლებლობები.
- აუცილებელია, მუდმივად ვაკონტროლოთ ჯგუფის მუშაობა.

დიფერენცირებული სწავლება და ინდივიდუალური მიდგომები.

დიფერენცირება არის ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეებს შორის არსებული განსხვავებების გათვალისწინებაზე და მოითხოვს სასწავლო პროცესის მოსწავლეთა განსხვავებულ საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებას. შესაბამისად, დიფერენცირების საგანს წარმოადგენს შინაარსი, რესურსები და პროცესი. სწავლების დიფერენცირებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სამი მნიშვნელოვანი საკითხი:

1. სასწავლო პროცესში ყველა მოსწავლის თანაბარი ჩართულობა;
2. მოსწავლეთა ფსიქოემოციური მხარის, უნარებისა და ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინება;
3. მოსწავლეთა თავდაჯერებულობისა და თვითშეფასების გაზრდის ხელშეწყობა.

არის სიტუაციები, როდესაც მიზანშეწონილი არ არის ზოგიერთი მოსწავლის უშუალოდ ჩართვა ამა თუ იმ აქტივობაში, ან მათთვის შეკითხვების დასმა. ცოდნა იმისა, რა სიტუაციაში როგორი გადანყვეტილება უნდა მიიღოს მასწავლებელმა, ეს თავად მან უნდა განსაზღვროს მოსწავლეთა დინამიკაში დაკვირვების საფუძველზე.

უფრო გამართლებულია, რომ უფრო ძლიერ მოსწავლეს ვთხოვით, გაუძღვეს კონკრეტულ აქტივობას, ხოლო შედარებით სუსტს დავაკისროთ მეორეხარისხოვანი როლი, რაც თავის მხრივ, გულისხმობს ამ უკანასკნელის უფრო უმტკივნეულო ჩართვას სამუშაო პროცესში. როდესაც ბავშვი, ზოგადად, ზედმეტადაა დამოკიდებული სხვა ბავშვების ქცევაზე, მუდმივად არის იმის მოლოდინი, რომ ის საკუთარი ინიციატივით ვერ იმოქმედებს, ან სწორად ვერ უპასუხებს, ან ვერ მიიღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებას და ა.შ.

მოსწავლე მუდმივად უნდა ჩავაყენოთ აქტიურ მდგომარეობაში. ეს მისცემს მას აზროვნების, ნებისყოფისა და ყურადღების ერთგვარი კონცენტრაციის საშუალებას. არსებობს საფრთხე იმისა, რომ მასწავლებელმა არასწორად შეაფასოს ბავშვის უნარი. რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ეს?

- ერთ შემთხვევაში, მოსწავლის მოჩვენებითმა წარმატებამ შეიძლება გამოიწვიოს მასწავლებლის გადაჭარბებული შეფასება, რაც უბიძგებს მოსწავლეს, მუდმივად დარჩეს ვიღაცის ჩრდილქვეშ;
- მეორე შემთხვევაში, ეს შეიძლება მართლაც იყოს მოსწავლის წარმატება, მაგრამ ამ ბავშვის ბუნებიდან გამომდინარე, მასწავლებელმა არ ჩათვალოს ეს წარმატებად, რაც უთუოდ გამოიწვევს მოსწავლეში საკუთარი თავისადმი რწმენის უფრო დაკარგვას და შესაბამის პროტესტსაც.

ეს საფრთხეები განსაკუთრებით ჩნდება ჯგუფური მუშაობისას. ამიტომ მუდმივად უნდა ვაკონტროლოთ ამ ტიპის ბავშვების ჩართულობის ხარისხი და მათ ისეთი დავალებები მივცეთ, რომლებიც არ (ან ნაკლებად) ითხოვს მათი მხრიდან გაუაზრებელ დამოკიდებულებას პარტნიორზე ან დამხმარეზე. როგორც წესი, ამ ტიპის ბავშვების პრობლემა არის ის, რომ მათ ან საერთოდ არ აქვთ, ან დაკარგული აქვთ საკუთარი თავისადმი რწმენა.

მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომები.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ:

- გამოვიჩინოთ ინტერესი მოსწავლის მიერ მონოდებულ ინფორმაციაზე;
- შეცდომის მიუხედავად, გავამხნევოთ და შევაქოთ მოსწავლე;
- არ დავატანოთ ძალა მოსწავლეს, ილაპარაკოს ქართულად, ვიდრე ამას თვითონ არ გააკეთებს;
- მთავარია, დავინახოთ მოსწავლის მცდელობა და მის მიერ წინ გადადგმული ნაბიჯი.

ბოლოს, მოკლედ გვინდა შევეხოთ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვასა და მასალის საათობრივი განაწილების საკითხს.

ზოგადად, სასწავლო პროცესის, ისე როგორც კონკრეტული აქტივობის, ხანგრძლივობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, კერძოდ, როგორია:

- მასწავლებლის პროფესიული გამოცდილება;
- მოსწავლეთა მოტივაცია;

- მზაობა;
- სასწავლო პროცესში ჩართულობა;
- მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესში განსახორციელებელი მიზნები და ამოცანები და ა.შ.

მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებაც. აქედან გამომდინარე, დროის თვალსაზრისით შეზღუდვა არ არსებობს მით უფრო, რომ საკვირაო სკოლებისათვის არ არსებობს განსაზღვრული საათობრივი ბადე.

3. ძირითადი რეკომენდაციები

❖ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარება

სახელმძღვანელო აგებულია თანამედროვე პედაგოგიკის პრინციპებზე, რომელთა ქვაკუთხედია ენის კომუნიკაციური სწავლება. ვინაიდან ქართული ენის ინტეგრირებულ პროგრამაში ცენტრალური ადგილი კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებას უკავია, შესაბამისად, სახელმძღვანელოც თავისი შინაარსითა და მეთოდური აპარატით მიმართულია კომუნიკაციური უნარების – მოსმენის, კითხვის, ზეპირი და წერიტი მეტყველების განვითარებისაკენ.

საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებასთან ერთად სახელმძღვანელო ასევე ემსახურება ენობრივი ცოდნის ფუნქციურ გამოყენებასაც განსხვავებულ კონტექსტებში სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტების შედგენის გზით.

ზეპირმეტყველების უნარის განვითარება:

სამეტყველო ქცევა გულისხმობს სამეტყველო აქტში მონაწილე პირების (მთქმელისა და მსმენელის) ქმედებას, რომელიც მოიცავს არა უბრალოდ ინფორმაციის გაცვლას (აღქმას, გაგებასა და გადაცემას), არამედ მსმენელზე გარკვეული ეფექტის მოხდენასაც, რაც ვერბალურთან ერთად არავერბალური ენის საშუალებით მიიღწევა. შესაბამისად, კომუნიკაციის პროცესში ლაპარაკთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსმენაც. მთქმელი და მსმენელი თანაბრად მონაწილეობენ კომუნიკაციის რთულ პროცესში, რომელიც გარკვეული მიზნის მისაღწევად ხორციელდება. ამ პროცესის წარმატება სხვადასხვა ფაქტორთან ერთად დამოკიდებულია სათანადო ენობრივი კომპეტენციების ფლობასა და აგრეთვე კონკრეტული სტრატეგიების გამოყენებაზე.

არსებობს სამეტყველო ქცევის (საუბარია ზეპირმეტყველებაზე) ზოგადი პარამეტრები, რომლებიც ნებისმიერ საკომუნიკაციო სიტუაციებში თანაბრად მნიშვნელოვანია, ესენია:

- მკაფიოდ და გარკვევით საუბარი;
- აზრის ჩამოყალიბება გასაგებად და თანმიმდევრულად;
- ლოგიკური მახვილების / ინტონაციის დაცვა; ინტონაციის გამოყენება სასვენი ნიშნების ფუნქციით;
- არავერბალური ენის ადეკვატური გამოყენება;
- ეტიკეტის დაცვა.

ამ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:

- კრიტიკული მოსმენის, მოსმენილის ინტერპრეტაციისა და შეფასების უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- ინდივიდუალური და ჯგუფური საკომუნიკაციო უნარების, ასევე თვითგამოხატვის უნარ-ჩვევების განვითარებას;
- სათანადოდ რეაგირებას გადწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით; იმის ახსნას, რატომ წარმოადგენს სიძნელეს ესა თუ ის საკითხი/მოვლენა;
- პრობლემის გადაჭრის საკუთარი გზის დასახელებას და ამ არჩევანის მარტივად დასაბუთებას;
- კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და/ან სხვადასხვა ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირების საფუძველზე ლოგიკური დასკვნების გამოტანას;
- ინფორმაციის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებას;
- საკუთარი შეხედულების/შეფასების დასაბუთებას;
- მარტივ დისკუსიებში მონაწილეობასა და სხვა.

სახელმძღვანელოში მოცემული საკომუნიკაციო სიტუაციების განხორციელება შესაძლებელია, მასწავლებელმა სხვადასხვა მიზანს დაუქვემდებაროს, კერძოდ:

- ა) როგორც სასწავლო აქტივობა, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, კონკრეტული საკითხის გასააქტიურებლად (მაგ., *სამეტყველო ეტიკეტზე მუშაობისას; ვერბალური მასალის აღქმის, გაგებისა და გააზრებისათვის; სხვადასხვა მოდალობის მქონე წინადადებებზე სამუშაოდ; შემოქმედებითი უნარების განსავითარებლად და ა.შ.*);
- ბ) სწავლების პროცესში მოსწავლეთა განსატვირთად (თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანია, რომ ეს სიტუაციები შეესაბამებოდეს კონკრეტული გაკვეთილის მიზნებს და მათი მიმდინარეობისას ყურადღება გამახვილდეს ასევე საკომუნიკაციო ქცევის ზოგად პარამეტრებზეც).

მთავარია, საკომუნიკაციო სიტუაციების მოსამზადებლად და განსახორციელებლად გავითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები:

1. ნებისმიერი სიტუაციის მომზადებისას მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ საკომუნიკაციო ამოცანები (რა არის მისი მიზანი), მოზარდების ინტერესთა სფერო და მათი ასაკობრივი თავისებურებები (განსაკუთრებით საყურადღებოა ეს შერეულ ასაკობრივ ჯგუფში, რომელთაც განსხვავებული ინტერესები გააჩნიათ);
2. კომუნიკაციის წარმართვამდე უნდა დარწმუნდეთ, კარგად გაიაზრეს თუ არა მოსწავლეებმა საკომუნიკაციო სიტუაციები (ეს მნიშვნელოვანია მით უფრო, დაბალ ასაკობრივ ჯგუფთან), კერძოდ:
 - ვინ წარმართავს დიალოგს ან საუბარს;
 - ვინ არის მისი თანამონაწილე დიალოგში; ვის ესაუბრება, ვის მიმართავს, ანუ, ვინ არის მსმენელი;
 - რა არის კომუნიკაციის მიზანი (ანუ, რის შესახებ იმართება დიალოგი, ან რას ეხება საუბარი, მაგ.: გაცნობას, მოკითხვას, დაპატიჟებას, ახსნა-განმარტებასა და სხვა).

ამ რეკომენდაციების გათვალისწინება მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ ეს განაპირობებს მათ სამეცნიერო ქცევას – სწორად შეარჩიონ და გამოიყენონ ზეპირმეტყველების სათანადო სტრატეგიები; შესაბამისი ენობრივი რესურსი (ლექსიკა, ენობრივი კონსტრუქციები, სამეცნიერო ეტიკეტის ნორმები და ა.შ.); მეცნიერების ვერბალური და არავერბალური საშუალებები (ინტონაცია, ჟესტები, მიმიკა და ა.შ.).

3. საკომუნიკაციო თემების შეარჩევასა და მოსწავლის ინტერესებისა და მისი ასაკობრივი თავისებურებების გარდა, გასათვალისწინებელია აგრეთვე სასწავლო მიზანი და კონკრეტული ჯგუფის მიღწევათა დონის მოთხოვნებიც.

წერა-კითხვის უნარის დაუფლება:

წერა-კითხვის უნარის დაუფლება, პირველ რიგში, გულისხმობს:

- ანბანური პრინციპის ცოდნას (წერილობითი კოდის გაშიფვრას – ასო-ბგერითი მიმართებების გაცნობიერებას, ასოთა ცოდნას);
- მთლიანი სიტყვების ცნობას (სიტყვის ორთოგრაფიული ხატის „ამოკითხვას“);
- გამართულ/განაფულ კითხვას;
- წერის მოტორიკის დაუფლებას (ნატიფი მოტორული უნარების განვითარებას);
- სიტყვების / წინადადებების / ტექსტების წერას.

წერა-კითხვის ყველაზე მნიშვნელოვანი საყრდენია ანბანის ცოდნა, რომელიც გულისხმობს ასო-ბგერითი მიმართებების გაცნობიერებას, წერილობითი კოდის გაშიფვრას – ასოს ბგერად ქცევასა და, პირიქით, ბგერის ასოდ გარდაქმნას.

წერა-კითხვის ტექნიკის დაუფლებაზე მუშაობა, ძირითადად, წინასაანბანო და საანბანო პერიოდებში მიმდინარეობს (თუმცა, კონკრეტულ მოსწავლეთა სასწავლო მიზნებისა და საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით, შესაძლებელია, ეს პროცესი მათთვის ანბანის შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდეს პარალელურად).

მართალია, ანბანზე მუშაობას ეინ უძღვის ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარება, თუმცა კითხვის სწავლის დაწყების შემდეგაც ეს ორი კომპონენტი პარალელურად ვითარდება.

ფონოლოგიური უნარი, რომელიც ზეპირი სიტყვების მარცვლებად და ბგერებად დაშლასა და მათ გამთლიანებას გულისხმობს, ხელს უწყობს კითხვის დაუფლებას. ცნობილია, რომ ბავშვები, რომელთაც ჩამოყალიბებული აქვთ ფონემური ცნობიერება, მარტივად ეუფლებიან კითხვას.

წერა-კითხვის სწავლება პარალელური პროცესია, რომელიც მოიცავს 3 ეტაპს: წინასაანბანო, საანბანო და ანბანის შემდგომ პერიოდებს. წერა-კითხვის ტექნიკის დაუფლებაზე მუშაობა, ძირითადად, წინასაანბანო და საანბანო პერიოდებში მიმდინარეობს (თუმცა, კონკრეტულ მოსწავლეთა სასწავლო მიზნებისა და საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით, შესაძლებელია, ეს პროცესი მათთვის ანბანის შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდეს პარალელურად).

წერა-კითხვის ტექნიკის დაუფლებაზე ინტენსიური მუშობა საანბანო პერიოდში მიმდინარეობს. ეს არის:

- ოპერირება ასოებით, მარცვლებითა და სიტყვებით;
- ასო-ბგერითი მიმართებების გაცნობიერება;
- სიტყვებისა და მოკლე წინადადებების გაშიფვრა-წაკითხვა;
- ასოების გამოყვანა;
- სიტყვების გამონერა/გადაწერა და სხვა.

ვინაიდან სწავლების საწყის ეტაპზე წერის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია კითხვის უნარის გაუმჯობესებაა, ამიტომ სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს ისეთი დავალებები შესთავაზოს, სადაც მათ ერთი და იმავე ენობრივი მასალის წაკითხვაც მოუწევთ და წერაც.

საანბანო პერიოდის პრიორიტეტები კითხვასა და წერაში:

საკომუნიკაციო უნარები	პრიორიტეტები
ასო-ბგერითი მიმართებები: ასოების ამოცნობა და მათი დაკავშირება შესაბამის ბგერებთან.	ნატიფი მოტორიკა: ასოების ნაწილების გააზრება (რკალი, რგოლი, სწორი ხაზი და ა.შ.) და მათი გამოსახვა.
სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ამოცნობა, ასოების გამონაწერება (რაც გულისხმობს სიტყვის ასოებად დაშლას, ანუ ანალიზისა და ასოების სიტყვებად გამთლიანების, ანუ სინთეზის უნარს).	ბადიანი რვეულის სივრცითი მიმართებების ბადიან რვეულში ორიენტირება და სივრცითი მიმართებების გააზრება – შუა/ზედა/ქვედა.
სიტყვების, მოკლე წინადადებების გაშიფვრა-წაკითხვა: ეს არის ნაწერი სიტყვის (ორთოგრაფიული ხატის) ხმოვან ხატად გარდაქმნა / კონვერტირება.	ასოების წერა: ასოთა გამოყვანა ოთხხაზოვან და ორხაზოვან სისტემებში, ცალხაზიან სისტემაზე გადასვლა.
კითხვის მოქნილობა: ნაწერი / ნაბეჭდი სიტყვების ავტომატური დეკოდირების უნარი.	სიტყვების, წინადადებების, მიკროტექსტების წერა: სიტყვების გადაწერა/ჩაწერა ინსტრუქციის მიხედვით, მაგ., მითითებულ ასოზე დაწყებული სიტყვები, ოთხასოიანი სიტყვები, თემატური სიტყვები და ა.შ. წინადადებების გადაწერა; კარნახით / დამოუკიდებლად წერა და ა.შ.

კითხვის სწავლება: სახელმძღვანელოში საანბანე პერიოდში კითხვა მინიმალური ბუნისა და ის მოიცავს მხოლოდ წიგნში მოცემული სიტყვების, მარტივი წინადადებების, მინირებული კვებისა და მიკროტექსტების წაკითხვას.

კითხვის სწავლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ მოსწავლის ასაკობრივი უნარები და შესაძლებლობები.

იმ მოსწავლეებს, რომელთაც უკვე ათვისებული აქვთ კითხვის უნარები სწავლების ენაზე, უკვე თავისუფლად არის შესაძლებელი მათთვის კითხვის სისტემური კურსის შეთავაზება, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, მაინც გარკვეული დოზით უნდა მოხდეს.

აქვე შევნიშნავთ, რომ სწავლების საწყის ეტაპზე მაინც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია წერილობითი ნიშნების გახმოვანებაზე ანუ დეკოდირებაზე სათანადო მუშობის წარმართვა (მით უფრო, როცა საქმე ეხება ქართულისათვის დამახასიათებელ ბგერებსა და ბგერათშეთანხმებებს. ამის შესახებ იხ. ქვემოთ, ფონეტიკის სწავლების ნაწილში). შესაძლებელია დამატებით გარკვეული ფონოლოგიური სავარჯიშოების შეთავაზებაც იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც ექმნებათ პრობლემები კითხვაში.

ცალ-ცალკე წარმოვადგენთ კონკრეტულ რეკომენდაციებს ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით:

<p>6-9 წლის მოზარდები</p>	<p>მათთვის სისტემური კურსის შეთავაზება პრიორიტეტული არ არის. გარდა ამისა, კითხვის სწავლება ამ ეტაპზე თავისებური მეთოდოლოგიით უნდა წარიმართოს. პირველ რიგში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფონოლოგიური უნარების განვითარებას, რათა მოსწავლეს განუვითარდეს ფონემური ცნობიერება (ზეპირი მარცვლების, ბგერების აღქმისა და გამოყენების უნარი). რაც შეეხება წაკითხვის გაგებას, მათ მოეთხოვებათ ისეთი მარტივი საკითხავი ამოცანების გადაჭრა, როგორებიცაა: დასმული შეკითხვის პასუხის, ნახატის შესატყვისი წინადადების პოვნა ტექსტში; მთლიანი ტექსტის (დიალოგის, აბზაცის...) ან ცალკეული ინფორმაციის დაკავშირება სურათთან; ტექსტში მოძიებული ინფორმაციით მარტივი სქემებისა და ცხრილების შევსება; შეკითხვების პასუხებთან დაკავშირება; არეული რეპლიკების თანამიმდევრობით დალაგება; სავარაუდო ვარიანტებიდან სწორი/არასწორი ვარიანტის შემოხაზვა, მონიშვნა, მითითება; ტექსტის მიხედვით სურათების დანომრვა; მოცემული კულტურული თვალსაჩინოებების მითითება / დასახელება (ილუსტრაციებზე ასახული ზღაპრის გმირები, ტანსაცმელი, ნუგბარი – ჩურჩხელა, გოზინაყი და სხვა); კონკრეტული კულტურული მსგავსებებისა და განსხვავებების პოვნა და დასახელება (დღესასწაულები, საკუთარი სახელები, ბგერები, ზღაპრების პერსონაჟები...) და ა.შ;</p>
----------------------------------	---

<p>10-14 წლის მოზარდები</p>	<p>მათი ასაკობრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით (მით უფრო, რომ სწავლების ენაზე ისინი უკვე ფლობენ წერა-კითხვისათვის აუცილებელ უნარებსაც), შეუძლიათ უფრო სწრაფი ტემპებით დაძლიონ კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები. შესაბამისად, მასწავლებელს შეუძლია მათთვის კითხვის სისტემური კურსის შეთავაზება. თუმცა, სწავლების საწყის ეტაპზე კარგი იქნება, თუკი საკმარისი დრო დაეთმობა წერილობითი ნიშნების გახმოვანებაზე სათანადო მუშაობის წარმართვასაც (მით უფრო, როცა საქმე ეხება ქართულისათვის დამახასიათებელ ბგერებსა და ბგერათშეთანხმებებს). მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეები ავარჯიშოს როგორც უცნობი სიტყვებისა და წინადადებების დეკოდირებაზე, ასევე შესთავაზოს მათ უცნობი მიკროტექსტების დეკოდირებაც.</p> <p>რაც შეეხება წაკითხვის გაგებას, ამ ასაკობრივ ჯგუფს მოეთხოვება: მარტივი საკითხავი ამოცანების შესასრულებლად ტექსტში კონკრეტული ინფორმაციის მოძიება; დასმული შეკითხვების პასუხების, ნახატის შესატყვისი წინადადების, ერთი სემანტიკური ველის სიტყვების ტექსტში პოვნა; შემონიშვნა, სწორია თუ არა ესა თუ ის მოცემული ინფორმაცია; ტექსტიდან სხვადასხვა ინფორმაციის ამოკრება (მაგ., რეცეპტიდან – ინგრედიენტების, მოქმედებების; ანკეტიდან საცხოვრებელი ადგილის, პროფესიის და ა.შ.); ცხრილის შევსება მსგავსი ტიპის ტექსტების მონაცემებით (მაგ., სხვადასხვა ანკეტიდან, განცხადებებიდან, ღია ბარათებიდან, პირადი წერილებიდან და ა.შ.); ილუსტრაციებზე / ტექსტებში ასახულ სიმბოლოურ, სოციოკულტურულ, საყოფაცხოვრებო რეაქციებზე მითითება / დასახელება (მაგ. ჯვარი, ჩურჩხელა, მეჩეთი, ხალხური საკრავი, ტანსაცმელი და სხვა); სოციოკულტურული ნიშნით მსგავსება-განსხვავებების ჩვენება (მაგ., დღესასწაულები, პერსონაჟები, დროშა, ნუგბარი, საკუთარი სახელები) და ა.შ.</p>
------------------------------------	--

ხმამალალი და ჩუმი კითხვა: აუცილებელია, რომ მასწავლებელმა იმუშაოს როგორც ხმამალალ კითხვაზე, ისე ჩუმ კითხვაზეც. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს ხმამალალა უკვე მოსმენილი და ზეპირმეტყველებაში დამუშავებული ტექსტები შევთავაზოთ. ტექსტის ხმამალალ კითხვა არის სწავლების მეთოდი, რომელიც ხორციელდება გამართული, განაფული კითხვის ხელშესაწყობად. ხმამალალი კითხვის შემონიშვნის ზოგადი კრიტერიუმებია:

- კითხულობს უშეცდომოდ და შეუფერხებლად;
- სიტყვებს გამოთქვამს მკაფიოდ და გარკვევით;
- კითხულობს გამომსახველობით – ინტონაციით გამოხატავს ტექსტში ასახულ ემოციებს;
- ინტონაციას იყენებს სასვენი ნიშნების ფუნქციით.

ხმამალალ კითხვაზე მუშაობისას მნიშვნელოვანია შემდეგი სტრატეგიების გამოყენება (მით უფრო, 6-7 წლის მოსწავლეებთან აუცილებელია გუნდური და წყვილებში კითხვა):

- **გუნდური კითხვა** – მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად ხმამალალ კითხულობენ ტექსტს რამდენჯერმე: ჯერ მასწავლებელი კითხულობს ნელა და გარკვევით და შემდეგ მოსწავლეები ერთად კითხულობენ იმავე ტექსტს რამდენჯერმე;

- **წყვილებში კითხვა** – მოსწავლეები ერთად ან რიგრიგობით კითხულობენ ტექსტს ხმამაღლა (წყვილებში მუშაობის დროს კარგი იქნება, თუკი მასწავლებელი დაანწყვილებს ძლიერი-სუსტის პრინციპით);
- **ინდივიდუალური კითხვა** – როცა ერთი მოსწავლე კითხულობს ტექსტს თავიდან ბოლომდე, ან კითხულობს მითითებულ ადგილს. აქვე შემოდის გაგრძელებებით წაკითხვაც, როცა მასწავლებელი აწყვეტინებს მოსწავლეს კითხვას და აგრძელებინებს მეორეს.

რაც შეეხება ჩუმ კითხვას, ეს არის წაკითხულის შინაარსის გაგების უნარი და მას საკითხავი ამოცანების შესრულებისას უნდა მივმართოთ. სახელმძღვანელო ამ კუთხით საკითხავი ტექსტის ტიპებისა და საკითხავი ამოცანების მრავალფეროვან სპექტრს სთავაზობს მოსწავლეებს.

წერის სწავლება: მოსწავლეები საანბანო პერიოდში იწყებენ ასოების, სიტყვებისა და მარტივი წინადადებების წერას. ძირითადი აქცენტი გადადის ბადიან რვეულზე (კალიგრაფიის რვეულზე). რაც შეეხება მოსწავლის რვეულში საანბანე თემაში მოცემულ ე.წ. წერით დავალებებს (ისეთი, როგორცაა, მაგალითად, სიტყვაში გამოტოვებული ასოების ჩასმა, ცალკეული სიტყვის გადანერა, წინადადებაში დაშვებული შეცდომის მოძებნა და გამოსწორება და სხვა), ისინი ემსახურება არა ასოების გამოყვანის ტექნიკის დაუფლებას, არამედ მათ იდენტიფიცირებას, ასოებისა და სიტყვების ამოცნობას, ასევე ემსახურება გარკვეულ ენობრივ მიზნებსაც – კონკრეტული ლექსიკისა თუ გრამატიკის სწავლებას.

ვინაიდან სწავლების საწყის ეტაპზე წერის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა კითხვის უნარის გაუმჯობესება, ენობრივი მასალის დამახსოვრება და მოსწავლეთა მომზადება ტექსტების პროდუცირებისათვის, ამიტომ სახელმძღვანელო მოსწავლეებს სთავაზობს ისეთ დავალებებს, სადაც მათ ერთი და იმავე ენობრივი მასალის კითხვაც უწევთ და წერაც.

კითხვის მსგავსად, წერის უნარის განვითარებაც განსხვავებულია ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით. აქაც ცა-ცალკე წარმოვადგენთ კონკრეტულ რეკომენდაციებს ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით:

<p>6-9 წლის მოსწავლეები</p>	<p>წერის უნარის განვითარება აუჩქარებელი ტემპით უნდა წარიმართოს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს წერის ტექნიკურ-მოტორული უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას. მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ არა მხოლოდ ცალკეული სიტყვების გადაწერა, არამედ წინადადებებისა და მიკროტექსტების კარნახით წერაც;</p> <p>ვინაიდან წერის სწავლება ამ ეტაპზე, ძირითადად, რეპროდუცირებას ეფუძნება, ამიტომ ეს პროცესი მოსაწყენი რომ არ გახდეს, მნიშვნელოვანია მათთვის მრავალფეროვანი, სახალისო და, რაც მთავარია, შინაარსიანი კონტექსტების შეთავაზება, მაგალითად: კითხვარის შევსება, სადაც ჩანერს, რომელი საჭმელი უყვარს და რომელი – არა; პირადი ან ცხრილის მონაცემებით ანკეტის შევსება (სახელი, გვარი, სადაურობა, საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობა და ა.შ.); კონკრეტული ინფორმაციით ნაკლები ტექსტის შევსება (მაგ., ცხრილის მიხედვით წინადადებების შევსება; მოცემული რეპლიკებით დიალოგის / ნარატიული ტექსტის შევსება და ა.შ.); მოდელის მიხედვით ადამიანის, ცხოველის ან საგნის აღწერა და ა.შ.</p>
<p>10-14 წლის მოსწავლეები</p>	<p>კითხვის მსგავსად, მასწავლებელს შეუძლია უკვე ამ საფეხურზევე შესთავაზოს მათ წერის სისტემური კურსი. თუმცა, სწავლების საწყის ეტაპზე ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია (ერთი მხრივ, ქართულისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თანხოვნებისა და, მეორე მხრივ, ხაზოვან სისტემაში ასოთა განლაგების გათვალისწინებით) ქართულ ანბანზე სამუშაოდ სათანადო დროის გამოყოფა.</p> <p>სწავლების საწყის ეტაპზე წერის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა: კითხვის უნარის გაუმჯობესება, ენობრივი მასალის დამახსოვრება და მოსწავლეთა მომზადება ტექსტების პროდუცირებისათვის. ამიტომ, სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზოს ისეთი დავალებები, სადაც მათ ერთი და იმავე ენობრივი მასალის კითხვაც მოუწევთ და წერაც, მაგალითად: მცირე (3-4 წინადადებიანი) აღწერითი ტექსტების შექმნა (მაგ., ცხოველის, საყვარელი სათამაშოს, საკუთარი ოთახის აღწერა; ოჯახის წევრის, მეგობრის, პერსონაჟის აღწერა-დახასიათება; გარემოს, ყოველდღიური საქმიანობების აღწერა, ტექსტის გარშემო დასმულ შეკითხვებზე წერილობითი პასუხების გაცემა და ა.შ.</p> <p>რაც შეეხება ნიმუშების მიხედვით მცირე მოცულობის ფუნქციური ტექსტების შედგენას, მოსწავლეებს მოეთხოვებათ ისეთი პრაგმატული ხასიათის ტექსტების შედგენა, როგორებიცაა თავისი ან სხვისი გაკვეთილების ცხრილი, დღის განრიგი და ა.შ.; მოდელის მიხედვით მარტივი კორესპონდენციის შექმნა (მაგ., ღია ბარათის), ახალი მონაცემების მიხედვით რეცეპტის შედგენა, მოცემული რეპლიკებით დიალოგების აწყობა და ა.შ..</p>

წაკითხულის გაგება-გააზრება:

კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ენის ეს ინტეგრირებული კურსი მოსწავლეებს უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს. შესაბამისად, მათი ენობრივი კომპეტენციები საშუალებას აძლევს მათ, ეზიარონ არა მხოლოდ მშობლიურ ლიტერატურას, არამედ გაეცნონ საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის, ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს საკითხებსაც.

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ყურადღება ექცევა კრიტიკული მოსმენის, მოსმენილის ინტერპრეტაციისა და შეფასების უნარ-ჩვევების გამო-მუშავებას; მხატვრული ტექსტების მიმართ მოსწავლეთა ესთეტიკური და ემოციური დამოკიდებულების სტიმულირებას; მასალის / ინფორმაციის კონტექსტში გააზრებისა და ინტერპრეტაციის, კრიტიკული აზროვნებისა თუ ნაკითხულის შეფასების უნარების განვითარებას; საუბრისა თუ დიალოგის წარმართვას შესწავლილი ტექსტების, საინტერესო თემებისა თუ საკითხების შესახებ, მათ შორის, ისეთ თემებზეც, რომლებიც შეეხება მის პირად გამოცდილებას, სამყაროს შემეცნებას, სოციოკულტურისა და კულტურის საკითხებს.

ტექსტის გაგება-გააზრების თვალსაზრისით, სახელმძღვანელოში წარმოდგენილია მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ნა-ბიჯ-ნაბიჯ შეასრულებინოს მოსწავლეებს.

ცალკეულ შემთხვევებში (ვგულისხმობთ მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს), შესაძლებელია, მასწავლებელმა გაამარტივოს დასახული ამოცანა ან მოცემული თე-მისა თუ საკითხის ფარგლებში შესთავაზოს მოსწავლეს მსგავსი ტექსტი (კონკრეტუ-ლი რეკომენდაციები და ნიმუშები იხილეთ თემების ანალიზში).

სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერილობით შექმნა:

ამ ეტაპზე მოსწავლეებმა უკვე უნდა შეძლონ: სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტის შედგენისას საკომუნიკაციო სიტუაციის განსაზღვრა; ფაქტებისა და მოვლენების თან-მიმდევრობით გადმოცემა; საკუთარი გრძნობებისა და სურვილების მარტივი ფრაზე-ბით გამოხატვა; კონკრეტული პერსონაჟის, ფაქტისა და მოვლენისადმი საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა; კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მარტივი დასკვნის გამოტანა და ა.შ.;

სხვადასხვა სახისა და ტიპის ტექსტების შედგენა ამ ეტაპზე ითვალისწინებს მუშაო-ბას მასწავლებლის ხელმძღვანელობით, საყრდენების / მინიშნებების გამოყენებით თუ მოდელის მიხედვით. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა წერის სა-მივე ეტაპზე: წერის დაწყებამდე, წერის პროცესში და წერის შემდეგ. წერიტი მეტყვე-ლებისას სამეტყველო ქცევის ზოგადი პარამეტრებია:

- აზრის გასაგებად და თანმიმდევრულად ჩამოყალიბება;
- სასვენი ნიშნების ფუნქციური გამოყენება.

შესასრულებელი სამუშაო ჯერ ზეპირად უნდა დამუშავდეს მაგალითის/მოდელის ჩვე-ნებით და შემდეგ მოვთხოვოთ მოსწავლეებს მისი წერილობით შესრულება.

❖ ლინგვისტური კომპეტენციების დაუფლება

ამ საფეხურზე მყოფ მოსწავლეებს ინფორმაციის გაგების, ანალიზისა და შეფასებისათვის მოეთხოვებათ სათანადო ენობრივი კომპეტენციების დაუფლება და მათი ფუნქციური გამოყენება, რაც გულისხმობს შესაბამისი ენობრივი საშუალებების ფლობას, ენის სემანტიკური და სტრუქტურული კანონზომიერებების ცოდნასა და ამ ცოდნის მიზნობრივ გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ წინა საფეხურებისაგან განსხვავებით, გრამატიკის სწავლებას აქ უფრო მაღალი მოთხოვნები აქვს, ეს მაინც არ გულისხმობს გრამატიკული ცოდნის თვითმიზნურ დაგროვებას. ენობრივ-გრამატიკული ცნებებისა და საკითხების სწავლება უნდა წარიმართოს ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს ნასწავლის სინთეზირება და ფუნქციურად გამოყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში (ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის დროს). ამდენად, სწავლებისას მოსწავლეებს უნდა მივცეთ შესაძლებლობა, გამოიყენონ ენობრივი ცოდნა განსხვავებულ კონტექსტებში სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტების შედგენის გზით. წიგნის ბოლოს დართული გრამატიკული ნაწილი თავისი მიდგომებით ემსახურება სწორედ მოსწავლის ენობრივი ცოდნის სისტემატიზაციაში მოყვანას და მის ფუნქციურ გამოყენებას.

ლექსიკა: სალექსიკონო ერთეულებზე მუშაობისას, მიეცით საშუალება მოსწავლეებს, თავად შეასრულონ ლექსიკური დავალებები. თქვენ ჩაერიეთ შესასრულებელი დავალების დაზუსტების პროცესში და აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში.

სასურველია, მოსწავლეები ჩართონ სახალისო თამაშებშიც, რომლებიც საგანმანათლებლო მიზნებთან ერთად განტვირთვის საუკეთესო საშუალებაცაა. გათავაზობთ ნიმუშებს:

თამაში – „ასოციაციობანა“:

მოსწავლეები ასახელებენ სიტყვებს, რომლებიც ერთმანეთთან კონკრეტული ლოგიკური ჯაჭვით არიან დაკავშირებული. თამაშის პრინციპს (ანუ, სიტყვებ შორის ლოგიკურ კავშირებს) განსაზღვრავს მასწავლებელი საგაკვეთილო საჭიროების გათვალისწინებით. ეს შეიძლება იყოს:

1. ერთი სემანტიკური ველის მქონე სიტყვები;
2. წინა სიტყვის ასოციაციური კავშირები (მაგ., თევზი – ბადე – თოკი – ძაფი – ნემსი და ა.შ.);
3. კონკრეტული ნიშან-თვისების გამომხატველი სიტყვები (შესაძლებელია, უფრო დავაკონკრეტოთ კიდევ, მაგ., ვწერთ დაფაზე სიტყვას – მთა. როგორი შეიძლება იყოს ის? და სხვა);
4. და ა.შ.

გრამატიკა: როგორც ზემოთ არაერთხელ ითქვა, გრამატიკის სწავლება საკომუნიკაციო მიზნებს ემსახურება, შესაბამისად, ის არა იზოლირებულად, არამედ კონტექსტში ისწავლება.

არ არის რეკომენდებული გრამატიკული საკითხების აღწერით-თეორიული მიწოდება, წესებისა და ტერმინების ზეპირად დასწავლა. მოსწავლეს საშუალება უნდა მიეცეს დააკვირდეს, ამოიცნოს, გაიაზროს და კონტექსტში გამოიყენოს გრამატიკული თავისებურებები და კონსტრუქციები.

ზოგადად შევნიშნავთ, რომ გრამატიკის სწავლებისას აუცილებელია:

- პირველ, რიგში, მოვერიდოთ გრამატიკული საკითხების კონტექსტიდან მონყვევით მხოლოდ თეორიულ სწავლებას;
- წესების ნაცვლად გამოვიყენოთ მყარი ენობრივი ფორმულები;
- პირველ რიგში, თვალსაჩინოებების გამოყენებითა და კონკრეტული მაგალითებით გავაგებინოთ, მივახვედროთ, დავაკვიროთ ამა თუ იმ საკითხზე, პრობლემაზე. ახალი გრამატიკული საკითხის მიწოდებისას ადვილი და გასაგები თვალსაჩინოებების (სქემები, ცხრილები, დიაგრამები და ა.შ.) გამოყენება;
- მათ გასააქტიურებლად, კონკრეტულ ენობრივ საფარჯიშოებთან ერთად, მივმართოთ ყოფით სიტუაციებსა და საინტერესო კონტექსტებს;
- გამეორებადი გამონათქვამების (კლიშეების, გრამატიკული ფორმულების) ხშირი გამეორება, რაც მოსწავლეს გამოუმუშავებს ალღოს გრამატიკული წესების მიმართ.

❖ პოსტერები, დიაგრამები და სქემები სწავლების პროცესში

ინფორმაციული ბლოკები:

ინფორმაციული ბლოკების შექმნა ტექსტის დამუშავების პროცესში ხელს უწყობს არა მხოლოდ წაკითხულის გაგების უნარის განვითარებას, არამედ ეს წარმოადგენს ასევე ერთ – ერთ მნიშვნელოვან რესურსს ზეპირი თუ წერიტი კომუნიკაციისთვისაც.


ამ ბლოკების შექმნის მიზანია ტექსტში არსებული ინფორმაციების კონკრეტული საკითხის/თემის მიხედვით მოძიება და ერთი ღერძის გარშემო მათი განთავსება. ასეთი ღერძების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, მოცემული ტექსტი თავისთავად რამდენი და რა ტიპის ინფორმაციას მოიცავს.

ინფორმაციულ ბლოკებზე მუშაობის პრინციპები:

- პირველ ეტაპზე ჯერ მასწავლებელი ქმნის ნიმუშის სახით ასეთ ბლოკს დაფაზე მოსწავლეების ჩართულობით (დასვით კონკრეტული კითხვა და სთხოვეთ მოსწავლეებს შესაბამისი ინფორმაციის ტექსტში მოძიება).
- ამის შემდეგ მოსწავლეებმა ჯერ თავად (დამოუკიდებლად ან წყვილებში) იმუშაონ ამგვარ აქტივობებზე და პასუხების შეჯერების პროცესში ჩაერთოს მასწავლებელი, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლის ჩართვა აუცილებელია.

ინფორმაციული ბლოკები შეგვიძლია შევქმნათ ნებისმიერ საკითხზე, თუკი მის შესახებ მინიმუმ ორი ინფორმაცია მაინც არსებობს ტექსტში, მაგალითად:

თემა 1 – ეს ჩემი საქართველოა:



თემა 3 – თბილისური ჰანგები:

ინტერვიუს მომზადება

1. გაარკვეე, რა ინფორმაცია გაქვს და კიდევ რისი ცოდნა და დაზუსტება გჭირდება.
2. მოამზადე შეკითხვები.
3. რესპონდენტის პასუხების ჩასაწერად მოიფიქრე შენთვის საუკეთესო ხერხი.

ინტერვიუს აღება

1. არ დაგავიწყდეს მისაღმება და საკუთარი თავის წარდგენა.
2. ჩაინიშნე პასუხები არჩეული სტრატეგიის გამოყენებით.


ინტერვიუს ჩაწერა

1. გაუკეთე ინტერვიუს წამყვანი აბზაცი.
2. ყოველი ახალი შეკითხვა და პასუხი დაიწყე ახალი ხაზიდან.



თემა 5 – ადამიანი და საზოგადოება:

ტერმიტების იმპერია



უკვე შევსებული სქემები შეგიძლიათ გამოიყენოთ ზეპირმეტყველების დროს (მათზე დაყრდნობით ასაუბროთ მოსწავლე).

ლექსიკური პოსტერები (საუბარია როგორც სახელურ, ისე ზმნურ ლექსიკაზე): პოსტერების შექმნა მნიშვნელოვანია ლექსიკის სწავლების თვალსაზრისითაც. ყოველი ახალი ლექსიკური ერთეული გადაგვაქვს პოსტერზე, სადაც ისინი გარკვეული ნიშნით შეგვიძლია დავახარისხოთ, მაგალითად: სემანტიკური ნიშნით, გრამატიკული ნიშნით და ა.შ.

სემანტიკური

მცენარე	გარემო
ხე	მდინარე
ბალახი	კლდე
ყვავილი	ტყე
კვირტი ...	ვენახი ...

გრამატიკული

საერთო ძირის მქონე
მოსწავლე
მასწავლებელი
სწავლა
სასწავლებელი ...

ტიპური დავალებები და გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

გთავაზობთ სახელმძღვანელოში შესული ტიპური დავალებების ძირითად სპექტრს და იმ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სწავლების პროცესში.

ფონოლოგიური სავარჯიშოები:

პირველ რიგში, გვინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ასეთი სავარჯიშოები ტარდება მხოლოდ და მხოლოდ ზეპირ სიტყვებზე, ზეპირ მარცვლებსა და ბგერებზე და არა – ასოებზე, ნაწერ მარცვლებსა და სიტყვებზე.

მნიშვნელოვანია, რომ ფონოლოგიური უნარების განვითარებაზე მუშაობა წინ უსწრებდეს წერა-კითხვის დაუფლების პროცესს, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მასზე მუშაობა გაგრძელდეს იმდენ ხანს, რამდენსაც მოსწავლის საჭიროება მოითხოვს.

ასევე მნიშვნელოვანია მუშაობის წარმართვა მოსწავლეთა ორთოეპიული (მართლწარმოთქმის) უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და განვითარების მიმართულებითაც. ფონოლოგიური სავარჯიშოები შეიძლება იყოს მარტივიც და რთულიც. მასწავლებელი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მარტივი სავარჯიშოებით და სწავლების პროცესში მოსწავლეთს სხვადასხვა ტიპისა და სირთულის აქტივობები შესთავაზოს პრინციპით – მარტივიდან რთულსაკენ!

დამატებით გთავაზობთ სახალისო თამაშებს ფონოლოგიური უნარების გასავითარებლად. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ტიპის აქტივობებში შეგიძლიათ ჩართოთ ისეთი ლექსიკა, რომელიც საჭიროებს განმტკიცებას:

გამოვიცნოთ სიტყვები! ჩუმად უთხარით ერთ-ერთ მოსწავლეს სიტყვა და სთხოვეთ, ხმამაღლა დამარცვლით წარმოთქვას ეს სიტყვა. დანარჩენმა მოსწავლეებმა უნდა გაამთლიანონ მარცვლები, გამოვიცნონ, რა სიტყვაა და დაასახელონ. რეკომენდებულია, აქტივობაში თავდაპირველად გამოიყენოთ ორ- და სამმარცვლიანი სიტყვები და თანდათან გაზარდოთ მარცვალთა რაოდენობა. დამარცვლისა და გაამთლიანების პროცესი რომ მოსაწყენი არ გახდეს, შესაძლებელია მას სახალისო შეჯიბრის სახე მიეცეს და სახალისო პრიზებითაც დააჯილდოვოთ ჯგუფები.

სიტყვების კატეგორიზაცია მარცვალთა რაოდენობის მიხედვით: ამ ტიპის აქტივობათა თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ მოსწავლისაგან რამდენიმე ოპერაციის შესრულებას მოითხოვს, კერძოდ, სიტყვის მარცვლებად დაშლას და სიტყვათა კატეგორიზაციას (დახარისხებას) შემადგენელი მარცვლების რაოდენობის მიხედვით. ამიტომ, სასურველია, ამ ტიპის (ანუ მრავალკომპონენტური) აქტივობებს თამაშის სახე მისცეთ, რათა მოსწავლეთს მათი შესრულება გაუმარტივოთ. მოტივაციის გასაზრდელად შესაძლებელია, თამაშს ჯგუფებს შორის შეჯიბრის სახე მიეცეს, რასაც მოსწავლეთის სახალისო პრიზებით დაჯილდოებაც მოჰყვება. თამაშის დაწყებამდე სასურველია, მოსწავლეთს ჩაერთოთ მისი მომზადების პროცესში, მაგ., მათთან ერთად მოამზადეთ

აქტივობისათვის საჭირო რესურსები (სათანადოდ მოაწყეთ სივრცე); პარალელურად აუხსენით, რისთვის დაგჭირდებათ ესა თუ ის საგანი / რა უნდა გააკეთოთ ამ რესურსების გამოყენებით და ა.შ. აქტივობის გართულება შესაძლებელია მრავალმარცვლიანი სიტყვების შემოტანით და, შესაბამისად, ყუთების რაოდენობის გაზრდით.

ა) მოსწავლეებთან ერთად მოამზადეთ სამი ყუთი (ყუთების რაოდენობა დამოკიდებულია სიტყვებში შემავალ მარცვალთა რაოდენობაზე). თითოეულ ყუთს დაანერეთ ის ციფრი, რამდენმარცვლიანი სიტყვისთვისაც არის ის განკუთვნილი (მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ აღნიშნული ციფრების ცნობა; თუ ეს ცოდნა მათ ჯერ არა აქვთ, გამოიყენეთ სიმბოლოები, მაგ., რკალები –)))) ან მარტივი ნახატები, მაგ., მზე, ვარსკვლავი და სხვ.



ბ) მოსწავლეებთან ერთად შეაგროვეთ რესურსი: პატარა საგნები / ნივთები, რომლებიც ჩაეტევა ყუთში (მაგ.: კალამი, ფანქარი, ბურთი, წიგნი, ჭიქა, კოვზი...); სურათები ან ფოტოები, მაგ.:



და ა.შ.

გ) აუხსენით მოსწავლეებს თამაშის პრინციპი – დარიგებული მასალა გადაახარისხონ ყუთებში სიტყვაში მარცვალთა რაოდენობის მიხედვით. საჭიროებისამებრ, თავიდან გაითამაშეთ აქტივობა იმ მოსწავლესთან ერთად, რომელსაც გაუჭირდა თამაშის პრინციპის გაგება.

დ) ამის შემდეგ დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად. ჯგუფებს დაურიგეთ ყუთები და ყველა საჭირო რესურსი – სურათები, საგნები, ნივთები და განსაზღვრეთ თამაშის დრო. შესაძლებელია ამ აქტივობის სხვადასხვაგვარად წარმართვაც, კერძოდ:

მიეცით თითო ჯგუფს თითო ყუთი. მოსწავლეებმა დარიგებული მასალიდან უნდა შეარჩიონ და ყუთში მოათავსონ ის ნივთები, რომელთა აღმნიშვნელი სიტყვებიც შედგება ყუთზე მითითებული მარცვლების რაოდენობისგან.

მარცვლების იდენტიფიცირება (მარცვლის ამოცნობა მარცვალთა ჩამონათვალში): გამოიყენეთ მოდელირების სტრატეგია – წარმოთქვით სამოდელო მარცვალი (**მა-**), რომელიც უნდა სმოიცნონ მოსწავლეებმა მარცვალთა წყებაში (მაგ., **და, მო, ში, მა, თა, ჩა, მე, მა, მუ და ა.შ.**) და კიდევ ერთხელ გააფრთხილეთ მოსწავლეები, რომ ტაში დაუკრან ამ მარცვლის გაგონებისას. საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალურად განახორციელებინეთ აქტივობის გამარტივებული ვარიანტი – შეამცირეთ მიწოდებულ მარცვალთა რაოდენობა, წარმოთქვით მხოლოდ ორი მარცვალი და გაზარდეთ მათ შორის ინტერვალი. მიეცით მოსწავლეს დრო დასაფიქრებლად და სათანადო რეაქციისათვის. შეგიძლიათ გაართულოთ აქტივობა ფონოლოგიურად მსგავსი მარცვლების მიჯრით წარმოთქმით: **ქუ/კუ/გუ; ჯი/ჩი/ჭი/ცი; ბა/ფა/პა** და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ პირველ ეტაპზე მარცვლები დაასახელოთ ნელა და გარკვევით. კარგად გაეარჯიშების შემდეგ კი უკვე შესაძლებელია ტემპის უმნიშვნელო აჩქარება.

წერისა და კითხვის დაუფლება:

სახელმძღვანელო (საუბარია კალიგრაფიის რვეულზეც) მრავლად შეიცავს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა:

- ასოების გამოსახვა ბადიან რვეულში;
- ნაცნობი სიტყვების წერა ნახატების დახმარებით;
- სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ცნობა (არასწორად დაწერილი სიტყვების გასწორება; ნახატის მიხედვით სწორი ვარიანტების შემოხაზვა და ა.შ.);
- ასო-ბგერებისა და მარცვლების ცნობა (მოისმინე, იპოვე და შემოხაზე / დაასახელე / გააფერდე);
- სიტყვის ამოცნობა (ანალიზი და სინთეზი), მაგ.: მოცემული ასოებით სიტყვების შევსება; ნახატის დახმარებით სიტყვაში გამოტოვებული ასოების ამოცნობა და სიტყვის შევსება; არეულად მოცემული ასოებით სიტყვების აწყობა საყრდენების დახმარებით (საყრდენად შეიძლება იყოს, ერთ შემთხვევაში, სიტყვის ფოტოგრაფიული ხატი, ანუ გამოსახულება. მეორე შემთხვევაში კი ასაწყობი სიტყვის საწყისი ასო); საყრდენების დახმარებით კროსვორდის შევსება; მიჯრით მიწყობილ სიტყვაში სამოდელო სიტყვის ამოცნობა; გრძელ სიტყვაში მოკლე სიტყვის მოძებნა; რებუსის ამოხსნა; მოცემული სიტყვების ცხრილში მოძებნა და მათი მონიშვნა ან გაფერადება...);
- სიტყვების ამოკითხვა და გამოწერა / გადაწერა.

გთავაზობთ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საანბანო პერიოდში წერა-კითხვის დაუფლებაზე სამუშაოდ:

ბადიან რვეულში ასოებზე მუშაობა (რომელიც მიმდინარეობს კალიგრაფიის რვეულში – „დედანში“) წარმართეთ შემდეგი თანმიმდევრობით:

პირველი ეტაპზე

ა) აჩვენეთ მოსწავლეებს ოთხხაზოვან ბადიან ფურცელზე გამოსახული ასოები. პირველ რიგში, ყურადღება მიაქციეთ ბადის სტრუქტურაზე – ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ხაზებზე. განმარტეთ, რაში მდგომარეობს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების ამგვარი განლაგების პრინციპი;

ბ) დააკვირვეთ ასოებზე და დაუსვით შეკითხვები (განმარტებები წარმართეთ მათთვის ნაცნობ ენაზე, ანუ მათი სწავლების ენაზე): რომელი ასოები იწერება ორ ხაზში? სამ ხაზში? ოთხ ხაზში? რომელი ასოები ჰგავს ერთმანეთს? რით ჰგავს? რა აქვს ამ ასოებს საერთო? და ა.შ.

გ) ყურადღება გაამახვილებინეთ მოსწავლეებს ასოთა მოხაზულობაზე – საიდან იწყება და სად მთავრდება ასოს გამოსახვა; რომელი ასო რამდენ უჯრაში იწერება.

მეორე ეტაპზე გადადით მორიგ ოთხხაზოვან ბადიან ფურცლებზე, სადაც ასოები (და ნაცნობი სიტყვები) მოცემულია ჯერ თვალსაჩინოდ, შემდეგ გამოსახულია წერტილებით და დაასრულებინეთ ასოების გამონერა.

მესამე ეტაპზე გაჰყევით კალიგრაფიის რვეულში მოცემულ დანარჩენ სავარჯიშოებს კონკრეტული ასოს ფარგლებში.

მსგავსად იმუშავეთ ყველა ახალი ასოს შემთხვევაში.

სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ცნობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კითხვის მთლიანობითი მეთოდის გამოყენება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია კითხვის სწავლების შემამზადებელ ეტაპზე. მოსწავლე ვიზუალურად იმახსოვრებს სიტყვის ორთოგრაფიულ ხატს და პირდაპირი გზით ამოიცნობს მის მნიშვნელობას. კითხვის მთლიანობითი მეთოდი ხელს უწყობს მხედველობითი მეხსიერების განვითარებასა და ხედვითი აღქმის გაუმჯობესებას. ამ მეთოდით კითხვის სწავლებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- სიტყვის გაშიფრვის წინმსწრებად მნიშვნელოვანია ფონოლოგიურ უნარებზე, განსაკუთრებით კი ბგერების გამთლიანებაზე მუშაობა.
- ასაკობრივთან ერთად თუ გავითვალისწინებთ მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ და ფიზიოლოგიურ თავისებურებებსაც, ამ მეთოდით კითხვის სწავლებისას ყველას თანაბარი მოთხოვნები არ უნდა წავუყენოთ.

6-7 წლის ასაკის მოსწავლეებთან მუშაობისას მნიშვნელოვანია, აუცილებლად დავიცვათ მარტივიდან რთულისაკენ სვლის პრინციპი. კარგი იქნება, თუკი მათთვის წინასწარ მოამზადებთ ბარათებს, სადაც მოცემული იქნება სამიზნე (ამოსაკითხი) სიტყვა სათანადო სიტყვათა ჩამონათვალში.

დაურიგეთ ბარათები მოსწავლეებს და სთხოვეთ, ამოიკითხონ მითითებული (გამუქებული / ცალკე გატანილი / დიდი შრიფტით დაწერილი) სიტყვა. ამის შემდეგ მიეცით კონკრეტული დავალება – სიტყვათა ჩამონათვალში იპოვონ და შემოხაზონ იგივე სიტყვა.

ა)

უთო	ოთახი უთო თუთა
------------	----------------------

ოთახი				
უთო	თუთა	ოთახი	თხა	ოთახი

ბ) მზე ხე მზე ია ზღვა მზე ბურთი ტყე ზღარბი მზე

ამის შემდეგ მიეცით მორიგი დავალება – გადახაზოს (ან მიუთითოს) ზედმეტი სიტყვა სიტყვათა ჩამონათვალში ნიმუშის მიხედვით.

თხა	თხა
თხა	თხილი
თხა	თხა


წიგნი	წიგნი
წიგნი	წინაკა
წიგნი	ცხენი

კარგად გავარჯიშების შემდეგ ცოტა გაართულეთ დავალება. მიეცით სიტყვათა ჩამონათვალი და ერთ-ერთი (ამოსაკითხი / სამიზნე) სიტყვის შესაბამისი ნახატი. სთხოვეთ მოსწავლეებს, ჯერ დაასახელონ, რა ხატია და შემდეგ იპოვონ და მიუთითონ (ხაზით დააკავშირონ) მისი შესაბამისი სიტყვა სიტყვათა ჩამონათვალში.

- ა) ბადე
ბუდე
ბელი
ბალი



ბ) შეგიძლიათ, დავალება გაართულოთ ყველა სიტყვის შესაბამის ნახატთან დაკავშირებით:



ასო-ბგერების ცნობა. კონკრეტული სამიზნე ასოს (ან ასოების) მოძებნა ხდება სიტყვათა ჩამონათვალში და/ან კონკრეტულ წინადადებებში. საწყის ეტაპზე (როდესაც იწყებთ ახალი ასო-ბგერის სწავლებას), გირჩევთ ენის გასატეხების გამოყენებას. პატარა ასაკის მოსწავლეებისათვის ეს ენის გასატეხები კალიგრაფიის რვეულში მოცემულია იმ ფორმით, რომ მათ შეძლონ ამ ასოების გაფერადება (რაც ძალიან მნიშვნელოვანია მოტორული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის), მაგალითად:

ა – წითლად ი – ყვითლად

აი ია. აი გია. ია, აი მაია.

ზ

ზარი ზანზარებს უზარმაზარი,
ზარმაც ზაზუნებს დასცა თავზარი.

მითითებული სიტყვების ამოკითხვა და გადანერა. მიეცით მოსწავლეებს სიტყვათა ჩამონათვალი და გააცანით ისინი. დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლემ იცის მოცემული სიტყვების მნიშვნელობა.

ნაცნობი მგელი ჯიხვი ზამბახი მოგზაური ცული ლურსმანი მეზობელი ბიცოლა ბეჭემოტი ღიღილო ჩაქუჩი იასამანი

ამის შემდეგ გააცანით დავალება – სიტყვების ამ ჩამონათვალიდან უნდა ამოწერონ ის სიტყვები, რომლებიც ქვემოთ მოცემულ ინსტრუქციაშია მითითებული. ჯერ ზეპირად შეასრულებინეთ მოცემული დავალება და შემდეგ სთხოვეთ მისი შესრულება წერილობით, მაგ., გადანერონ ცხოველები.

შეამოწმეთ შესრულებული დავალება და ამის შემდეგ გადადით მორიგ დავალებებზე, მაგ., გადანერონ: ყველა სულიერი / ვინ ჯგუფის სახელები / ნივთები და ა.შ.

შედარებით რთული ვარიანტია ორი ტექსტის შედარებით მითითებული სიტყვების მოძებნა ტექსტში და გადმოწერა.

ამ შემთხვევაშიც უნდა იმუშაოთ იმგვარი თანმიმდევრობის დაცვით, როგორც აქტივობის მარტივ ვარიანტში იყო მითითებული – ჯერ ტექსტები გააცანით მოსწავლეებს ცალ-ცალკე (წააკითხეთ ხმამაღლა და ყურადღებით).

ამის შემდეგ შეადარებინეთ ეს ორი ტექსტი ერთმანეთს შეკითხვების დახმარებით: როგორ იწყება პირველი ტექსტი? როგორ იწყება მეორე? წაიკითხეთ მეორე წინადადება პირველ ტექსტში, მეორე ტექსტში. რა განსხვავებაა მათ შორის?

საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ დამატებითი შეკითხვით: *რომელი სიტყვა არ წერია მეორე ტექსტში? და ა.შ.*

პირველი ტექსტი

ალექსის აქლემი თავის დღეში არ ენახა. ერთხელ **მინდვრად** დაინახა მწოლიარე აქლემი. ალექსი **გამბედავი ბიჭი იყო**, გაექანა და ზედ შეჯდა. აქლემი ნელა წამოიმართა და ალექსიც მალლა-მალლა წავიდა.

მეორე ტექსტი

პატარა ალექსის აქლემი თავის დღეში არ ენახა. ერთხელ დაინახა მწოლიარე აქლემი. ალექსი გაექანა და ზედ შეჯდა. აქლემი ნელა წამოიმართა. ალექსი მალლა-მალლა წავიდა. **ალექსის ეგონა, ცაში მივყავარ ამ აქლემსო.**

ტექსტების გაცნობის შემდეგ შეასრულებინეთ ჯერ დავალებები თანმიმდევრობით:

ა) ჯერ ამოაწერინეთ ის სიტყვები, რომლებიც არის პირველ ტექსტში და არ არის მეორეში.

შემომნმეთ შესრულებული დავალება და გადადით შემდეგ ინსტრუქციებზე.

ბ) ამოაწერინეთ ის სიტყვები, რომლებიც დამატებულია მეორე ტექსტში.

შესაძლებელია, მოსწავლეებს (შესაბამისი ასაკობრივი და საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით) ინდივიდუალურადაც შესთავაზოთ უფრო მარტივი დავალებები მოცემული ტექსტების მიხედვით, მაგ.:

ა) მოაძებნინოთ ტექსტში ადამიანისა და ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვები და გადმოაწერინოთ.

ბ) მოაძებნინოთ ტექსტში მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები / ზედსართავი სახელები და ა.შ.

პროდუცირება:

მნიშვნელოვანია, რომ სათანადო სამეცხველო ქცევის ჩამოსაყალიბებლად მუდმივად განახორციელოთ ისეთი აქტივობები, როგორებიცაა:

- მარტივი ინტერაქცია ნაცნობი თემების გარშემო;
- ნასწავლი ტექსტის შინაარსის გარშემო დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემა;
- მარტივ იმიტირებულ სიტუაციებში მონაწილეობა (მაგ., მინიინტერვიუების მოწყობა, გამოკითხვების ჩატარება კლასში კონკრეტულ თემაზე; კონკრეტული სიტუაციების გათამაშება; „მრგვალი მაგიდის მოწყობა“ და ა.შ.);
- საუბარი მარტივი საყრდენების გამოყენებით;
- სურათების, ფოტოების აღწერა;
- საკუთარი გამოცდილების შესახებ საუბარი და სხვა.

გთავაზობთ განმარტებებსა და რეკომენდაციებს.

1. მინიინტერვიუების მონყობა შესაძლებელია ნებისმიერ ნასწავლ ტექსტში მოცემული თემის გარშემო პირად გამოცდილებაზე გადატანით. ტექსტზე მუშაობის დასრულების შემდეგ, მოამზადეთ მოსწავლეები ამ თემაზე ერთმანეთთან მინიინტერვიუების მოსაწყობად.

ა) შესაძლებელია მოსწავლეებთან ერთად წინასწარ კითხვარის შედგენა, რა ტიპის შეკითხვები შეიძლება დაუსვან ერთმანეთს.

ბ) მინიინტერვიუების მონყობა შესაძლებელია: საკუთარი ნახატების გარშემო; საყვარელ პერსონაჟებთან (ერთ-ერთი მოსწავლე მოირგებს „პერსონაჟს“ როლს, დანარჩენები უსვამენ შეკითხვებს) და სხვა.

2. კითხვარების შევსება ასევე შესაძლებელია ნებისმიერი ნასწავლი თემის, საკითხის გარშემო, რომელიც მათ პირად გამოცდილებაზე გასვლის საშუალებას იძლევა.

ა) კითხვარის მომზადებისას ენობრივ და კომუნიკაციურ მიზნებთან ერთად უნდა გაითვალისწინოთ თავად მოსწავლეების ენობრივი შესაძლებლობებიც. განსხვავებული საჭიროებების შემთხვევაში, ინდივიდუალურად მოუმზადეთ კითხვარები მოსწავლეებს.

ბ) კითხვარის გამოყენება რეკომენდებულია ასევე დიალოგური მეტყველებისთვისაც წყვილებში სამუშაოდ. ასეთ შემთხვევაში ამ აქტივობას კიდევ ერთი მიზანი ექნება – რამდენად ახერხებს მოსწავლე სამეტყველო ქცევის ადეკვატურად შეცვლას. მოსწავლეები კითხვარზე დაყრდნობით დასვამენ და უპასუხებენ ერთმანეთის შეკითხვებზე, მაგ.: მე ხშირად დავდივარ სასაბურთალოს, შენ? მე იშვიათად ვზივარ კომპიუტერთან, შენ? და ა.შ.

3. „მრგვალი მაგიდის“ მოსაწყობად მოსწავლეებთან ერთად შეარჩიეთ თემები თითოეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით. გაითვალისწინეთ, რომ ეს თემები უნდა ეთანაბრებოდეს მოსწავლეთა ენობრივ შესაძლებლობებს. სახელმძღვანელოს შინაარსის კონტექსტში შეარჩიეთ ასეთი თემები მოსწავლეებთან ერთად და მიეცით მათ დავალება

– კონკრეტულად რა საკითხის გარშემო უნდა მოიძიონ ინფორმაცია.

განუსაზღვრეთ რაოდენობა: მოძიებული ინფორმაცია არ უნდა აღემატებოდეს 15-20 წინადადებას. პატარებთან ეს რაოდენობა შეგიძლიათ 10 ერთეულამდეც შეამციროთ. ინდივიდუალური საჭიროებების შემთხვევაში, შეუცვალეთ ამოცანა და ამ თემის ფარგლებში უფრო მარტივი რამ დაავალეთ.

4. სახალისო ვიქტორინების მონყობა: მოსწავლეები დაყავით ჯგუფებად და ყველა ჯგუფთან ცალ-ცალკე იმუშავეთ ვიქტორინის შეკითხვების მომზადებაზე: შეკითხვები უნდა დაეფუძნოს მოსწავლეთა ცოდნას და, ასევე სასურველია, ისინი ეხებოდეს სახელმძღვანელოს მასალას, რაც უზრუნველყოფს ნასწავლი ცოდნის განმტკიცებას.

ა) კარგი იქნება, თუკი შეკითხვების მომზადებაზე მუშაობაში ჩაერთვება ჯგუფის ყველა წევრი – ისინი თქვენი მითითებით მოაგროვებენ მასალას; შემდეგ თითოეული ჯგუფი თქვენთან ერთად განიხილავს ამ მასალას და ერთობლივად დაადგენთ შეკითხვების საბოლოო ვარიანტებსა და რაოდენობას; ეს მნიშვნელოვანია, რათა გაითვალისწინოთ ყველას ასაკობრივი ინტერესი და ენობრივი კომპეტენციები.

ბ) შეკითხვები შეარჩიეთ სირთულის მიხედვით და მიანიჭეთ სათანადო ქულები: მარტივი (1 ქულა), საშუალო (2 ქულა) და რთული (3 ქულა). შეკითხვის სირთულე სწავლების სანყის ეტაპზე გასაზღვრეთ თქვენ. მომდევნო ეტაპებზე (როცა მოსწავლეებს დაუფროდებთ სათანადო ენობრივი ცოდნა), შესაძლებელია, თქვენთან ერთად თავად მოსწავლეებმაც მიიღონ ამ კუთხით გადამწყვეტილება.

გ) კიდევ ერთხელ შეამონმეთ შეკითხვების საბოლოო ვარიანტები და მოათავსეთ ისინი კონვერტში ვიქტორინის დაწყებამდე.

დ) მოსწავლეებთან ერთად შესაძლებელია სხვადასხვა ნომინაციის დანესებაც: ყველაზე სწრაფი პასუხი; ყველაზე მეტი სწორი პასუხის მქონე; ენობრივად ყველაზე გამართული პასუხები; ყველაზე გაბედულები და ა.შ.

5. კონკურსის მოწყობა გამომსახველობით კითხვაში – „პოეზიის საღამო“: ტექსტის შინაარსის ცოდნას თან უნდა ახლდეს ხმამაღალი კითხვის შესატყვისი უნარებიც (ინტონაცია, ექსპრესიულობა...). კარგი იქნება, თუკი ხშირად მოასმენინებთ მოსწავლეებს ქართველ მსახიობთა აუდიოჩანაწერებს.

ა) მოსწავლეებთან ერთად დაგეგმეთ კონკურსის მოწყობა. პირველ ჯერზე კონკურსში მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, ამიტომ გაითვალისწინეთ მოსწავლეების სურვილი და ნუ დააძალებთ მონაწილეობას. ის, ვინც უარს იტყვის მონაწილეობაზე, შეიყვანეთ შემფასებელთა ჯგუფში (ჟიურიში).

ბ) ჟიურის წევრებთან ერთად (რა თქმა უნდა, მათი სწავლების ენაზე) შეიმუშავეთ კრიტერიუმები, რის მიხედვითაც შეაფასებენ ისინი კონკურსის მონაწილეებს.

გ) კონკურსის ჩატარება შესაძლებელია ორ ტურად: მონაწილეები ჯერ კითხულობენ (ზეპირად ამბობენ) ერთსა და იმავე ნაწარმოებს (როგორც პროზაულს, ისე პოეტურს), შემდეგ ტექსტს ირჩევენ საკუთარი სურვილით. მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრეთ საკონკურსო პირობები, მაგ., საკუთარი სურვილით შერჩეული ტექსტების ნაკითხვა.

დ) გააცანით მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები და აუხსენით, რას მიაქციონ ყურადღება მომზადების პროცესში:

- ყურადღება მიაქციონ სასვენი ნიშნებს; მეტყველების ტემპსა და ხმის ტემბრს;
- იმეტყველონ გარკვევით და მკაფიოდ;
- სათანადოდ გამოიყენონ არავერბალური ენა – მიმიკა და ჟესტები;
- შეეცადონ მხედველობითი კონტაქტის დამყარებას აუდიტორიასთან.

ე) მოტივაციის გასაზრდელად, სასურველია, მოსწავლეები წაახალისოთ სხვადასხვა თვალსაზრისით, მაგ., ყველაზე კარგი გამოთქმის მქონე, ყველაზე მონდომებული და ა.შ. ნომინაციებზე შეთანხმდით მოსწავლეებთან ერთად.

ლექსიკური სავარჯიშოები:

სახელმძღვანელოში შეთავაზებული დავალებების გარდა მნიშვნელოვანია ლექსიკის სწავლებისათვის აქტიურად გამოიყენოთ ისეთი აქტივობები, როგორებიცაა:

- სინონიმებისა და ანტონიმების გამოყენება;
- სიტყვიერი განმარტება (ეს, ძირითადად, ეხება აფიქსალურ ნაწარმოებ სიტყვებს და არა – კომპოზიტებს, მაგალითად, გამყიდველი: ის, ვინც ყიდის და ა.შ. თუმცა სრულიად შესაძლებელია, გამოვიყენოთ სიტყვიერი განმარტებაც);
- ლექსიკის სხვადასხვა კატეგორიად დაყოფა (მაგ., გრამატიკულ კატეგორიებად: სიტყვები, რომლებიც მიუთითებენ ადგილს, დროს, ნიშან-თვისებას, მოქმედებას და ა.შ.; სიტყვები, რომლებიც განსხვავდებიან სულიერება/უსულოების მიხედვით და სხვა);
- ერთი ცნების ქვეშ გაერთიანება (მაგ., დასვენება, გართობა, გარემო, ჯანმრთელობა...)
- კონტექსტის მიხედვით სიტყვის მნიშვნელობის დადგენა და ა.შ.

როლური თამაშები / მარტივი იმიტირებული საკომუნიკაციო სიტუაციები:

როლური თამაშში თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და აქტიური ფორმაა, რომელიც ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფთან შეგვიძლია გამოვიყენოთ. როლური თამაშები, გარდა სხვა ფუნქციებისა, მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს. სიმულაციური სიტუაციების გათამაშება განსაკუთრებით სახალისოს ხდის სასწავლო პროცესს. სიმულაცია გულისხმობს რეალობის მსგავსი ხელოვნური სიტუაციების შექმნას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიმულაცია არის რეალობის გათამაშება.

დიალოგების გასათამაშებლად, მნიშვნელოვანია, პატარა ასაკის მოსწავლეთა დახმარების მიზნით, ინტენსიურად გამოვიყენოთ ე.წ. მოდელირების სტრატეგია, რაც გულისხმობს:

- გასათამაშებელი დიალოგის ჩარჩოს მიცემას;
- წინასწარ მსგავს დიალოგებზე დაკვირვებას/მუშაობას;
- სანიმუშოდ პირველ ეტაპზე მასწავლებლის ჩართვას (მასწავლებელთან ერთად დიალოგის გათამაშებას).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს 6-7 წლის ასაკის მოსწავლეებთან, რომლებსაც განსაკუთრებული დახმარება სჭირდებათ მეწყვილესთან დიალოგის გასათამაშებლად, ამიტომ ნებისმიერი საკომუნიკაციო სიტუაციის განხორციელება მის ჯეროვან მომზადებას გულისხმობს.

გთავაზობთ მარტივ და აუცილებელ რეკომენდაციებს:

1. ნებისმიერი სიტუაციის მომზადებისას მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ დავალებაში მითითებული საკომუნიკაციო ამოცანები (რა არის მისი მიზანი), მოზარდების ინტერესთა სფერო და მათი ასაკობრივი თავისებურებები;
2. კომუნიკაციის წარმართვამდე უნდა დავრწმუნდეთ, კარგად გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა საკომუნიკაციო სიტუაციები, კერძოდ:

- ვინ წარმართავს დიალოგს ან საუბარს;
- ვინ არის მისი თანამონაწილე დიალოგში; ვის ესაუბრება, ვის მიმართავს, ანუ, ვინ არის მსმენელი;
- რა არის კომუნიკაციის მიზანი (ანუ, რის შესახებ იმართება დიალოგი, ან რას ეხება საუბარი, მაგ.: გაცნობას, მოკითხვას და სხვა).

3. მნიშვნელოვანია, რომ გამოიყენოთ მოდელირების სტრატეგია და ჯერ თქვენ გაითამაშეთ ერთ-ერთ მოსწავლესთან. მხოლოდ ამის შემდეგ ამუშავეთ მოსწავლეები დამოუკიდებლად.

კომუნიკაციის წარმართვამდე მოსწავლეებმა კარგად უნდა გაიაზრონ საკომუნიკაციო სიტუაციები, ვინაიდან სწორედ ამის გათვალისწინებით უნდა მოხდეს ინტერაქციისას ნასწავლი ენობრივი რესურსების (შესაბამისი ლექსიკის, მარტივი ენობრივი კონსტრუქციების, სათანადო ენობრივი ფორმულებისა და კლიშეების, მარტივი გრამატიკული საკითხების – ზმნის დრო, სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვა, დროსა და სივრცეში ორიენტირებისათვის საჭირო ენობრივი საშუალებები და ა.შ.) გამოყენება.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მუდმივად წახალისოთ მოსწავლეები, შესწავლილი ლექსიკური მასალის გამოყენებით დასვან და უპასუხო შეკითხვებს; ნიმუშების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ მარტივ ყოფით სიმულაციურ სიტუაციებში, გაითამაშონ მარტივი დიალოგები და სხვა.

ტექსტის გაგება-გააზრება:

სახელმძღვანელო მასწავლებელსა და მოსწავლეებს მრავლად სთავაზობს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა:

- ტექსტის დაყოფა შინაარსობრივ მონაკვეთებად;
- საგანთა თუ მოვლენათა კლასიფიცირება გრაფიკული სქემების გამოყენებით;
- დაკვირვება ტექსტის ფუნქციურ ტიპებზე (თხრობასა და აღწერაზე), მათი სპეციფიკური ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა;
- ფაქტებ შორის ურთიერთკავშირის ამსახველი სქემების შედგენა;
- მსგავს თემაზე შექმნილი ნაწარმოებების გამაერთიანებელი და განმასხვავებელი ნიშნების დადგენა გრაფიკული სქემების საშუალებით;
- ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა მეორეხარისხოვანი პერსონაჟების / უსულო საგნების პირით;
- ნაწარმოების წაკითხვით აღძრული ემოციების გადმოსაცემად ფერების, მუსიკის, სხვადასხვა ხმოვანი ეფექტის შერჩევა;
- ვარაუდების სქემის შევსება კითხვის დაწყებამდე;
- ნაწარმოების განწყობის/შინაარსის ამოცნობა ილუსტრაციის მიხედვით;
- არასწორი თანამიმდევრობით (აზრობრივი შესაბამისობის დარღვევით) მოწოდებული აბზაცების თანამიმდევრობის აღდგენა მცირე ზომის ტექსტში;

- ინტერაქცია გამოყენებული სტრატეგიების შესახებ საკითხავი დავალებების შესრულების შემდეგ (ვინ რა მიდგომა/ხერხი გამოიყენა); მოსაზრებების გამოთქმა იმის შესახებ, თუ რომელი მიდგომა იყო ან იქნებოდა უფრო მისადაგებული/ეფექტური და რატომ);
- მოვლენათა ჯაჭვის შექმნა მიზეზშედეგობრიობის პრინციპით, გრაფიკული სქემის გამოყენებით;
- ტექსტში არგუმენტების მოძიება დისკუსიისთვის;
- სემანტიკური რუკების შედგენა;
- მხატვრული და არამხატვრული ტექსტების შედარება ლექსიკური თვალსაზრისით;
- უცნობი სიტყვებისა და ფრაზების ჩანაცვლება სინონიმური განმარტებებით;
- ვარაუდების სქემის შევსება კითხვის დაწყებამდე;
- გაბმული სახით (აბზაცების გარეშე) წარმოდგენილი ტექსტის დაყოფა აბზაცებად
- და სხვა.

წერის უნარის განვითარება:

მოსწავლეთა წერის უნარის გასავითარებლად სახელმძღვანელო მასწავლებელსა და მოსწავლეებს მრავლად სთავაზობს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა:

- გამოტოვებული ადგილების შევსება (სიტყვებში – ასოების, წინადადებებში სიტყვების, ტექსტებში – წინადადებების);
- კითხვარის, ანკეტის, ბარათისა, მინიგზამკვლევის და ა.შ. შევსება;
- კროსვორდის შევსება;
- წინადადებების დასრულება სხვადასხვა გზით (მაგ.: მოცემული ვარიანტებიდან სწორი ვარიანტის შერჩევით; კონტექსტით);
- მოდელის მიხედვით ახალი ტექსტის შედგენა;
- კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით, მსგავსი ტექსტის შედგენა და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე მოცემული დავალებები შესრულების თვალსაზრისით განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს და არ საჭიროებს დამატებით ახსნა – განმარტებებს, მაინც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება, კერძოდ:

1. დავალების შესრულებამდე, აუცილებელია დავრწმუნდეთ, რომ მოსწავლეებს კარგად ესმით შესასრულებელი ამოცანის პირობა და მოცემული ლექსიკა;
2. საჭიროების შემთხვევაში, სასურველია, ჯერ ზეპირად შევასრულებინოთ მოსწავლეებს ეს დავალება და შემდეგ ვთხოვოთ მისი დაწერა;
3. დავალებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დავაზუსტოდ წინმსწრებად, ესმით თუ არა მოსწავლეებს დავალებაში მოცემული ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობები და, საჭიროების შემთხვევაში, ვიმუშავოთ მათ გარშემო ზემოთ მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

შეცდომების მოძებნა, დასახელება და გასწორება:

ასეთი დავალებები ორი ტიპისაა: ერთი გულისხმობს ენობრივი შეცდომების გასწორებას, მეორე კი – შინაარსობრივს. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ტიპის აქტივობები ამონებებს მოსწავლის ცოდნას. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ყურადღებით ადევნოს თვალი მოსწავლეთა მუშაობის პროცესს.

ასეთი დავალებები ერთგვარ დიაგნოსტიკურ საშუალებასაც იძლევა – რამ შეიძლება განაპირობოს წარუმატებლობა. მოსწავლის მხრიდან არასწორი პასუხების მიზეზები შეიძლება იყოს როგორც ენობრივი, ისე არაენობრივი ხასიათის, კერძოდ: ყურადღების გაფანტულობა, გადაღლა, ცუდად ყოფნა, ხელის შეშლა და ა.შ. სწორი დიაგნოსტიკის შემთხვევაში, მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს ხელისშემშლელი ფაქტორების თავიდან აცილება, დაბალი ენობრივი კომპეტენციების შემთხვევაში კი გაზარდოს გავარჯიშების ფაზა, დაგეგმოს დამატებითი აქტივობები ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

უცნობი ტექსტის კითხვა:

ამ ტიპის აქტივობების მიზანია მოსწავლეთა გავარჯიშება კითხვაში (კითხვის ტექნიკის დაუფლება) მოსწავლეთა განაფულად კითხვის უნარის დიაგნოსტიკა. ეს აქტივობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს, გაიგოს, რამდენად ავტომატიზებულია მოსწავლეთა დეკოდირების უნარი, რამდენად აქვთ მათ განვითარებული კითხვის მოქნილობა.

შესაბამისად, მსგავსი აქტივობები მასწავლებელს დაეხმარება, განსაზღვროს, რა სახის პრობლემები აქვთ მოსწავლეებს კითხვაში იმისათვის, რომ სათანადოდ დაგეგმოს კითხვის სწავლების შემდგომი პროცესი. შესაძლებელია ამ აქტივობის შეთავაზება სხვადასხვა ვარიანტით.

მსგავსი აქტივობები შეგიძლიათ შეასრულებინოთ როგორც 6-7 წლის მოსწავლეებს, ისე უფროსი ასაკის დამწყებებსაც. მთავარია, რომ ტექსტის შედგენისას გაითვალისწინოთ, რომელი ასაკისათვის არის ის განკუთვნილი და ისე განსაზღვროთ მისი მოცულობა. გთავაზობთ ნიმუშებს.

პირველი ვარიანტი:

შესთავაზეთ მოსწავლეებს მათთვის ნაცნობი და ადვილად წასაკითხი სიტყვებისაგან შემდგარი ტექსტი, თუმცა სიტყვებ შორის მანძილი უნდა იყოს საკმაოდ არაზუნებრივი და არათანაბარი:

ეს სხვადასხვა იხვი საბუდარში, გამოჩეკას მოთმინებით როგორც ნაჭუჭების როგორ	ამბავი ერთ დიდ შინაური კვერცხებზე იქნა, მსხვრევის გამოყვეს	დიდ ფრინველი ელოდა. ნანატრი ხმაც თავი	კარმიდამოში ცხოვრობდა. იჯდა და თავისი ელადა. დღე გაისმა. კვერცხებიდან პანია	მობდა, დადგა და დედა იხვმა	სადაც ბევრი შინაური ჭუკების ჭუკების დაინახა, ჭუკებმა.
---	--	---------------------------------------	---	----------------------------	---

აქტივობის პირველი ვარიანტის საფუძველზე შეფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს თავისუფლად და შეუფერხებლად წაიკითხოს ტექსტი, სადაც სიტყვები გაფანტულადაა დაწერილი / დაბეჭდილი მიუხედავად იმისა, რომ მათი მნიშვნელობა მისთვის გასაგებია. თუ მოსწავლე სიტყვათა შორის ზედმეტი დაშორების გამო შეფერხებებით კითხულობს, აკეთებს პაუზებს, მასწავლებელს ექნება საფუძველი ივარაუდოს, რომ მოსწავლეს ჯერ კიდევ სჭირდება მუშაობა კითხვის მოქნილობის დასახვეწად.

მეორე ვარიანტი:

შესთავაზეთ მოსწავლეებს ტექსტი, რომელშიც სიტყვების უმეტესობა მათთვის სრულიად უცნობი და გაუგებარია (შეგიძლიათ გამოიყენოთ რთული დარგობრივი ენით დაწერილი სამეცნიერო ნაშრომიც):

„წარმოიდგინეთ, ერთ დღეს გაიღვიძეთ და მიხვდით, რომ სინამდვილეში კომპიუტერული თამაშის რეალობაში ცხოვრობთ“ – აცხადებს მარკ ვან რაამსდონკი და აღწერს იმ ხმას, რომელიც სამეცნიერო-ფანტასტიკური ფილმისთვის გამოდგება. თუმცა, ვანკუვერის ბრიტანული კოლუმბიის უნივერსიტეტის ფიზიკოსის – მარკ ვან რაამსდონკისთვის ეს სცენარი წარმოადგენს საშუალებას, რათა რეალობის შესახებ იფიქროს. თუ ეს სიმართლეს შეესაბამება, როგორც იგი აცხადებს, ეს ჩვენს სამყაროს, თავისი სამი სივრცული განზომილებითურთ იმ სუბსტრატისგან პროექტირებულ ე.წ. ჰოლოგრამად აქცევს, რომელიც მხოლოდ გაცილებით დაბალ განზომილებებში არსებობს.

მეორე ვარიანტის საფუძველზე შეფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს თავისუფლად და შეუფერხებლად წაიკითხოს ტექსტი, რომლის სიტყვების მნიშვნელობა და, შესაბამისად, შინაარსიც მას არ ესმის. მოქნილად კითხვისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს შეეძლოს ავტომატურად და სწორად ამოიკითხოს მისთვის თუნდაც სრულიად უცხო და გაუგებარი სიტყვები.

ცალკეული თემების ძირითადი აქცენტები

ამ ნაწილში მიმოვიხილავთ, ძირითადად, თემის ძირითად კომუნიკაციურ და ენობრივ საკითხებს.

რაც შეეხება ცალკეულ დავალებებს, მათ შევეხებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი საჭიროებს კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფისათვის აუცილებელ რეკომენდაციებს.

სხვა შემთხვევაში, საჭიროებისამებრ, იხელმძღვანელებთ იმ რეკომენდაციებით, რომლებიც მოცემულია ტიპური დავალებების თავში.

1. პირველი ნაწილი – (წინასასაბანო და საბანო პერიოდი)

ვისწავლოთ წერა-კითხვა

საბანო პერიოდის პრიორიტეტები:

- აქცენტი რება პროდუცირებაზე;
- გამოთქმის კორექცია და ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
- ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერა-კითხვის უნარის დაუფლება;
- ზეპირმრტყველების უნარის განვითარება.

ძირითადი საკომუნიკაციო მიზნები

- წარდგენა/გაცნობა;
- დროსა და სივრცეში ორიენტირება;
- საკუთარი პოზიციის, შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა;
- ადამიანის, ცხოველის, გარემოს, მოვლენის, მოქმედების აღწერა-დახასიათება;
- მოსმენილი ტექსტის გაგება/გააზრება და მასზე საუბარი;
- საყრდენების გამოყენებით ტექსტის ზეპირად შექმნა;
- მოქმედების თანამიმდევრობის დაცვა.

განმარტება 1: ეს პერიოდი ძირითადად დაეთმობა წერა-კითხვის ათვისებას. თუმცა, წერა-კითხვის სწავლებასთან ერთად საბანო პერიოდშივე პარალელურად უნდა წარმართოს მუშაობა სათანადო სამეცყველო ქცევის – მოსმენისა და ლაპარაკის უნარების გასავითარებლად.

განმარტება 2: შესაძლოა, ჯგუფში აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც, სავარაუდოდ, წერა-კითხვას მეტ-ნაკლებად ფლობენ. ამიტომ სასურველია, რომ წინასწარი დიაგნოსტიკების საფუძველზე სასწავლო პროცესი დიფერენცირებულად წარმართოს – ასო-ბგერებზე მუშაობის დროს წერა-კითხვის მცოდნე მოსწავლეებს შესთავაზეთ სხვა დავალებები იმისათვის, რომ მათთვის გაკვეთილები მოსაწყენი არ გახდეს და მოტივაცია არ დაკარგონ.

გაცნობა – ინტერაქცია ოჯახისა და ნათესავების გარშემო

განახორციელეთ ინდივიდუალური ინტერაქცია თითოეულ მოსწავლესთან. ჰკითხეთ: ვინ არიან, სად ცხოვრობენ, ვინ ჰყავთ ოჯახში, როდის ჩამოვიდნენ ამ ქვეყანაში, მათი ნათესავებიდან საქართველოში ვინ არიან, ყოფილან თუ არა საქართველოში, ბოლოს როდის იყვნენ; სთხოვეთ, დაახასიათონ საკუთარი თავი – როგორები არიან, რა უყვართ და რა აინტერესებთ და ა.შ. ესაუბრეთ ასევე თქვენ შესახებ.

ამის შემდეგ შესთავაზეთ სახალისო თამაშები, რაც დაგეხმარებათ როგორც გარემოსთან მათ ადაპტაციაში, ისე ერთმანეთთან დაახლოებაში:

მოსწავლეები ირჩევენ რამდენიმე თანაჯგუფელს (მაგ., 1 გოგოს და 1 ბიჭს). პრეზენტატორი ფურცელზე დაანებებს საკუთარ სურათს (ან დახატავს) და ასევე ხატავს შერჩეულ თანაჯგუფელებს. აფორმებს და წარადგენს საკუთარ თავს კლასის წინაშე ზეპირად. საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ მოსწავლეებს სათანადო შეკითხვებით.

შესაძლებელია „**მრგვალი მაგიდის**“ მოწყობაც (ასეთ შემთხვევაში, კარგი იქნება, თუკი მოსწავლეთა პრეზენტაციები, მათი სურვილისამებრ, გაფორმებული იქნება შესაბამისი ფოტომასალითაც).

ასო-ბგერებზე მუშაობა:

ვისწავლოთ ხმოვნები:

რეკომენდაცია: წინასწარ დაწერეთ მოსწავლეების სახელები დიდ ქალაქებზე, რომ შეეძლოთ მათზე მუდმივად დაკვირვება (მარიამი, ნიკა, მარი, გიორგი, ლუკა, თომა...)

ასევე ჩაინერეთ მათი ოჯახის წევრების სახელები, რომლებსაც გამოიყენებთ როგორც რესურსს ხმოვნებზე სამუშაოდ.

მუშაობის ეტაპები:

პირველი ეტაპი:

1. მიუთითეთ ვიზუალურად და დაასახელეთ ჯერ ერთი ხმოვანი (ა), გაიმეორეთ ნელა და გარკვევით და სთხოვეთ მოსწავლეებს, მათაც გაიმეორონ. შემდეგ გადადით მეორეზე (ი).
2. გაამთლიანეთ ხმოვნები: აი ია (თან მიუთითეთ ვიზუალურად).
3. გაამეორებინეთ მოსწავლეებსაც.
4. მსგავსად შემოდის დანარჩენი ხმოვნებიც: ე – აი / ეი და ა.შ.

გასაგარჯობებლად:

- დაასახელეთ ხმოვანი და მოსწავლეებმა უნდა მიუთითონ, რომელია;
- მიუთითეთ კონკრეტულ ასოს და მოსწავლეებმა უნდა გაახმოვანონ;
- მიუთითეთ კონკრეტულ ხმოვანს და გაახმოვანეთ სხვა. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ თქვენს შეცდომას და გაასწორონ.

ამის შემდეგ დაუბრუნდით ცალკეულ ხმოვანს და იმუშავეთ მის გამონერაზე.

1. დააკვირვით ბადის სტრუქტურაზე – ოთხხაზოვანი პრინციპი; რაში მდგომარეობს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების ასეთი განლაგების არსი;
2. აჩვენეთ ბადეში ამ ასოების (ხმოვნების) განლაგება. რომელი ხმოვანი რამდენ ხაზზე იწერება და რომელია ეს ხაზები.
3. დასვით შეკითხვები უკეთ დასაკვირვებლად: რომელი ასოები იწერება ორ ხაზში? სამ ხაზში? რომელი ასოები ჰგავს ერთმანეთს? რით ჰგავს? რა აქვს საერთო? და ა.შ.
4. ყურადღება გაამახვილებინეთ ასოთა მოხაზულობაზე – საიდან ვიწყებთ და სად ვამთავრებთ ასოს წერას; რომელი ასო რამდენ უჯრაში იწერება.

ამის შემდეგ შეასრულებინეთ ნიგნში მოცემული დავალებები.

გადადით მათ საკუთარ სახელებზე, მოაძებნინეთ სახელებში ხმოვნები და დაასახელებინეთ.

რეკომენდაცია: კარგი იქნება, თუ მისცემთ ბადიან რვეულში წინასწარ ჩანერილ მოსწავლეთა სახელებს ხმოვნების გარეშე და სთხოვთ მათ შეესაბამებინათ. ნიმუშად დაფაზე ჩამოკიდეთ ეს სახელები, რომ შეძლონ მათზე დაკვირვება – რომელ ხაზში უნდა დაწერონ, საიდან დაიწყონ, რა მიმართულებით წავიდნენ და ა.შ.

მეორე ეტაპი:

ამის შემდეგ მოსწავლეებს დაურიგეთ ახალი ოთხხაზოვანი ბადიანი ფურცლები და ამუშავეთ ისინი ასოების გამონერაზე მოცემული ინსტრუქციების შესაბამისად (იხ. მოსწავლისათვის განკუთვნილი სამუშაო მასალა):

კარგი იქნება, თუკი ცალკე გექნებათ მომზადებული ცარიელი ბადე ფორმატზე (ან წინასწარ დახაზავთ მას დაფაზე). სანიმუშოდ რამდენჯერმე გამოიყვანეთ ასო დაფაზე. მოსწავლეებს აქვთ საშუალება, იმუშაონ კალიგრაფიის რვეულში.

შენიშვნა: კალიგრაფიის რვეულში მუშაობას კლასში მხოლოდ გარკვეული დრო დაუთმეთ. თითო ასოსათვის გამოანერინეთ მხოლოდ თითო ხაზი. კალიგრაფიის რვეულის ძირითადი სამუშაო დაავალეთ სახლში შესასრულებლად. მომდევნო გაკვეთილზე შეამონმეთ რვეულები და, საჭიროებისამებრ, ინდივიდუალურად მიეცით მათ ესა თუ ის მითითება. კალიგრაფიის რვეული მოსწავლეების დამოუკიდებლად სამუშაო რვეულია.

ასოთა მოხაზულობაზე მუშაობას გარკვეული დრო დაუთმეთ ყოველ გაკვეთილზე იმისათვის, რომ აჩვენოთ, როგორ იწერება ესა თუ ის ასო. რაც შეეხება ამ კუთხით ვარჯიშს, კალიგრაფიის რვეულში მუშაობა, ძირითადად, სახლში უნდა მოხდეს.

ვისწავლოთ თანხმობები:

გაითვალისწინეთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც მოცემულია ხმოვნებზე სამუშაოდ. დამატებით ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებასაც, კერძოდ, ხმოვნებისაგან განსხვავებით, თანხმობების სწავლებისას შემოდის ორი მნიშვნელოვანი აქტივობა:

- კონკრეტულ თანხმობაზე მიბმულია მოსასმენი ენის გასატეხი, რომელიც თავდაპირველად უნდა წაიკითხოთ ნელა და შემდეგ სწრაფად.

მოსწავლე ისმენს ენის გასატეხის ნელ ვარიანტს და ასახელებს, რომელი ასო ესმის ყველაზე ხშირად. რამდენჯერმე გაუმეორეთ ნელა და გარკვევით და სთხოვეთ, გაიმეოროს. ენის გასატეხის ათვისების შემდეგ შესთავაზეთ სწრაფი ვარიანტი და სთხოვეთ, შეეცადონ თავადაც სწრაფად გამეორებას.

- კალიგრაფიის რვეულში მოცემულია ეს ენის გასატეხები. მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ მითითებული, ხშირად გამეორებული ასო ამ ენის გასატეხში და გააფერადონ.

რეკომენდაცია: ენის გასატეხის სიგრძე შეამოკლეთ მოსწავლის სმენითი მეხსიერებისა და იმპრესიული მეტყველების მოცულობის გათვალისწინებით, მაგ., თუ ოთხხაზიანი ენის გასატეხის გამეორება უჭირს, შეამოკლეთ ის.

ერთბაშად ყველა ენის გასატეხს ნუ ასწავლით. შეგიძლიათ გაკვეთილის განმავლობაში დაუბრუნდეთ ხოლმე ენის გასატეხებს, დაუთმეთ 2-3 წუთი და შემდეგ ისევ გააგრძელეთ მუშაობა. ეს ერთგვარი შესვენებაც იქნება მოსწავლეებისათვის და სახალისო აქტივობაც, რომელიც განწყობას ა უმაღლებთ.

მნიშვნელოვანია, ამ აქტივობების შესრულებისას, დაიცვათ მითითებული თანმიმდევრულობა:

1. ჯერ ხდება წიგნში მოცემულ ბადიან ნაწილში არსებულ ასოებზე დაკვირვება ხმოვნებთან აღწერილი წესით;
2. შემდეგ შესაბამისი ენის გასატეხების მოსმენა და ზემოთ მოცემული მითითებების გათვალისწინებით;
3. სამუშაო რვეულში მოცემულ ენის გასატეხებში მითითებული ასოს მოძებნა და გაფერადება;
4. კალიგრაფიის რვეულში მუშაობა.

იმუშავეთ წიგნში მოცემული ინსტრუქციების შესაბამისად.

შენიშვნა: მსგავსი პრინციპით დამუშავდება დანარჩენი ასო-ბგერებიც.

რეკომენდაცია: გამოანერინეთ ჯერ ცალკეული ასოები და შემდეგ გადადით ნასწავლი ასოებისაგან შემდგარ მარტივ სიტყვებზე.

სიტყვების აწყობა მოძრავი ანბანით:

მოძრავი ანბანის გაკეთება – სასურველია მის შექმნაში თავად მოსწავლეებს (განსაკუთრებით 6-7 წლის ასაკის ბავშვებს) მიაღებინოთ მონაწილეობა. ეტაპობრივად (როგორც ამას სახელმძღვანელო ითვალისწინებს) დაახატინეთ მათ ნასწავლი ასოები, გააფერადებინეთ და გამოაწერინეთ. მოამზადეთ რესურსი, რომელსაც მუდმივად გამოიყენებთ წერა-კითხვის დაუფლების პროცესში.

ასევე გააკეთებინეთ სასვენი ნიშნებიც (წერტილი, მძიმე, კითხვის ნიშანი), რომელთაც გამოიყენებთ საჭიროებისამებრ.

ასოების გამოყენებით ააწყობინეთ სიტყვები და მარტივი წინადადებები მოსწავლეებს. შეგიძლიათ ამ აქტივობას თამაშის / შეჯიბრის სახეც მისცეთ და გამოიყენოთ განტვირთვის დროს.

მოძრავი ანბანით აწყობილი სიტყვის / წინადადების შემონმება – მას მერე, რაც ერთ-ერთი მოსწავლე ააწყობს მითითებულ სიტყვას ან წინადადებას, ყველას ერთად შეამონმებინეთ შემდეგი პარამეტრებით:

- ა) არის თუ არა დაცული შუალედი სიტყვებ შორის?
- ბ) სიტყვაში ასოები სწორად არის თუ არა ჩასმული?
- გ) ქვედა და ზედა ასოები სწორად არის თუ არა განაწილებული ხაზზე?
- დ) დასმულია თუ არა სასვენი ნიშნები?

რეკომენდაცია! იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ძალიან უჭირთ კითხვა და ანბანის შემდგომ პერიოდშიც საჭიროებენ დამატებით მუშაობას, ეს რესურსი განსაკუთრებით გამოგადგებათ. როცა სხვები დამოუკიდებლად მუშაობენ და ასრულებენ ისეთ დავალებას, რომელიც რთულია კონკრეტული მოსწავლისთვის (ვინაიდან ჯერ კიდევ არ აქვს დაძლეული კითხვის პრობლემა), ამუშავეთ მოძრავი ანბანით.

ილუსტრაციებზე მუშაობა:

ამ ეტაპზე (საუბარია საანბანო პერიოდზე) სახელმძღვანელოში მოცემული სიუჟეტური ნახატი და ფოტო-ილუსტრაცია შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც ზეპირმეტყველების უნარის, ისე შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გასავითარებლად, მაგ., მათი დასათაურება, შესაბამისი რეპლიკების მოფიქრება, მათზე დაყრდნობით მარტივი ამბის მოფიქრება და გადმოცემა და სხვა. ნახატის დასათაურება პატარებისთვის შედარებით რთულია, ამიტომ წასახალისებლად მოსწავლეებს შესთავაზეთ თქვენეული ვარიანტებიც.

კონკრეტული დავალების შესრულებამდე, დარწმუნდით, რომ ყველამ შეძლო ნახატის მიზნობრივად „წაკითხვა“ (ვიზუალური ინფორმაციის აღქმა და მისი ვერბალიზება, სიტყვიერად გადმოცემა). აუცილებლობის შემთხვევაში, დაეხმარეთ მოსწავლეებს სათანადო შეკითხვებით. მხოლოდ ამის შემდეგ გადადით კონკრეტული დავალების შესრულებაზე.

ენობრივი კომპეტენციების დიაგნოსტიკა:

საანბანო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ იმ ენობრივი ცოდნის გააქტიურებას, რაც უნდა ჰქონდეთ ამ ენის ფლობის დონეზე მოსწავლეებს. შესაბამისად, ამ პერიოდში ნებისმიერი ზეპირი კომუნიკაცია, რომელსაც მათ შევთავაზებთ, თავისთავად დიაგნოსტიკური ხასიათისაა უნდა იყოს – გამოვავლინოთ მოსწავლეთა ენობრივი ხარვეზები და დამატებით ვიმუშაოთ მათ გამოსასწორებლად. ამისათვის სასურველია, მივმართოთ **სახალისო აქტივობებს** (მით უფრო 6-7 წლის მოსწავლეებთან).

საჭიროების შემთხვევაში, მიმართეთ შესაბამის ენობრივ სავარჯიშოებს, რომლებიც მოცემულია არა მხოლოდ ამ სახელმძღვანელოს ბოლოს, არამედ გამოიყენეთ წინა საფეხურების სახელმძღვანელოებში მოცემული ენობრივი სავარჯიშოებიც.

რეკომენდაციები კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირებით:

გვ. 21, № 9: მოსასმენი ტექსტის გაგება

ნაუკითხეთ ტექსტი ნელა და გარკვევით.

„დედა წერტილი და შვილი წერტილი“

1.

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ფანქარი. ამ ფანქარს ძალიან უყვარდა ხაზებისა და ხვეულების ხატვა. ერთხელ თქვა: – ახლა წერტილებს დავხატავ. ადგა და ერთი დიდი წერტილი დახატა, მეორე – პატარა. – შენ დედა-წერტილი იქნები, – უთხრა დიდ წერტილს, – შენ კიდევ – შვილი-წერტილი, – მიუბრუნდა პატარა წერტილს. წერტილები თავს მშვენივრად გრძნობდნენ. – რა კარგია, წერტილები რომ ვართ, – ამბობდნენ ისინი, – ვერც ხაზები შეგვედრებიან და ვერც ხვეულები! – ნამეტანს ნუ გაიბლიძებით! – უთხრა მათ მეზობელმა ხვეულმა, – ისხედით თქვენთვის და იყავით ჩუმად! წერტილები თავისთვის ისხდნენ და ჩუმად იყვნენ. ბოლოს დედანწერტილმა ველარ მოითმინა და თქვა: – რამე მაინც გვეთამაშა! – შენი თამაში როგორ შეიძლება! – გაუკვირდა შვილ-წერტილს – შენ დიდი ხარ. მე რომ ვითამაშო, სხვაა, მე პატარა ვარ. შენ უნდა იმუშაო და სერიოზული იყო! – არ მინდა, არა! – გაჯიუტდა დედა-წერტილი, – თამაში მირჩევნია!

– ოო, ეს უკვე უწესობაა, – თქვა ფანქარმა და დედა-წერტილს ირგვლივ წრე შემოავლო, რომ არსად გაქცეულიყო. დედა-წერტილი ძალიან გაბრაზდა. „როგორ გავიდე ამ წრიდან? – ფიქრობდა ის, – მოდი, ტირილს დავიწყებ, ცრემლის ტბას დავაყენებ და მერე იმ ტბას გადავცურავ“. – ოო, ეს უკვე უწესობაა, – თქვა ფანქარმა და დედა-წერტილს ირგვლივ წრე შემოავლო, რომ არსად გაქცეულიყო. დედა-წერტილი ძალიან გაბრაზდა. „როგორ გავიდე ამ წრიდან? – ფიქრობდა ის, – მოდი, ტირილს დავიწყებ, ცრემლის ტბას დავაყენებ და მერე იმ ტბას გადავცურავ“. – ოო, ეს უკვე უწესობაა, – თქვა ფანქარმა და დედა-წერტილს ირგვლივ წრე შემოავლო, რომ არსად გაქცეულიყო. დედა-წერტილი ძალიან გაბრაზდა. „როგორ გავიდე ამ წრიდან? – ფიქრობდა ის, – მოდი, ტირილს დავიწყებ, ცრემლის ტბას დავაყენებ და მერე იმ ტბას გადავცურავ“.

2.

დედა-წერტილი შეეცადა კიდევ, რომ ატირებულყო, მაგრამ ერთი ცრემლიც კი ვერ გადმოაგდო. „იქნებ შინაურულად მოველაპარაკო ამ წრეს, – გაიფიქრა წერტილმა, – მივესალმები და ვეტყვი: დილა მშვიდობისა, საყვარელო წრეო! თავს ხომ კარგად გრძნობენ წრის პატარა რკალები? ხომ ჯანმრთელად ბრძანდება მთელი თქვენი ოჯახი? მაგრამ, მეეჭვება, ამ ლაპარაკით რამე გამოვიდეს“. სწორედ ამ დროს ფანქარმა გადაწყვიტა: „მოდით, მოთხრობას დავწერ!“ წერა და წერა. იქ, სადაც შეკითხვა დაებადა, კითხვის ნიშნის ხვეულს ქვეშ ჩვენთვის კარგად ნაცნობი პატარა წერტილი მიუსკუბა. შემდეგ განაგრძო წერა და ბოლოშიც ჩავიდა. წერტილის დასმალა იყო საჭირო, მაგრამ სწორედ ამ დროს ფანქარს წვერი მოსტყდა და პირკატანაცემი დარჩა. – არ იტირო! – უთხრა ფანქარს საშლელმა, – მე წრის ნაწილს ნავშლი, დიდი წერტილი წრიდან გამოვა და შენი მოთხრობის ბოლოში დაჯდება. – დიდებული აზრია! – გაუხარდა ფანქარს, – დიდად გმადლობ, ძვირფასო საშლელო, გადამეხადოს! საშლელმა წრის ნაწილი მოშალა, წერტილი გამოვიდა, მოთხრობის დასასრული მონახა და იქ დასკუბდა. აქვე მთავრდება ჩვენი ამბავიც... წერტილი.

დონალდ ბისეტი
გადმოაქართულა რევაზ ინანიშვილმა.

გვ. 21, № 9: ტექსტის წაკითხვა და გაგება/გააზრება – „ზეიმი სხვენში“ (რევაზ ინანიშვილი)

ზოგადი რეკომენდაციები:

1. წასაკითხი და/ან მოსასმენი ტექსტის გაგება-გააზრებისათვის მუშაობა უნდა წარიმართოს კონკრეტული ეტაპების დაცვით: **პირველი ეტაპზე** სრულდება მოსამზადებელი აქტივობები, რომლებიც, ერთი მხრივ, ცნობისმოყვარეობას უღვიძებს მოსწავლეებს და ზრდის მათ მოტივაციას და, მეორე მხრივ, ეხმარება მათ ტექსტის შინაარსის უკეთ გაგებასა და გააზრებაში; ასეთია: *თემასთან/კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული მაპროვოცირებელი კითხვების დასმა მოსწავლეთა წინაშე ცოდნის გასააქტიურებლად, პირად გამოცდილებაზე გასაყვანად; მუშაობა ტექსტის სათაურსა და ილუსტრაციებზე და სხვა.*

მეორე ეტაპი გულისხმობს უშუალოდ ტექსტის მოსმენას/წაკითხვას. მოსწავლეები მიზანმიმართულად მიიყვანეთ ტექსტთან კონკრეტული მოსასმენი/საკითხავი ამოცანებით. ეს შეიძლება იყოს: *კონკრეტული ინფორმაციის მოძიება და ამოკრება; პერსონაჟებზე დაკვირვება; ტექსტში მოცემული ინფორმაციების ერთმანეთთან დაკავშირება და ამის საფუძველზე კონკრეტული დასკვნების გამოტანა და სხვა.*

2. შეთავაზებული ამოცანები უნდა იყოს დაძლევადი და ითვალისწინებდეს როგორც მოცემული ეტაპის პროგრამის მოთხოვნებს, ისე ცალკეული მოსწავლის უნარსა და შესაძლებლობებს.

3. მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოთ მოსწავლეების დამოუკიდებლად მუშაობის პროცესი, წავახალისოთ და დავარწმუნოთ საკუთარ ძალებში (თუმცა, საჭიროებების შემთხვევაში, ეს არ გამოორიცხავს სასწავლო პროცესში თქვენს თანამონაწილეობასაც).

დავალების დამოუკიდებლად შესრულების შემდეგ აუცილებელია მიღებული პასუხების ერთობლივი შედარება-გაანალიზება და სწორი პასუხების შეჯერება.

6-9 წლის ბავშვებს ნუ მისცემთ რთულ ამოცანებს. საკმარისია:

- ✓ სამეტყველო სიტუაციისა და ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის ამოცნობა;
- ✓ სხვადასხვა ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება და ამის საფუძველზე ლოგიკური დასკვნების გამოტანა; მოვლენათა / მოქმედებათა განსაზღვრა დროსა და სივრცეში; სათაურისა და ტექსტის აზრობრივ/შინაარსობრივი ურთიერთკავშირების დანახვა.

მათი ასაკის გათვალისწინებით, ტექსტებზე მუშაობისას აქცენტი გააკეთეთ:

- ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრებაზე;
- კითხვის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე;
- კოგნიტური და მეტაკოგნიტური უნარების საწყის დონეზე განვითარებაზე;
- შინაარსის გადმოცემაზე საკვანძო სიტყვებზე / ილუსტრაციებზე დაყრდნობით;
- ცალკეული ეპიზოდის თხრობაზე; შინაარსის გადმოცემაზე როგორც ვრცლად, ისე მოკლედ.

იმათ, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვთ კითხვის ფლობასთან დაკავშირებული პრობლემები, მიეცით მცირე მონაკვეთი წასაკითხად და განუსაზღვრეთ მარტივი საკითხავი ამოცანა, მაგალითად, მითითებულ მონაკვეთში მოაძებნინეთ კონკრეტულ კითხვებზე პასუხები: რა ჰქვიათ პაპას და ბებიას? ვინ არის ბუძგა? რა მოხდა დერეფანში? და ა.შ.

უცხო ლექსიკის შემთხვევაში, დააკვირვეთ კონტექსტზე; მიმართეთ სიტყვიერ განმარტებას, სინონიმებსა და ანტონიმებს (მაგ., **სხვენის** შემთხვევაში), მაგალითად: დააკვირვეთ ნახატზე და თან მიეცით სიტყვიერი განმარტება: სხვენი არის პირველ ნახატზე. სახლების უმეტესობას აქვს სხვენი. ეს არის ადგილი სახლის ქერსა და სახურავს შორის; სოფლად სხვენს იყენებენ სხვადასხვა რამის შესანახავად.

ყურადღება გაამახვილებინეთ ხმაბაძვით სიტყვებზე: **ჩხრიალი, ნრუნუნი, ცუცუნი**

რას უკავშირდება ისინი ტექსტში? – კაკლის ჩხრიალი...

კიდევ რა შეიძლება ჩხრიალებდეს? (მაგ., წყალი...); გაახსენეთ მსგავსი სიტყვები.

გთავაზობთ მცირე ინფორმაციას სათანადო აქტივობებით, რომელიც შეგიძლიათ საჭიროებისამებრ გამოიყენოთ:

ხმაბაძვითი სიტყვები:

ენაში არსებობს სიტყვები, რომლებიც ამა თუ იმ არსების ხმის მიბაძვით წარმოიქმნება, მაგ. ჭიკჭიკი, ყროყინი, ყრანტალი და სხვა.

ხმაბაძვა არის სამეტყველო ბგერებით ბუნების მოვლენათა თანმხლები ხმების, ცოცხალ არსებათა ხმიანობის (ყვირილის, სტვენის და სხვ.) მიახლოებითი გადმოცემა. ამის საფუძველზე შექმნილი სიტყვების რამდენიმე სახეობა განირჩევა:

1. საკუთრივ ხმაბაძვა, ანუ ხმიანობის მიახლოებითი გადმოცემა, მაგ., ყიყლი-ყო, გუ-გუ, ტკაც.
2. ხმაბაძვის საფუძველზე ამა თუ იმ ხმიანობის / მოვლენის აღნიშვნა სიტყვებით: მაგ., შრიალი, ტკაცუნა, ხარხარი.
3. ხმაბაძვის საფუძველზე არსებების (და არა მათი ხმიანობის) აღნიშვნა სიტყვებით: მაგ., გუგული, ჭრიჭინა, ტკაცუნა.

აქტივობა 1. დააკავშირეთ ერთმანეთთან და ჩაწერეთ. რომელი რა ხმას გამოსცემს?

ფრინველი მწერი ცხოველი საგანი წყალი ადამიანი ცეცხლი

ტკაცატკუცი -----	ბზუილი -----
ჭიკჭიკი -----	ბრახუნი -----
ბუყბუყი -----	ყმუილი -----
ხარხარი -----	კაკანი -----

აქტივობა 2. გამოიყენეთ წინა დავალება, მოძებნეთ ანდაზებში შეცდომები და გაასწორეთ.

- ა) ყველა ბუზი ყმუისო, ფუტკართან ყველა ტყუისო. -----
- ბ) ეს ქათამი ჩვენსაა ჭიკჭიკებს და სხვაგან კვერცხსა სდებს. -----
- გ) ერთი მერცხლის ბზუილი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო. -----
- დ) ბუყბუყი ბევრია, ნაკვერჩხალი კი არა სჩანს. -----

აქტივობა 3. წაიკითხეთ ლექსი და მონიშნეთ ხმაბაძვითი სიტყვები. მიუთითეთ, რას გამოხატავენ.

*მტრედი ვერ შესძლებს კატის ჩხავილსა,
 ბულბული – ყროყინს, თევზი – კნავილსა,
 კრავი უმანკო – მელის ხავილსა,
 გვრიტი – ჭიხვინსა, ბუზი – ბლავილსა.*
 რაფიელ ერისთავი

აქტივობა 4. დააკავშირეთ ერთმანეთთან და ჩაწერეთ.

სტვენა / გალობა	ღულუნი	კნავილი / ჩხავილი
ხავილი	ჭიხვინი	ბლავილი
		კიკინი
		ყროყინი

ცხენი -----	მელა -----
ბულბული -----	ცხვარი -----
კატა -----	ვირი -----
მტრედი -----	კრავი -----

აქტივობა 5. დაასრულეთ ნიმუშის მიხედვით.

ცხენი	-----ჭიხვინებს-----	მელა	-----
ბულბული	-----	ცხვარი	-----
კატა	-----	ვირი	-----
მტრედი	-----	კრავი	-----

აქტივობა 6. გაანაწილეთ სწორად. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და წაიკითხეთ.

ყმუილი ჩხავილი ყვირილი ხავილი

ალარ ისმოდა იქიდან შემოდგომით გულის მანათობელი ხარ-ირმის -----, ალარც შევლის -----, ალარც ტურის ----- და ალარც ----- მშვიერი მგლისა. (ვაჟა)

აქტივობა 7. აირჩიეთ სწორი ვარიანტი და შეავსეთ წინადადებები.



- | | |
|---------------------------------------|----------------------------------|
| ა) ტბის ქვეშ ----- გველები. | (დანრიპინებდნენ / დასისინებდნენ) |
| ბ) ინდაურები ხმამაღლა -----. | (ყვიტყვიტებდნენ / ყიყინებდნენ) |
| გ) თაგვების ----- მთელ სახლში ისმოდა. | (ლრუტუნნი / წრიპინნი / ჭრიჭინი) |
| დ) ბელურებმა დილიდან ----- მორთეს. | (ყივყივი / კრიახი / ბზუილი) |

გვ. 30, № 2: არსებითი სახელის ჯგუფები

დამატებით გთავაზობთ სახალისო აქტივობას, მაგალითად, უნდა დააკავშირონ ერთ-მანეთთან და გადაწერონ.


ა) **ქალაქი სამეფო მეფე**

კოლხეთი მცხეთა აიეტი



- ა) ----- ქალაქი მცხეთა -----
 ბ) ----- სამეფო კოლხეთი -----
 გ) ----- მეფე აიეტი -----

ბ) შედარებით რთული ვარიანტი: უნდა მოიფიქრონ შესაბამისი ცალები და შეავსონ სქემები.



დამატებითი აქტივობები ზეპირმეტყველების უნარის გასავითარებლად:

ამ შემთხვევაში საუბარია სწორ სამეტყველო ქცევაზე. ეს კი გულისხმობს იმას, რომ მოსწავლე სწორად რეაგირებდეს ნაცნობ სამეტყველო სიტუაციაში; გასაგებად გამოხატავდეს სათქმელს და შეეძლოს სამეტყველო როლების ადეკვატურად შეცვლა. შესაბამისად, ყოფით საკომუნიკაციო სიტუაციებში მან უნდა:

- ამოიცნოს და სათანადოდ გამოიყენოს სამეტყველო ეტიკეტის ენობრივი ფორმულები (მისალმება, დამშვიდობება, ბოდიშის მოხდა, მადლობის გადახდა);
- მეტყველებისას სწორად გამოიყენოს წინადადების მოდალობები (შეკითხვა, თხოვნა);
- გამოიყენოს სიტუაციის შესაბამისი აქტიური ლექსიკა;
- მკაფიოდ გამოთქვას სიტყვები.

განსაკუთრებით ეს ეხება **6-8 წლის** ასაკის მოსწავლეებს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით მათთან ინტენსიურად წარიმართოს მუშაობა.

გთავაზობთ რამდენიმე კონკრეტულ რეკომენდაციას თავისი აქტივობებით:

1. ა) უთხარით მოსწავლეებს, რომ ახლა მათ ერთ-ერთ თანაჯგუფელთან/მეგობართან ერთად გაითამაშებთ პატარა როლს. გამოიყვანეთ მოსწავლე და გასათამაშებელი სიტუაცია ახსენით ხმამაღლა, რათა ყველამ გაიგოს: *მე და გიორგი ახლა გავითამაშებთ ბიბლიოთეკის სცენას. მე ბიბლიოთეკარი ვარ (დააზუსტეთ, რას ნიშნავს ბიბლიოთეკარი – ის, ვინც ბიბლიოთეკაში მუშაობს და წიგნებს გასცემს). გიორგის უნდა, რომ ქართული ზღაპრების წიგნი გაიტანოს ბიბლიოთეკიდან, მოდის ჩემთან და მთხოვს წიგნს.*

ბ) სიტუაციის ახსნისა და როლების განაწილების შემდეგ შეახსენეთ მოსწავლეს (ამ შემთხვევაში, გიორგის), რომ საუბრისას არ უნდა დაავიწყდეს მისალმება, მადლობის გადახდა და დამშვიდობება (განსხვავებული სიტუაციის შეთავაზებისას, შესაბამისად, შეახსენეთ სხვა სოციალური აქტებიც).

გ) დაიწყეთ სიტუაციის გათამაშება. საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ მოსწავლეს საყრდენი შეკითხვებით (ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც მოსწავლეებთან პირველად იწყებთ მსგავსი იმიტირებული სიტუაციებისა და როლური თამაშების განხორციელებას; მაგ., აბა, გიორგი, საუბარი რით უნდა დაიწყო? ახლა რა უნდა მკითხო? ხომ არაფერი დაგავიწყდა? დამშვიდობება ხომ არ დაგავიწყდა? და ა.შ.). აუცილებლობის შემთხვევაში, ასევე დაეხმარეთ მოსწავლეებს, დაძლიონ შიში, სიმორცხვე, დაბნეულობა და ა.შ. იმისათვის, რომ დაარწმუნოთ საკუთარ ძალებში, წახალისეთ და შეაქეთ ისინი.

დ) ამის შემდეგ გამოიყვანეთ სხვა მოსწავლე და მასთან ერთად გაითამაშეთ იგივე საკომუნიკაციო სიტუაცია როლების შეცვლით (ის არის ბიბლიოთეკარი და თქვენ – ბავშვი). სამეტყველო როლების შეცვლით, დაეხმარებით მოსწავლეებს ენობრივი რესურსების (მაგ., წინადადებების მოდალობების – თხოვნა, შეკითხვა, ბრძანება; სამეტყველო ეტიკეტის ენობრივი ფორმულებისა და ა.შ.) და მეტყველების ვერბალური და არავერბალური საშუალებების (ინტონაციის, ჟესტის, მიმიკისა და ა.შ.) სწორად შერჩევასა და გამოყენებაში.

ე) გამოიყვანეთ წყვილი, რომელიც თქვენი დახმარებით წარმართავს დიალოგს ახალ საკომუნიკაციო სიტუაციაში.

2. ბოლოს, მოსწავლეები დამოუკიდებლად ამუშავებენ წყვილებში. წყვილებს შესთავაზეთ ერთმანეთისაგან განსხვავებული სიტუაციები. ყოველი ახალი სიტუაციის შეთავაზებისას აუხსენით საკომუნიკაციო სიტუაცია – ვის შორის მიმდინარეობს დიალოგი და ვინ არიან ისინი ერთმანეთისთვის, სად მიმდინარეობს ეს დიალოგი, რა არის საუბრის თემა და ა.შ.

ნიშნის სახით გთავაზობთ რამდენიმე სიტუაციას მინიდილოგების შესაქმნელად:

სიტუაცია 1: მიხვედი მეგობართან სახლში. კარი მეგობრის ბებიამ გაგიღო. მეგობრის ნახვა გინდა, მაგრამ ის სახლში არ არის. იკითხე, მალე იქნება თუ არა და სთხოვე ბებიას, რომ მეგობარმა დაგიჩვენოს.

საუბრისას გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი ფორმულები (მისალმება-დამშვიდობება, მოკითხვა, მადლობის გადახდა, ბოდიშის მოხდა) და სამეტყველო ეტიკეტის ნორმები.

სიტუაცია 2: თანაკლასელმა დაბადების დღეზე დაგპატიჟა. მადლობა გადაუხადე და შეპირდი, რომ აუცილებლად მიხვალ.

საუბრისას გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი ფორმულები (მისალმება-დამშვიდობება, დაპატიჟება, მადლობის გადახდა) და სამეტყველო ეტიკეტის ნორმები.

სიტუაცია 3: შესთავაზე: დახმარება უცნობ ქალს, რომელსაც მძიმე ჩანთა მიაქვს / შენს თანატოლს, რომელსაც ფეხი გადაუბრუნდა.

სიტუაცია 4: შემოიპატიჟე სახლში, მაგიდასთან მიიწვიე და ხილი შესთავაზე: ა) ოჯახის ნაცნობ უფროს ადამიანს, რომელიც პირველად ნახე; ბ) სტუმრად მოსულ შენს მეგობარსა და მის დას;

სიტუაცია 5: გამოიყენეთ მოცემული საკომუნიკაციო სიტუაციები და გაითამაშეთ სატელეფონო დიალოგები: ა) ხვალ შენი დაბადების დღეა და რეკავ კლასელთან, რომ დაპატიჟო. ყურმილს იღებს მისი უფროსი ძმა; ბ) შენი კლასელი არ იყო სკოლაში. რეკავ, რომ გაიგო მისი ჯანმრთელობის ამბავი. ესაუბრები მის ბებიას; გ) ხვალ აპირებ ზოოპარკში წასვლას და გაინტერესებს, წამოვა თუ არა შენი კლასელი შენთან ერთად. ის სახლში არ არის.

მასწავლებლის დაკვირვების ფურცელი.

	I წყვილი	II წყვილი	III წყვილი
პირობასთან შესაბამისობა: იცავენ შინაარსობრივ მოთხოვნებს – კი / არა			
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები საუბრობენ: <ul style="list-style-type: none"> • მკაფიოდ და გასაგებად – კი / არა • სათანადო პაუზებით – კი / არა • შესაბამისი ინტონაციის დაცვით – კი / არა • პარაზიტი ჩანარების გამოყენების გარეშე – კი / არა 			
ენობრივი უნარ-ჩვევები სწორად არჩევენ ენობრივ რესურსებს: <ul style="list-style-type: none"> • ლექსიკას – კი / არა • წინადადებების მოდალობებს – კი / არა • სამეტყველო ეტიკეტის ენობრივ ფორმულებს – კი / არა 			
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები: ექსპრესიულად თამაშობენ როლს – კი / არა			

რეკომენდაციები ზოგად რუბრიკებთან დაკავშირებით:

- რუბრიკები უნდა დაკონკრეტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- შეფასების სქემაში აუცილებლად უნდა ფიგურირებდეს პირველი სამი კრიტერიუმი (პირობასთან შესაბამისობა, კომუნიკაციური უნარ-ჩვევები და ენობრივი უნარ-ჩვევები);
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების შემონშება დამოკიდებულია დავალებასა და საგანმანათლებლო პრიორიტეტებზე.

შენიშვნა: მოცემული შეფასების სქემა შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი დიალოგური მეტყველების (მინი-დიალოგებში, ინტერვიუებში, ზეპირი კითხვარების შევსებისას და ა.შ.) შესამოწმებლად.

2. მეორე ნაწილი – (ანბანის შემდგომი პერიოდი)

ზოგადი განმარტებები და რეკომენდაციები:

საკითხავი დავალებების შესრულებისას დაიცავით შემდეგი პრინციპი:

- საჭიროებისამებრ, ერთი-ორი ნიმუში გააკეთეთ მოსწავლეებთან ერთად;
- დასმული საკითხავი ამოცანის გადასაჭრელად მოსწავლეებს ჩუმად წააკითხეთ დავალების წინადადებები და ამუშავეთ დამოუკიდებლად;
- შეამონმეთ პასუხები;
- ამის შემდეგ მოსწავლეები ავარჯიშეთ ხმამაღალ კითხვაში.

რეკომენდაცია!

1. საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარეთ მოსწავლეებს ინდივიდუალურად კონკრეტული მინიშნებებით ან წინასწარ მიეცით კონკრეტული საყრდენები;
2. იმ მოსწავლეებს, რომელთაც ჯერ კიდევ აქვთ პრობლემები კითხვაში, ან უჭირთ ამგვარი დავალებების შესრულება, ვიდრე სხვები მუშაობენ, მათთან დამატებით იმუშავეთ კითხვის უნარების განვითარებაზე. შეასრულებინეთ მარტივი საკითხავი დავალებები იმავე ტექსტის გამოყენებით.

რაც შეეხება თემებში წარმოდგენილ ტექსტებსა და აქტივობებს, გაჰყევით აქტივობებს თანამიმდევრულად და შეასრულებინეთ ისინი მოსწავლეებს ნაბიჯ-ნაბიჯ. არ არის აუცილებელი, ერთ შეხვედრაზე დაასრულოთ თუნდაც ერთი კომპლექსური დავალება. დაუთმეთ იმდენი დრო, რამდენსაც საჭიროდ ჩათვლით, ცხადია, თქვენი მოსწავლეების ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ტექსტები შეესაბამება ენის ფლობის მოცემული დონის მოთხოვნებს და მათ გასააზრებლად საკმარისია წიგნში მოცემული დავალებების შესრულება, **6-8 წლის** ბავშვებისათვის, შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი რთული აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, მასწავლებელმა თავად გადანყვიტოს და მხოლოდ მოსწავლეთა ნაწილს მისცეს სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ეს დავალებები შესასრულებლად.

ცალკეულ შემთხვევებში, მასწავლებლებს ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის ვთავაზობთ უფრო მარტივ დავალებებსაც, თუმცა ვფიქრობთ, რომ არც სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტექსტებისა თუ აქტივობების გაგება-გააზრება და მათი შესრულება არ უნდა გაუჭირდეთ მოსწავლეებს მასწავლებლის დახმარებით.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა განახორციელოს. ეს აქტივობებია:

ა) სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და დავალების შესრულებისას „ხმამალა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს დავალება (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა და მისთ.).

ბ) წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფთან ერთად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

გ) შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? განხორციელებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

ეს ჩემი საქართველოა



უცხოეთში გადახვენილთა
ნოსტალგია

ნიკო ლორთქიფანიძის „გული“

საქართველო - უნიკალური
ქვეყანა

მითები და რეალობა - არგონავტების გზით



„დროში გაცოცხლებული“ კარმიდამო

ისტორიის ფურცლები - საქართველო და
აბრეშუმის დიდი გზა

საქართველოს ოქროს ხანა -
აღმამეურნეული და თამარ მეფე



ომის ქრონიკები - ბასიანი და დიდგორი







ძირითადი კომუნიკაციური მიზნები

- ინტერაქცია საქართველოს შესახებ;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის გაგება-გააზრება - ტექსტის მთავარი თემა, აბზაცის ძირითადი აზრი, ტექსტში მოცემული ინფორმაციის ამოცნობა და ა.შ.;

- ### ძირითადი საკომუნიკაციო მიზნები
- ინტერაქცია საქართველოს შესახებ;
 - სხვადასხვა ტიპის ტექსტის გაგება-გააზრება – ტექსტის მთავარი თემა, აბზაცის ძირითადი აზრი, ტექსტში მოცემული ინფორმაციის ამოცნობა და ა.შ.;
 - ფაქტის / მოვლენის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
 - საკუთარ ემოციებსა და განწყობილებებზე საუბარი;
 - ფაქტებსა და მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა და დასკვნების გაკეთება;
 - ფაქტებისა და მოვლენების შედარებითი ანალიზი; მოვლენების თანმიმდევრული გადმოცემა;
 - ლექსის ანალიზი;
 - გზამკვლევის შექმნა.

რეკომენდაციები კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირებით:

უცხოეთში გადახვეწილთა ნოსტალგია

განმარტეთ სიტყვა – **ნოსტალგია**. რა შემთხვევაში, როდის ემართება ადამიანს ნოსტალგია? რაზეა ეს დამოკიდებული? შეიძლება თუ არა მისგან განკურნება? და ა.შ.

ისაუბრეთ **უცხოეთზე**. უცხოეთი შეიძლება ორნაირად გავიგოთ:

1. უცხო გარემო, სამშობლოს გარეთ... მარადიულად დარდობდა და დარდმა დაუდნო გული...
2. უცხოეთს, უცხოებას, გაუცხოებას გრძნობ საკუთარ სამშობლოში... შენი არ ესმით, მარტოსული ხარ...

კარგი იქნება, თუკი ერთად მოახერხებთ ამ ფილმის (**მინის სჯული**) ნახვას. ფილმი ცოტა ვრცელია, ამიტომ თქვენი მოსწავლეების ასაკობრივი მონაცემების გათვალისწინებით შეარჩიეთ რამდენიმე ეპიზოდი ერთად საყურებლად.

ინფორმაცია მასწავლებელს:

რეზო ჩხეიძე, კინორეჟისორი: – საგულისხმოა, რომ ეს ფილმი გადაიღეს ადამიანებმა, რომლებსაც კინემატოგრაფიული კლასიკური სკოლა არ აქვთ დამთავრებული. შეუძლებელია ამ ფილმის ყურება უცრემლოდ... კიდევ ძალიან ბევრს მოველი „გუთნისაგან“... იცით, რომ ქართული ფილმი მსოფლიოში განთქმული იყო, მას ქართულ ფენომენს უწოდებდნენ. მე რომ მკითხოთ, ეს ახლა იტქმის „გუთანზე“ – ეს არის ქართული კინოს ფენომენი.

გია ჭუბაბრია, კინოდოკუმენტალისტი: – 50 წელია ვმუშაობ კინემატოგრაფიაში და კინოსა და თეატრის ინსტიტუტის პროფესორი გახლავართ. ასეთი ქართული მუხტით გადაღებული ფილმი საქართველოში არ მინახავს.

- მოძებნეთ მსგავსი ფილმები / ჩანაწერები / საინტერესო და რეალური ისტორიები იმ ქვეყანაში მცხოვრებ ემიგრანტებზეც, სადაც ისინი ცხოვრობენ.

გვ. 35: ნიკო ლორთქიფანიძის „გული“

დამატებითი შეკითხვები:

1. რა არის აღწერილი ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურაში?
2. ვინ არის ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, რა ვიცი და არ ვიცი მის შესახებ?
3. რას განასახიერებენ რუკა და სურათი მაგიდაზე? რა იყო გარდაცვალების ფარული მიზეზი?
4. რა არის მინიატურის მთავარი სათქმელი?
5. დავყოთ მინიატურა ეპიზოდებად. მოვიძიოთ ერთნინადადებიანი აბზაცები, ერთსიტყვიანი წინდადებები...

საქართველო – უნიკალური ქვეყანა

ა) აჩვენეთ საქართველოს რუკა (მოცემულია მათთვის განკუთვნილ მასალაში) და გააცანით რეგიონები:

საქართველოს კუთხეებია: აღმოსავლეთის ბარში კახეთი და ქართლი, მთაში – თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი და ხევი; დასავლეთის ბარში – იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, გურია და აჭარა, ხოლო მთაში – სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი. სამხრეთ საქართველოში – მესხეთი და ჯავახეთი.

ბ) ცალ-ცალკე ჰკითხეთ მოსწავლეებს, ვინ რომელი რეგიონიდან არის, მიაკარით „სტიკერით“ შესაბამის რეგიონს ფურცელზე დიდი ასოებით დაწერილი მათი სახელები და ხმამაღლა გაიმეორეთ ყველას გასაგონად, მაგ., თომა არის ფშავიდან, თომა ფშაველია. აი, ნახეთ, როგორ იმოსებოდნენ თომას წინაპრები ძველ საქართველოში. ახლა ვნახოთ, საიდან არის გიორგი და ა.შ.

გადადით მოსწავლეებისათვის განკუთვნილ მასალაში მოცემულ საქართველოს ეთნოკულტურულ რუკაზე და იმუშავეთ მასზე დაკვირვებით:

ა) მიუთითეთ წარწერაზე და სთხოვეთ, ნაიკითხონ, როგორ იწოდება საქართველო – Georgia. რატომ ეძახიან საქართველოს ასე, რას ნიშნავს „Georgia“?



გამოთქმული ვერსიების შემდეგ მოსწავლეებს მიანოდეთ შესაბამისი ინფორმაცია:

ერთი მხრივ, ძველი ბერძნების სახელდებით, ეს არის მიწის მუშაკთა, „გეორგიანთა“ ქვეყანა (ბერძნულად მიწას ჰქვია გეა), ხოლო, მეორე მხრივ – ქრისტიანობის გავრცელების დროიდან, ეს არის „წმიდა გიორგის სამწყსო“! წმინდა გიორგი საქართველოს მფარველი წმინდანია – მის საპატივცემულოდ საქართველოში ყველაზე ხშირად ვაჟებს სწორედ გიორგის არქიმევენ.

ბ) დააკვირვეთ შემდეგ სურათს და ჰკითხეთ, რატომ არის საქართველო უნიკალური ქვეყანა.

მოსწავლეების ვერსიების შემდეგ მიაწოდეთ შესაბამისი ინფორმაცია:

საქართველოს უნიკალურობას განსაზღვრავს მისი მდებარეობა. ის ევროპისა და აზიის შესაყარზე – ორ ზღვას შუა, შავსა და კასპიის ზღვებს შორის მდებარეობს. აქ გვხვდება შავი ზღვის ქვიშიანი ნაპირები და მარადიული თოვლით დაფარული მწვერვალები, ნახევრად უდაბნოები, ჭაობები და ხშირი ტყით შემოსილი მთის ხეობები; ასევე ველური ბუნების თითქმის ხელშეუხებელი ადგილები. ბუნების ასეთი მრავალფეროვნების წყალობით, შესაძლებელია ზაფხულში თხილამურებით სრიალი და შემდეგ ზღვაში ბანაობა.

გ) დაუბრუნდით რუკას და სთხოვეთ ისაუბრონ მის შესახებ:

აღწერონ რუკაზე მოცემული საქართველო; მოძებნონ და დაასახელონ მათთვის ნაცნობი / საინტერესო ადგილები, ღირსშესანიშნაობები და ა.შ.

გაახსენეთ რეგიონები და ჰკითხეთ, რომელ რეგიონშია თოვლით დაფარული მწვერვალები, შავი ზღვა, კოშკები და ა.შ.

❖ **რეკომენდაცია:** იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლეებს გამორჩებათ ისეთი დეტალები, როგორებიცაა: *მყინვარწვერზე მიბმული ამირანი, ზეზვა და მზია დმანისში, არგონავტების გემი*, მიაქცევინეთ ყურადღება და უთხარით, რომ მომდევნო გაკვეთილებზე აუცილებლად ისაუბრებთ მათ შესახებ.

მითები და რეალობა

გვ. 39, №6: სიტყვების განმარტება: რას ნიშნავს: თვალისმომჭრელი? კრისტალივით სუფთა? ციცაბოდ დაშვებული? უძირო ყურე?

მოსწავლეთა პასუხების შემდეგ დააზუსტეთ მათი მნიშვნელობები. აქვე გთავაზობთ რამდენიმე სიტყვის განმარტებას:

ა) **კრისტალი** – ბერძნულად krystallos ნიშნავს ყინულს; გამჭვირვალე ქვას.

ბ) **ციცაბო** ანუ ძალზე დაქანებული.

გ) **ყურე** არის წყალში (ზღვაში, ტბაში და ა.შ.) შეჭრილი ხმელეთი. მეორენაირად ყურეს უბესაც ეძახიან.

გაახსენეთ, რა იყო:

- თვალისმომჭრელი – ჰაერი, მთის კალთები, ცის ფერი თუ ზღვის ყურე?
- კრისტალივით სუფთა – ცის ფერი, მთის კალთები, ჰაერი თუ ზღვის ყურე?
- ციცაბოდ დაშვებული – ჰაერი, მთის კალთები, ცის ფერი თუ ზღვის ყურე?
- უძირო – მთის კალთები, ცის ფერი, ზღვის ყურე თუ ჰაერი?

ჰკითხეთ, იცინან თუ არა ლექსები საქართველოზე და, მათი სურვილის შემთხვევაში, სთხოვეთ წაიკითხონ.

წაუკითხეთ ნაწყვეტი ანა კალანდაძის ლექსიდან – „საქართველოო ლამაზო!“ და შემდეგ მოასმენინოთ ამავე ლექსზე შექმნილი სიმღერა ცისფერი ტრიოს შესრულებით: <https://www.youtube.com/watch?v=i0b-fmQQJY>

ანა კალანდაძე – საქართველოო ლამაზო!

ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს ვიამბობს ჭადარი
ძენნამ ალერსით ამავესო
ეჭვებით ნაავადარი
საქართველოო ლამაზო
„სხვა საქართველო სად არი?“

ცა ვარსკვლავებით ინთება,
ცა – არცა რისი სადარი
მთვარე რომ ამობრწყინდება,
გული გაფრენად მზად არი
დიდება, შენი დიდება
სხვა საქართველო სად არი?“

მინდვრები, ქართლის მინდვრები,
ქედები მხარგაშლილები
მთაში – ტყე დანაბინდები,
ტყეში – ქორბუდა ირმები
ბარად შრიალებს ჭადარი,
მზეს უმღერიან ჩიტები
მხარევე, მოსილო დიდებით,
„სხვა საქართველო სად არი?“

აჩვენეთ ცოცხალი კადრები საქართველოზე (ნიმუშისათვის გთავაზობთ რამდენიმეს. შეგიძლიათ, თქვენ თავად მოძებნოთ და შეარჩიოთ თქვენი სურვილისამებრ):
საქართველოს ბუნება: <https://www.youtube.com/watch?v=LtfEtfXEUI0>
<https://www.youtube.com/watch?v=bdmLmWY2cK4>

მოაწყვეთ „მრგვალი მაგიდა“ – მე და საქართველო! ამსჯელეთ – რას ნიშნავს მათთვის სამშობლო? რას გულისხმობენ სიტყვაში – სამშობლო? და ა.შ.

სთხოვეთ, დახატონ – ჩემი თვალით დანახული საქართველო! შემდეგ მოაწყვეთ პრეზენტაციები და მინიინტერვიუები ნახატების გარშემო, შესაძლებელია გამოფენის მოწყობაც.

არგონავტების გზით

არგონავტებისა და კოლხების გარშემო მოსწავლეთა პასუხების შემდეგ მიანოდეთ მოკლე ინფორმაცია არგონავტებისა და კოლხების შესახებ და შემდეგ უამბეთ (ან წაუკითხეთ) მითი ოქროს საწმისსა და არგონავტებზე.

ინფორმაცია განმარტებისათვის:

1. კოლხები და იბერიელები – ქართველებს ორი სახელით იცნობდნენ. აღმოსავლეთში მცხოვრებთ – „იბერიელებს“ ეძახდნენ, ხოლო დასავლეთში მცხოვრებთ – „კოლხებს“ (აღმოსავლეთ საქართველოს იბერიად მოიხსენიებდნენ, ხოლო დასავლეთს – კოლხეთად). ძველ ბერძნულ მითოლოგიაში კოლხეთის სამეფო აღწერილია, როგორც აიეტისა და მედეას სამშობლო და არგონავტების მოგზაურობის დანიშნულების ადგილი. ბერძნები კოლხეთს უწოდებდნენ „ოქროთი მდიდარ მიწას“.

2. არგონავტები – ბერძნულ მითოლოგიაში გმირთა ჯგუფი, რომლებმაც იასონთან ერთად კოლხეთში იმოგზაურეს ოქროს საწმისის მოსაპოვებლად. მათი სახელი მოდის მათივე გემის (არგო) სახელწოდებიდან, რომელიც, თავის მხრივ, მისი ამშენებელი არგოსის სახელს ატარებდა.

❖ **აიეტი** – ძველი ბერძნული მითის მიხედვით, კოლხეთში მეფობდა მზის ღმერთის – ჰელიოსის შვილი აიეტი, რომელთანაც ინახებოდა ოქროს საწმისი, ვერძის ოქროსბენჯიანი ტყავი.

შეგიძლიათ, მოცემული ვიდეოებიდან შეარჩიოთ თქვენი სურვილისამებრ ერთ-ერთი და დამატებით აჩვენოთ (ან თავად მოძებნოთ ინტერნეტში სხვა ვიდეო):

არგონავტები: <https://www.youtube.com/watch?v=YiLeLuRvXEU>

მითი არგონავტების შესახებ: <https://www.youtube.com/watch?v=xe3MSstyw2Y>

არგონავტები: <https://www.youtube.com/watch?v=-9ADs8Hz2Lc>

გვ. 41, №4: ინფორმაციები ახალი არგონავტების შესახებ:

1) 1970 წელი. ქართველი „არგონავტები“:

1970 წლის 25 ოქტომბერს ქართველი „არგონავტები“ იმ გზას დაადგნენ, რომელიც იაზონმა ელადის რჩეულ ვაჟკაცებთან ერთად „არგოთი“ გაიარა. ქართველი „არგონავტების“ მარშრუტი შორაპნიდან დაიწყო და ფოთში დასრულდა. მოგზაურობა ერთი თვე გაგრძელდა... ქართული „არგო“ ფოთიდან შორაპანში ჩაიტანეს, იქ, სადაც მდინარე ყვირილა და ძირულა უერთდება ერთმანეთს, სწორედ აქედან იწყება ქართველი არგონავტების მოგზაურობა. კაპიტანი იყო რაულ ბაბუნაშვილი. ააგეს ძველი კოლხური ხომალდი, რომლსაც „ოქროს საწმისი“ დაარქვეს. ხომალდის ეკიპაჟს ისე ეცვა, როგორც ძველ ბერძნებს – ტუნუკა და ქალამნები.

2) 1984 წელი. ინგლისელი „არგონავტები“:

ინგლისელმა მეცნიერმა ტიმ სევერინმა თავის გუნდთან ერთად ძველი წელთაღრიცხვის მე-14 საუკუნისდროინდელი მეთოდით ააგო „არგოს“ ფორმის გემი, რომლითაც არგონავტებმა იმოგზაურეს. მოგზაურობა 1984 წლის 3 მაისს დაიწყო. ახალი დროის „არგონავტებმა“ კაპიტან ტიმ სევერინთან ერთად სტარტი ქალაქ იოლკოსიდან (დღევანდელი ქ. ვოლოსი) – არგოლიკისის ყურედან აიღეს, საიდანაც მოგზაურობა დაიწყო იაზონმა. გაიარეს ეგეოსის ზღვა, გაცურეს დარდანელის სრუტე, შევიდნენ მარმარილოს ზღვაში, გაცურეს ბოსფორის სრუტე, საიდანაც მოხვდნენ შავ ზღვაში. შემდეგ გაუყვნენ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს (დღევანდელი თურქეთი) და მოვიდნენ ქ. ფოთამდე. ბოლოს ფოთიდან მდინარე რიონით ქუთაისში ჩავიდნენ.

ეკიპაჟი თითქმის სამი თვე ღია ზღვაში ებრძოდა გრიგალსა და უამინდობას. მძიმე სირთულეები შეექმნათ მდინარე რიონზეც. ათასგვარ დაბრკოლებას თან ერთოდა კოკისპირული წვიმები, უამინდობა, მდინარე რიონის ადიდება. მიუხედავად სირთულეებისა, მოგზაურობმა მშვიდობით მიაღწიეს ქუთაისამდე. ახალმა არგონავტებმა მოინახულეს სვანეთიც, როგორც ლეგენდარული ოქროს საწმისის ადგილსამყოფელი.

3) ბერძენი „არგონავტები“:

25 წლის შემდეგ (2009 წელს) იგივე მარშრუტი გაიმეორეს ბერძენმა მეზღვაურებმა კაპიტან აპოსტოლო კურტისის ხელმძღვანელობით. მათი ხომალდი „არგო“ ფოთის პორტში ბათუმიდან შევიდა.

„დროში გაცოცხლებული“ კარმიდამო

გვ. 43, №4: მესხური დარბაზის გადახურვა – „მერცხლის ბუდურა“

საიდან მოდის გადახურვის ეს სახელი?

ადგილობრივი ლეგენდის მიხედვით, ძველად მერცხალი ბუდეს დაბლა, ჩირგვებში იკეთებდა. იმ ადგილებს ქვეწარმავალი შესჩვევია, კვერცხებიც გაუნადგურებია და ბარტყებიც. ფრინველი ადამიანს მიეკედლა და ბუდე დარბაზის გვირგვინში გაიკეთა. სწორედ ამიტომ ეძახიან ამ გადახურვას სამცხე-ჯავახეთში „მერცხლის ბუდურას“.

ისტორიის ფურცლები – დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე

სასურველია, თუკი ამის საშუალება გექნებათ, მოასმენინოთ ავტორის მიერ ნაკითხული ლექსი – <https://www.youtube.com/watch?v=wQ0uRiNoYvc> – კითხულობს ანა კალანდაძე [არქივი] – ფეხი დამადგით!

ასაკით პატარებისთვის გთავაზობთ სახალისო ტექსტებს დავალებების ნიმუშებით, თუმცა როგორც დამატებითი მასალა, შეგიძლიათ წააკითხოთ უფროსებსაც.

1) თქმულება დავით აღმაშენებელზე:

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით, გელათის ეკლესიას ჰკიდია კარი, რომელიც აღმაშენებელმა დარუბანდიდან მოიტანა. ამ კარებს განჯის კარებს უწოდებდნენ. ხალხში ასეთი თქმულება არსებობს: „ერთ ქართველ ვაჭარს დარუბანდში ლეკებმა (სხვა ვარიანტით –

თათრებმა) გასაყიდი საქონელი წაართვეს. ვაჭარმა სამართალი ლეკების უფროსს სთხოვა. მან უთხრა: „რახან ქართველი ხარ, წადი შენს საქართველოში და შენს მეფეს, დავითს, ფეხქვეშ ჩაუვარდი და სამართალი იმასა სთხოვეო“. ვაჭარმა მიუგო: „სამართალს მე შენ გთხოვ, თორემ დავითს რომ ეს ვუთხრა, საქმე ცუდად წაგივაო“. გაეცინა ლეკების უფროსს: „ცუდად წამივა?! რას მიზამს დავითი? ერთბაშად დარუბანდის კარი არ ჩამოხსნასო“. დაბრუნდა ვაჭარი საქართველოში და ყველაფერი დავითს უამბო. დაამშვიდა მეფემ ვაჭარი, შემდეგ მოაყვანინა ათასი ცხენი, ათასივე – მათი წინამძღოლით, გააკეთებინა ორი ათასი კიდობანი და შიგ თითო შეიარაღებული ქართველი ჩასვა, ცხენის წინამძღოლები ვაჭრულად გამოაწყო, მომჩივანი ვაჭარი წაუმიძღვარა წინ, გაისტუმრა დარუბანდში და თვითონაც უკან გაჰყვა. დარუბანდს რომ მიუახლოვდნენ, დავითმა კაცი გაგზავნა ლეკთა უფროსთან: საქონელი მომაქვს გასაყიდად და კარი გააღეო. გაუღეს კარი... შუალამისას დავითმა დაახსენებინა კიდობნები, ამოსხა ჯარისკაცები და აიღო დარუბანდი. შემდეგ დარუბანდის კარი ჩამოახსენებინა, შეუბა შიგ ლეკები და ისე ჩამოიტანა გელათში. დავითმა შეინყალა ლეკთა უფროსი, მან კი უთხრა: რადგან ამდენი სიკეთე მიყავ, ერთი ხარის ტყავის სიფართო ადგილი მიბოძე სამოსახლოდო. დავითმა უბოძა. ლეკების მთავარმა მოიტანა ხარის ტყავი და წვრილ-წვრილ თასმებად დაჭრა, ეს თასმები ერთიმეორეზე გადააბა და იმსიგრძე ღვედი გამოუვიდა, რომ მთელ დარუბანდს შემოერტყა. დავითმა აღარაფერი თქვა და დარუბანდი ისევ ლეკებს დარჩათ.

2) ლეგენდა ვარძიაზე (შემოკლებით)

ლეგენდა გვიამბობს: ერთხელ, როცა პატარა გოგონა იყო, ბიძამისმა თამარი დღევანდელი ვარძიის ადგილას წაიყვანა, იქვე კლდეებთან გაუშვა, თვითონ კი ნადირობას მიეტანა. ნადირობიდან მობრუნებულმა, თამარი იქ ველარ იპოვა. მას შეეშინდა, ბავშვი ამ კლდეებში ხომ არსად გადავარდაო და ძახილი დაიწყო, გოგო, თამარ, სადა ხარო? თამარი კი თამაშ-თამაშ კლდეებს ზემოთ მოჰქცევოდა. ბიძამისის ხმა რომ გაიგონა, უპასუხა: „აქ ვარ, ძიაო!“ მერე, როცა ხელმწიფე გახდა, იმ კლდეებში საყდარი გააკეთა და სახელად ვარძია დაარქვა.

მტრისთვისაც შეუვალი და უბრძოლველი ყოფილა ვარძია, კლდე, რომელშიაც გამოკვეთილია ტაძარი, ოთახები, დარბაზები, ბილიკები... ვარძიის ზემოთ მინდვრებზე თამარს ჯოგები დაუდიოდა და იქიდან ვარძიაში რძე მიღებით ჩამოედინებოდაო, – ამბობენ... სამასამდე ოთახი გამოუკვეთავთ, ქვევრებისათვისაც კი კლდე მინასავით ამოუჭრიათ და ისე ჩაუდგამთ.

დაუსვით შეკითხვები მოსწავლეებს:

დავით აღმაშენებელზე	თამარ მეფეზე
<p>რისი კარი ჰქონდა გელათის ტაძარს? ვინ ჩამოიტანა ეს კარი და საიდან? სად არის გელათი? დარუბანდი? რა დაემართა ქართველ ვაჭარს დარუბანდში? და ა.შ.</p>	<p>ვინ წაიყვანა პატარა თამარი და სად? რა აკეთებდა იქ ბიძამისი? თამარი? რა მოხდა იქ? რა არის გამოკვეთილი კლდეში? კიდევ რას ამბობენ ხალხში? სად არის ვარძია? და ა.შ.</p>

მიეცით სწორი და არასწორი ინფორმაციების ჩამონათვალი და მონიშნინეთ, რომელია იქ სწორი ინფორმაცია; გაასწორებინეთ არასწორი და ა.შ.

იხილეთ ტიპური აქტივობების ჩამონათვალი ზემოთ.

რეკომენდაციები კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირებით:

დედაენის კვალდაკვალ

გვ. 60, №1: კროსვორდი

თემის დასაწყისში შეთავაზებული კროსვორდი მოსწავლეთა გამონვევას ემსახურება, შესაბამისად, ამ აქტივობის მიზანი არ არის მათი ცოდნის შემოწმება. ამიტომ მაქსიმალურად დაეხმარეთ მოსწავლეებს ფოტოზე მითითებით, სიტყვიერი მინიშნებებითა და ა.შ. თუმცა, გარკვეული ინფორმაცია მათთვის ნაცნობია და არც უნდა გაუჭირდეთ მიხვედრა და დასახელება.

ერთი ძეგლის ისტორია

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტები გამარტივებულია და არც დიდი მოცულობით არ არის წარმოდგენილი, მოცემული ქვეთემა 6-10 წლის ბავშვებისთვის მაინც რთულია, თუმცა თავად დედაენის დღის აღნიშვნა, მით უფრო, ჩვენი ემიგრანტებისათვის, არ არის უცხო ფაქტი.

პატარებს ნუ მოვსთხოვთ ამ ტექსტების დამოუკიდებლად წაკითხვას. მიანოდეთ ინფორმაცია მარტივად – რა მოხდა, როდის და რატომ? გამოიყენეთ ილუსტრაციებიც.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“

გვ. 70, №1: პირველ რიგში, იმუშავეთ ლექსიკაზე. მიეცით არჩევითი პასუხები და მათ უნდა შემოხაზონ საკუთარი სწორი ვერსია. გთავაზობთ პირველ აბზაცზე მუშაობის ნიმუშს (ცხრილში სწორი პასუხები შემოხაზულია):

იმპერია	①. დიდი მონარქიული სახელმწიფო, რომლის მეფე ატარებს იმპერატორის ტიტულს. 2. დამოუკიდებელი სახელმწიფო.
გუბერნია	1. ქვეყანა რუსეთში. ②. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთში.
არისტოკრატია	1. მეფის შთამომავლები. ②. გვარიშვილობით წარჩინებულთა უმაღლესი ფენა, დიდგვაროვნები.
სასამართლო	①. სახელმწიფო ორგანო, რომელიც განიხილავს სამოქალაქო და სისხლის საქმეებს. 2. იგივე პარლამენტი.

დაუსვით შეკითხვები, რომლებიც ახლოს მიიყვანს ტექსტთან: რამდენი გუბერნიის სახით შედიოდა საქართველო რუსეთის იმპერიაში? რომელი გუბერნიები იყო ეს? როდის იყო? რა ენებზე საუბრობდნენ: ქართველი დიდგვაროვნები? უბრალო ადამიანები? რა ენაზე საუბრობდნენ სახელმწიფო დაწესებულებებში? რა მდგომარეობა იყოს წერა-კითხვის ცოდნასთან დაკავშირებით?

მიეცით სწორი და არასწორი ინფორმაცია და უნდა მონიშნონ ტექსტის მიხედვით, რომელია სწორი... და ა.შ.

ამის მერე შეასრულებინეთ წიგნში მოცემულია პირველი დავალება.

მეორე დავალება შეასრულეთ ერთად. ჯერ წაიკითხეთ მოცემული ინფორმაციები ცალ-ცალკე და დააზუსტეთ, რაზეა იქ საუბარი. დააზუსტეთ უცნობი ლექსიკა; საჭიროების შემთხვევაში, იმუშავეთ რთული რიცხვების ნაკითხვაზე. ამის შემდეგ ერთად შეასრულეთ მეორე დავალების მითითება. მაგალითად:

— — — — — ორგანიზაციას რამდენჯერმე შეუცვალეს სახელი: 1923 წელს ის „ნიგნის გამომცემელი და გამავრცელებელი საზოგადოება“ გახდა, ხოლო 1926 წელს – „მნიგნობარი“, 1927 წლის 31 იანვარს კი ოფიციალურად გააუქმეს.

- რომელ ორგანიზაციაზეა საუბარი?
- როდის გააუქმეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება?
- გაუქმებამდე რა მოხდა?
- რა ერქვა მას 1923 წელს? და ა.შ.

ე.ი. რის შესახებ არის ეს ინფორმაცია? – წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გაუქმების შესახებ.

აბა, ვნახოთ, რომელ აზრს აცხადებს ამაზე საუბარი? – დააკვირდით აზრის დასაწყის წინადადებას. მე-4 აზრის ეხება ამ საკითხს...

ასე დაამუშავეთ დანარჩენი ინფორმაციებიც.

6-9 წლის მოსწავლეებს უფრო მეტად გაუმარტივეთ შეთავაზებული დავალებები. მაგალითად,

- მიეცით სალექსიკონო სიტყვები და განმარტებები და დააკავშირონ ერთმანეთთან.
- იმუშავეთ მხოლოდ ინფორმაციის გაგებაზე მარტივი შეკითხვების დასმით.

დამწერლობის წარმოშობა და განვითარება

მთელი ეს ქვეთავი ინფორმაციული ხასიათისაა. ნუ მოსთხოვთ მათ დაზეპირებას. მთავარია, გაიაზრონ ქართული დამწერლობის მნიშვნელობა და სიდიადე, რის გამოც მიენიჭა იუნესკოს გადამწყვეტილებით მას – როგორც ცოცხალ კულტურას ეროვნული ძეგლის სტატუსი.

ინფორმაცია იოანე ზოსიმეს შესახებ: X საუკუნის ქართველი სასულიერო მწერალი, მოღვაწეობდა პალესტინაში. იგი სხვადასხვა სამუშაოსაც ასრულებდა: იყო წიგნში / ხელნაწერში წაშლილი ადგილების აღმდგენი; ამკინძავი და გარეკანის გამკეთებელი როგორც ახალი, ისე ძველად გადანერილი წიგნებისათვის; წიგნების გადამწერი და სხვა. მიუხედავად ბერძნული ენის კარგად ცოდნისა, იოანე-ზოსიმე მთარგმნელობას არ მისდევდა. მისი დაბადების ზუსტი თარიღი და ადგილი უცნობია. როგორც ირკვევა, უბრალო ბერი ყოფილა.

გვ. 74-75:

კროსგორდის შევსების დროს ჯერ დარწმუნდით, რომ მოცემულ შეკითხვებზე მოსწავლეებს სწორი პასუხი აქვთ. ამის შემდეგ მიეცით საშუალება, რომ შეავსონ ასომთავრულის გამოყენებით.

6-9 წლის ბავშვებს საკუთარი ოჯახისა და მეგობრების სახელები და გვარები დაანერინეთ ასომთავრულითა და ნუსხურით. ეს საკმარისი იქნება.

მითები და ლეგენდები – ბაბილონის გოდოლი – მითი თუ სინამდვილე

6-9 წლის ბავშვები მოცემულ ტექსტებზე ამუშავეთ იმავე პრინციპით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. თემა და, ზოგადად, ბაბილონის გოდოლთან დაკავშირებული ისტორია მათთვის უცხო არ უნდა იყოს, შესაბამისად არ უნდა გაუჭირდეთ თქვენთან ან სხვა უფროს თანაჯგუფელთან ერთად მოცემული დავალებების შესრულება. ძირითადად, იმუშავეთ მათთან ტექსტის არა გააზრებაზე, არამედ მის გაგებაზე.

ტექსტზე მუშაობა წარმართეთ მარტივი შეკითხვების დახმარებით და ზუსტად მიუთითეთ, ტექსტის რომელ ნაწილში უნდა ეძებონ პასუხები.

შესაძლებელია, მარტივი საკითხავი დავალებების მოფიქრება და შეთავაზებაც, მაგალითად:

- მითითებული მონაკვეთიდან კონკრეტული სიტყვების, მარტივი წინადადებების მოძებნა და ამონერა;
- ცხრილის შევსება კონკრეტული ინფორმაციით, მაგ.: ამონეროს მახასიათებელი სიტყვები (როგორი?) მხოლოდ პირველი აბზაციდან და მიუთითონ, რა ინფორმაციას შეიცავენ ისინი და ა.შ.

ამუშავეთ ილუსტრაციებზე – ეს შეიძლება იყოს სურათის გარშემო კონკრეტულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა, სურათების აღწერა და ა.შ.

თბილისური ჰანგები



თბილისის ისტორია

ძველი თბილისის უბნები და თბილისური ეზოს ამბები

თბილისური არქიტექტურა






ქართლის პირველი მეფე - ვახტანგ გორგასალი



ერეკლე II და კონანისის ბრძოლა

თბილისი 100 წლის წინ - 26 მაისის დღის ქრონიკა

პორტრეტები



ძირითადი კომუნიკაციური მიზნები

- გარემოს / შენობის აღწერა წარსულსა და აწმყოში - როგორი იყო და ახლა როგორია?
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის გაგება-გააზრება;
- საინფორმაციო ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების გაგება და მისი ფუნქციური გამოყენება;
- ლექსის მხატვრული ანალიზი და ემოციური კომენტარების გაკეთება;
- სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შედარებითი ანალიზი;
- მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების ამოცნობა;

ძირითადი საკომუნიკაციო მიზნები

- ადამიანის, გარემოს, შენობის აღწერა-დახასიათება წარსულსა და აწმყოში; ადამიანთა მოქმედების მოტივის განმარტება, მათი საქციელის შეფასება;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის (ისტორიული, საინფორმაციო, შემეცნებითი, ლეგენდები...) გაგება-გააზრება;
- საინფორმაციო ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების გაგება და მისი ფუნქციური გამოყენება;
- ლექსის მხატვრული ანალიზი და ემოციური კომენტარების გაკეთება;
- სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შედარებითი ანალიზი;
- მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების ამოცნობა;
- არგუმენტირებული მსჯელობა ფაქტებზე დაყრდნობით და კონკრეტული დასკვნების გაკეთება;
- საკუთარი შეფასება-დამოკიდებულებისა და პოზიციის გამოხატვა და სხვების პოზიციების / არგუმენტების შეფასება;
- პრაგმატული ტექსტის სტრუქტურული ანალიზი (ინტერვიუ);
- ინტერვიუს მომზადება და მისი დანერგვა.
- საინფორმაციო ტექსტის შედგენა.

რეკომენდაციები კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირებით:

თბილისი და მისი განვითარების ისტორია

გაახსენეთ, რა იციან თბილისთან დაკავშირებით – სად / საქართველოს რომელ მხარესა და კუთხეში მდებარეობს? რომელი მდინარის ხეობაშია გაშენებული? რამდენ ნაწილად ჰყოფს მტკვარი ქალაქს? მდინარის გარდა, კიდევ რა არის თბილისში? არის თუ არა ტბები? ზღვა?

აჩვენეთ თბილისის ფოტოები – ნარიყალა, მთანმინდა, აბანოთუბანი, მეტეხი და ა.შ. და ასაუბრეთ მასზე კითხვების დახმარებით.

შეაჯამეთ მათი წინარე ცოდნა თბილისთან დაკავშირებით და შემდეგ დაიწყეთ სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების შესრულება.

მოცემული ტექსტები არ არის რთული და მოსწავლეებს არ უნდა გაუჭირდეთ მათი გაგება. მათ არ მოეთხოვებათ ამ ტექსტების არც სიტყვასიტყვით გაგება და არც მათი დასწავლა და მოყოლა. მთავარია, გაიგონ ზოგადი შინაარსი – რაზეა საუბარი და მიხედნენ ტექსტის / ინფორმაციის მთავარ სათქმელსა და ცალკეულ დეტალებს.

ტექსტების გასააზრებლად საკმარისია წიგნში მოცემული დავალებების შესრულება, რომლებიც არ არის რთული და შეესაბამება ენის ფლობის მოცემული დონის მოთხოვნებს.

6-9 წლის მოსწავლეებთან ტექსტზე მუშაობა წარმართეთ მარტივი შეკითხვების დახმარებით და ზუსტად მიუთითეთ, ტექსტის რომელ ნაწილში უნდა ეძებოს პასუხი.

შესაძლებელია, მარტივი საკითხავი დავალებების მოფიქრება და შეთავაზებაც, მაგალითად:


- მითითებული მონაკვეთიდან კონკრეტული სიტყვების, მარტივი წინადადებების მოძებნა და ამოწერა;
- ცხრილის შევსება კონკრეტული ინფორმაციით, მაგ.: ამოწეროს მახასიათებელი სიტყვები (როგორი?) მხოლოდ პირველი აბზაციდან და მიუთითონ, რა ინფორმაციას შეიცავენ და ა.შ.

ამუშავეთ ილუსტრაციებზე – ეს შეიძლება იყოს სურათების გარშემო კონკრეტულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა, სურათების აღწერა (შეადარონ ძველი და ახალი თბილისი – რა შეიცვალა და რა – არა? რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის და ა.შ.)

თბილისის დაარსება

შენიშვნა: შესაძლებელია, მასწავლებელმა თავად გადაწყვიტოს და მხოლოდ უფროსი ასაკის მოსწავლეებს მისცეს ეს დავალებები შესასრულებლად, თუმცა, როგორც ინფორმაცია, აუცილებელია, რომ გააცნოს პატარებსაც.

6-9 წლის მოსწავლეებს, შესაძლებელია, ვთხოვოთ ტექსტებიდან მარტივი და კონკრეტული ინფორმაციების მოძიება; მხოლოდ ლეგენდაზე მუშაობა. მიეცით სქემა და სთხოვეთ იქ მოცემული სიტყვები და სიტყვათშეხამებები დააკავშირონ თბილისთან:



მიეცით შეკითხვები ცხრილთან ერთად და სთხოვეთ, ჩანერეთ, რა იცით და რა – არა აქედან.

- ა) რას ნიშნავს ნადირობა? მიმინო? ხოხობი? გოგირდის აბანო?
- ბ) ვინ იყო ვახტანგ გორგასალი?
- გ) რა არის თბილისი? რატომ ჰქვია ქალაქს თბილისი?
- დ) სად არის გოგირდის აბანოები?

ვიცი	არ ვიცი

სწორი და არასწორი ინფორმაციიდან შემოხაზონ სწორი ინფორმაცია:

- ა) ვახტანგ გორგასალი იყო საქართველოს მეფე.
- ბ) ვახტანგ გორგასალი მეფობდა თხუთმეტი საუკუნის წინ.
- გ) თბილისი დაერქვა განსაკუთრებულად თბილი კლიმატის გამო.
- დ) მიმინო და ხოხობი ცხელ წყალში მოიხარშნენ.
- ე) ვახტანგ მეფეს მოეწონა ეს ადგილი და თბილისი ააშენა.

გაასწორონ მცდარი ინფორმაცია. შემდეგ წააკითხეთ ლეგენდა და შეამოწმებინეთ, რამდენად სწორად შეასრულეს.

ლეგენდები თბილისის დაარსების შესახებ

ლეგენდის თანახმად, ეს ამბავი მე-5 საუკუნეში მოხდა. თბილისის ტერიტორია ტყით ყოფილა დაფარული. ქართველ მეფეს, ვახტანგ I გორგასალს, ნადირობის დროს შველი დაუჭრია. დაჭრილი შველი ცხელ წყაროში განბანილა და განკურნებული გაქცევია მონადირეებს (სხვა ვერსიით, მეფის მიმინო თავს დასცხრომია ხობობს, ფრინველები ცხელ წყაროში ჩაცვივნულან და გაფუფქულან). ცხელი წყლის სამკურნალო თვისებებისა და ადგილის ხელსაყრელი მდებარეობის გამო, მეფეს ტყე გაუკაფავს და იქ ქალაქი გაუშენებია. „თბილისი“ სწორედ ამ წყაროების გამო უწოდეს ქალაქს. შემდგომში ამ ადგილზე გლგორდის აბანოები გაშენდა. ეს ადგილი თბილისის ისტორიული უბანი – აბანოთუბანია.

დაუსვით შეკითხვები ტექსტის გარშემო. ცალ-ცალკე ამოაწერინეთ თბილისის დაარსების ვერსიები და შემდეგ შეადარებინეთ ისინი ერთმანეთს:

პირველი ვერსიით	მეორე ვერსიით

ვახტანგ გორგასალი და ერეკლე II

6-9 წლის ბავშვებთან იმუშავეთ მათ ბიოგრაფიულ ცნობარებზე კონკრეტული შეკითხვებით; დააკვირვეთ რუკებზე და შეადარებინეთ ერთმანეთს და შემდეგ ისინი შეადარებინეთ დღევანდელი საქართველოს რუკას.

დარგობრივ ლექსიკაზე იმუშავეთ ზემოთ მოცემული მითითებებით.

კრწანისის ბრძოლის ქრონიკა

მოცემული დავალებები საინტერესოა ნებისმიერი ასაკის მოსწავლისთვის. უბრალოდ, სასურველია, თუკი პატარებს ცალკე არ ამუშავეთ – დაანყვილეთ ისინი უფროსი ასაკის მოსწავლეებთან, ან მოსწავლეები ამუშავეთ მცირე ჯგუფებში.


სასურველია, ერთად ნახოთ ვიდეო რგოლი 300 არაგველზე, თუკი ამის საშუალება გექნებათ: <https://www.youtube.com/watch?v=6z6z6wm5Knl>

ტექსტებზე მუშაობისას 6-9 წლის მოსწავლეებს სთხოვეთ ტექსტებიდან მარტივი და კონკრეტული ინფორმაციების მოძიება; ზუსტად მიუთითეთ, ტექსტის რომელ ნაწილში უნდა ეძებოს პასუხი.

შესაძლებელია, მარტივი საკითხავი დავალებების მოფიქრება და შეთავაზებაც, მაგალითად:

- მითითებული მონაკვეთიდან კონკრეტული სიტყვების, მარტივი წინადადებების მოძებნა და ამონერა;
- ცხრილის შევსება კონკრეტული ინფორმაციით, მაგ.: ამონეროს კონკრეტული სიტყვები, რომლებსაც დაესმით შეკითხვები: როგორი? სად? სულიერი სახელები და ა.შ.

- ცალ-ცალკე ამოწერინეთ საზოგადო და საკუთარი სახელები;
- შეავსებინეთ მსგავსი სქემები, მაგალითად, უნდა ამოწერონ შესაბამისი ცალები და შეავსონ სქემები (გთავაზობთ ნიმუშს მე-2 დავალების ტექსტის მიხედვით, გვ. 94):



ანა კალანდაძის – „ასეთი დარი თუ იყო მაშინ“

ემოციური კომენტარების გაკეთება:

ამ აქტივობის მიზანია ემოციური კომენტარების მეშვეობით პირადი დამოკიდებულებების, მიღებული ემოციებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა; წარმოსახვის უნარის განვითარება – ლექსში მოცემული დროის შეცვლა.

ემოციური კომენტარები ხელს უწყობს ესთეტიკური კითხვის, ნაკითხულის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოსატყვისა და წარმოსახვის უნარის განვითარებას.

1. ემოციური კომენტარების შეთავაზებამდე, ლექსის გაგება-გააზრებაზე მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ შემდეგი:

ა) ლექსის შეტანამდე სთხოვეთ მოსწავლეებს, მოიძიონ ინფორმაცია კრწანისის ბრძოლის შესახებ და წარადგინონ კლასში (ან გაახსენეთ ისტორიაში ნასწავლი ეს ისტორიული ფაქტი – რას მოგვითხრობს და როგორ მოგვითხრობს თბილისის ისტორიაზე ნარიყალა; თუ ჯერ არ აქვთ გავლილი, შესაძლებელია თავად მიაწოდოთ ეს ინფორმაცია).

ბ) წაკითხეთ ლექსი მოსწავლეებს და სთხოვეთ, უპასუხონ შემდეგ შეკითხვებს: *რა გეცნოთ ლექსში? რომელი ისტორიულ ფაქტზეა ყურადღება გამახვილებული?* – კრწანისის ბრძოლა 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ; *რომელ ტაეპებშია ეს მინიშნებები?* –

„იდგა თბილისი, როგორც ერეკლე,
ხმალშემართული, ნარის ციხესთან“...
„ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა?“

რომელია ნარის ციხე? მაშასადამე, ამ ისტორიული ფაქტიდან კონკრეტულად რომელ ეპიზოდზეა ლექსში საუბარი? (ნარიყალასთან ბრძოლასა და თბილისის აღებაზე).

ბ) ამის შემდეგ შეადარებინეთ მოსწავლეებს, როგორ არის გადმოცემული ეს ფაქტი ლექსში და როგორ – მათ მიერ მოძიებულ მასალაში / ისტორიაში. სად არის ეს ისტორიული სინამდვილე უფრო შემზარავად წარმოდგენილი – ლექსში თუ წყაროებში და რატომ? როგორ არის წარმოდგენილი ის ლექსში? ასევე შემზარავია თუ არა და რატომ?

2. დაუბრუნდით ლექსს და იმუშავეთ მის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე. ყურადღება მიაქცევინეთ ლექსში გამოყენებულ ისეთ მხატვრულ ხერხებზე, როგორებიცაა:

გაპიროვნება, გამეორება, შედარება და ეპითეტი. საჭიროებისამებრ, გაახსენეთ, რას ნიშნავს, რას გულისხმობს თითოეული მათგანი და მოაძებნინეთ ლექსში შესაბამისი მაგალითები:

გაპიროვნება – მხატვრული ხერხი, რომელიც გულისხმობს ადამიანური თვისებების (და მოქმედებების) მიწერას სხვადასხვა სულიერი და უსულო, ასევე აბსტრაქტული საგნებისადმი. გაპიროვნება ტრადიციულად ყველაზე მეტად გავრცელებულია პოეზიაში. **მაგალითად: „მზემ აინია ფეხის წვერებზე“; „მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა“; „იდგა თბილისი ხმალშემართული“; „ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში“.**

შედარება – სტილისტიკური ხერხი, მხატვრული დახასიათების ფორმა, როდესაც საგნები და მოვლენები შედარებული ან შეპირისპირებულია ერთმანეთთან გარეგნული მახასიათებლებით თუ შინაგანი თვისებებით. შედარებისას უმეტესად იხმარება მაკავშირებელი სიტყვები და ნაწილაკები: როგორც, მსგავსად, თითქოს, ვითარცა, – ვით, – ებრ და სხვ. **მაგალითად: „იდგა თბილისი, როგორც ერეკლე“.**

ეპითეტი – რაიმე საგნის, მოვლენის მხატვრულ-ემოციური განსაზღვრა, დახასიათება. ეპითეტად უმეტესად გამოიყენება ზედსართავი სახელები (მაგ.: „შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო“, „ბებერი ტაო“, „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის“...). იგი განსხვავდება განსაზღვრებისაგან, რომელიც საგნის ან მოვლენის ობიექტურ და ლოგიკურ კლასიფიკაციას ახდენს. ეპითეტი საგნის ან მოვლენის სუბიექტური და ემოციური დახასიათებაა და ეფუძნება ავტორის შემოქმედებით არჩევანს. **მაგალითად: „და მიაშურეს ლილისფერ მთათა“...**

გამეორება – სტილისტიკური ხერხი, რომელიც მხატვრულ მეტყველებაში გამოყენებულია აზრის ხაზგასმისა და მკითხველის ემოციის, შთაბეჭდილების გამაძლიერებელ საშუალებად. გვხვდება სხვადასხვა სახის გამეორება, მათ შორის: ბგერებისა („კარვის კალთა ჩახლართული ჩაფქერ, ჩავაკარაბაკე“) და სიტყვების („გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით! დროშები, დროშები... დროშები ჩქარა!“). მოცემულ ლექსში ვხვდებით სიტყვების გამეორებას: **„მზემ აინია ფეხის წვერებზე, მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა“.**

4. ლექსზე დაკვირვების შემდეგ ჯერ თქვენ ნაიკითხეთ ლექსი ხმამაღლა სათანადო გამოთქმით, შესაბამისი მახვილებითა და ინტონაციით და შემდეგ მოსწავლეებსაც მიეცით ამის საშუალება.

3. დაუბრუნდით ლექსის სათაურს – „ასეთი დარი თუ იყო მაშინ“ და სთხოვეთ, გამოხატონ საკუთარი აზრი მის შესახებ – რატომ დაასათაურა პოეტმა ლექსი ამგვარად? მიეცით მინიშნებები:

- ა) როგორ აღწერს პოეტი მზის ამოსვლას? რა არის ნათქვამი ღრუბლებზე? რა ფერია მთები?
- ბ) რა მოლოდინი აქვს პოეტს – ასეთივე იქნებოდა თუ არა მზის ამოსვლა მაშინ? რა ფერი ექნებოდათ მთებს? „იცეკვებდნენ“ თუ არა ღრუბლები? რატომ ფიქრობთ ასე?

5. სთხოვეთ ემოციური კომენტარების მომზადება და მათი გაზიარება თანაკლასელებისათვის. მიეცით კონკრეტული საყრდენები:

- გადმოეცით თქვენი ემოციები, როგორ ცოცხლდება თქვენს წარმოდგენაში მზე, ქარი, ღრუბლები და მთები მზის ქალაქში? არის თუ არა მომხიბვლელი და მშვენიერი? კონკრეტულად რომელი ტაეპები, სიტყვები იწვევს ამ ემოციას თქვენში და რატომ?

ლადო ასათიანის – „კრწანისის ყაყაჩოები“

თქვენი სურვილისამებრ, შეგიძლიათ მსგავსად დაამუშავოთ ასათიანის ეს ლექსიც. **6-9 წლის** მოსწავლეებისათვის მოაწყეთ კონკურსი ლექსის გამომსახველობით კითხვაში. გამომსახველობითი კითხვა გულისხმობს წერილობითი ტექსტის შინაარსის სხვისთვის გადაცემას. ტექსტის შინაარსის ცოდნას თან უნდა ახლდეს ხმამაღალი კითხვის შესატყვისი უნარებიც (ინტონაცია, ექსპრესიულობა...).

სასურველია, წინასწარ მოასმენინოთ მოსწავლეებს ქართველ მსახიობთა აუდიოჩანაწერები (თავად ანა კალანდაძის მიერ წაკითხულიც) და ასაუბროთ ისინი მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

1. მოსწავლეებთან ერთად დაგეგმეთ კონკურსის მოწყობა. პირველ ჯერზე კონკურსში მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, ამიტომ გაითვალისწინეთ მოსწავლეების სურვილი და ნუ დააძალებთ მონაწილეობას. ის, ვინც უარს იტყვის მონაწილეობაზე, შეიყვანეთ შემფასებელთა ჯგუფში (ჟიურიში).
2. ჟიურის წევრებთან ერთად შეიმუშავეთ კრიტერიუმები, რის მიხედვითაც შეაფასებენ ისინი კონკურსის მონაწილეებს.
3. გააცანით მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები და აუხსენით, რას მიაქციონ ყურადღება მომზადების პროცესში:
 - ივარჯიშონ შესაბამის ინტონაციებზე, რომლითაც უნდა გამოხატონ ლექსში მოცემული ემოციები;
 - ყურადღება მიაქციონ სასვენი ნიშნებს; მეტყველების ტემპსა და ხმის ტემბრს;
 - სიტყვები გამოთქვან გარკვევით და მკაფიოდ;
 - შეეცადონ მხედველობითი კონტაქტის დამყარებას აუდიტორიასთან.
4. მოტივაციის გასაზრდელად, სასურველია, მოსწავლეები წაახალისოთ სხვადასხვა თვალსაზრისით; მაგ., ყველაზე კარგი გამოთქმის მქონე, ყველაზე მონდომებული და ა.შ. ნომინაციებზე შეთანხმდით მოსწავლეებთან ერთად.

შეფასების სქემა გამომეტყველებით კითხვაში:

კრიტერიუმები	ნინო	სანდრო	ელენე
მკაფიოდ და გარკვევით წარმოთქვამს სიტყვებს – კი/არა			
აქცენტებს აკეთებს საკვანძო სიტყვებზე – კი/არა			
ადეკვატურად იყენებს ლოგიკურ პაუზებს – კი/არა			
ინტონაციას იყენებს სასვენი ნიშნების ფუნქციით – კი/არა			
ხმის სიმალლისა და ჟღერადობით ზუსტად გადმოსცემს ავტორისეულ განწყობას – კი/არა			
ცდილობს აუდიტორიასთან მხედველობითი კონტაქტის დამყარებას – კი/არა			


**თბილისი 100 წლის წინ – 26 მაისის დღის ქრონიკა
ორსაუკუნოვანი სასახლის ისტორია**

მოცემული ტექსტები არ არის რთული და მოსწავლეებს არ უნდა გაუჭირდეთ მათი გაგება. მათ არ მოეთხოვებათ ამ ტექსტების არც სიტყვასიტყვით გაგება და არც მათი დასწავლა და მოყოლა. მთავარია, გაიგონ ზოგადი შინაარსი – რაზეა საუბარი და მიხედნენ ავტორის მთავარ სათქმელსა და ცალკეულ დეტალებს.

ტექსტების გასააზრებლად საკმარისია წიგნში მოცემული დავალებების შესრულება, რომლებიც არ არის რთული და შეესაბამება ენის ფლობის მოცემული დონის მოთხოვნებს.

შენიშვნა: შესაძლებელია, მასწავლებელმა თავად გადაწყვიტოს და მხოლოდ უფროსი ასაკის მოსწავლეებს მისცეს ეს დავალებები შესასრულებლად, თუმცა როგორც ინფორმაცია, აუცილებელია, რომ გააცნოს პატარებსაც. შესაძლებელია, მათ ვთხოვოთ ტექსტებიდან მარტივი და კონკრეტული ინფორმაციების მოძიება.

მიეცით **პროექტი** მცირე ჯგუფებში სამუშაოდ: დაიყავით ჯგუფებად, მოიძიეთ შესაბამისი ინფორმაცია და შეადგინეთ თბილისის საინფორმაციო ცნობარი (გზამკვლევი). შეადარეთ ერთმანეთის ნამუშევრები.



იმისათვის, რომ პატარებმაც შეძლონ სრულფასოვნად ჩართვა, განუსაზღვრეთ კონკრეტული და მარტივი დავალება შესასრულებლად, მაგალითად, მოიძიონ შესაბამისი ფოტოები, რომელთაც დაურთავენ საინფორმაციო ცნობარს; წარდგენის დროს ისაუბრონ ერთ რომელიმე ეპიზოდზე, მაგალითად, გადმოსცენ თბილისის დაარსების ისტორია / ლეგენდა და ა.შ.

პორტრეტები – ფიროსმანი

დავალებების შესრულების შემდეგ, მოსწავლეებს სთხოვთ გამოიყენონ ყველა ინფორმაცია და წერილობით დაახასიათონ ნიკო ფიროსმანი.

გაასწორებინეთ ერთმანეთის ნაწერები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით.

1. შინაარსობრივი თვალსაზრისით:

- გადმოსცემს თუ არა ყველა საჭირო ინფორმაციას (თუ – არა, მიუთითეთ, რომელი აკლია);
- გასაგებია თუ არა მოცემული ინფორმაცია (თუ – არა, მიუთითეთ, რომელი ადგილია გაუგებარი);

2. ენობრივი თვალსაზრისით:

ამოწერეთ შეცდომები და გვერდით მიუწერეთ სწორი ფორმები.

შეცდომა!	უნდა იყოს!

გაასწორეთ შეცდომები, რომლებსაც ეთანხმებით. დააზუსტეთ ნაწერი მასწავლებელთან ერთად.

6-10 წლის ბავშვებს ნუ შესთავაზებთ ასეთ დიდ სამუშაოს. განუსაზღვრეთ კონკრეტული ტექსტი და იმის მიხედვით დაახასიათებინეთ ფიროსმანი. დასახმარებლად მიეცით შეკითხვები.

ფესვები



ემიგრაციის ლაბირინთში
„გამერიკელებული ქართველი ფიროსმანი“

გზა საქართველოდან ლევილამდე და უკან - საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი





მიხეილ ჯავახიშვილის „მინის ყივილი“
„ფესვები“

ქვაში გაცოცხლებული ისტორია

ხიდი საქართველოსთან - ფერეიდანი






ძირითადი კომუნიკაციური მიზნები

- ინტერაქცია ქართველ ემიგრანტებსა და ემიგრაციის მიზეზებსა და ფორმებზე;
- მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გაგება-გააზრება - ტექსტის მთავარი თემისა და იდეის გააზრება; აბზაცის ძირითადი აზრის გამოტანა; ფაქტებისა და მოვლენების

ძირითადი საკომუნიკაციო მიზნები

- ინტერაქცია ქართველ ემიგრანტებსა და ემიგრაციის მიზეზებსა და ფორმებზე;
- მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გაგება-გააზრება – ტექსტის მთავარი თემისა და იდეის გააზრება; აბზაცის ძირითადი აზრის გამოტანა; ფაქტებისა და მოვლენების თანმიმდევრობათა გაგება, მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა;
- ტექსტების შედარების საფუძველზე, ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა და მათი არგუმენტირება;
- შეფასება/დამოკიდებულების გამოხატვა ისტორიული პირის / ლიტერატურული გმირისა და მისი ქცევის/ქმედების მიმართ;
- გარემოს აღწერა (რა არის? როგორია? სად მდებარეობს?); შედარებითი დახასიათება;
- მარტივი გეგმის მიხედვით წაკითხული ტექსტის მოკლე შინაარსის გადმოცემა;
- გამომხაურების წერა.

რეკომენდაციები კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირებით:

ემიგრაციის ლაბორინთებში

ვიდრე სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების შესრულებას დაიწყებთ, კარგი იქნება, თუკი ერთად ნახავთ მითითებულ მისამართებზე არსებულ ჩანაწერებს:

ა) განწყობისათვის: <https://www.youtube.com/watch?v=14XLLrG72pg> – ზაზა ნანობაშვილის „ჩემო მაგნოლია“ ლევილში. ამბობენ, რომ ამ სიმღერას ემიგრანტები მღეროდნენ ხოლმე.

ბ) <https://www.youtube.com/watch?v=-NaasQlzAGM&t=11s> – დოკუმენტური ფილმი: „დაბრუნდებიან“ – 1 (რეჟისორი – ზაზა ნანობაშვილი) ფილმის გადაღება ხდებოდა 20-მდე ქვეყანაში სალიტანიო ანჩისხატის მოლოცვების კვალდაკვალ – 2008 წლიდან.

გ) ამის შემდეგ გაახსენეთ ფილმი – „მინის სჯული“.

ფილმის მოკლე შინაარსი: ემიგრაციის კვალზე – 1724 წლიდან დღემდე. ნაბიჯ-ნაბიჯ გავლილი გზა სამოთხედ აღქმული სამშობლოდან შორეულ ქვეყნებამდე – რუსეთამდე და ევროპამდე, ახლო აღმოსავლეთამდე და ამერიკამდე...

შემდეგ ეკრანზე უახლესი ისტორია და ჩვენი დღევანდელი დღე ჩნდება; ემიგრანტები, რომლებიც უკიდურესმა ეკონომიკურმა სიდუხჭირემ განდევნა საქართველოდან, მათ შორის ისინიც, რომლებიც, დიდი პროფესიონალიზმის მიუხედავად, შინ ვერ ახერხებდნენ საკუთარი თავის რეალიზებას... მათ უჭირთ სამშობლოსგან შორს ყოფნა; თავიანთი პატარა სოფელ-დაბების შუკები ესიზმრებათ. დედ-მამის საფლავებს პატივს ვერ მიაგებენ და შვილების აღზრდაში მონაწილეობას ვერ იღებენ. სამაგიეროდ, მათი იქაური ხელფასებით გააქვთ თავი ოჯახებს. აკი ამბობდა კიდეც თვალცრემლიანი ქართველი ქალი: რა მექნა, მინდოდა, ჩემს შვილს დაპატარავებული ჯემპრი რომ ეცვა, ახლის ყიდვა შესძლებოდაო... სულ ცოტა, საარსებო საშუალება მინდოდა ჩემი ოჯახისთვის, ავადმყოფი დედისთვის წამალი მინდოდა მეყიდაო... ნასვლისას რას წარმოიდგენდნენ, რომ ავადმყოფი მშობლები უიმათოდ მიეზარებოდნენ მინას, რომელსაც თავისი სჯული აქვს – მინის სჯული!

დ) ასაუბრეთ მოსწავლეები მიღებულ ემოციებსა და შთაბეჭდილებებზე – რა იყო განსაკუთრებით შთამბეჭდავი? რამ იმოქმედა მათზე და რატომ? რას ფიქრობენ ამ ადამიანებზე? საკუთარ ემიგრანტობაზე? მომავალზე? სამშობლოზე და ა.შ.

ე) შემდეგ გადადით სახელმძღვანელოზე და შეასრულებინეთ იქ მოცემული დავალებები. საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარეთ მოსწავლეებს კონკრეტული შეკითხვებითა და მინიშნებებით. მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, თავად გადაწყვიტეთ, რომელი დავალება გააკეთებინოთ მოსწავლეთა ნაწილს და რომელი – არა.

ასეთ შემთხვევაში, იმოქმედეთ ზემოთ მოცემული რეკომენდაციებითა და მითითებებით.

გზა საქართველოდან ლევილამდე და უკან

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისთვის ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ:

ა) სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების შესრულების შემდეგ, კარგი იქნება, თუკი მოსწავლეებს გააცნობთ მისი ბიოგრაფიიდან ბავშვობისდროინდელ დეტალებს:

ადრე დაობლდა... სულ პატარას გარდაეცვალა მამა – ჩოლოქის საზღვრის მცველი – რუსეთის არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი ოფიცერი. ოჯახის მთელი სიმძიმე დედას, მაკვანათელი ნაკაშიძის ქალს დაანვა მხრებზე. ექვთიმეს, როგორც და-ძმებში ყველაზე უმცროსს და ფეხმტკივანს, დედა განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდა. ხშირად ეტყოდნენ ხოლმე, დედა რომ ცოცხალი გყოლოდა, უსწავლელი დარჩებოდიო, ისე უყვარდი, ერთ წუთს თვალებიდან არ გიმორებდაო. ხუთი წლისას დედა გარდაეცვალა. შემოდგომის ერთ ავდრიან ღამეს ვილაცებმა გააღვიძეს, ძალით მოაშორეს დედას მტირალი და ბუხრის წინ დასვეს. გარეთ ქალები გაჰკიოდნენ...

ტირილი რომ მიწელდა, ბებია მნაიყვანა თავის სახლში და თავისსავე ლოგინში ჩაანვინა. დედის სიკვდილის შემდეგ ბებიასთან იზრდებოდა. ბებია, საჯავახოელი შარაშიძის ქალი, ამ დროს ღრმად მოხუცებული იყო...

სამი წლისა იყო, ფეხი რომ მოიტეხა, ხიდან ჩამოვარდა, დროულად ვერ უმკურნალეს და სამუდამოდ დაკოჭლდა. თანატოლები კოჭლაბუხას ეძახდნენ.

შვიდი წლისა ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში შეიყვანეს. სწორედ იქ დაუახლოვდნენ ერთმანეთს ექვთიმე და ნიკო მარი. შემდგომში ეს ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდა. ისინი ერთად სწავლობდნენ ქუთაისის გიმნაზიაში და ასევე ერთად გაიტაცა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა იდეებმა.

შემდეგ იყო პეტერბურგის უნივერსიტეტი. აქვე გაიცნო ვაჟა ფშაველა – უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი.

პეტერბურგიდან ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სახელით დაბრუნდა საქართველოში...

ბ) მოგონებები გარდასულ დღეთა – <http://eqytime150.blogspot.com/2013/02/blog-post-3427.html>

მინის ყვილი

დაუსვით შეკითხვები ცალ-ცალკე;

ა) **ვარლამ ჩერქეზიშვილი:** ვინ იყო? როდის მოწყდა სამშობლოს / ფესვებს? რამდენ ენას ფლობდა და რომელია ეს ენები? რა მოხდა სიკვდილის წინ? საიდან ჩანს, რომ მას ქართული დავინყებულები ჰქონდა?

ბ) **რევაზ ნიკოლაძე:** ვინ იყო? როგორ აღმოჩნდა საფრანგეთში? რა ხდებოდა ყოველ 26 მაისს მის ცხოვრებაში? ვისი ლექსიდანაა – „მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი“? ვინ დააარსა ქართული ეკლესია პარიზში მცხოვრები ქართული სათვისტომოსათვის? რას აკეთებდა ქართველთა სათვისტომო? რატომ დადიოდა ქართული ფილმის ყველა სეანსზე? როდის ჩამოვიდა საქართველოში პირველად? რა გრძნობა დაეუფლა? მას შემდეგ რამდენჯერ იყო?

რა იცით გრიგოლ ფერაძის შესახებ?

მიანოდეთ გრიგოლ ფერაძის შესახებ არსებითი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

ქართველი თეოლოგი, ისტორიკოსი, არქიმანდრიტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი მამა გრიგოლი დაიბადა 1899 წლის 31 აგვისტოს სოფ. ბაკურციხეში (გურჯაანი), მღვდლის, რომანოზ ფერაძის ოჯახში. დედა – მარიამ სამადალაშვილი აგრეთვე მოძღვრის ქალიშვილი იყო. საერთოდ მათი გვარი სამღვდელო ყოფილა.

მამა გრიგოლი გერმანიაში ბერლინის უნივერსიტეტში თეოლოგიასა და აღმოსავლურ ენებს სწავლობდა, შემდეგ კი ბონის უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე გადავიდა და ნაშრომისათვის, რომელიც საქართველოს მონასტრებს შეეხებოდა, ფილოსოფიის დოქტორის ხარისხიც კი მიიღო. მოკლე ხანში მან 12-ზე მეტი ენა ისწავლა, მათ შორის ძველებრაული, ძველბერძნული, სირიული, არაბული, კოპტური და ძველსომხური ენები. მოგვიანებით ლათინურსა და თანამედროვე ენებს – ინგლისურს და ფრანგულს სწავლობს. ამათ გარდა, იცოდა გერმანული, რუსული და ძველსლავური.

გერმანიიდან გრიგოლი ინგლისში გაემგზავრა და იქ სამეცნიერო მუშაობას შეუდგა. ეცნობოდა ბრიტანეთის მუზეუმსა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულ უძველეს ხელნაწერებსა და მასალებს. მალე იგი მიიწვიეს ბონში, რათა ლექციები წაეკითხა ქართულ და სომხურ ლიტერატურაზე, ერთი წლის შემდეგ კი ოქსფორდში შესთავაზეს ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხების შესახებ ლექციების წაკითხვა.

1930 წლის შობის დღეებში მძიმედ დაავადდა. სიკვდილის პირას მისულს ხილვა ჰქონდა, რომ უფლისთვის ბოლომდე უნდა მიეძღვნა თავი და 1931 წლის 18 აპრილს, ჯერ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე პატივდებული მეცნიერი ლონდონის წმინდა სოფიის ბერძნულ საკათედრო ტაძარში ბერად აღიკვეცა. 19 აპრილს იქვე ეკურთხა დიაკვნად, ხოლო 25 მაისს პარიზის წმიდა სტეფანეს ბერძნულ საკათედრო ტაძარში მღვდლად ხელდებენ და მის მიერვე დაარსებულ წმინდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაში ამწესებენ წინამძღვრად. ამ დროიდან მოყოლებული მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, იგი დაუღალავად იღვწოდა პარიზის ქართული ეკლესიისთვის და ეს საქმე თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნდა. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა და გამოიცემოდა ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“. მამა გრიგოლმა შეადგინა ქართული ეკლესიის წესი, რომლის თანახმადაც ამ ტაძარში მხოლოდ ქართველ მღვდელმსახურებს უნდა ემსახურათ და აუცილებლად ქართულ ენაზე. ამ სამრევლოს ჩამოყალიბება ძალიან დიდი საქმე იყო, რადგან იგი ერთადერთ ნუგეშს წარმოადგენდა სამშობლოდან გადმობეჭნილი და სამშობლოს უიმედოდ მონატრებული ქართველობისათვის.

რამდენიმე ხნის შემდეგ მამა გრიგოლ ფერაძე პოლონეთში, ვარშავაში მიიწვიეს მართლმადიდებლური სასულიერო სკოლის დირექტორად. იგი მოხსენებებს კითხულობდა სამეცნიერო კონფერენციებსა და ევროპის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში. მთელ თავის სახსრებს ახმარდა სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებსა თუ ბიბლიოთეკებში დაცულ ქართულ ხელნაწერთა მოძიებასა და შესწავლას და ამ მხრივ დიდი შრომაც გასწია. საქართველოში კი, იშვიათი გამოჩაკლისების გარდა, არავინ არაფერი

იცოდა მისი ნაშრომებისა და მოღვაწეობის შესახებ. არავინ იცოდა ისიც, რომ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ საფრანგეთში გახიზნული ქართული საუნჯეც გრიგოლ ფერაძის წყალობით გადაურჩა განადგურებას. მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა ფაშისტებმა თითქმის მთელი ევროპა დაიპყრეს, შეიტყვეს, საფრანგეთის ერთ-ერთ ბანკში ერთი პატარა ქვეყნის დიდი ქონება ინახებოდა. ამ ქონების შესაფასებლად მათ გრიგოლ ფერაძე მიიწვიეს, როგორც ცნობილი მეცნიერი და ექსპერტი. მამა გრიგოლმა ფაშისტებს განუცხადა, ეს ქონება არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, ის უბრალოდ ქართველებისთვისაა ძვირფასი, როგორც ეროვნული შემოქმედება. ფაშისტები ენდნენ გამოჩენილ მეცნიერს და განძზე ფიქრს თავი ანებეს. ფაშისტები ხალხს სასტიკად ექცეოდნენ, აწამებდნენ, ხოცავდნენ, განსაკუთრებით კი ებრაელებს დევნიდნენ. მამა გრიგოლი ხშირად იფარავდა ასეთ ადამიანებს, თავშესაფარსა და საზრდოს უნაწილებდა, რისთვისაც შეიპყრეს და ციხეში ჩასვეს, შემდეგ კი ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს. იგი იქვე აღესრულა 1942 წლის 6 დეკემბერს. როგორც მასთან ერთად მყოფი პატიმრები იგონებენ, მამა გრიგოლთან ერთად ბანაკში ერთი მრავალშვილიანი ებრაელი ყოფილა, რომელსაც ფაშისტებმა გაზის კამერაში გაგუდვა გადაუწყვიტეს. მამა გრიგოლს შებრალებია ეს კაცი, მისი სასჯელი თვითონ აუღია თავზე და მის მაგივრად შესულა გაზის კამერაში. რამდენიმე წლის წინ საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა განიხილა მამა გრიგოლის მოღვაწეობა და ქრისტიანობისათვის, სამშობლოსათვის და მოყვასისათვის თავგანწირული არქიმანდრიტი წმინდანთა დასში შერაცხა. გრიგოლ ფერაძეს ეწოდა მღვდელმონაშე გრიგოლი.

გ) **ნიკოლოზ ჩხოტუა** – სად დაიბადა? ვინ იყო? როგორ აღმოჩნდა სამშობლოსგან შორს? რას საქმიანობდა ამერიკაში? რა ჰქონდა მთელი ცხოვრება ოცნებად? რა დაიბარა სიკვდილის წინ? აუსრულდა თუ არა მას ოცნება? როდის და როგორ? რას ეხება მისი რომანი „მარადიული სიყვარული“? რატომ მიაჩნიათ, რომ ეს წიგნი ავტობიოგრაფიულია? რას ნიშნავს ავტობიოგრაფიული?

გვ. 127, №2: გაეცანით მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფიას და შეასრულეთ მასწავლებლის მითითებები.

დააკვირვით მიხეილ ჯავახიშვილის ტრაგიკულ ბედზე: რა დაემართა მის ოჯახს? რატომ იყო იძულებული, რომ თავის სამშობლოში სხვისი პასპორტით დაბრუნებულიყო? რა იყო ევროპაში მისი მოგზაურობის საფუძველი? რა ბედი ეწია სამშობლოში დაბრუნებულს? რა მოხდა 1937 წელს მწერალთა კავშირის შენობაში და როგორ უკავშირდება ეს ფაქტი ჯავახიშვილს?

მოცემული ტექსტების გამოყენებით შეავსებინეთ ცხრილი:

ოჯახი	
საქმიანობა	
გარეგნობა (ფიზიკური მახასიათებლები)	
ხასიათი / თვისებები	
ქვეყნის სიყვარული	
საბედისწერო დილა ქვიშხეთში	

„ფესვები“

რეკომენდაცია:

მათ, ვისაც კიდევ სხვა ფილმებში სურთ მსგავსი საზოგადოებრივი პრობლემების ხილვა, გირჩევთ ნახოთ ასევე ქართული ფილმი „ფელიჩიტა“. საინტერესო ფილმია აგრეთვე ავსტრალიელი რეჟისორის პიტერ ვეირის მიერ 1990 წელს გადაღებული ფილმი სახელად „გრიინ ქარდ“, ოლივიე ნაკაშის და ერიკ ტოლედანოს ფილმი „სამბა“, ასევე აკი კაურესმიაკის „ჰავრი“.

ქვაში გაცოცხლებული ისტორია – შატლი და მუცო

გვ. 133: გაეცანით კიდევ ორი ბრძოლის ისტორიას და შეასრულეთ მოცემული მითითება.

დაუსვით შეკითხვები ტექსტის გარშემო.
შეავსებინეთ ცხრილი ტექსტების მიხედვით.

	1813 წ. 13 მაისი	1843 წ. ივნისი
მხარეები		
შეტაკების ადგილი		
ბრძოლის შედეგი		
დამატებითი ინფორმაცია	რუსები ხევსურების შესახებ:	რაფიელ ერისთავი ბრძოლის დეტალებზე:

ინფორმაცია შამილის შესახებ:

ცნობილი პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწე, იმამად აღიარებული 1834 წელს, რომელმაც ჯერ დასავლეთ დაღესტნისა და ჩაჩნეთის, შემდეგ კი ჩერქეზეთის ხალხი გააერთიანა თეოკრატიულ სახელმწიფოში – იმამათში და შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა რუსული მმართველობის შემოსვლას რეგიონში. მოგვიანებით გახდა ჩეჩნეთ–დაღესტნის მესამე იმამი და 25 წელი მეთაურობდა დაღესტნისა და ჩეჩნეთის მთიელებს რუსებთან უთანასწორო ბრძოლაში. მეტისმეტად სძულდა რუსობა – ისე არ ახსენებდა მათ სახელს, რომ ზედ „დონღუზ“ („ლორი“) არ დაეყოლებინა. უპირონი, მოლაღატენი და გაუტანლები არიან, კაცი ვერ ენდობა მაგათო. შამილს ჰქონდა დიდი სამხედრო ტალანტი და ორგანიზატორის ნიჭი – უდრეკი ნებისყოფა და შეუპოვრობა.

საინტერესო ფაქტები ალექსანდრე ბატონიშვილზე:

ვაჟა-ფშაველას საინტერესო მოგონებები დარჩა დაღესტანში ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრებაზე. სოფელ გიმრზე, სადაც ბატონიშვილი კარგა ხანს ცხოვრობდა; ლამაზი ლეკის ქალზე, მშვენიერ ბიჭუნაზე, რომელიც გასაოცრად ჰგავდა მას. ფშაური თქმულებაც ჩაუნერია ვაჟა-ფშაველას: „პირველად, როცა ბატონიშვილი ალექსანდრე გაიქცა და მტრობა გამოუცხადა რუსის მთავრობას, მიჰმართა მთას. ბატონიშვილს ყველგან უნდოდა მომხრეები ეპოვა. ამ მიზნის მისაღწევად დაღესტანშიაც

კი იმყოფებოდა. ფშავისა ხომ ხშირი სტუმარი იყო, სადაც ნათლიდედები და ნათლი-
მამები გაიჩინა. უამისოდაც ზოგიერთ ოჯახებთან ძლიერ დაახლოვებული იყო ბა-
ტონიშვილი. ერთი ამისთანა ოჯახი ხახა ქისტაურისა იყო, სადაც ერთხელ ქეიფობის
დროს ბატონიშვილმა წარმოსთქვა თურმე: „ეჰ, მე იქნება ამოდენა ტანტალში უძეოდ
მოვკვდე. თუმცა კი არც უძეო ვარ, მხოლოდ ის მენანება, რომ ჩემი თესლი დაღეს-
ტანში დარჩაო“ (იგულისხმებოდა შამილი).

დამატებით გთავაზობთ პირიქითა ხევსურეთის ერთ-ერთი სოფლის სევდიან ისტორი-
ას, რომელიც ხევსურთა უნიკალური გმირობის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

ანატორი – აკლდამებში ამონყვეტილი სოფელი

ანატორი – ნასოფლარი პირიქითა ხევსურეთში, შატლიდან ჩრდილო აღმოსავლეთით,
2,3 კმ-ზე, მდინარეების არღუნისა და მუცოსწყლის შესართავთან, კლდოვან მთაზე.
აქ ორი ხეობის გზაჯვარედინია. აქ თავს იყრის ჩეჩენ-ინგუშეთიდან, დაღესტნიდან,
თუშეთიდან, ქართლ-კახეთიდან მომავალი გზები.
ანატორის ნასოფლარი მოიცავს ერთმანეთზე მიჯრით ნაგებ, ქვის სიპებით თავშეკ-
რულ აკლდამებს. გადმოცემით, ეს აკლდამები ეკუთვნით ანატორელებს, რომლებიც
ჟამს გაუნყვეტია.

სოფელ ანატორს თავს საშინელი განსაცდელი დასტყდომია, რაღაც ინფექცია, აქაუ-
რად „შამი“ მოსდებია სოფელს. შავი ჭირი სწრაფად მოსდებია მთელს მოსახლეობას.
სენი რომ მთლიანად ხევსურეთს არ მოსდებოდა, ანატორელებს სოფლიდან მოშორე-
ბით, მდინარის გადმოღმა. აკლდამები აუგიათ. ჭირით შეპყრობილნი თავისი ფეხით
გადადიოდნენ მდინარეს, წვებოდნენ აკლდამებში და ელოდებოდნენ სიკვდილს, გარ-
დაცვლილის ადგილს კი სხვა სნეული იკავებდა.

სოფელში, რომელიც ისტორიული წყაროებით მე-18 საუკუნეში ამონყდა, ძირითადად,
სისაურებს უცხოვრიათ.

ჭირიანობის დროს ანატორის ერთ-ერთ ოჯახს ჩვილი ვაჟი დედულეთში გამოუგზავ-
ნია და საბედნიეროდ ანატორელთა მოდგმას არ შეუწყვეტავს არსებობა, ასევე სისაუ-
რების შტო მოდის ანატორიდან. გადარჩენილ ვაჟს პირაქეთა ხევსურეთში გამოულაშ-
ქრია და ლიქოკის ქალაში დასახლებულა.

გადმოცემის თანახმად, ანატორის ჯვარი ალავერდიდან გადასულა ანატორში. ერთ
მჭედელს ამ ხატის დაბმა განუზრახავს და მასზე ოქროს ლურსმანი დაუჭედებია. ამაზე
ხატი გაჯავრებულა, ჟამი გაჩენილა და ანატორელები ამოუხოცავს. ანატორში დღე-
საც დაცულია ამ ხატის საბრძანისი ნიში და ხატის ტყე. ხატობა იციან ამაღლებას და
მახვეწარი ანატორის ჯვარს ღმერთთან შუამდგომლობასა და დახმარებას შესთხოვს.

ანატორის ჯვარი – „წმინდა“ ნადირის (ჯიხვის, არჩვის, შვლისა და სხვ. გარეული ცხო-
ველის) მფარველი ღვთაება ხევსურეთში. ამჟამად ცნობილია ასევე, როგორც მთა-
ვარანგელოზის სალოცავი. ანატორის ჯვრის შესახებ ასეთი ლეგენდა არსებობს: ერთ

კაცს ჯვრისთვის ისარი უსვრია, ჯვარს თემი დაუსჯია და 60 მამაკაცი ავადმყოფობით მოუკლავს.

აკლდამის გარშემო მრავალი პიროვნული ისტორია იყრის თავს. ერთ-ერთის თანახმად, ერთი დასნეულებული მოხუცი აკლდამაში თავისივე ჩონგურით ჩასახლებულა. ცოცხალი საფლავიდან ჩონგურის ხმა ისმოდა, რაც მოხუცის არსებობაზე მიუთითებდა; ჩონგურის სიმების დადუმება კი მოხუცის სიკვდილის მანიშნებელი ყოფილა. როგორც ამბობენ აკლდამაში შემორჩენილი ყოფილა დედის ჩონჩხი, რომელსაც ხელში, აკვნით, ჩვილი ბავშვი ეჭირა.

სარკმლიდან მოჩანს შემოდგომის ჭრელი ხეები, მდინარის აქეთ ყველაფერი შავ-თეთრია.

გარეთ დავტოვე ცხენი.

სახლი.

ჩემი ბავშვობა.

სხედან ბავშვები ვინრო სარკმელთან და შემობერილ ნიავს თვალებით ეფერებიან.

სარკმლის გარეთ ჰაერია, შიგნით – სიჩუმე.

დედა ტიროდა: „ნეტავ, სიკვდილს მისცა შვილიო“

ჩემ სოფელში მზე ორჯერ ჩადის.



გადმოცემის თანახმად, ერთ მჭედელს ალავერდიდან სოფელ ანატორში გადასული ხატის დაბმა განუზრახავს და მასზე ოქროს ლურსმანი დაუჭედებია. ამაზე ხატი გაჯავრებულა, ჟამი გაჩენილა და ანატორელები ამოუხოცავს. გადარჩენილა მხოლოდ ერთი 7 წლის ბავშვი, რომელიც იმ დროს დედულეთში – თუშეთში იყო პაპა-ბებიასთან. 10 წლის შემდეგ თუშეთში, ამ ბავშვის ოჯახში, შემთხვევით ხევსურები მოხვედრილან სტუმრად. ბიჭის გვარი რომ გაუგიათ, შენ თუში არ იქნები, რომელი სოფლიდან ხარო, – უკითხავთ. მე იმ სოფლიდან ვარ, სადაც მზე ორჯერ ამოდისო (ანატორში უზარმაზარი მთებია, მზე რომ ამოვა, მალევე ეფარება მთას და დიდხანს აღარ ჩანს, შემდეგ სალამოს ისევ გამოდის). წამოიყვანეს ბავშვი ხევსურებმა და შატილში დაასახლეს. მაშინ უფლება არ ჰქონდა არც ერთი გვარის შვილს შატილში დასახლებისა, თუ ჭინჭარაული არ გახდებოდა – ეს ბავშვი სისაური იყო და ჭინჭარაულად მონათლეს. მას „ხევსურების გადამრჩენელს“ ეძახდნენ.

ასე გადარჩინა სისაურების გვარმა ახლომდებარე სოფლები შავი ჭირისაგან.

ადამიანი და საზოგადოება



ურთიერთობების ხელოვნება

ტერმინების იმპერია

მგლების სამყაროში

ნოდარ დუმბაძის „HELLADOS“

შვილები და მშობლები

სიტყვის ძალა

სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები



ძირითადი კომუნიკაციური მიზნები

- სხვადასხვა ტიპის ტექსტების ნაკითხვა, გაგება და გააზრება; ტექსტების შედარების საფუძველზე კონკრეტული დასკვნების გაკეთება;
- თანატოლებს შორის არსებულ პრობლემებზე მსჯელობა, სათანადო პოზიციისა და დამოკიდებულების გამოხატვა; სხვების პოზიციების შეფასება;

ძირითადი საკომუნიკაციო მიზნები

- სხვადასხვა ტიპის ტექსტების ნაკითხვა, გაგება და გააზრება; ტექსტების შედარების საფუძველზე კონკრეტული დასკვნების გაკეთება;
- თანატოლებს შორის არსებულ პრობლემებზე მსჯელობა, სათანადო პოზიციისა და დამოკიდებულების გამოხატვა; სხვების პოზიციების შეფასება;
- განწყობილებებზე, გრძნობებსა და ემოციებზე საუბარი;
- პერსონაჟთა დახასიათება მათი ქცევისა თუ გამონათქვამების მიხედვით; მათი მოქმედების მოტივის განმარტება და საქციელის შეფასება;
- პერსონაჟთა შედარებითი დახასიათება;
- ვარაუდების გამოხატვა და არგუმენტირება;
- მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის გააზრება;
- კონტექსტის მიხედვით ფრაზული გამოთქმების მნიშვნელობათა გააზრება და საკუთარი სიტყვებით განმარტება.

რეკომენდაციები კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირებით:

ურთიერთობების ხელოვნება

ადამიანებს შორის ურთიერთობის თემა ნებისმიერ ასაკში მნიშვნელოვანი და აქტუალურია. გთავაზობთ განსხვავებულ აქტივობას, რომელშიც ხალისით ჩაებმებიან 6-8 წლის მოზარდებიც.

ბავშვების გრძნობა-ემოციები და მათი გამომწვევი მიზეზები, თანატოლებ შორის ურთიერთობები, მათ მიმართ უფროსების დამოკიდებულებები.

1. მუშაობა ბავშვების ემოციებზე.

ა) აჩვენეთ ბავშვების ემოციების ამსახველი ფოტოები და სთხოვეთ დაასახელონ, რომელ ფოტოზე რომელი ემოციაა აღბეჭდილი. მიეცით საშუალება მოსწავლეებს, თავად დაარქვან სახელები ამ ემოციებს, ბავშვების განცდებს. მნიშვნელოვანია, ვინ რას და როგორ აღიქვამს თითოეულ ფოტოზე. დაუსვით კითხვები კონკრეტულ ფოტოსთან მიმართებით, მაგ., რატომ ფიქრობ, რომ ამ ფოტოზე ბავშვი სიხარულს გამოხატავს? რა ჩანს ამ ბიჭის თვალებში? როგორ/რით გამოხატავენ ადამიანები შიშს, ტკივილს...? და ა.შ. საჭიროებისამებრ, დაწერეთ დაფაზე გრძნობების / ემოციების გამომხატველი სიტყვები და სთხოვეთ მათ, დააკავშირონ ისინი შესაბამის ფოტოებთან (მაგ., შიში, უიმედობა, სიბრაზე, მრისხანება, აგრესია, პროტესტი, ბედნიერება, სიხარული, უმწეობა, მწუხარება, სევდა, აღფრთოვანება, სიმორცხვე და ა.შ.). გთავაზობთ ნიმუშებს:



ბ) ჰკითხეთ, თავადაც თუ გამოუხატავთ მსგავსი ემოციები. სთხოვეთ, გაიხსენონ, როდის და რატომ იყვნენ მონყენილები, შეშინებულები, გახარებულები, გაბრაზებულები, აგრესიულები და ა.შ. რა ფორმით ჯობია, გამოვხატოთ ჩვენი უარყოფითი ემოციები სხვების მიმართ? ყოველთვის ვართ თუ არა მართლები? გვინანია თუ არა, როცა ერთმანეთს გულს ვტკენთ, ტკივილს ვაყენებთ, დავცინით...?

გ) შესთავაზეთ ექსპერიმენტი: მე გაჩვენებთ ფოტოს. თქვენ უნდა დაასახელოთ, რას გრძნობს ბავშვი და გამოიცნოთ, რა სიტუაციაში იმყოფება ის; რამ გამოიწვია ბავშვის ემოცია.

დააფარეთ სრულ ფოტოს ფურცელი და ისე შესთავაზეთ ფრაგმენტი მოსწავლეებს.



ვარაუდების გამოთქმის შემდეგ აჩვენეთ სრული ფოტოები და შეადარეთ მათ ვერსიებს:



დ) დისკუსია კლასში. ჩამონერეთ დაფაზე შეკითხვები და სთხოვეთ აზრის გამოთქმა: რატომ ჩაგრავენ დიდები პატარებს, უფროსები ბავშვებს? რატომ ექცევიან თანატოლები ერთმანეთს აგრესიულად? რატომ ჩაგრავენ ერთმანეთს? რატომ დასცინიან და ა.შ. ჰკითხეთ, თავად თუ შესწრებიან მსგავს სიტუაციებს? როგორ მოიქცნენ ასეთ სიტუაციაში? ჰკითხეთ: თავად თუ დაუჩაგრავთ ვინმე? დაუცინიათ სხვისთვის? შეაფასებინეთ საკუთარი და სხვისი საქციელი.

რას შეცვლიდნენ, იმ სიტუაციაში თავიდან რომ აღმოჩენილიყვნენ? ან როგორ მოიქცევიან, მსგავს სიტუაციაში კიდევ რომ აღმოჩნდნენ? და ა.შ.

2. ამის შემდეგ აჩვენეთ ფილმი და განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად: მოეწონათ თუ არა, რა მოეწონათ/რა არ მოეწონათ და რატომ? და ა.შ.:

ა) **მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზუზუ“** (ირაკლი ლომოური მოთხრობის – „რიგითი რაიანის გადასარჩენად“ – მიხედვით; ფილმში მოთხრობილია პატარა ბიჭის სულიერი განცდები; სამყარო, რომელშიც ის ცხოვრობს, უბიძგებს მას მიიღოს გადაწყვეტილებები და იმოქმედოს დამოუკიდებლად) <https://www.youtube.com/watch?v=-FgSyKVSHvQ>

ბ) შეკითხვები განსჯისათვის: ეთანხმებიან თუ არა მხატვრული ფილმის პერსონაჟს? როგორ იქცევიან მისი ოჯახის წევრები? როგორ უმკლავდება თანატოლების აგრესიას? რას გრძნობს ხიდეზე მდგომი ბიჭი და რას ფიქრობს? როგორ გამოხატავს ის საკუთარ პროტესტს? თავად როგორ მოიქცეოდა მის ადგილას და რატომ? და ა.შ.

4. ამის შემდეგ გადაადით კვლავ დისკუსიაზე:

ა) დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა: შეიძლება თუ არა, შეიცვალოს ადამიანის ცხოვრება ცუდიდან კარგისკენ და პირიქით, კარგიდან ცუდისაკენ და რამ შეიძლება შეცვალოს ეს ცხოვრება? ვარაუდების გამოთქმისას ნაახალისეთ მოსწავლეები, მოიყვანონ კონკრეტული მაგალითები ფილმებიდან, პირადი ან სხვისი ცხოვრებიდან / გამოცდილებიდან და ა.შ.

ბ) მოსწავლეებს შესთავაზეთ ახალი ვიდეორგოლის ჩვენება და სთხოვეთ, გამოთქვან აზრი ვიდეორგოლში გადმოცემული ამბის გარშემო (ეს ვიდეორგოლი ეხება პატარა გოგონას (<https://www.youtube.com/watch?v=jj9E6ZEsjuw> საერთაშორისო ორგანიზაციის („გადავარჩინოთ ბავშვები“ (Save the Children) მიერ შექმნილი რგოლი – შეცვლილი ცხოვრება: ომამდე და ომის შემდეგ). დაეხმარეთ მოსწავლეებს სათანადო შეკითხვებით: რა ხდება ვიდეორგოლში? როგორ (რისკენ) შეიცვალა მისი ცხოვრება? რა ცვლის გოგონას ცხოვრებას? ნახეთ თავიდან, დააკვირდით მის ემოციებს, როგორ იცვლება გოგონას ემოციები? რა იკითხება მის სახეზე ბოლო კადრში? რატომ აღარ აქვს რეაქცია? რატომ აღარ უხარია დაბადების დღის აღნიშვნა?

გ) ამის შემდეგ დაუსვით მოსწავლეებს მორიგი შეკითხვები: თქვენ თუ გქონიათ ან ახლა გაგიჩნდათ სურვილი, შეცვალოთ სხვების ცხოვრება? როგორ / რით მოახერხებთ ამას? განიხილეთ მათი წინადადებები და შემდეგ შესთავაზეთ მცირე ფრაგმენტი ფილმიდან „გადაუხადე სხვას (PAY IT FORWARD <https://www.youtube.com/watch?v=IclardBIG-o>)“. ამსჯელეთ პატარა ბიჭის იდეის გარშემო: როგორ აპირებს ეს პატარა ბიჭი, შეცვალოს სამყარო? რის გაკეთებას აპირებს და რატომ? რისი იმედი აქვს ბიჭს? რას ფიქრობენ მისი თანაკლასელები? თქვენ რას ფიქრობთ – ეს მართლაც კარგი აზრია თუ სისულელეა? რატომ ჰგონიათ სხვებს, რომ ბიჭის იდეა უტოპიურია ანუ მიუღწეველია, შეუძლებელია მისი განხორციელება? რაზე დგას სრულყოფილი სამყარო პატარა ბიჭის აზრით? როგორია თქვენი აზრი? ვინ ეთანხმება ბიჭს და რატომ? ვინ იზიარებს მისი თანაკლასელების პოზიციას და რატომ?

სთხოვეთ მოსწავლეებს, საკუთარი პოზიციები გაამყარონ არგუმენტებით, კონკრეტული მაგალითებით.

დ) დისკუსიის დასრულების შემდეგ აჩვენეთ მორიგი ვიდეორგოლი, როგორ იცვლება ცხოვრება პატარა ბიჭისა, რომელიც შემდეგ თავად ცვლის სხვის ცხოვრებას (სიკეთე ყოველთვის ბრუნდება (<https://www.youtube.com/watch?v=8lppX-TNWKQ>) და ასაუბრეთ ვიდეორგოლის გარშემო: *რა დანაშაული ჩაიდინა ბიჭმა? რამ აიძულა ბიჭი, წამლები მოეპარა? ვინ დაიცვა ბიჭი? როგორ შეიცვალა მისი ცხოვრება? რა მოხდა წლების შემდეგ? ვინ გახდა ეს პატარა ბიჭი? როგორ გადაიკვეთა ამ ბიჭისა და იმ კაცის გზები? რა არის ამ ვიდეორგოლის მთავარი სათქმელი?*

დისკუსიის (არაოფიციალური დებატების) მოწყობა

არგუმენტირებული მსჯელობა და საკუთარი არგუმენტების დასაბუთება; სოციალური უნარ-ჩვევების გამომუშავება.


მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში მსჯელობის, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარის განვითარებას. ეხმარება მათ აზრის თანმიმდევრულად გამოხატვასა და ლოგიკური დასკვნების გამოტანაში, აგრეთვე სადავო საკითხების გადაჭრასა და ალტერნატიული გადაწყვეტილებების მოძიებაში.

არსებობს დისკუსიის/დებატების მოწყობის სხვადასხვა ფორმა: შესაძლებელია როგორც მთელი ჯგუფის ჩართვა საკითხის განხილვაში, ისე მათი დაყოფა მცირე ჯგუფებად. ჯგუფები წინასწარ ამუშავებენ სადებატო თემას / სადისკუსიო საკითხს – განიხილავენ ერთმანეთთან, აყალიბებენ საკუთარ მოსაზრებებს, თანხმდებიან საერთო პოზიციაზე, განსაზღვრავენ დებატებში მონაწილეობის ფუნქციებს – ვინ შეიძლება დაიწყო, ვინ გააგრძელოს, ვინ როდის / რა შემთხვევაში ჩაერთოს, ვინ რის შესახებ ისაუბროს, ვინ რა არგუმენტი მოიშველიოს და ა.შ.

1. დისკუსიის გამართვამდე მოსწავლეები მოამზადეთ არგუმენტირებული მსჯელობისათვის – ავარჯიშეთ ისინი. ამისათვის მნიშვნელოვანია, კარგად გააგებინოთ, რას გულისხმობს არგუმენტირების სტრუქტურა. ეს არის:

- ✓ თვალსაზრისი / მოსაზრება, რომელიც უნდა დასაბუთდეს;
- ✓ არგუმენტი, რომელიც ასაბუთებს ამ მოსაზრებას; არგუმენტს თან ახლავს მტკიცებულება ან მტკიცებულებები – ფაქტები, მაგალითები სხვისი ან პირადი გამოცდილებიდან და ა.შ.

ა) გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული სქემა (კარგი იქნება, თუკი მას გადაიტანთ დიდ ფორმატზე) და კითხვების გამოყენებით გააკეთეთ აქცენტები: *რა არის მოსაზრება?* – კონკრეტული დებულება, გარკვეული აზრი რაიმე საკითხზე; *რა არის არგუმენტი?* – აზრის დასაბუთება; *რისთვის ვიყენებთ არგუმენტს?* – იმისათვის, რომ დავასაბუთოთ, მოცემული დებულება სწორია თუ არა; *როგორი სახის არგუმენტი არსებობს?* – მტკიცებითი ანუ არგუმენტი, რომელიც ეთანხმება გამოთქმულ მოსაზრებას და უარყოფითი ანუ არგუმენტი, რომელიც არ ეთანხმება ამ მოსაზრებას.



ბ) საილუსტრაციოდ განიხილეთ სქემაზე მოცემული მაგალითი: ნაიკითხეთ დებულება – ცნობილია, რომ სახლში ცხოველის ყოლა ბავშვებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია და დასვით შეკითხვა: ასეა თუ არა? ამის შემდეგ გააცანით მოსწავლეებს ჯერ მტკიცებითი არგუმენტი (საიდან ჩანს, რომ ეს ასეა) და შემდეგ – უარყოფითი (საიდან ჩანს, რომ ეს ასე არ არის).

გ) სთხოვეთ მოსწავლეებს, აირჩიონ ის არგუმენტი, რომელსაც ეთანხმებიან და მოიტანონ სათანადო ფაქტი ან მაგალითი მის დასამტკიცებლად სხვისი ან პირადი ცხოვრებიდან.

2. ამის შემდეგ მიეცით ახალი სავარჯიშო: *გაეცანით ინფორმაციას და შეასრულეთ მოცემული დავალებები.*

ამბობენ, რომ მაიმუნებსაც შეუძლიათ თანაგრძნობის გამოხატვა. ერთხელ ჩიკაგოს ზოოპარკში სამი წლის ბიჭი გორილების ვოლიერში ჩავარდა და გონება დაკარგა. მდედრმა გორილამ ბიჭი აიყვანა და ნაზად დაარწია.

- დაასახელეთ, რომელია აქ მოსაზრება და რომელი – არგუმენტი.
- დაასახელეთ, მოყვანილი არგუმენტი მტკიცებითია თუ უარყოფითი. საიდან ჩანს?
- ამტკიცებს თუ არა მოყვანილი ფაქტი იმ მოსაზრებას, რომ მაიმუნებსაც შეუძლიათ თანაგრძნობის გამოხატვა?

3. გადადით სადებატო საკითხებზე (გვ. 174, №6) – ა) სიტყვას დიდი ძალა აქვს; ბ) ცხოველებს ადამიანებთან მეგობრობა არ შეუძლიათ.

4. დებატების დაწყებამდე მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავეთ დებატების წარმართვის წესები და სათანადო ქცევის ნორმები, მაგალითად:

- არ წამოვიყვიროთ. ხელის აწევით დავაფიქსიროთ დისკუსიაში ჩართვის / აზრის გამოთქმის სურვილი;
- არ შევანწყვეტინოთ ერთმანეთს საუბარი, დავაცადოთ აზრის გამოთქმა;
- დავიცვათ რეგლამენტი;
- პატივი ვცეთ სხვის მოსაზრებას;
- ვიყოთ კორექტულები მეტყველებისას და ქცევისას და ა.შ.

6. დებატების წინ შესაბამისად მოაწყვეთ სივრცე მოსწავლეებთან ერთად.

6-8 წლის მოსწავლეები, შეგიძლიათ, ამსჯელოთ კონკრეტული პერსონაჟის ქცევაზე. ნიმუშისათვის გთავაზობთ ქართულ მულტფილმს – „ყურმა გაყოყორდა“. მულტფილმის ყურების შემდეგ გამართეთ მინიდისკუსია.

მულტფილმის ყურებამდე დაუსახელოთ სადისკუსიო თემა, რომ ყურების დროს განსაკუთრებული ყურადღებით დააკვირდნენ და გაიაზრონ თითოეული დეტალი.

აქტივობის მიზანია პერსონაჟის დადებით და უარყოფით მხარეებზე არგუმენტირებული მსჯელობისა და საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარის განვითარება:

1. მოსწავლეებთან ერთად დაგეგმეთ მინიდისკუსიის მოწყობა და განსაზღვრეთ სადისკუსიო თემა – ქცევის წესები.

2. შეარჩიეთ მასალა, რომელზედაც იმსჯელებთ – მაგ., ყურმას ქცევის შეფასება (ქართული მულტფილმიდან „ყურმა გაყოყორდა“).

3. დაავალეთ მოსწავლეებს (ან თავად უზრუნველყავით ერთობლივი ჩვენება), რომ ნახონ ეს მულტფილმი და მოამზადეთ მოსწავლეები სადისკუსიოდ. ამისათვის კლასში იმუშავეთ ჯერ ტექსტის გაგებაზე:

განიხილეთ ცალკეული სიტუაცია:

- ✓ დაასახელოთ, რა გახდა კონკრეტულ სიტუაციაში ყურმას ამგვარი ქცევის წინაპირობა;
- ✓ რა შედეგი მოჰყვა კონკრეტულ ქცევას.

დაყავით ყურმას ისტორია მონაკვეთებად და შეადარეთ ერთმანეთს:



ყურმა ტყეში



ყურმა ქალაქში

ყურადღება მიაქციეთ:

- რა სიტუაციაში იწყება ყურმას გაყოფილება?
- თქვენი აზრით, რამ შეუწყო ხელი მას ამაში?
- რით დამთავრდა ეს ყველაფერი?
- იმსახურებდა თუ არა ყურმა ცემას? რატომ ფიქრობთ ასე?

4. ამის შემდეგ დაყავით კლასი მცირე ჯგუფებად, მიეცით სადისკუსიო საკითხი – როგორი გმირია ყურმა – დადებითი თუ უარყოფითი? – და გაუნანილეთ როლები (აქტივობის დაგეგმვა-განხორციელებაში აქტიურად ჩართეთ მოსწავლეები):

- ერთი ჯგუფი ისაუბრებს ყურმას დადებით მხარეებზე და გაამყარებს საკუთარ პოზიციას სათანადო არგუმენტებით;
- მეორე ჯგუფი ისაუბრებს ყურმას უარყოფით მხარეებზე და გაამყარებს საკუთარ პოზიციას შესაბამისი არგუმენტებით.

5. გააცანით მოსწავლეებს სათანადო სტრატეგიები, რომლებიც დაეხმარება მათ დისკუსიის დროს:

- შეადგინონ მარტივი სახის მოკლე ჩანაწერები – ჩაინიშნონ მნიშვნელოვანი სიტყვები / მოსაზრებები, სათანადო ლექსიკა და ენობრივი ფორმულები, რომლებსაც გამოიყენებენ და ა.შ.
- შეადგინონ საკუთარი გამოსვლის გეგმა, რომელსაც გაჰყვებიან მსჯელობის დროს.
- ანარმონ ჩანიშნები დისკუსიის პროცესში – ვინ რას ამბობს, რა არგუმენტი მოჰყავს და ა.შ. ჩაინიშნონ დამატებითი არგუმენტები და ა.შ.

მასწავლებლის დაკვირვების ფურცელი.

	I ჯგუფი	II ჯგუფი
პირობასთან შესაბამისობა: <ul style="list-style-type: none"> • იცავს შინაარსობრივ მოთხოვნებს – კი / არა • მსჯელობს არგუმენტირებულად – კი / არა • აკეთებს დასკვნებს – კი / არა 		
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები: <ul style="list-style-type: none"> • მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს – კი / არა • იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს (თვალით, ჟესტებით, ხმით) – კი / არა 		

<ul style="list-style-type: none"> • კორექტულია ოპონენტის მიმართ, ისმენს და კონსტრუქციულად პასუხობს განსხვავებულ აზრს – კი / არა 		
<p>ენობრივი უნარ-ჩვევები: სწორად არჩევს ენობრივ რესურსებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ლექსიკას – კი / არა • წინადადებების მოდალობებს – კი / არა • სამეტყველო ეტიკეტის ენობრივ ფორმულებს – კი / არა 		

გვ. 167:

„ჩვენი დროის ათი მცნება“
(წერილი ქალიშვილს, ქეთევან ჯავახიშვილს)

- ა) გაახსენეთ მიხეილ ჯავახიშვილის ტრაგიკული ისტორია.
 ბ) რა ახსოვთ ჯავახიშვილის ათი მცნებიდან?
 მონიშნონ, მოცემული ჩამონათვალიდან რას უსვამს ხაზს მიხეილ ჯავახიშვილი და შემდეგ დააღაგონ თანამიმდევრულად – რომელი დგას პირველ ადგილზე, რომელი – მეორეზე და ა.შ.

მონიშნეთ, რომელია სწორი	დაალაგეთ თანმიმდევრულად
1. გონიერება 2. გაჭირვებულთა დახმარება 3. ქველმოქმედება 4. შრომა და პატიოსნება 5. სამშობლოს მსახურება 6. ოჯახის ერთგულება 7. თავმოყვარეობა და არა – სიამაყე 8. პიროვნული სიძლიერე 9. მშობლების დაჯერება 10. მშობლების არდავინყება	სწორი ვარიანტი: სამშობლოს მსახურება პიროვნული სიძლიერე გონიერება შრომა და პატიოსნება მშობლების დაჯერება თავმოყვარეობა და არა – სიამაყე

გვ. 170, №3: შეადარეთ სამივე წერილი ერთმანეთს მასწავლებლის მითითებებით.

- ა) დებულებებამდე დაიყვანონ ჩესტერფილდისა და ჩარლი ჩაპლინის შეგონებანი ისე, როგორც ეს არის მიხეილ ჯავახიშვილთან;
- ბ) ამის შემდეგ შეადაროს სამივე – ვინ რაზე ამახვილებს ყურადღებას? რა არის მნიშვნელოვანი? და ა.შ.
- გ) ცალკე გადმონერონ ის დებულებები, რომლებიც საერთოა სამივესთან.

ადამიანი და ბუნება



„საკუთარი სიცოცხლის შემოკლება“
„გოგონა მაუგლი“ - ტიპი დეგრე
წითელი წიგნი



დაცული ტერიტორიები



ვაჟა და ფიროსმანი
„შვლის ნუკრის ნაამბობი“





ძირითადი კომუნიკაციური მიზნები

- ილუსტრაციების „ნაკითხვა“ და საკუთარი პოზიციების, ვარაუდებისა და შეფასებების გამოხატვა;
- საინფორმაციო და შემეცნებითი ხასიათის ტექსტების ნაკითხვა, გაგება და გააზრება; ტექსტების / ცალკეული ინფორმაციების შედარების საფუძველზე კონკრეტული დასკვნების გაკეთება;

ძირითადი საკომუნიკაციო მიზნები

- ილუსტრაციების „ნაკითხვა“ და საკუთარი პოზიციების, ვარაუდებისა და შეფასებების გამოხატვა;
- საინფორმაციო და შემეცნებითი ხასიათის ტექსტების ნაკითხვა, გაგება და გააზრება; ტექსტების / ცალკეული ინფორმაციების შედარების საფუძველზე კონკრეტული დასკვნების გაკეთება;
- ეკოლოგიურ საფრთხეებთან დაკავშირებულ პრობლემებზე მსჯელობა და სათანადო პოზიციის გამოხატვა;
- ტექსტის მთავარი სათქმელის გაგება/გააზრება;
- კვლევის შედეგების შედარება/გააზრება;
- მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების გაგება/გააზრება;
- კონტექსტის მიხედვით ფრაზული გამოთქმების მნიშვნელობათა გააზრება და საკუთარი სიტყვებით განმარტება.

რეკომენდაციები კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირებით:

ადამიანის გავლენა ბუნებაზე

გვ. 176, №3: ნაუკითხეთ ტექსტი ნელა და გარკვევით.

მეცნიერები შემაშფოთებელ განცხადებებს აკეთებენ – მსოფლიოს სხვადასხვა ადგილიდან თანდათან ქრებიან მცენარეთა და ცხოველთა გარკვეული სახეობები. თუ ასე გაგრძელდა, სავარაუდოდ, 25 წელიწადში საერთოდ გაქრება გველებისა და ფუტკრების ყველა სახეობა.


გასული ნახევარი საუკუნის განმავლობაში მკვეთრად შემცირდა ლომების, ლეოპარდების, ავაზებისა და, განსაკუთრებით, ვეფხვების რაოდენობა. ორი ათწლეულის შემდეგ შეიძლება აღარც იარსებოს დიდი კატების უმეტესობამ.

გთავაზობთ სახალისო აქტივობებს 6-9 წლის ბავშვებისათვის:

1. გამაფრთხილებელი აბრების შექმნა

1. მიეცით ნებისმიერი გამაფრთხილებელი აბრა და დააკვირვეთ მათზე, რა დანიშნულება აქვს ამ აბრას? რის შესახებ იძლევა ის ინფორმაციას?

მაგალითად:



აბრაზე დაკვირვების შემდეგ მიეცით წარწერები და სთხოვეთ დააკავშირონ ყველა შესაძლო ვარიანტი აბრასთან:

- ა) ფრთხილად, საშიშია!
- ბ) დაგვირეკეთ ახლავე!
- გ) არ მიეკარო, გადავარდები!
- დ) არ მიეკარო, დაგარტყამს! და ა.შ.

ჰკითხეთ, რას შეიცავს ნახატის ამსახველი წინადადებები: გაფრთხილებას, სურვილს თუ თხოვნას? ...

2. გამაფრთხილებელ აბრებზე მუშაობის შემდეგ შესთავაზეთ მოსწავლეებს, თავად შექმნან მსგავსი აბრები და გაუკეთონ შესაბამისი წარწერები.

ა) ამის შემდეგ გადადით თემატურ აბრეზზე და დაიწყეთ მარტივი ვარიანტით: მიეცით სიტუაციური სურათი (ან გამაფრთხილებელი ნიშანი) და დაასრულებინეთ დაწყებული წარწერა: არ დაანაგვიანოთ -----! გთავაზობთ გამაფრთხილებელი აბრეზის ნიმუშებს:

• ცხოველები



ნუ მისცემთ საკვებს!



ახლოს ნუ მიხვალთ!




ფრთხილად, ეზომი ავი ძალღია!



ყურადღებით, წინ ცხოველია!

• ექსკურსიაზე




არ შეეხო, საშიშია!



გაუფრთხილდით ბუნებას!
ნუ დაყრით ნაგავს!



არ დატოვოთ ცეცხლი ანთებული!
ჩააქრეთ კოცონი!



ახლოს არ მიხვიდეთ, სახიფათოა!

ბ) მიეცით კონკრეტული სიტუაცია (მაგ., ბავშვები ანვალევენ ცხოველს; ბავშვი წვიმის დროს ხეს აფარებს თავს; პატარა ბიჭი ასანთით თამაშობს და ა.შ.) და სთხოვეთ ამ სიტუაციის შესაბამისი გამაფრთხილებელი წარწერის მოფიქრება.

გ) შეგიძლიათ პირიქითაც: მიეცით გამაფრთხილებელი წარწერა და სთხოვეთ, დახატონ შესაბამისი აბრა.

2. შინაური ცხოველების მოვლა – წესებისა და რეკომენდაციების შედგენა (როგორ მოვუაროთ შინაურ ცხოველებს?):

1. დაიწყეთ მოსწავლის პირადი გამოცდილებით.

ა) ჰკითხეთ: *ჰყავთ თუ არა სახლში შინაური ცხოველები, ფრინველები და ა.შ. ვის რა ჰყავს, რა ჰქვია, როგორია, ვინ უვლის მას; თვითონ მონაწილეობს თუ არა მის მოვლაში, როგორ მონაწილეობს; რას აკეთებს კონკრეტულად და ა.შ.*

კითხვა-პასუხში ჩართეთ ის მოსწავლეებიც, რომლებსაც არ ჰყავთ სახლში შინაური ცხოველები. ჰკითხეთ: *სწორად იქცევა თუ არა მისი თანაკლასელი? მართალია თუ არა, რომ ლეკვს არ უნდა მივცეთ ძვალი? რომ კნუტი ხშირად არ უნდა ვაბანაოთ? მას რომ ჰყავდეს ლეკვი, როგორ მოუვლიდა, რას გააკეთებდა და რას – არა? და ა.შ.*

ბ) ამის შემდეგ დაყავით ისინი მცირე ჯგუფებად, დაურიგეთ სამუშაო ფურცლები და სთხოვეთ, ჩამოწერონ ცხრილში წესები, რომლებიც უნდა დაიცვან ძაღლის მოვლისას:

რა უნდა გააკეთო	რა არ უნდა გააკეთო

გ) სამუშაოს დასრულების შემდეგ გააცანით ჯგუფებს ერთმანეთის ნამუშევრები და შეადარეთ – რა მსგავსება და რა განსხვავებაა მათ შორის.

დ) ამის შემდეგ ნაუკითხეთ ტექსტი – როგორ უნდა მოვუაროთ ძალს და ნახეთ, რა დაემთხვა და რა – არა.

ძალის მოვლა

ძალის მოვლას თავისებური ნებისყოფა და უნარი უნდა. თანაც, მის მოსავლელად ადამიანს დრო უნდა ჰქონდეს. როგორც ადამიანს, ძალსაც თავისი განრიგი უნდა ჰქონდეს: ერთსა და იმავე დროს უნდა ჭამდეს, გასეირნებაც ერთსა და იმავე დროს არის სასურველი.

სადგომი

ძალმა თავისი ადგილიც უნდა იცოდეს: არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეძინოს დივანზე, სავარძელზე, ლოგინზე და ასე შემდეგ.


კვება

ძალის საკვები ასაკის მიხედვით უნდა შეირჩეს. ლეკვისათვის არ არის სასურველი ძვალი... აუცილებლად უნდა ჰქონდეს საკუთარი წყლის და საჭმლის ჭურჭელი. წყალი ძალს ყოველთვის ახლოს უნდა ჰქონდეს, ეს უნდა იყოს ნადგამი წყალი.

ჰიგიენა

არსებობს ჰიგიენის ნორმები, რომლებიც აუცილებლად უნდა დავიცვათ. აუცილებელია რეგულარულად ძალის დავარცხნა და მისი დროულად დაბანა. დაბანისას აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ სპეციალური შამპუნი. რეგულარულად უნდა გავრეცხოთ ის საფენიც, რომელზედაც ძალი წევს.

2. გააცანით მოსწავლეებს მსგავსი ტექსტების შესაქმნელად საჭირო მოდელი და ყურადღება მიაქცევინეთ რუბრიკებს – რის შესახებ უნდა იყოს კონკრეტული რუბრიკის ქვეშ მოცემული ინფორმაცია.



3. ამის შემდეგ დაურიგეთ კონკრეტული მონაცემები მოსწავლეებს და შეადგინეთ ტექსტი. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

ა) როგორ მოვუაროთ ზაზუნას?

სადგომი (ლითონის გალია ან ტერარიუმი): გამათბობლიდან და ღია ფანჯრიდან მოშორებით. ფსკერზე ნახერხი. სარბენი ბორბალი გალიაში თამაშისა და ვარჯიშისათვის. პატარა მოსაფარებელი ყუთი დასაძინებლად.

კვება: სპეციალური საჭმელი დღეში ორჯერ. მცირე რაოდენობის ხილი და ბოსტნეული. წყალს პრაქტიკულად არ სვამენ.

ჰიგიენა: ნახერხის გამოცვლა 3-4 დღეში ერთხელ. გალიის ხშირი გასუფთავება. მისი გარეცხვა კვირაში ერთხელ. ცხოველის დაბანა არ შეიძლება (კატებივით თვითონ ისუფთავებენ თავს).

ბ) როგორ მოვუაროთ კატას?

სადგომი: საძინებელ ადგილს თავად ირჩევს.

საკვები: საკვებთან ერთად წყლით სავსე ჯამი. სოსისი ან მსგავსი საკვები მარტო ზრდასრული კატებისთვის.

ჰიგიენა: სისუფთავის მოყვარულია. სულ ითხოვს მოვლას. ხშირად ბანაობა არ შეიძლება (შეიძლება ადვილად გაცივდეს). დავარცხნა დაბანამდე.

გ) როგორ მოვუაროთ თევზებს?

სადგომი: აკვარიუმის მონყობა ქვებით, ხელოვნური წყალმცენარეებითა და ლაბირინთებით. პერიოდულად წყლის დამატება. წყლის თერმომეტრით ტემპერატურის გაკონტროლება. წყლის გამათბობლის დაყენება.

კვება: ერთსა და იმავე დროს. ზედმეტი ჭამა დამლუპველია.

ჰიგიენა: წყლის ფილტრების დროდადრო განმენდა. ორ კვირაში ერთხელ წყლის მესამედის გამოცვლა.

„საკუთარი სიცოცხლის შემოკლება“

კოგნიტური დიაგრამების გამოყენება საინფორმაციო და დარგობრივი ტექსტების გაგება-გააზრებისათვის (მუხრან მაჭავარიანის „საკუთარი სიცოცხლის შემოკლება“).

მიზანი – სააზროვნო სქემების ანუ კოგნიტური დიაგრამების გამოყენების უნარი ტექსტის გაგება-გააზრებისათვის. ტექსტის უცნობ ლექსიკაზე მუშაობა კოგნიტური სქემების გამოყენებით.

კოგნიტური დიაგრამების საშუალებით მოსწავლე: ანაწევრებს მოცემულ ინფორმაციას; ორგანიზებას უკეთებს ინფორმაციას; შეიცნობს მთელისა და დეტალების ურთიერთმომართებას; ეჩვევა კრიტიკულ აზროვნებას; სწავლობს დამოუკიდებლად მუშაობას.

როდის და როგორ გამოიყენება კოგნიტური დიაგრამები: ახალი მასალის გაცნობა-წარმოდგენისას, ასევე მასალის ათვისების შემდეგ შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების დროს; ტექსტის კითხვისა და დამუშავების, ასევე წერიტი სამუშაოს დაწყების დროს; საშინაო დავალების, ასევე საკლასო სამუშაოს ჩატარების დროს; როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფებში მუშაობის დროს.

1. გაცნობითი კითხვა. დაურიგეთ მოსწავლეებს ქვემოთ მოცემული ცხრილი, წააკითხეთ ტექსტი და შეასრულებინეთ შემდეგი დავალება: ა) ამონერონ ცხრილში ის ინფორმაცია (ან ინფორმაციები), რომელსაც მიიჩნევენ მათთვის საჭიროდ და მნიშვნელოვნად; ბ) განმარტონ, ახსნან, რით არის ეს ინფორმაცია (ინფორმაციები) მათთვის მნიშვნელოვანი და საჭირო:

„საკუთარი სიცოცხლის შემოკლება“	
ჩემთვის მნიშვნელოვანი და საჭიროა:	რით არის მნიშვნელოვანი და საჭირო?

2. მუშაობა უცნობ ლექსიკაზე. დაურიგეთ მოსწავლეებს ამობეჭდილი ტექსტები (ლექსიკონის გარეშე), მარკერები და ამუშავეთ ტექსტში არსებულ მათთვის უცნობ ლექსიკაზე შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) წაკითხეთ ტექსტი თავიდან და მარკერით მოანიშვინეთ ან გაახაზვინეთ მათთვის უცნობი / გაუგებარი სიტყვები.

ბ) დაურიგეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი და სთხოვეთ მისი პირველი სამი სვეტის შევსება მონიშნული სიტყვების გამოყენებით (ერთი ნიმუში გააკეთეთ მოსწავლეებთან ერთად):

უცნობი სიტყვა	კონტექსტი	ჩემი განმარტება (როგორ მესმის მე)	სალექსიკონო განმარტება
ეროზია	ხელისგულისოდენა ადგილები ეროზიამ დაფშალა და დაარღვია.	ალბათ, დააზიანა, გააფუჭა.	


წაკითხეთ მოსწავლეებს და შეადარეთ მათი ნამუშევარი ერთმანეთს – ვინ რომელი სიტყვა ამონერა და როგორ განმარტა, დაემთხვა თუ არა განმარტებები, რა დაემთხვა და რა – არა.

ამის შემდეგ მიეცით ლექსიკონი (შეგიძლიათ, გამოიყენოთ როგორც მოცემული სახელმძღვანელო, ისე უცხო სიტყვათა და განმარტებითი ლექსიკონები) და მისი დახმარებით შეავსებინეთ ცხრილის ბოლო სვეტი.

გ) სიტყვის პირამიდა. მოცემული გრაფიკული სქემის გამოყენებით დამატებით ამუშავეთ მოსწავლეები ლექსიკონური მარაგის გასამდიდრებლად.

იმისათვის, რომ დავალების მოთხოვნა არ განმეორდეს და, შესაბამისად, მუშაობის პროცესიც მოსაწყენი არ გახდეს, ცვალებით პირობები.

გთავაზობთ ნიმუშებს:



ეროზია
ნიადაგის დაშლა



1. ხეების ინტენსიური გაჩეხა ნიადაგის ეროზიას იწვევს.
2. ეროზირებულმა ნიადაგმა შეიძლება მენყერი გამოიწვიოს.
3. ტყის გაჩეხის გარდა, ეროზიას ხშირად არასწორი მორწყვაც იწვევს.
4. როცა მიწა გამოიფიტება, მაშინ იწყება ეროზია.

3. ამის შემდეგ გადადით ტექსტში გადმოცემული იდეებისა და თემების გაგება-გააზრებისაკენ მიმართულ აქტივობებზე კოგნიტური სქემებისა და დიაგრამების გამოყენით:


ა) პირველ რიგში, იმუშავეთ შინაარსის გაგებაზე: ტექსტზე დაყრდნობით შეავსებინეთ მსგავსი ცხრილები – მოსწავლეებმა უნდა გაარკვიონ, მოცემული ინფორმაციები სწორია, არ არის სწორი თუ არ ჩანს ტექსტში. გთავაზობთ ნიმუშს:

		სწორია	არ არის სწორი	არ ჩანს ტექსტში
1	ტყეების გაჩეხის შესახებ ინფორმაცია ავტორმა სოფლიდან ჩამოსული სტუმრისგან შეიტყო.			
2	შუახანს გადაცილებულ კაცს აღფრთოვანებით უსმენდა ავტორი.			
3	სტუმარმა ავტორს არსებული ვითარების შესახებ სტატიის დანერა სთხოვა.			


ცხრილის შევსების შემდეგ დაუბრუნდით არასწორ ინფორმაციას და გაასწორებინეთ ტექსტის მიხედვით; არასწორი ინფორმაციაა: *ავტორი აღფრთოვანებით უსმენდა სტუმარს. ეს ჩანს იქიდან, რომ ტექსტში წერია: „ ეგ ვერაა-მეთქი კარგი ამბავი, – ვუთხარი მე“.*

ბ) მოვლენათა ჯაჭვი – ეს არის გრაფიკული სქემა, რომელიც მოვლენების / ფაქტების ურთიერთკავშირს აფიქსირებს (ჯერ რა მოხდა, ამას რა მოჰყვა, შემდეგ – რა და ა.შ.).

მაგალითად:



გ) კოგნიტური სქემების გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანი და ეფექტურია კონკრეტული მიზეზშედეგობრივი კავშირების დასადგენად. მაგალითად, მიეცით მოსწავლეებს გასაანალიზებლად კონკრეტული მოვლენა / ფაქტი და სთხოვეთ, შეავსონ სქემა ტექსტზე დაყრდნობით – ჩანერონ ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზი და შედეგი, რაც ამ ფაქტს მოჰყვა:



პროექტი – „მონადირის გასამართლება“

ლიტერატურული სამსჯავროს გამართვა – იმიტირებული სასამართლო (ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობი“

მიზანი – ტექსტის სიღრმისეული ცოდნის გამოვლენა; მხატვრულ ტექსტში მოცემული ამბის გააზრება/შეფასების უნარის ფლობა; პერსონაჟთა ქცევის გააზრების, პრობლემის შეფასებისა და სათანადო დასკვნების გამოტანის უნარის ფლობა; დამარწმუნებელი ზეპირი გამოსვლა; სოციალური და შემოქმედებითი უნარების განვითარება.

მსგავსი აქტივობები ზეპირმეტყველებითი უნარ-ჩვევების გამომუშავებასთან ერთად ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებასაც.

როგორც წესი, ლიტერატურული სამსჯავრო ეფუძნება სასწავლო მასალას. შესაბამისად, მსგავსი იმიტირებული სასამართლოს მოსაწყობად შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი თხზულება, რომელშიც დასმულია პრობლემა ან ასახულია ადამიანური კონფლიქტები.

მოგებასა და წაგებას აქ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. მთავარი სხვა რამეა. ცალკეულ მოვლენებთან ერთად მსგავს სამსჯავროზე შიშვლდება ე.წ. პროცესში მონაწილეთა ხასიათები და შემოქმედებითი უნარები. მოსწავლეები ინაწილებენ როლებს და თუკი, ერთი მხრივ, ცდილობენ ზუსტად განასახიერონ საკუთარი პერსონაჟები, მეორე მხრივ, შეაქვთ საკუთარი შტრიხები, რომლებიც კიდევ უფრო მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის ამ ყველაფერს. ამგვარ აქტივობებში მოსწავლეები უფრო თავისუფლები, გახსნილები და მოტივირებულები არიან. ცდილობენ სიღრმისეულად გაიაზრონ ტექსტი, ცალკეული ეპიზოდები, მომენტები, მოვლენებ შორის არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირები და ა.შ., რათა შეძლონ მყარი არგუმენტების მოფიქრება როგორც საკუთარი პერსონაჟის პოზიციის დასაცავად, ასევე სხვა პერსონაჟების გამართლებელი ან გამამტყუნებელი მტკიცებულებების მოსაფიქრებლად.

1. ტექსტზე მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეებთან ერთად დაგეგმეთ იმიტირებული სასამართლოს მოწყობა – „მონადირის გასამართლება“.

ა) პირველ რიგში, საერთო გადაწყვეტილებით შეარჩიეთ:

- მოსამართლე და ნაფიცი მსაჯულები (რომელთაც ყველა ენდობა. განსაზღვრეთ ნაფიცი მსაჯულთა რაოდენობა);
- ბრალდებული (მონადირე – ახალგაზრდა ბიჭი);
- მოწმეები: შვლის ნუკრი (მთავარი მოწმე), დედა-შვილი, მეცხვარე, მეცხვარის ყურშა.

დარჩენილი მოსწავლეები დაყავით ორ ჯგუფად – დაცვისა და ბრალდების მხარეებად და დაიწყეთ პროცესისათვის მზადება.

ბ) მოსწავლეებს გააცანით ძირითადი მეთოდები, რომელთა გამოყენებაც მნიშვნელოვანია ზოგადად ნებისმიერი დებატების წარმართვისას:

- კითხვების დასმა: ემყარება ლოგიკას და ითხოვს არგუმენტირებულ პასუხებს,

რომელთა საშუალებითაც კეთდება სათანადო დასკვნები. ეს მეთოდი აქტუალურად გამოიყენება როგორც სასამართლო პროცესებზე დაკითხვისას, აგრეთვე დებატებშიც. მისი მიზანია ქეშმარიტების დადგენა;

- **დარწმუნება:** მისი მიზანია ოპონენტის (აუდიტორიის) დარწმუნება ჩვენი აზრის უპირატესობაში. ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ ლოგიკური მსჯელობა და ლოგიკური კავშირების დადგენა.
- **ზემოქმედება:** ამ მეთოდის მიზანიც გულისხმობს იმ პირთა დარწმუნებას, რათა ჩვენს სასარგებლოდ იმოქმედონ, ოღონდ ეს ქმედება ლოგიკას არ ემყარება და მოიცავს სხვადასხვა ფსიქოლოგიურ და ემოციურ ზემოქმედებას.
- **ეფექტის მოხდენა:** ამ შემთხვევაში გამომსვლელისათვის მთავარი ხდება არა ის, თუ რას ამბობს, არამედ ის, თუ ვის ეუბნება. მისი ყურადღება მთლიანად აუდიტორიაზე გადადის და აქცენტი კეთდება ინტონაციაზე, შესტიკულაცია-სა და მიმიკაზე.

მკაფიოდ განუმარტეთ მონაწილეებს საკუთარი ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი, მაგ., რა ევალება **მოსამართლესა და ნაფიც მსაჯულებს?**

- ისინი ვალდებული არიან, იყვნენ სამართლიანები და მიუკერძოებლები; გადაწყვეტილება, რომელსაც წარადგენენ, უნდა დაასაბუთონ და გაამყარონ სათანადო არგუმენტებით.
- მოსამართლე ასევე ვალდებულია, წესების დაცვით წარმართოს პროცესი – უზრუნველყოს სიმშვიდე, წესრიგის დაცვა; პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ; გულისყურით მოუსმინოს გამომსვლელებს და ჩაინიშნოს მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, არგუმენტები და ა.შ.

გ) სთხოვეთ მოსწავლეებს, კიდევ ერთხელ მიუბრუნდნენ ტექსტს და მოინიშნონ მათთვის აზრობრივი და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ეპიზოდები და განმანათქვამები, რომლებსაც გამოიყენებენ პროცესზე; ზედმინევენით კარგად დაიმახსოვრონ განსაკუთრებით ის ეპიზოდები და ადგილები, რომელთა მოყოლაც (ან მოსმენაც) მოუწევთ პროცესზე დეტალურად, მაგალითად:

*სწორად იხსენებს თუ არა **დედა-შვილი შვლისა** და მის **ნუკრთან** შემთხვევით შეხვედრას – სად იყვნენ და რას აკეთებდნენ? რა რეაქცია ჰქონდათ? რა გაიგონეს / რა დაინახეს? / რა თქვეს? და ა.შ.*

*რას მოჰყვებიან **მეცხვარე** და **მისი ძაღლი** – რა იციან? რა არ იციან? რა დაინახეს? რა არ დაუნახავთ? რა გაიგეს? რა არ გაუგიათ? რა გააკეთეს? როგორ მოიქცნენ? და ა.შ.*

დ) ამის შემდეგ მხარეებს მიეცით წერილობითი ინსტრუქციები და შემდეგ ცალ-ცალკე იმუშავეთ მათთან.

ყურადღება გაამახვილეთ დამარწმუნებელი ზეპირი გამოსვლის მიზანზე – შეცვალოს მსმენელის აზრი, თვალსაზრისი, პოზიცია, შეხედულება და შეძლოს მისი დარწმუნება ან გადარწმუნება. ამისათვის მნიშვნელოვანია, გამომსვლელმა სწორად განსაზღვროს სათქმელი, კარგად ესმოდეს პრობლემა, ზედმინევენით იცნობდეს საქმის დეტალებს,

მის არგუმენტებს ახლდეს სათანადო მტკიცებულებები (დამადასტურებელი მასალა, ფაქტები, მაგალითები...) და ა.შ.

საჭიროებისამებრ, კიდევ ერთხელ აუხსენით, როგორ ააგონ არგუმენტირებული მსჯელობა, რა არის არგუმენტი და როგორი არგუმენტი არსებობს; რა შეიძლება გამოიყენონ დამატებით არგუმენტებად ზოგადად: ფაქტები, კვლევის შედეგები, ანალოგიები, მიზეზშედეგობრივი კავშირები და ა.შ.

აუხსენით მხარეებს, რომ საბოლოო სიტყვის დროს მათი ზეპირი გამოსვლა უფრო ცოცხალი, შთამბეჭდავი და საინტერესო იქნება მსმენელებისათვის, თუკი გამოსვლის ტექსტს არა უბრალოდ წაიკითხავენ, არამედ ზეპირად ისაუბრებენ და სათანადო კონტაქტს დაამყარებენ აუდიტორიასთან, თუმცა დასახმარებლად შეუძლიათ, გამოიყენონ მოკლე ჩანაწერები, გეგმა.

ასევე გააფრთხილეთ, რომ გამოსვლის ტექსტის მომზადებისას გეგმის შედგენასთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია შესავალი ნაწილისა და დასკვნის ჩამოყალიბება, ადეკვატური ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების სწორად შერჩევა და გამოყენება (მაგ., არგუმენტირებული მსჯელობისათვის დამახასიათებელი და შეფასება-დამოკიდებულების გამომხატველი ენობრივი ფორმულები და ა.შ.).

შესაძლებელია, მისცეთ მოსწავლეებს ენობრივი რესურსი, რომელსაც გამოიყენებენ ისინი ზეპირი გამოსვლის ტექსტის მომზადებისას, მაგალითად: **როგორც ... ამბობს; ...ის ინფორმაციით; ჩვენი ვარაუდით; როგორც გაირკვა; ზოგადად ცნობილია, რომ; მოგახსენებთ, რომ; გვინდა დაგარწმუნოთ, რომ** და ა.შ.

ასევე მიეცით ფაქტებს, მოვლენებს, ქცევებს შორის არსებული ლოგიკური მიმართებების ამსახველი ენობრივი საშუალებებიც (ე.წ. გადასვლები), რომლებიც შეიძლება იყოს როგორც ცალკეული სიტყვა, ისე შესიტყვება, ფრაზა: **იმ დროს, როცა; ამავე დროს; პირველ რიგში; ჯერ ერთი..., მეორეც...; გარდა ამისა; ამდენად; აქედან გამომდინარე; აქედან ჩანს, რომ; რაც ადასტურებს იმას, რომ; ბოლოს, გვსურს; მაშასადამე; დასკვნის სახით, გვინდა** და ა.შ.

კონკრეტული მითითებები დაცვის მხარეს:

1. თავიდან შეისწავლეთ საქმე მონადირის დაცვის კუთხით.
2. მოიძიეთ ყველა არგუმენტი იმისათვის, რომ დაამტკიცოთ მონადირის უდანაშაულობა; რატომ არ ჰქონდა მას სხვა გამოსავალი?
3. გამოიყენეთ თქვენთვის მისაღები ყველა მეთოდი, რომელიც დაგეხმარებათ იმაში, რომ დაარწმუნოთ „მოსამართლე“ და „ნაფიცი მსაჯულები“ თქვენს ნათქვამში.
4. განსაზღვრეთ, რა მტკიცებულებები და არგუმენტები შეიძლება ჰქონდეს ბრალდების მხარეს, რათა მზად იყოთ მათ გასაბათილებლად. შესაბამისად, წინასწარ მოიძიეთ არგუმენტები იმისათვის, რომ გააბათილოთ ბრალდების მტკიცებულებები.

გაითვალისწინეთ!

- არ არსებობს ისეთი არგუმენტი, რომლის უარყოფაც არ შეიძლება;
- ყველა არგუმენტს გააჩნია თავისი სუსტი მხარეები;
- ძლიერია არგუმენტი, თუ ის გამომდინარეობს მიზეზშედეგობრივი კავშირიდან (რა იყო – რა არის – რა იქნება).

5. მოემზადეთ პროცესზე მონმეთა დასაკითხად. წინასწარ მოამზადეთ მათთვის შეკითხვები.

გაითვალისწინეთ!

- დასვით ისეთი შეკითხვები, რომ გაცემულმა პასუხებმა თქვენი პოზიციები გაამყაროს!

6. ერთად განიხილეთ და შეაჯერეთ მტკიცებულებები, რომელთაც წარმოადგენთ სასამართლოზე.

7. მოემზადეთ საბოლოო სიტყვისათვის და მოიფიქრეთ, რას ითხოვთ სასამართლოსაგან აღმკვეთ ღონისძიებად.

8. განსაზღვრეთ ფუნქციები: ვინ რომელ მონმეს დაკითხავს, ვინ დაკითხავს მონადირეს და ვინ გამოვა საბოლოო სიტყვით.

კონკრეტული მითითებები ბრალდების მხარეს:

1. თავიდან შეისწავლეთ საქმე ბრალდების კუთხით.

2. შეაგროვეთ ყველა არგუმენტი და სამხილი იმისათვის, რომ დაამტკიცოთ, როგორი შეუბრალებელი მკვლეელი მონადირე;

3. გამოიყენეთ თქვენთვის მისაღები ყველა მეთოდი, რომელიც დაგეხმარებათ იმაში, რომ დაარწმუნოთ „მოსამართლე“ და „ნაფიცი მსაჯულები“ თქვენს ნათქვამში.

4. განსაზღვრეთ, რა მტკიცებულებები და არგუმენტები შეიძლება ჰქონდეს დაცვის მხარეს, რათა მზად იყოთ მათ გასაბათილებლად. შესაბამისად, წინასწარ მოიძიეთ არგუმენტები იმისათვის, რომ გააბათილოთ დაცვის მტკიცებულებები.

გაითვალისწინეთ!

- არ არსებობს ისეთი არგუმენტი, რომლის უარყოფაც არ შეიძლება;
- ყველა არგუმენტს გააჩნია თავისი სუსტი მხარეები;
- ძლიერია არგუმენტი, თუ ის გამომდინარეობს მიზეზშედეგობრივი კავშირიდან (რა იყო – რა არის – რა იქნება).

5. მოემზადეთ პროცესზე მონმეთა დასაკითხად. წინასწარ მოამზადეთ მათთვის შეკითხვები.

გაითვალისწინეთ!

- დასვით ისეთი შეკითხვები, რომ გაცემულმა პასუხებმა თქვენი პოზიციები გაამყაროს!

6. ერთად განიხილეთ და შეაჯერეთ მტკიცებულებები, რომელთაც წარმოადგენთ სასამართლოზე.

7. მოემზადეთ საბოლოო სიტყვისათვის და მოიფიქრეთ, რას ითხოვთ სასამართლოსაგან.

8. განსაზღვრეთ ფუნქციები: ვინ რომელ მონმეს დაკითხავს, ვინ დაკითხავს მონადირეს და ვინ გამოვა საბოლოო სიტყვით.

2. როცა დარწმუნდებით, რომ მოსწავლეები მზად არიან ლიტერატურული სამსჯავროს მოსაწყობად, მათთან შეთანხმებით დანიშნეთ დღე.

3. „სასამართლოს“ წინ შესაბამისად მოაწყვეთ სივრცე მოსწავლეებთან ერთად. მოირგეთ დამკვირვებლის როლი და ჩუმი აკონტროლეთ პროცესი. აწარმოეთ დაკვირვების ფურცელი (ცალკე დაკვირვების ფურცელი აწარმოეთ მზადების პროცესში ჯგუფური მუშაობის შესაფასებლად) და ჩაინიშნეთ თქვენთვის ყველა მნიშვნელოვანი დეტალი.

საბოლოო გადანყვეტილების მისაღებად მოსამართლესა და ნაფიც მსაჯულებს მიეცით განსაზღვრული დრო.

დაკვირვების ფურცლები

ჯგუფური მუშაობის შესაფასებლად:

რუბრიკები	კომენტარები
სამუშაოს დაგეგმვა და ორგანიზება: <ul style="list-style-type: none"> ფუნქციები სწორად არის განაწილებული ჯგუფის ყველა წევრი ჩართულია მუშაობაში 	
თანამშრომლობა: <ul style="list-style-type: none"> ჯგუფის ყველა წევრს აქვს აზრის გამოხატვის თანაბარი პირობები უსმენენ ერთმანეთს აზრს გამოხატავენ კონსტრუქციულად ეხმარებიან ერთმანეთს 	

დისკუსიის შესაფასებლად:

რუბრიკები	კომენტარები
მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს	
მსჯელობს არგუმენტირებულად	
აკეთებს დასკვნებს	
იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს (თვალით, ჟესტებით, ხმით)	
კორექტულია ოპონენტის მიმართ, ისმენს და კონსტრუქციულად პასუხობს განსხვავებულ აზრს	

ზეპირი გამოსვლის შესაფასებლად:

რუბრიკები	კომენტარები
<p>პირობასთან შესაბამისობა:</p> <ul style="list-style-type: none"> • იცავს დროის ლიმიტს • იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (მოსაზრება, არგუმენტები, დასკვნა) 	
<p>კომუნიკაციური უნარ-ჩვევები:</p> <ul style="list-style-type: none"> • გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანმიმდევრულად ავითარებს მას • მოჰყავს ადეკვატური არგუმენტები და მაგალითები • გამოაქვს ადეკვატური დასკვნები 	
<p>ენობრივი უნარჩვევები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ადეკვატურად იყენებს ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელ არავერბალურ საშუალებებს (ყესტიკულაციას, ინტერვალს საუბარში, ხმის სხვადასხვა დონეს) • იყენებს არგუმენტირებული მსჯელობისთვის დამახასიათებელ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს (მაგ., განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს, მიზეზშედეგობრივ კავშირებს და ა.შ.) 	
<p>შემოქმედებითი უნარ-ჩვევები:</p> <ul style="list-style-type: none"> • აქვს საინტერესო მოსაზრებები • მოჰყავს ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები • ავლენს არტისტიზმს • იჩენს სითამამესა და გაბედულებას 	

4. აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ პროცესი და შეაფასეთ მოსწავლეებთან წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით.

პარალელები



პრომეთე და ამირანი



ზვამლის მთა -
არგონავტებისა და
ჰერაკლე მოგზურობის საიდუმლო



„მგლური კანონები“ -
რევაზ ინანიშვილის „ამოდის, ნათდება!“

ზეცისკენ ლტოლვა - თავისუფლების წყურვილი



ეგ ზიუპერის „პატარა უფლისწული“
და ჩოხელის „ცასწავალა“

ნახატით გაცოცხლებული ლექსი და მუსიკა





ძირითადი კომუნიკაციური მიზნები

- სხვადასხვა ტიპის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების წაკითხვა, გაგება და გააზრება;

ძირითადი საკომუნიკაციო მიზნები

- სხვადასხვა ტიპის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების წაკითხვა, გაგება და გააზრება;
- ტექსტების, ფაქტებისა და მოვლენების შედარებისა და გააზრების საფუძველზე კონკრეტული დასკვნების გაკეთება;
- გარემოს / ადამიანების აღწერა-დახასიათება;
- შეფასება/დამოკიდებულების გამოხატვა პერსონაჟისა და მისი ქცევის/მოქმედების მიმართ;
- მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის გააზრება;
- ვარაუდისა და ფაქტის, მითისა და სინამდვილის ერთმანეთისაგან გარჩევა;
- შემოქმედებითი წერა – მოცემული პირობის მიხედვით ტექსტის შექმნა.

რეკომენდაციები კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირებით:

გოდერძი ჩოხელის „ცასწავალა“

მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრებაზე მუშაობა კითხვის სამივე ეტაპის დაცვით:

I ეტაპი – ტექსტის ნაკითხვამდე:

1. ფოტოებზე მუშაობა განწყობისათვის:

ა) აჩვენეთ მოსწავლეებს ფოტოები და ასაუბრეთ მათ შესახებ. დაეხმარეთ საკვანძო შეკითხვებით:

- რა არის ცალკეულ ფოტოზე გამოსახული?
- საითკენ მიფრინავენ ფრინველები პირველ ფოტოზე? რაზე ფიქრობს ჩიტი? რატომ შეჰყმუის მგელი ცას? და ა.შ.
- ყველა ამ ფოტოს ერთმანეთთან რაღაც აერთიანებს. როგორ ფიქრობთ, რა აქვთ მათ საერთო? (ცისკენ ლტოლვა)



ბ) ნაუკითხეთ მოთხრობის დასაწყისი „ცასწავალადან“ – „მეტნაკლებად ყველას აქვს ცაში წასვლის სურვილი. პოეტები ვარსკვლავებს უმღერიან, ხეები ზეცას შეჰლაღადებენ, დამშეული მგლებიც ცას შეჰყმუიან. ყველას აქვს ზეცაში ამალლების სურვილი“ – და დაუბრუნდით შეკითხვებს: ვის ჰქონია ჩიტივით ცაში ფრენის სურვილი? ვის უნატრია ჩიტად ყოფნა და რატომ? გიოცნებიათ იმაზე, რომ ფრთები გქონოდათ? რას იზამდით, ფრთები რომ გქონდეთ?

წახალისეთ მოსწავლეები, იოცნებონ, თამამად გამოხატონ სათქმელი. შესაძლებელია, წახატების შექმნა და შემდეგ გამოფენის მოწყობა თემაზე – „მე რომ ფრთები მქონდეს“...

2. მუშაობა ტექსტის სათაურზე:

ა) დასვით შეკითხვა სათაურის გარშემო: *რა არის, თქვენი აზრით, ცასწავალა – ფრინველი, ცხოველი თუ პატარა მწერი? იქნებ არცერთია, თქვენ როგორ გგონიათ?*

ვარაუდების გამოთქმის შემდეგ წააკითხეთ ერთ-ერთ მოსწავლეს სახელმძღვანელოში მოცემული შემოკლებული ვარიანტის დასაწყისი („ცასწავალა ლობემძვრალაზე ოდნავ დიდი თუ იქნება. ძალიან პატარა ფრთები აქვს, ძალიან პატარა ნისკარტი“); დააზუსტეთ სწორი პასუხი (ლობემძვრალაზე ოდნავ დიდი ჩიტი) და შეადარეთ მოსწავლეების ვერსიებს.

ბ) აქცენტი გააკეთებინეთ სახელზე – რატომ ჰქვია ამ ჩიტს ცასწავალა? – დაშალეთ მოცემული სიტყვათშეხამება და დაწერეთ დაფაზე: *ცაში წავალ —> ცას წავალ —> ცასწავალა.*

განუმარტეთ მოსწავლეებს, რომ ეს ჩიტი ბელურისებრთა ოჯახიდანაა, ვინაიდან ლობემძვრალაზე ოდნავ დიდია. ლობემძვრალა კი ბელურისებრთა ოჯახში შედის. თავად სახელი კი მწერლის შერქმეული უნდა იყოს. ამის შემდეგ ჰკითხეთ მოსწავლეებს: *რატომ ერქვა ამ ჩიტს ცასწავალა? რისი თქმა უნდოდა ამით ავტორს? ვარაუდების გამოთქმის შემდეგ წააკითხეთ მომდევნო აბზაცის დასაწყისი და შეადარებინეთ გამოთქმულ ვერსიებთან („ცასწავალა ერთი აყვავებული მთის ფერდობზე ცხოვრობდა და ცაში მალა აფრენის სურვილი არ ასვენებდა. ამიტომაც ერქვა ეს სახელი. ასე სჩვეოდა ხოლმე: ბალახიდან ამოფრინდებოდა, ცაში აიჭრებოდა და თან წკრიალა ხმით იძახდა: „ცას წავალ! ცას წავალ!“).*

3. ტექსტის მოსმენა განწყობის შესაქმნელად:

ა) სათაურზე დაყრდნობით გამოათქმევინეთ ვარაუდი ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით და შემდეგ მოასმენინეთ ტექსტი: [ცასწავალა – გოდერძი ჩოხელი – www.myvideo.ge/v/2127844](http://www.myvideo.ge/v/2127844); რეჟისორი – ბექა ელბაქიძე, ხმის რეჟისურა და მასტერინგი – ალექსანდრე ლონლაძე.

ბ) სთხოვეთ მოსწავლეებს, ისაუბრონ საკუთარ შთაბეჭდილებებზე: *გამართლდა თუ არა მათი მოლოდინი? რა დაემთხვა და რა – არა? მოეწონათ თუ არა მოთხრობა? იმოქმედა თუ არა პატარა ჩიტის ისტორიამ მათზე? რამ იმოქმედა განსაკუთრებით? რომელი ეპიზოდი დაამახსოვრდათ ყველაზე მეტად და რატომ? მათი ნება რომ ყოფილიყო, შეცვლიდნენ თუ არა რამეს? რას შეცვლიდნენ და რატომ? და ა.შ.*

გ) სთხოვეთ, დახატონ ტექსტის ილუსტრაციები (შესაძლებელია, ამ დავალების შესასრულებლად მოსწავლეთა დაჯგუფება და მისი შესრულება საერთო ძალებით. ასევე შესაძლებელია ამ დავალების შესრულება ხატვის გაკვეთილზე მასწავლებელთან წინასწარი შეთანხმებით). შეადარებინეთ ნახატები ერთმანეთს – *ვინ რა დახატა და როგორ.* ასაუბრეთ მოსწავლეები საკუთარი ნახატების გარშემო – *რატომ დახატა ასე, რომელი ეპიზოდი/მონაკვეთი დახატა, რისი თქმა უნდოდა ამ ნახატით და ა.შ.* მოცემული ნახატების გამოყენებით მოსწავლეებთან ერთად ააწყვეთ ტექსტი – დაალაგეთ თანამიმდევრულად და ნახეთ, ყველა ეპიზოდი დაიხატა თუ არა. მოინიშნეთ, რომელი ეპიზოდი დარჩა ილუსტრაციის გარეშე.

II ეტაპი – ტექსტის ნაკითხვა და მისი გააზრება:

1. მიეცით მოსწავლეებს კონკრეტული საკითხავი ამოცანები და ისე წააკითხეთ ტექსტი, კერძოდ:

- დაანვიღეთ მოსწავლეები (შესაძლებელია, მათი დაყოფა 3-4 კაციან ჯგუფება-დაც) და სთხოვეთ, აზრობრივ მონაკვეთებად დაყონ ტექსტი და დაასათაურონ (მაგ., ცასწავალას ახირება, ფრინველთა თათბირი, სასამართლოზე, განაჩენი, უკანასკნელი გაფრენა და ა.შ.). შემდეგ შეადარეთ მათი ნამუშევრები ერთმანეთს – ვინ რამდენ ეპიზოდად დაყო, რომელი ეპიზოდები გამოყო, სად დაიწყო და სად დამთავრდა ესა თუ ის ეპიზოდი, რატომ/რის მიხედვით შეურჩია ესა თუ ის სათაური და ა.შ.
- დაამუშავებინეთ მთლიანი ტექსტი / ცალკეული ეპიზოდი სხვადასხვა სტრატეგიის, მათ შორის, ცხრილებისა და აზრობრივი სქემების გამოყენებით. გათვალისწინეთ რამდენიმე ნიმუშს.

ა) კონკრეტული ინფორმაციის მოძიება მითითებულ ეპიზოდში:

სწორია თუ არა მოცემული ინფორმაცია? მონიშნეთ ცხრილში სათანადო უჯრა | ეპიზოდის მიხედვით.

	სწორია	არ არის სწორი	არ ჩანს ეპიზოდში
ცასწავალა მარტო ცხოვრობდა.			
ცასწავალა ღონის გამოცლამდე მიფრინავდა ცისკენ.			
ცასწავალას ცაში აჭრას მხოლოდ ფრთოსნები ადევნებდნენ თვალს.			

შემოხაზეთ სწორი ვარიანტი პირველი ეპიზოდის მიხედვით და თქვენი პასუხი გაამყარეთ ტექსტიდან ამონერული ინფორმაციით.

ცასწავალას ცაში აჭრას მხოლოდ ფრთოსნები ადევნებდნენ თვალს. კი
-----ყვავილებიც კი იშმუშნებოდნენ.-----

ბ) პერსონაჟთა დახასიათება და მათი ქცევის გააზრება (ლოგიკური კავშირების ამოცნობა, დასკვნის გაკეთება):

- შეავსეთ ცხრილის მეორე სვეტი, რატომ იქცევიათ ასე.

რას აკეთებდნენ / რა გააკეთეს?	რატომ?
ცასწავალა ბალახიდან ამოფრინდებოდა და ცაში აიჭრებოდა ხოლმე.	
ბალახებში ჩავარდნილი ცასწავალა იძახდა: „ვტყუი, ვტყუი!“	
მოლალურმა ბაბუანვერაზე თოკით მიბმულ ცასწავალას ფოთლები დააფარა.	
ფრთოსნებმა ცასწავალა გაათავისუფლეს, ოღონდ ერთი პირობით, მეტი აღარ მოიტყუო.	
ცასწავალას დასაფლავების დროს მოლალურმა ბევრი იტირა, სხვებიც ბევრს ვიშვიშებდნენ, თავს აქეთ-იქით აქნევდნენ.	

- ჩანერეთ, როგორია და მიუთითეთ, საიდან ჩანს.

რეკომენდაცია: საქმის გასამარტივებლად შეგიძლიათ, დაფაზე ჩამოწეროთ თვისების გამომხატველი ზედსართავი სახელები, რომლებსაც მოსწავლეები გამოიყენებენ დავალების შესრულებისას: *მამაცი, მშობარა, ძლიერი, სუსტი, უსამართლო, სამართლიანი, მიზანდასახული, გულგრილი, კეთილი, დაუნდობელი, მორჩილი, ჯიუტი, ღონიერი, მატყუარა...*

როგორია?	საიდან ჩანს?
ცასწავალა:	
მოლალური:	
ყვავი:	

2. მოსწავლეთა ნაწილს, მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, შეგიძლიათ მისცეთ განსხვავებული სამუშაო ტექსტზე სამუშაოდ, კერძოდ:

- ნაკითხეთ ილუსტრაციის გარეშე დარჩენილი თქვენ მიერ მონიშნული ეპიზოდი და შეაქმნევენეთ მარტივი ნახატი. საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ დავალების შესრულებაში.
- მიეცით თანაკლასელების მიერ შექმნილი ერთ-ერთი ნახატი და სთხოვეთ, მოძებნოს ტექსტში შესაბამისი ეპიზოდი.
- პერსონაჟთა დასახასიათებლად – შემოხაზოს მისთვის მისაღები ვარიანტი (ჰკითხეთ, რატომ ფიქრობს ასე), მაგ., *ცასწავალა არის: ა) ძლიერი ბ) სუსტი; მოლალური არის: ა) კეთილი ბ) ბოროტი* და ა.შ.
- დაასრულებინეთ წინადადებები, მაგ., *ცასწავალა მთის ფერდობზე... (ცხოვრობდა); მთის ფერდობი იყო (აყვავებული); ცასწავალა თავის უღონობას მალავდა, როცა ამბობდა, (ვტყუი, ვტყუიო); ყვავმა თავისი ადგილი დაიკავა. ის იყო (მოსამართლე)...*

III ეტაპი – ტექსტის დამუშავების შემდეგ:

ა) დაუბრუნდით მოსწავლეთა მიერ ტექსტის შეფასებას კონკრეტულ ეპიზოდთან / მთლიან ამბავთან / კონკრეტული პერსონაჟის ქცევებთან, განზრახვებსა და განცდებთან მიმართებით. გრძნობებისა და ემოციური დამოკიდებულებების გამოხატვის გარდა, მნიშვნელოვანია, სთხოვოთ მათ საკუთარი მოსაზრების არგუმენტირება; იმის დასაბუთება, რამ გამოიწვია მათში ესა თუ ის გრძნობა; ჰკითხეთ, რატომ ფიქრობენ ასე – პერსონაჟის რომელმა ქცევამ, აზრმა... განაპირობა მათი თანაგრძნობა ან, პირიქით, აღშფოთება; რამ აღუძრა ეს ემოცია და ა.შ.

იმისათვის, რომ მოსწავლეებს გაუმარტივოთ ამოცანა, ჩამოწერეთ დაფაზე გრძნობებისა და ემოციების გამომხატველი სიტყვები, მაგ., *აღშფოთება, აღფრთოვანება, სიბრაულელი, თანაგრძნობა, გაბრაზება, მოწონება* და ა.შ.

ბ) ამის შემდეგ მოსწავლეებს გააცანით „ცასწავალას“ ავტორი. მოიძიეთ საინტერესო ინფორმაციები გოდერძი ჩოხელის შესახებ (მოგონებები, ცხოვრებისეული ისტორიები, საინტერესო ფაქტები და ა.შ. <https://www.facebook.com/Goderzichekholi/>)

გ) შეგიძლიათ აჩვენოთ დოკუმენტური ფილმები (ან თქვენ მიერ შერჩეული ნაწყვეტები ამ ფილმებიდან) გოდერძი ჩოხელიზე: „მე ვარ გოდერძი ჩოხელი“ „Me var Goderdzi Chokheli“ – <https://www.youtube.com/watch?v=OmYIqZehZE4>; ცასნავალა / <http://kids.ge/story?id=40>

ტექსტის შინაარსის წერილობით გადმოცემა საყრდენების დახმარებით: შინაარსის გადმოცემა გეგმაზე დაყრდნობით; ირიბი ნათქვამის გამოხატვა.

1. წერა გეგმის მიხედვით: გააცანით მოსწავლეებს გეგმა და მოამზადეთ ისინი გეგმის მიხედვით შინაარსის დასაწერად.

გაიარეთ გეგმის თითოეული პუნქტი და ყურადღება გაამახვილებინეთ მოსწავლეებს ძირითად დეტალებზე – რას უნდა მიაქციონ ყურადღება და რა უნდა დაწერონ:

1. ინფორმაცია ცასნავალას შესახებ *(ვინ იყო, როგორი იყო და სად ცხოვრობდა? რატომ ერქვა ცასნავალა?)*;
2. ცაში აფრენის სურვილი და უღონობა *(რას აკეთებდა ხოლმე და რით მთავრდებოდა ეს? როგორ და რატომ მალავდა თავის უღონობას?)*;
3. ფრთოსნების დამოკიდებულება და მათი გადაწყვეტილება *(როგორი იყო ცასნავალას ქცევაზე ფრთოსნების რეაქცია და რა გადაწყვეტეს მათ?)*;
4. სასამართლო პროცესზე *(როგორ მიიყვანეს ცასნავალა პროცესზე? ვინ იყო მოსამართლე და რაში დასდო ბრალი მან ცასნავალას? რა გაირკვა ცასნავალას შესახებ პროცესზე?)*;
5. განაჩენი *(რა მიუსაჯეს ცასნავალას და სად და რა მდგომარეობაში დატოვეს ის ფრთოსნებმა?)*;
6. ზრუნვა ცასნავალაზე *(ვინ იზრუნა ცასნავალაზე? რა გააკეთა და რატომ?)*;
7. უკანასკნელი აფრენა *(რა მოხდა მეორე დღეს? რის პირობა დადო ცასნავალამ? რა გააკეთა და რა მოუვიდა?)*;
8. ცასნავალას დასაფლავება და ფრინველთა ვიშვიში *(სად დაასაფლავეს ფრთოსნებმა ცასნავალა? რას აკეთებდნენ ისინი?)*;
9. გორაკზე ამოზურცული მინა *(რატომ სწყდებოდა გული ყველას, ვინც კი ამ მინას ნახულობდა?)*.

ამის შემდეგ მიეცით მოსწავლეებს მხოლოდ გეგმა (კონკრეტული აქცენტების გარეშე) და შეასრულებინეთ დავალება. დავალების შესრულების შემდეგ სთხოვეთ, წაიკითხონ საკუთარი ნაწერები და შეასწორონ დაშვებული შეცდომები. შემდეგ გაეცანით მოსწავლეთა ნამუშევრებს და შეამოწმეთ ისინი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- **პირობასთან შესაბამისობა** (გეგმის მოთხოვნების გათვალისწინება);
- **კომუნიკაციური უნარ-ჩვევები** (აზრობრივი და ლოგიკური კავშირები, აზრის გასაგებად და თანმიმდევრულად ჩამოყალიბება);
- **ენობრივი უნარ-ჩვევები** (ენობრივი სიზუსტის დაცვა, ლექსიკის ადეკვატური გამოყენება, სასვენი ნიშნების სათანადოდ გამოყენება).

აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ შემოწმების მიზანი უნდა იყოს სწავლის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა და სწავლების პროცესში თითოეული მოს-

წავლის განვითარებისათვის მაქსიმალურად ხელშეწყობა. შესაბამისად, შეამოწმეთ მოსწავლეთა მიღწევის დონე არა ნიშნების დასაწერად, არამედ მათ დასახმარებლად. სწორედ ამ პოზიციიდან შეაფასეთ მოსწავლეები, კერძოდ, არა სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებთან, არამედ საკუთარ მიღწევებთან მიმართებით.

მოინიშნეთ, რომელ მოსწავლეს რა უჭირს. შემდეგ მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ შესრულებული სამუშაო, მიღებული შედეგები და განსაზღვრეთ, რა გამოუვიდათ კარგად, რისი გაკეთება სჯობდა სხვაგვარად, რაში გამოვლინდა მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და რა უნდა გააუმჯობესონ.

დააჯგუფეთ მოსწავლეები საჭიროებების მიხედვით. ამა თუ იმ კონკრეტული საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჯგუფებისათვის წინასწარ შეარჩიეთ შესაბამისი დამატებითი სავარჯიშოები კონკრეტული ფუნქციისა თუ უნარის გასავარჯიშებლად. წინასწარ დაგეგმეთ თითოეულ ჯგუფთან მუშაობა იმ პერიოდებში, როცა კლასის სხვა მოსწავლეებისათვის დამოუკიდებელი სამუშაოს მიცემა გაქვთ განზრახული.

2. გეგმის ნაცვლად საყრდენად შეგიძლიათ გამოიყენოთ მოსწავლეთა მიერ შესრულებული ილუსტრაციებიც, რომლებიც უკვე დაახატინეთ ტექსტის გაგება-გააზრებაზე მუშაობის პროცესში.

3. საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ შეამციროთ და გაამარტივოთ დავალება კონკრეტული მოსწავლეებისათვის – დაანერინეთ არა სრული ტექსტის, არამედ ცალკეული ეპიზოდების შინაარსები და საყრდენებად მიეცით კონკრეტული შეკითხვები, მაგ.:

ცასწავლას სურვილი და უღონობა	ცასწავლას გასამართლება
<ol style="list-style-type: none"> ვინ იყო და სად ცხოვრობდა ცასწავალა? როგორი იყო გარეგნულად? რატომ ერქვა ცასწავალა? რას აკეთებდა ხოლმე? რით მთავრდებოდა ეს? როგორ და რატომ მალავდა თავის უღონობას? 	<ol style="list-style-type: none"> რა მოუწყვეს ფრთოსნებმა ცასწავალას? როგორ მიიყვანეს ის პროცესზე? ვინ იყო მოსამართლე? რაში დაადანაშაულა მან ცასწავალა? რა მიუსაჯევს ცასწავალას? სად და რა მდგომარეობაში დატოვეს ის ფრთოსნებმა?

ტექსტის მიმართ საკუთარი დამოკიდებულებების წერილობით გამოხატვა:

1. ტექსტის დამუშავებისა და საკუთარ შთაბეჭდილებებზე საუბრის შემდგომ შესთავაზეთ მოსწავლეებს ამ შთაბეჭდილებების წერილობით გამოხატვა.


2. ჩამოწერეთ საყრდენი შეკითხვები და სთხოვეთ მოსწავლეებს, ამ შეკითხვებზე დაყრდნობით ისაუბრონ საკუთარ შთაბეჭდილებებზე:

- მოგეწონათ თუ არა ტექსტი?
- რა დაგამახსოვრდათ ტექსტში ყველაზე მეტად და რატომ?
- რამ იმოქმედა განსაკუთრებით? რა ემოცია გამოიწვია თქვენში და რატომ?
- თქვენი ნება რომ იყოს, შეცვლიდით თუ არა რამეს ტექსტში? რას შეცვლიდით და რატომ?


მოსწავლეებმა წერის პროცესის სამივე ეტაპისთვის უნდა გამოიყენონ სათანადო სტრატეგიები. კიდევ ერთხელ გააცანით მათ ეს სტრატეგიები (ზოგი მათთვის ნაცნობია და ზოგიც – ახალი):

განმარტება: ეს სტრატეგიები ჩადებულია მოსწავლის წიგნშიც, რაც გაუადვილებს მას ნებისმიერი საჭიროებისას (სხვა მსგავსი წერითი სამუშაოს შესრულებისას) მუდმივად გამოიყენოს.


ა) წერის დანწყებამდე:



ბ) წერის პროცესი:



გ) წერის დასრულების შემდეგ:



ინტერვიუს მომზადება:

1. გააცანით მოსწავლეებს წერიტი დავალების მიზანი: *წარმოიდგინეთ, თქვენ ხართ ჟურნალისტი და ინტერვიუ უნდა აიღოთ გოდერძი ჩოხელისაგან. თქვენი მიზანია, მოამზადოთ ის შეკითხვები, რომლებიც გაინტერესებთ და გინდათ, რომ დაუსვათ მწერალს. შეკითხვების შერჩევაში სრული თავისუფლება გაქვთ.*

2. ჰკითხეთ, ახსოვთ თუ არა ის ინფორმაციები, რომლებიც გააცანით მოსწავლეებს (ისტორიები, რომლებიც ნაუკითხეთ; ფილმები, რომლებიც აჩვენეთ).

საჭიროებისამებრ, დავალების შესრულებამდე კიდევ ერთხელ გააცანით თქვენ მიერ მოძიებული ინფორმაციები გოდერძი ჩოხელის შესახებ (არ არის აუცილებელი ყველაფერი გაიმეოროთ. შეარჩიეთ ისეთი მასალა, რომელიც საინტერესო შეკითხვების დასმის საშუალებას მისცემს მოსწავლეებს).

შეგიძლიათ განმეორებით აჩვენოთ ნაწყვეტებიც მითითებული დოკუმენტური ფილმებიდან: „ცასნავალა“ / <http://kids.ge/story?id=40>; „მე ვარ გოდერძი ჩოხელი“ „Me var Goderdzi Chokheli“ – <https://www.youtube.com/watch?v=OmYIqZehZE4>;

3. ამის შემდეგ დააჯგუფეთ მოსწავლეები და მიეცით კონკრეტული სტრატეგიები:

ა) წერის დაწყებამდე:

საჭირო ცოდნის გააქტიურება

გაიხსენეთ თქვენთვის საინტერესო დეტალები, ისტორიები, თემები და ა.შ., რომლებმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილებები მოახდინა თქვენზე.

იდეების ბანკი

ჩამოწერეთ სურვილები, ინტერესები, თემები – რის შესახებ დაუსვამდით შეკითხვას; დამატებით რისი გაგება გენდომებოდათ მისგან.

შეკითხვების პაკეტი

თქვენი მოსაზრებები, სურვილები და ინტერესები აქციეთ შეკითხვებად, ანუ შექმენით შეკითხვების ბანკი.

ბ) წერის პროცესი:

შავი ვარიანტი

შეადგინეთ ჯერ შავი ვარიანტი.


დააკვირდით:

ხომ არ მეორდება შეკითხვები?

→ გასაგებად არის თუ არა შეკითხვა ფორმულირებული? საინტერესო იქნება თუ არა თქვენი შეკითხვები რესპოდენტისთვის?

საჭიროების შემთხვევაში, შეიტანეთ ცვლილება – შეცვალეთ შეკითხვა, თემა და ა.შ.

გ) წერის დასრულების შემდეგ:



დასახმარებლად მოსწავლეებს მიეცით სავარაუდო თემებისა და იმ კითხვითი სიტყვების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა გამოიყენონ შეკითხვების აგებისას. გააცანით ის ენობრივი ფორმულები, რომლებითაც სასურველია შეკითხვის დაწყება. ნიმუშისათვის ზეპირად უთხარით რამდენიმე შეკითხვის თქვენეული ვერსია.

სავარაუდო თემები: ბავშვობა, სკოლა, გართობა, პირველი წიგნი, პირველი ფილმი, „ცასწავალას“ წერის პროცესი, პერსონაჟების შერჩევა და ა.შ.

კითხვითი სიტყვები: ვინ? რა? სად? როდის? როგორ? რატომ? როგორი? რომელი?

შეკითხვების დასაწყებად: ბატონო გოდერძი, ... გაიხსენეთ, ... თქვენი აზრით, როგორი იქნებ გაიხსენოთ, რომელი და ა.შ.

ნახატით გაცოცხლებული ლექსი და მუსიკა

კლოდ მონე და მისი ისტორიული ტილო: „შთაბეჭდილება, ამომავალი მზე“, რომელსაც კრიტიკოსებმა იმპრესიონისტული ნამუშევარი უწოდეს.



დეტალებზე დაკვირვება:

- მეთევზეები:** ტილოზე ადამიანის არსებობა მხოლოდ მსუბუქადაა ნაგულისხმევი. მონე მხოლოდ ფუნჯის რამდენიმე მონასმით წარმოგვიდგენს მეთევზეებს, რომლებიც ნავში სხედან.
- წყალზე არეკლილი მზის სხივები:** წყალი თითქოს მზის სხივებითაა გაჟღერებული. აქ ყვითელი და ნარინჯისფერი ჭარბობს. მზის სხივების ანარეკლი წყალზე, რომელიც ვინრო ზოლშია მოქცეული, ჰორიზონტალური ნარინჯისფერი ხაზებითაა შევსებული და განფენილი სივრცეში.
- მზე:** მზე ნახატის მთავარი მოქმედი პირია. ინტენსიურ სიკაშკაშეს პრიმიტიული ყვითელი და ნარინჯისფერი ემატება. ფერის გარდა, მხატვარი ქმნის მოცულობას, რაც საშუალებას აძლევს მზის სფეროს, წყლიდან ამოიწიოს. ბურუსი, რომლითაც გაჟღერებულია სურათი, სხივებს ამ მშვენიერი სფეროს გაცოცხლებაში უშლის ხელს.
- ნახატის ცენტრში მოთავსებული **ნავი** სურათის ერთადერთი ელემენტია, რომელიც ნისლში არ არის გახვეული. ის პერსპექტივის გადმოსაცემადაა გამოყენებული სხვა ორ ნავთან ერთად, რომლებიც მის უკან ჩანს. მათი ანსამბლი ქმნის დიაგონალს, რაც სურათს სიღრმის განცდას ანიჭებს.
- ნისლი.** მონე მთლიანად ნისლში ახვევს ტილოს, რომელიც ძირითადად, ნაცრისფერის მინარევია იასამნისფერთან. ის ფართო და ერთმანეთისაგან დაშორებულ მონასმებს აკეთებს, მისთვის უფრო მნიშვნელოვანია ნისლის დახასიათება, ვიდრე მისი რეალისტური წარმოსახვა. ტილოს ზოგიერთ ადგილას თეთრი ფონი მოჩანს, რაც სურათს ბრწყინვალეობას ანიჭებს.

ინფორმაცია საჭიროებისამებრ გამოსაყენებლად:

ფრანგულად impressionisme, Impression ნიშნავს „შთაბეჭდილება“-ს. იმპრესიონიზმი ეს არის „შთაბეჭდილების ხელოვნება“ ხელოვნებაში – მხატვრობაში, მუსიკასა და ლიტერატურაში.

მხატვრობაში იმპრესიონიზმის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს კლოდ მონე. ამ მიმდინარეობამ სახელწოდება მიიღო სწორედ მისი ნახატიდან – „შთაბეჭდილება, მზის ამოსვლა“ (*Impression, soleil levant*). „დაივიწყეთ თუ რას ხედავთ თქვენს წინაშე – იქნება ეს ხე, სახლი თუ მინდორი... უბრალოდ ხატეთ არა საგნები, არამედ მათი ფერითი შედგენილობები“, – წერდა მზისა და სინათლის დიდოსტატი კლოდ მონე. იმპრესიონისტთა პეიზაჟებში ბუნება მუდმივ მოძრაობაშია. მათ იტაცებთ შუქჩრდილის მრავალგვარი კომბინაციებით წარმოქმნილი მცენარეთა უცნაური სილუეტები, წყალზე არეკლილი მზის სხივების ფერადოვნება. იმპრესიონისტთა პეიზაჟებში ცააც მოძრაობს და დინამიკურია. იმპრესიონისტები ფერში და ფერის საშუალებით გამოხატავენ საგნების არსს, მათ ესთეტიკურ ღირებულებას, გარემოსადმი მათ შესაბამისობას ან შეუსაბამობას. რეალობას ისინი საკუთარი, პირადი ხედვის მიხედვით აძლევენ ინტერპრეტაციას. იმპრესიონისტები არ ეძებენ იდეალურ სილამაზეს, მარადიულობას, რაც კლასიკურ ხელოვნებაში მთავარი იყო.

მონემდე ვერც ერთმა მხატვარმა და ვერც მისმა უახლოესმა თანამოაზრეებმა – რენუარმა, სისლეიმ, პისარომ – ვერ დაინახეს ბუნებაში ფერების ისეთი ჟღერადობა და ვერ შეძლეს სინათლისა და ჰაერის ისე ცოცხლად გადმოცემა, რასაც მონემ მიღწია. იგი ხშირად ხატავდა ერთსა და იმავე ხედს დღე-ღამის სხვადასხვა დროს. ასეთებია მისი სერიები „თივის ზვინები“ და „რუანის ტაძარი“. სწრაფი, თითქოს დაუდევარი მონასმებით მხატვარი ქმნიდა ნიაზე მოლივლივე მინდვრის, ან პარიზის ხმაურიანი ქუჩების შთაბეჭდილებას. მას შეეძლო წარმოესახა ზაფხული ცხელი დღე ან ზამთრის თოვლ-ჭყაპი.

მოისმენინეთ მუსიკა და ისე დააკვირდნენ იმპრესიონისტთა ცნობილ ტილოებს. სთხოვეთ ამ განწყობით შექმნან წერილობითი ნამუშევარი ნახატის მიხედვით.

ინფორმაცია საჭიროებისამებრ გამოსაყენებლად:

იმპრესიონიზმი ისევე სრულყოფილად გამოვლინდა პოეზიაში, პროზასა და დრამატურგიაში, როგორც მხატვრობაში. იმპრესიონისტებმა პოეზიაში მუსიკა გააბატონეს, წაართვეს სიტყვებს მათთვის დამახასიათებელი – აზრის გადმოცემის ფუნქცია, რის გამოც ლექსიკური სემანტიკისაგან დაცლილი სიტყვა გადაიქცა სიმბოლოდ და ამგვარად, შეიქმნა ნოყიერი ნიადაგი სიმბოლოზმისათვის. ლიტერატურაში იმპრესიონიზმის კლასიკურ მაგალითად მიჩნეულია ფრანგი პოეტის პოლ ვერნელის შემოქმედება. ის თავის პოეზიაში აყალიბებს იმპრესიონიზმის პროგრამას: „მუსიკა, უპირველეს ყოვლისა“, „არავითარი ფერები, მხოლოდ შუქ-ჩრდილები“, „აიღე მჭევრმეტყველება და მოუგრისე კისერი“. ვერლენის შემოქმედებაში თითქმის მთლიანად გადევნილია ზმნა, აქ უფრო მეტად ავტორის სულიერი მდგომარეობაა აღწერილი, ვიდრე რეალური გარემო.

მისი ძირითადი ჟანრებია; ნოველა, ეტიუდი, მინიატურა, ესკიზი, ჩანახატი. ქართულ მწერლობაში იმპრესიონიზმი ნიკო ლორთქიფანიძის სახელს უკავშირდება. 1910 წელს იგი წერს ნოველას – „უიალქნოდ“, სადაც ასახელებს თავისი შემოქმედების პრინციპებსაც და თანაც, ეს სათაური გარკვეულწილად, იმპრესიონისტთა ლოზუნგს მოგვაგონებს. იმპრესიონიზმის ჩანასახებს პოულობენ აგრეთვე ეკატერინე გაბაშვილის, შიო არაგვისპირელის, ჭოლა ლომთათიძის პროზაში. იმპრესიონისტული პროზის ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ: საფრანგეთში – ედუარდ დიუჟარდენი და ჟიულ ლაფორგი და გერმანულენოვან ლიტერატურაში – პეტერ ალტენერგი.

ფანტაზიის გაკვეთილები



ნახატებით გადმოცემული ისტორიები

გავაკეთოთ რეკლამა

ლიტერატურული სალონი

„გაფრენა დაბრუნების გარეშე“

პროექტები - რეკლამები; „მარსი ერთი“



ძირითადი კომუნიკაციური მიზნები

- ილუსტრაციების „ნაკითხვა“ და საკუთარი პოზიციების, ვარაუდებისა და შეფასებების გამოხატვა;
- მოვლენათა თანმიმდევრობის დადგენა და მისი გამოხატვა;

ძირითადი საკომუნიკაციო მიზნები

- ილუსტრაციების „ნაკითხვა“ და საკუთარი პოზიციების, ვარაუდებისა და შეფასებების გამოხატვა;
- მოვლენათა თანმიმდევრობის დადგენა და მისი გამოხატვა;
- მრავალსაფეხურიანი ინსტრუქციის გაგება;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტების ნაკითხვა და მათი გაგება-გააზრება;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების გაგება და გამოყენება;
- ნახატების გამოყენებით პატარა ამბების შექმნა;
- შემოქმედებითი წერა – მოცემული პირობის მიხედვით მოთხრობის შექმნა;
- რეკლამების გაგება და შექმნა.

ზოგადი რეკომენდაცია

სხვადასხვა სახისა და ტიპის ტექსტების შედგენა, მით უფრო **6-8 წლის** ბავშვებთან, ითვალისწინებს მუშაობას მასწავლებლის ხელმძღვანელობით, საყრდენების / მინიმუმების გამოყენებით თუ მოდელის მიხედვით. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა წერის სამივე ეტაპზე: წერის დაწყებამდე, წერის პროცესში და წერის შემდეგ.

წერითი მეტყველებისას სამეტყველო ქცევის ზოგადი პარამეტრებია:

- აზრის გასაგებად და თანმიმდევრულად ჩამოყალიბება;
- სასვენი ნიშნების ფუნქციური გამოყენება.

ამ ტიპის აქტივობები ემსახურება ვიზუალური ინფორმაციის წერილობით წარმოდგენისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას.

გაითვალისწინეთ! წერის დაწყებამდე (განსაკუთრებით ეს სწავლების პირველ ეტაპს ეხება) შეთავაზებული დავალება ჯერ ზეპირად დაამუშავებინეთ მოსწავლეებს. დარწმუნდით, რომ ყველამ შეძლო ნახატის მიზნობრივად „ნაკითხვა“ (ვიზუალური ინფორმაციის აღქმა და მისი ვერბალიზება, სიტყვიერად გადმოცემა). მოისმინეთ და ზეპირად დაამუშავეთ (აზრობრივად და ენობრივად გამართეთ, დააზუსტეთ) მათი პასუხები (რომლებიც წერილობით უნდა ჩამოაყალიბონ), მოფიქრებული ფრაზები, სათაურები, ილუსტრაციის წარწერები და ა.შ. ამის შემდეგ, შეასრულებინეთ დავალება წერილობით.

ა) სურათის უკეთ აღსაქმელად მოსწავლეებს დაუსვით კონკრეტული შეკითხვები;
ბ) ამის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, წერილობით აღწერონ სურათი; დაწერონ, რას ხედავენ სურათზე. საჭიროებისამებრ, მიეცით საყრდენი სიტყვები:

სურათზე გამოსახულია

ძალიან ლამაზია

განსაკუთრებით მომწონს

საჭიროების შემთხვევაში, შეკითხვებით დაეხმარეთ მოსწავლეებს, რომლებიც წერილობით წარმოადგენენ პასუხებს.

გ) ნახატის დასათაურება შედარებით რთულია, ამიტომ წასახალისებლად მოსწავლეებს შესთავაზეთ თქვენეული ვარიანტებიც.

რეკომენდაციები კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირებით:

წინმსწრები დამატებითი აქტივობა – გავაცოცხლოთ გარემო:

აქტივობა ხელს უწყობს ინფორმაციის დახარისხებისა და კატეგორიზაციის უნარ-ჩვევებისა და წარმოსახვის უნარების განვითარებასა, ასევე ემსახურება ფუნქციური წერითი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებასაც.

ეს მნიშვნელოვნად დაეხმარება მოსწავლეებს, ნარატიული თუ აღწერითი ტექსტების შედგენის დროს გამოიყენონ ცოცხალი, დამაჯერებელი დეტალები და შექმნან სიტყვიერი სურათები, რომლებიც მიემართება ადამიანის გრძნობის ყველა ორგანოს. მსგავსი აქტივობების ხშირი ჩატარება მოსწავლეებს გაუადვილებს მრავალფეროვანი ცოცხალი დეტალების შემცველი ზეპირი და წერილობითი ტექსტების შედგენას.

1. წინარე ცოდნის გააქტიურება:

ა) მარტივად აუხსენით მოსწავლეებს მეტყველების ტიპები, რომლებიც დანიშნულების, ფუნქციის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა. ესენია: აღწერა, თხრობა და მსჯელობა და შესთავაზეთ პატარა ექსპერიმენტი:

- მიეცით სურათი, რომელზედაც გამოსახულია პეიზაჟი და სთხოვეთ, უბრალოდ გადმოსცენ ის, რასაც ხედავენ სურათზე (პარალელურად ყურადღება გაამახვილებინეთ საკუთარ მეტყველებაზე. ჰკითხეთ, როგორ მეტყველებენ – აღწერენ პეიზაჟს, მსჯელობენ მასზე თუ ჰყვებიან მასთან დაკავშირებულ ამბავს? აქცენტი გააკეთეთ ენაზე – მეტყველების რომელ ნაწილებს იყენებენ საუბრისას ძირითადად? – არსებით სახელებს, ზედსართავეებს, ზმნებს და ა.შ.);
- ამის შემდეგ შეცვალეთ ამოცანა – სთხოვეთ, შეაფასონ ეს სურათი. იმსჯელონ მის შესახებ და დაასაბუთონ საკუთარი პოზიციები, რატომ ფიქრობენ ასე (პარალელურად, კვლავ აკვირდებიან ისინი საკუთარ მეტყველებას; დაუსვით წინა მაგალითის მსგავსი შეკითხვები);
- ბოლოს სთხოვეთ, მოიფიქრონ ამ სურათთან დაკავშირებული მარტივი ამბავი და პროცესი წარმართეთ, როგორც წინა შემთხვევებში.

ბ) ამის შემდეგ გადადით კონკრეტულ შეკითხვებზე: მაშასადამე, რა განსხვავებაა აღწერას, თხრობასა და მსჯელობას შორის? თქვენი აზრით, რას ნიშნავს აღწერა? თხრობა? მსჯელობა? მეტყველების რომელ ტიპს ვიყენებთ დისკუსიის დროს? შთაბეჭდილებების, კონკრეტული ამბის გადმოცემის დროს? და ა.შ.

საჭიროებისამებრ, მიაწოდეთ მარტივი განმარტებები:

- **აღწერა** – პირის, საგნის, მოვლენის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების წარმოჩენა-აღწერა. აღწერას სხვაგვარად „სიტყვიერ სურათებსაც“ უწოდებენ.
- **თხრობა** – მოვლენების განვითარების, მოქმედების (პროცესის) ასახვა დროსა და სივრცეში.
- **მსჯელობა** – საგნებისა და მოვლენების მიზეზშედეგობრივი ურთიერთმიმართების განსჯა (ახსნა და დასაბუთება).

ამის შემდეგ გადადით სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების შესრულებაზე.

ნახატებით გადმოცემული ისტორიები

ამ აქტივობის მიზანია: საკომუნიკაციო (მონოლოგური მეტყველების) და შემოქმედებითი უნარების განვითარება – წარმოსახვის უნარის განვითარება და შემოქმედებითი უნარის გამოვლენა.

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ მოსწავლემ:

- გასაგებად გამოხატოს სათქმელი;
- ფაქტები გადმოსცეს თანმიმდევრულად;
- ადეკვატურად გამოიყენოს აქტიური ლექსიკა, წინადადების მოდალობა, საკავშირებელი სიტყვები;
- წინადადების დასრულება გამოხატოს პაუზით, თავი აარიდოს პარაზიტი ჩანართების გამოყენებას;
- ისაუბროს მკაფიოდ და გასაგებად;
- მიზნის შესაბამისად გამოიყენოს საყრდენები – ილუსტრაციები, შეთავაზებული მარტივი სქემები და ა.შ..

შესაძლებელია, **6-8 წლის** ბავშვები ამუშაოთ მხოლოდ მარტივი ფრაზებისა და რეპლიკების შედგენაზე:



(მხატვარი ნინო ჩაკვეტაძე)

1. პირველ რიგში, შეკითხვების დახმარებით ამუშავეთ მოსწავლეები ილუსტრაციის წაკითხვაზე: *რა არის ნახატზე გამოსახული? როგორია? რა ფერისაა? წელიწადის რა დროა? როგორი ამინდია? საიდან ჩანს, რომ ზამთარია, გაზაფხულია...?*

ყურადღება გაუმახვილეთ უშუალოდ პერსონაჟების ქცევასა და განწყობაზე: *როგორ იქცევიან და რას აკეთებენ? რას ფიქრობენ? რას განიცდიან?*

სთხოვეთ, დაასაბუთონ საკუთარი პოზიცია, მაგ.: *რატომ გგონია, რომ ასე ფიქრობს / ამას განიცდის?... რატომ აქვს მას გაკვირვებული სახე? თქვენი აზრით, რა უკვირს და რატომ? როგორ ფიქრობთ, რამ ჩააფიქრა ის? და ა.შ.*

2. სანიმუშოდ აიღეთ ერთი ნახატი, თქვენეული ვერსიები (თქვენი ფრაზები, რეპლიკები) დაწერეთ დაფაზე და გააცანით მოსწავლეებს. გთავაზობთ პირველი ნახატის შესაბამის სავარაუდო ვარიანტებს:

- ა) გვიანი შემოდგომის ცივი და წვიმიანი ამინდია.
- ბ) ბაბუა გაკვირვებული უყურებდა პატარა ბიჭს.
- გ) ხომ არ დაიკარგა? – ფიქრობდა ბაბუა.
- დ) პატარა ბიჭი მოწყენილი მიდიოდა გზაზე.
- ე) ბაბუას გზაზე ერთი პატარა ბიჭი შეხვდა.
- ვ) ბიჭს სახეზე ეტყობოდა, რომ რაღაცა ანუხებდა და ა.შ.

3. ამის შემდეგ სთხოვეთ, თავად შეადგინონ 2-3 ფრაზა ან რეპლიკა ნახატის მიხედვით – რას შეიძლება ფიქრობდნენ ან ამბობდნენ ნახატებზე გამოსახული ადამიანები? დავალების შესრულების შემდეგ წააკითხეთ ჯგუფის წევრებს საკუთარი ნამუშევრები და სთხოვეთ, ახსნან / დაასაბუთონ, რატომ ფიქრობენ ასე.

4. ბოლოს თქვენ წაიკითხეთ მოსწავლეების ნაწერები ხმამაღლა და, საჭიროებისამებრ, მათთან ერთად გაასწორეთ ისინი შემდეგი კრიტერიუმებით: არის თუ არა აზრი გასაგებად გადმოცემული, ენობრივად გამართულია თუ არა, სწორად არის თუ არა დასმული სასვენი ნიშნები.

მოიფიქრეთ ამბავი

ზოგადი რეკომენდაცია მსგავსი აქტივობების შესათავაზებლად:

გამოიყენეთ სერიული სიუჟეტური ნახატები (შემდგარი 3-4 ნაწილისგან) ან კომიქსები. განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში შეამცირეთ ნახატების რაოდენობა და გამოიყენეთ 1 ან 2-3 ნაწილისგან შემდგარი სიუჟეტური ნახატები.

შესაძლებელია ამ აქტივობას სახალისო კონკურსის სახე მისცეთ, დაანესოთ ნომინაციები და წინასწარ გააცნოთ ჯგუფებს შეფასების კრიტერიუმები, მაგ., დაჯილდოვდება: ა) ყველაზე სასაცილო ამბავი; ბ) ყველაზე უცნაური ისტორია; გ) ყველაზე შეკრული გუნდი (თანამშრომლობა); დ) ენობრივად ყველაზე გამართული ამბავი და ა.შ.

1. პირველ რიგში, იმუშავეთ ნახატის აღწერაზე. დაეხმარეთ მოსწავლეებს შეკითხვებით. ყურადღება გაამახვილებინეთ ისეთ დეტალებზე, რომლებიც დასჭირდებათ მარტივი ტექსტის შესაქმნელად, მაგ.: *სად არის გოგონა და რას აკეთებს ის პირველ, მეორე და მესამე სურათზე? რატომ არის მოწყენილი პირველ სურათზე?* და ა.შ.

2. აუხსენით მოსწავლეებს აქტივობის მიზანი – სიუჟეტურ სურათ(ებ)ზე დაყრდნობით ამბის სიუჟეტური ხაზის განვითარება; იმის განსაზღვრა, თუ როგორ დაიწყო ამბავი, რა მოხდა შემდეგ და რით დამთავრდა.

შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ არ დაავინყდეთ როგორც სათაურის მოფიქრება, ასევე პერსონაჟებისთვის სახელების დარქმევა.

საჭიროებისამებრ, სქემა განავრცეთ საყრდენი ენობრივი ფორმულებით. აუხსენით, რომ ეს მხოლოდ ნიმუშია და შეუძლიათ ის შეცვალონ. დატოვეთ სქემა სამუშაოს დასრულებამდე.

სათაური

როგორ დაინყო?

ერთ მშვენიერ დღეს...

რა მოხდა?

უცებ ...
ამის შემდეგ ...

რით დამთავრდა?

ბოლოს ...
ყველაფერმა კარგად
ჩაიარა, ...

2. მუშაობის პროცესში აკონტროლეთ ჯგუფების მუშაობა და, საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ მათ. დააკვირდით ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობებს, თანამშრომლობას და ყველაფერი დააფიქსირეთ დაკვირვების ფურცელზე.

3. სამუშაოს დასრულების შემდეგ წაახალისეთ ჯგუფები, ცალ-ცალკე წარადგინონ საკუთარი დავალება კლასის წინაშე. სასურველია, ამბის გადმოცემაშიც ჯგუფის ყველა წევრმა თანაბრად მიიღოს მონაწილეობა, მაგ., ერთი იწყებს, სხვები აგრძელებენ და ა.შ.

მასწავლებლის დაკვირვების ფურცელი.


	გიორგი	ანა	დათო
პირობასთან შესაბამისობა: იცავს შინაარსობრივ მოთხოვნებს – კი / არა			
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები საუბრობს: <ul style="list-style-type: none"> • მკაფიოდ და გასაგებად – კი / არა • სათანადო პაუზებით – კი / არა • პარაზიტი ჩანართების გამოყენების გარეშე – კი / არა 			
ენობრივი უნარ-ჩვევები: <ul style="list-style-type: none"> • იყენებს ადეკვატურ ლექსიკას – კი / არა • თხრობისას იცავს ლოგიკურ თანამიმდევრობას – კი / არა • იცავს ენობრივ გამართულობას – კი / არა 			
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები: ავლენს ფანტაზიის უნარს – კი / არა			
თანამშრომლობის უნარი: <ul style="list-style-type: none"> • პატივს სცემენ ერთმანეთის აზრს – კი / არა • ერთმანეთს აცლიან აზრის გამოთქმას – კი / არა 			

შენიშვნა: მოცემული შეფასების სქემა შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი მონოლოგური მეტყველების შესამოწმებლად (თხრობითი ტექსტის გადმოცემა) და ჯგუფური მუშაობის შესაფასებლად.


1. ილუსტრაციების დამუშავება ზეპირად – კითხვების დახმარებით მოსწავლეები აღწერენ სურათებს: რა არის სურათზე გამოსახული? ვინ არიან ესენი? სად დგას წითელთმიანი ბიჭი პირველ სურათზე? რას აკეთებს ის? თქვენი აზრით, რატომ იქცევა ასე? როგორ ფიქრობთ, რატომ ტირის ბიჭი? რატომ იმალებიან ბავშვები სკივრში? როგორ დააკავშირებთ ამ ორ სურათს ერთმანეთთან?



2. პერსონაჟებზე მუშაობა აზრობრივი დიაგრამების გამოყენებით. ცალ-ცალკე დაამუშავებინეთ მოსწავლეებს ილუსტრაციის პერსონაჟები.



3. განსაზღვრეთ ილუსტრაციებზე ასახული მოქმედების დრო და ადგილი (სად და როდის ხდება მოქმედება?) და მიეცით ზოგადი ყალიბი, რომელსაც გამოიყენებენ მოსწავლეები ამბის შედგენისას:



პრაგმატული ტექსტის შექმნა – გავაკეთოთ რეკლამა

მიზანი – სარეკლამო ტექსტის სტრუქტურისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ფლობისა და გამოყენების უნარის განვითარება; რეკლამის შექმნა.

მიეცით მოსწავლეებს ნებისმიერი სარეკლამო ტექსტი და კონკრეტული დავალებებით ყურადღება გაამახვილებინეთ, ზოგადად, ამ ტიპის ტექსტების ფუნქციურ და შინაარსობრივ მახასიათებლებზე:

ა) ვისთვის არის განკუთვნილი?

ბ) რა არის ამ რეკლამის ფუნქცია. მაყურებლის / მკითხველის:

1. დარწმუნება;
2. ინფორმირება;
3. გაფრთხილება;
4. გართობა.

გ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რას უკეთებენ რეკლამას?
2. რას სთავაზობენ? და ა.შ.

დ) გამოკვეთილია თუ არა რეკლამაში ძლიერი მხარეები და დაასაბუთონ, რატომ ფიქრობენ ასე.

ე) გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება მოცემული რეკლამის მიმართ: იმოქმედა თუ არა მათზე რეკლამამ? კონკრეტულად რამ დააინტერესა ისინი რეკლამაში? და ა.შ.

4. ამის შემდეგ იმუშავეთ ტექსტის ენობრივ-გამომსახველობით მხარეზე.

ა) დაასახელონ, შინაარსის მიხედვით როგორი წინადადებებია რეკლამაში მოცემული: *თხრობითი, კითხვითი თუ ბრძანებითი?*

ბ) დაასახელონ, რას გამოხატავს ეს წინადადებები:

1. სურვილს;
2. რჩევას;
3. ვარაუდს
4. აუცილებლობას.

საჭიროებისამებრ, გაახსენეთ სათანადო ენობრივი მარკერები – როგორ გამოხატავთ სურვილს, რჩევას, ვარაუდსა და აუცილებლობას: *თუ გსურთ, უყურეთ! გირჩევთ, რომ უყუროთ! შეგიძლიათ უყუროთ! / იქნებ უყუროთ! უყურეთ! / უნდა უყუროთ! / აუცილებლად უყურეთ!*

გ) სთხოვეთ, დააკვირდნენ კითხვით წინადადებებს. რომელი სიტყვებით იწყება ისინი? მონიშნინეთ ეს სიტყვები. რას გამოხატავენ ისინი? (*ინტერესს, სურვილსა თუ საჭიროებას*).

5. ამის შემდეგ გააცანით სარეკლამო ტექსტის ძირითადი პარამეტრები და სთხოვეთ, ამ პარამეტრების მიხედვით თავიდან განიხილონ ტექსტი.

სარეკლამო ტექსტის ძირითადი მოთხოვნები:

I. დაიცავი რეკლამის მთავარი პრინციპი – მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება მინიმალურ დროში.

II. გაითვალისწინე რეკლამის ვიზუალური მხარე – სად უნდა განთავსდეს და რა სახით (ტელევიზია, პრესა, ინტერნეტი, ქუჩა...)

III. გამოკვეთე რეკლამის ფუნქცია და მისი მომხმარებელი.

ფუნქციები: ა. დარწმუნება; ბ. ინფორმირება; გ. გაფრთხილება; დ. გართობა და სხვა.

IV. გაითვალისწინე ძირითადი მომხმარებლის ასაკი და ინტერესები.

V. გამოკვეთე სარეკლამო პროდუქტის ძლიერი მხარეები:

დაიმახსოვრე: ამბობ მხოლოდ კარგს და არაფერს – ცუდს!

VI. ყურადღება მიაქციე ტექსტის ფორმას და ენას:

დაიმახსოვრე: ტექსტი უნდა იყოს მარტივი, ყველასათვის გასაგები და მცირე ზომის. მოერიდეთ გრძელ და რთულ ფრაზებს.

6. მიეცით ახალი ტექსტი, რომელშიც ბოლომდე არ არის (ნაკლებად არის ან საერთოდ არ არის) გათვალისწინებული სარეკლამო ტექსტის ძირითადი მოთხოვნები. მიაწოდეთ

ინფორმაცია რეკლამის ფუნქციისა და სამიზნე ჯგუფის შესახებ და შეასრულებინეთ შემდეგი დავალებები (ამუშავეთ მოსწავლეები წყვილებში):

ა) სარეკლამო მოთხოვნებიდან რა არ არის გათვალისწინებული წარმოდგენილ ტექსტში? დაასახელეთ ეს ხარვეზები და დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია, რატომ ფიქრობთ ასე.

ბ) გამართეთ ტექსტი სარეკლამო მოთხოვნების გათვალისწინებით და წარმოადგინეთ კლასის წინაშე.

გთავაზობთ ნიმუშს:

თუ რთული სამუშაო დღე გართმევთ დროსა და ენერგიას, ნუ იფიქრებთ კერძების მომზადებაზე, დაზოგეთ დრო და ენერგია! ჩვენი სწრაფი კვების ობიექტის მაღალკალორიული კერძები მომენტალურად მოგიკლავთ შიმშილს. მართალია, ექიმები ამბობენ, რომ ისინი ჯანმრთელობისთვის მავნებელია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ჯანსაღ ემულგატორებს, ანუ საკვებ დანამატებს ვიყენებთ.

წამოიყვანეთ თქვენი პატარებიც და გვეწვიეთ ახლავე! თქვენ გელით სიურპრიზები – შეჭამთ, გაერთობით და თანაც დასაჩუქრდებით!

ხარვეზების შესახებ: სარეკლამო ტექსტი ჭარბია და ზედმეტ ინფორმაციას შეიცავს. ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის გამო, ტექსტი ვერ უზრუნველყოფს რეკლამის მთავარ ფუნქციას – დაარწმუნოს მომხმარებელი, რატომ უნდა იკვებოს იქ. გარდა ამისა, ტექსტში არათუ მოცემულია სარეკლამო პროდუქტის ძლიერი მხარე, პირიქით, გამოკვეთილია მისი უარყოფითი, ჯანმრთელობისათვის საშიში ასპექტები (მაღალკალორიულობა, საკვები დანამატების / ემულგატორების არსებობა, ექიმების პოზიცია ამგვარი საკვების მიმართ). სუსტი მხარეა თავისთავად საკვები დანამატების ანუ ემულგატორების გამოყენების აღნიშვნაც, რაც თავისთავად უკვე მიანიშნებს ამგვარი საკვების საფრთხის შემცველობაზე და ა.შ.

გარდა ამისა, ტექსტში არის გრძელი და რთული ფრაზებიც (მაგ., ჩვენი სწრაფი კვების ობიექტის მაღალკალორიული კერძები მომენტალურად მოგიკლავთ შიმშილს. მართალია, ექიმები ამბობენ, რომ ისინი ჯანმრთელობისთვის მავნებელია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ჯანსაღ ემულგატორებს, ანუ საკვებ დანამატებს ვიყენებთ).

სამუშაოს დასრულების შემდეგ წყვილები ცალ-ცალკე წარადგენენ საკუთარ ნამუშევრებს – ასახელებენ ხარვეზებს და ასაბუთებენ პოზიციებს, ბოლოს წარადგენენ საკუთარ ვარიანტებს.

წარმოდგენილი ვარიანტებიდან მოსწავლეებთან ერთად შეარჩიეთ საუკეთესო სარეკლამო ტექსტი ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით.

7. ამის შემდეგ გადადით ახალი სარეკლამო ტექსტის შექმნაზე. დაყავით მოსწავლეები მცირე ჯგუფებად. გააცანით სიტუაცია, რის შესახებ უნდა დაწერონ რეკლამა; შეახსენეთ, რომ არ დაავინყდეთ სარეკლამო ტექსტის მოთხოვნების გათვალისწინება და მიეცით დამატებითი დავალება – გააფორმონ რეკლამა ვიზუალურად და ისე წარადგინონ კლასის წინაშე. მოსწავლეთა ნამუშევრები შეაფასეთ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- შეესაბამება სარეკლამო ტექსტის მოთხოვნებს;
- იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს;
- ავლენს შემოქმედებით უნარებს (ფანტაზია, ორიგინალურობა, კრეატიულობა).

ლიტერატურული სალონი – დავნეროთ ფანტასტიკური ჟანრის მოთხრობა

მოცემულ აქტივობაზე მუშაობას დაუთმეთ იმდენი გაკვეთილი, რამდენიც საჭირო იქნება (შესაძლებელია, ამას დასჭირდეს ორი ან სამი გაკვეთილიც).

აკონტროლეთ მუშაობის პროცესი და მინიმალურად ჩაერიეთ მოსწავლეთა გადანწყვეტილებებში. მთავარია, რომ მკაფიოდ აუხსნათ შეთავაზებული დავალებები და დარწმუნდეთ, რომ ყველამ გაიგო, რას ითხოვენ მისგან. მნიშვნელოვანია, რომ მომზადების პროცესში მიცემული საყრდენები (როგორც რესურსი, ისე კონკრეტული ნიმუშები) მოსწავლეებთან ერთად გაიაროთ და შემდეგ მისცეთ დრო და საშუალება საკუთარი იდეების გენერირებისათვის.

1. გამონვევა.

ა) ჰკითხეთ მოსწავლეებს მოთხრობის შესახებ: რა არის მოთხრობა? რით განსხვავდება ის სხვა ლიტერატურული ჟანრისგან (მაგ., ლექსისგან, პოემისგან, ზღაპრისგან, ლეგენდისგან, იგავ-არაკისგან)? რა ელემენტებისგან შედგება მოთხრობა? სთხოვეთ, საკუთარი სიტყვებით განმარტონ, ახსნან, რა არის ფანტასტიკა.

დასვით შემდეგი შეკითხვები: *ფანტასტიკური ჟანრის მოთხრობა შეთხზული, გამოგონილი ამბავია, თუ რეალური? რა არის იქ დაუჯერებელი, ძალიან უცნაური და განუხორციელებელი?*

ბ) გაახსენეთ ფანტასტიკური ჟანრის ნაწარმოებები ან ფილმები, რომლებიც ბოლოს წაიკითხეს ან ნახეს. ჰკითხეთ: *ვინ იყვნენ მისი პერსონაჟები? რას ეხებოდა სიუჟეტი? როგორ განვითარდა იქ მოვლენები და რით დამთავრდა?*

2. ამის შემდეგ იმუშავეთ მოთხრობის შინაარსობრივ, სტრუქტურულ და ენობრივ მახასიათებლებზე.

ა) რა არის მოთხრობისთვის საჭირო? ვარაუდების გამოთქმის შემდეგ დააკონკრეტეთ ეს ინფორმაცია:

ა) **ფაბულა** (ის, რაც საფუძვლად უნდა დაედოს მოთხრობის სიუჟეტს; ამბავი, რომელიც უნდა განვითარდეს)

ბ) **სივრცე და დრო** (სად და როდის ვითარდება მოვლენები)

გ) **პერსონაჟები** (მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟები)

დაუკონკრეტეთ მოვლენათა განვითარების დრო და სივრცე:

დრო და სივრცე

ა. მოვლენათა განვითარების დრო: როდის იწყება და როდის მთავრდება; როდიდან როდემდე გრძელდება (ნელინადის რა დროს, დღე-ღამის რომელ მონაკვეთში, რომელ საათზე და ა.შ.);

ბ. მოვლენათა განვითარების ადგილი: სად დაიწყო, სად გაგრძელდა და სად დასრულდა (მაგ., ტყეში, ქალაქის გარეუბანში, ტრიალ ველზე, მიტოვებულ სახლში, უცხოპლანეტელების ხომალდზე; იქ, სადაც დაიწყო; იქიდან ძალიან შორს და ა.შ.).

ცალკე შეეხებთ მთავარ და მეორეხარისხოვან პერსონაჟებს და დააზუსტეთ მათ შორის არსებული განსხვავება: **მთავარი პერსონაჟ(ებ)ი** – ადამიან(ებ)ი, რომლის გარშემოც ეს ამბავი უნდა განვითარდეს; ამ ამბების მთავარი მონაწილე. **მეორეხარისხოვანი პერსონაჟები** – ადამიანები, რომლებიც ამბის განვითარებისას კონკრეტულ დროსა და სივრცეში მთავარ პერსონაჟ(ებ)თან პირდაპირ თუ ირიბად ურთიერთობენ და მოვლენების განვითარებაში მონაწილეობენ.

3. გააცანით მიზანი – *ვისწავლით მოთხრობის წერას და დავწერთ ფანტასტიკური ჟანრის მოთხრობას*. დაინტერესდით, *უყვართ თუ არა ფანტასტიკურ თემაზე შექმნილი ფილმები, წიგნები? ამ ჟანრის რომელი ფილმი აქვთ ნანახი? რომელი წიგნი აქვთ ნაკითხული? სთხოვეთ, გადმოსცენ, კონკრეტულად რა თემაზე იყო? რა უდევს საფუძვლად ამბავს? სად ვითარდება მოვლენები და როდის? ვინ არიან მთავარი გმირები? განსაკუთრებით რით დაამახსოვრდათ ეს ფილმი/წიგნი? რამ მოხიბლათ? და ა.შ.* ამის შემდეგ მიეცით კონკრეტული დავალებები:

ა) გააცანით ფაბულა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მათ შეთხზულ ამბავს.

ფაბულა: *მარტოხელა ადამიანი ღამით გზაზე მშვიდად მიდის და უცებ აღმოაჩინს შემოვლით გზას, რომელიც მალე იკარგება. შემდეგ კი მფრინავი თევზი გამოჩნდება და მას იტაცებენ.*

ბ) გააცანით სანიმუშო ვარიანტები ამბის დასაწყისისა და დასასრულისათვის და მიეცით კონკრეტული რეკომენდაციებიც.

დასაწყისი	დასასრული
ა) შესაძლებელია, დაიწყო მთავარი პერსონაჟის გაცნობით;	როცა თვალი გაახილა (გავახილე), ისევ იქ იყო (ვიყავი), საიდანაც...
ბ) აღინეროს ის გარემო, სადაც მოვლენები უნდა დაიწყო და შემდეგ განვითარდეს;	იმ შემთხვევის შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ...
გ) მეტი ემოციურობისათვის, შესაძლებელია, პირდაპირ დაიწყო უცნაური მოქმედება და ა.შ.	ამ ამბავმა მთლიანად შეცვალა მისი (ჩემი) ცხოვრება. ამის შემდეგ მან მყარად გადაწყვიტა ...

რეკომენდაციები

აქ ყველაფერი უნდა გაიხსნას. მკითხველი არ უნდა დარჩეს გაურკვეველ მდგომარეობაში და არ უნდა დასვას მან ასეთი კითხვა: კი, მაგრამ, როგორ დამთავრდა, მერე რა მოხდა?! მკითხველმა უნდა გამოიტანოს დასკვნა, რა იყო მოთხრობის მთავარი გზავნილი.

გ) ამის შემდეგ მიეცით კონკრეტული სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ სიუჟეტის მოფიქრებისას:

ვინ არის ეს ადამიანი? სად და რატომ მიდის ღამით? მარტო მიდის თუ ვინმესთან ერთად? რატომ გადამწყვეტს შემოვლითი გზით ნასვლას? რომელი მხრიდან და როგორ გამოჩნდება მფრინავი თეფში? რა მოჰყვება მის გამოჩენას? სად წაიყვანენ უცხოპლანეტელები მას და რატომ? რა მოხდება იქ – რა მოჰყვება მათ შეხვედრას განსაკუთრებული, დამეგობრდნენ, დაეხმარნენ? რით დამთავრდება ეს ყველაფერი – საბოლოოდ წაიყვანეს ის თუ დააბრუნეს? და ა.შ.

დ) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელზეც უნდა დაფიქრდნენ მოსწავლეები, არის დედამიწაზე უცხოპლანეტელების გამოჩენის კონკრეტული მიზეზი ან მიზეზი, რაც დაეხმარება მათ მოვლენათა განვითარებაში – რატომ/რისთვის ჩამოვიდნენ? შესთავაზეთ კონკრეტული ვარიანტები, მაგალითად:

- უცხოპლანეტელებს კეთილი მიზნები ამოძრავებთ;
- მათ უნდათ ადამიანებთან დაახლოვება, გაცნობა, ურთიერთობა, პირადი კონტაქტების დამყარება;
- დედამიწაზე განსაკუთრებული მისია ჰქონდათ შესასრულებელი და ა.შ.

ე) შეადგენინეთ სიუჟეტის განვითარების **ძირითადი გეგმა**, რომელსაც გაჰყვებიან მოსწავლეები წერის პროცესში (თუმცა, იქვე აუხსენით, რომ ეს გეგმა საბოლოო არ არის და მასში ცვლილებების შეტანა – რაიმეს დამატება/მოკლება – მუშაობის პროცესში შესაძლებელია). მთავარია, რომ მოსწავლეებმა გეგმის შედგენისას გაითვალისწინონ შემდეგი: მოვლენები (იგივე ეპიზოდები) უნდა განავითარონ ლოგიკური თანამიმდევრობით (ქრონოლოგიური, მიზეზშედეგობრივი და ა.შ., მაგ., რა მოხდა ჯერ და რა შემდეგ და რატომ?); ისინი გარკვეული ლოგიკური ნიშნით უნდა უკავშირდებოდნენ ერთმანეთს.

ნიმუში:

1. კაცს ურეკავენ (ან მე მირეკავენ). სასწრაფოდ უნდა მივიდეს (ან მივიდე) ავადმყოფთან. შუალამეა.
2. გზაში მანაქანა ფუჭდება და ფეხით აგრძელებს (ან ვაგრძელებ) გზას.
3. დაინახავს (ან დავინახავ) შემოვლით გზას და ა.შ.

ვ) დააბრუნეთ გეგმასთან და სთხოვეთ მიანიშნონ, სად, რომელ ეპიზოდში შეიძლება, რომ გამოიყენონ ბუნების/ამინდის აღწერა და რა ფუნქცია ექნება მას, მაგალითად:

- პერსონაჟის განწყობის, ემოციის უკეთ გამოსაჩენად (მაგ., თუ პერსონაჟი მშობარაა, მის შიშს აძლიერებს მოულოდნელი ქარის ამოვარდნა; სადღაც უეცარი ხმაური, ფოთლების შრიალი და ა.შ.);
- რაღაც დაბრკოლების შესაქმნელად ან პირიქით, (მაგ., პერსონაჟი ფეხით მიდის. ამ დროს მოულოდნელად ამინდი იცვლება, გრივადი ამოვარდება, უეცრად ჩამობნელდება, თავსხმა იწყება, რაც ხელს შეუშლის მას დანიშნულების ადგილას სწრაფად მისვლაში / ან დაეკარგება მნიშვნელოვანი ნივთი და ა.შ.).

4. პერსონაჟებზე მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილებინეთ პერსონაჟებზე.

ა) მიეცით დრო იმისათვის, რომ მოიფიქრონ მთავარი და დამატებითი პერსონაჟები. დაურიგეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი, რომელიც უნდა შეავსონ საკუთარი პერსონაჟების შესახებ საჭირო ინფორმაციით (პერსონაჟთა რაოდენობა თავად მოსწავლემ უნდა განსაზღვროს).

	პირადი მონაცემები (ვინაობა, ასაკი, საქმიანობა)	გარეგნობა (ფიზიკური მონაცემები, ჩაცმულობა)	ხასიათის თვისებები, ემოციები, ინტერესები...
1			
2			
3			
4			

ბ) ამის შემდეგ მიეცით ქვემოთ მოცემული დამატებითი საყრდენები (ჯერ ნაუკითხეთ ხმამაღლა და შემდეგ დაურიგეთ ყველას), რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს პერსონაჟების შესახებ სრული ინფორმაციის მოფიქრებაში. ამ დავალების შესასრულებლად მიეცით საკმარისი დრო:

- 1. მოიფიქრეთ, რატომ არიან ისინი ასეთები** (მაგალითად, კარგი / ცუდი; ჭკვიანი / სულელი; ბოროტი / კეთილი და ა.შ.). მოხაზეთ სავარაუდო სიტუაციები, სადაც ისინი ამ თვისებებს ავლენდნენ ან, საჭიროების შემთხვევაში, გამოავლენენ.
- 2. იფიქრეთ, რატომ აირჩიეს უცხოპლანეტელებმა მაინცდამაინც ის** (იმიტომ, რომ ჭკვიანია; თავისი საქმის მცოდნეა; ან ბოროტია, ცუდია და უცხოპლანეტელებთან შეხვედრამ ის მთლიანად უნდა შეცვალოს, სხვა ადამიანად უნდა აქციოს და ა.შ.).
- 3. მოიფიქრეთ და გამოკვეთეთ მათი განცდები და ემოციები სხვადასხვაგვარად:**
 - მისი ქცევით, რეაქციით (მაგ., შიშისაგან ერთ ადგილზე გაშეშდა / კანკალი დაიწყო / მუხლებში ძალა გამოეცალა...; სიხარულისაგან ერთ ადგილზე ხტუნვა დაიწყო...
 - მისი რეპლიკებით (მაგ., როგორ მიხარია თქვენი ნახვა! რა საშინელებაა!...)

5. ენობრივ რესურსებზე მუშაობა

ა) მიეცით ახალი ცხრილი და სთხოვეთ, საკუთარ გეგმაზე დაყრდნობით შეავსონ ჯერ ცხრილის პირველი სვეტი (გარემოება/სიტუაცია). ამის შემდეგ ჩანერონ კონკრეტულ სიტუაციაში პერსონაჟის სავარაუდო ემოცია და ქცევა. სანიმუშოდ აიღეთ ერთი ან ორი სიტუაცია და მოსწავლეებთან ერთად შეავსეთ.

	გარემოება (სიტუაცია)	პერსონაჟის განცდა/ემოცია (როგორია?)	პერსონაჟის ქცევა/მოქმედება (რას აკეთებს, რა გააკეთა?)
1	მარტო მიდის გზაზე, ღამეა.	ჩაფიქრებული, დარდიანი... მხიარული შეშინებული (სიბნელის ეშინია)	მღერის, უსტვენს... ტელეფონზე საუბრობს... თავის თავს ხმამაღლა ელაპარაკება... აკანკალებული აქეთ-იქით იყურება...
2	უცებ მფრინავი თეფში გამოჩნდა.	აცახცახებული, გაოცებული, თვალეზდაჭყეტილი...	კაცი ერთ ადგილზე გაშეშდა; ხელების ქნევა დაიწყო; ყვირილი ატეხა; გაიქცა; ერთ ადგილზე ხტუნვა დაიწყო; ხის უკან დაიმალა; ორმოში ჩაძვრა ...
3			
4			

ბ) მოსწავლეებთან ერთად მოიფიქრეთ დროისა და სივრცის გამომხატველი მარკერები (სიტყვები, სიტყვათშეხამებები, ფრაზები), რომელთაც გამოიყენებენ მოსწავლეები ნერისას:

დროში ორიენტაცია	სივრცეში ორიენტაცია
მაღე, ცოტა ხანში, ამასობაში, ერთი საათის განმავლობაში, მცირე ხნის შემდეგ, მეორე დღეს, მოულოდნელად, მაშინვე, ერთ წამში, იმ დროს ... როცა...; მაშინ... როცა...; ისევე სწრაფად, როგორც ...; მაშინათვე, პირველად, საბოლოოდ ...	მეზობელ ქალაქში, ქალაქგარეთ, ერთ პატარა სოფელში, სადღაც შორს, ათიოდე მეტრში, ერთ კილომეტრში, იმ ადგილიდან შორს / ახლოს; იქ სადაც; ტყეში / ტყის პირას / ტყისკენ; ორ ნაბიჯში, ...-თან ახლოს / შორს...

გ) მოსწავლეებს შესთავაზეთ, მოვლენის, საგნის და ა.შ. აღწერისას გამოიყენონ ხუთივე გრძნობა. ამისათვის მიეცით კონკრეტული ვარიანტები ნიმუშთან ერთად.

ვარიანტები:

1. **სმენა** (რა გაიგონა? – ზუზუნი, რაღაც უცნაური ხმები, ფოთლების შრიალი...)
2. **მხედველობა** (რა დაინახა? – წითელი შუქი, მკვეთრი სინათლე, მრგვალი საგანი...)
3. **გემოვნება** (როგორი გემო ჰქონდა? – ტკბილი, მწარე, უცნაური...)
4. **ყნოსვა** (რისი სუნის იგრძნო? – დამწვარი რეზინის, ნაცნობი არომატის, ახალ-გამომცხვარი პურის...)
5. **შეხება** (როგორია? – მაგარი, რბილი, ცივი, ცხელი...)

ნიმუში:

უცბად ჩაბნელებულ ცაზე მფრინავი თევზი გამოჩნდა – დიდი, მრგვალი და წითელი შუქით განათებული. ზუზუნით მოფრინავდა. ხმა თანდათან გაძლიერდა და ბოლოს უცბად შეწყდა. კაცი ჯერ ერთ ადგილზე გაშეშდა, შემდეგ ხეს ამოეფარა და შიშისაგან აცახცახებულმა აქეთ-იქით ყურება დაიწყო. რამდენიმე წუთის შემდეგ ვარდისფერი კვამლი დაინახა და რაღაც უცნაური სუნიც იგრძნო...

დ) ავტორის ხედვის კუთხე. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც უნდა გამოკვეთონ მოსწავლეებმა, ეს არის მთხრობელის (ანუ საკუთარი) პოზიცია. მიეცით კონკრეტული ვარიანტები და სთხოვეთ, შემოხაზონ მათთვის მისაღები.

აუხსენით ამის საჭიროება: სწორედ ამაზეა დამოკიდებული, რომელ პირში გადმოსცემს ამბავს; გამოიყენებს თუ არა პირდაპირ და ირიბ ნათქვამს და რა კონტექსტში და ა.შ.

მთხრობელის პოზიცია	
ა. ხარ მხოლოდ ავტორი;	ა. გადმოსცემ, რა მოხდა ერთხელ წარსულში;
ბ. ხარ ავტორიც და პერსონაჟიც;	ბ. გადმოსცემ მიმდინარე მოვლენებს.
გ. გამოკვეთე, მთავარი პერსონაჟი ხარ თუ არა;	გ. გადმოსცემ სხვის მონაყოლს;
დ. ხარ დედამიწელი თუ უცხოპლანეტელი	დ. ყვები უცნაურ სიზმარს;

6. სათაურის შერჩევა. განუმარტეთ, რომ სათაური შეუძლიათ, შეარჩიონ წერის პროცესშიც, თუმცა უკეთესი იქნება, თუკი წერის დასრულების შემდეგ დაფიქრდებიან მასზე. უნდა ეცადონ, რომ სათაური იყოს მარტივი და შეიცავდეს მოთხრობის მთავარ სათქმელს. თემიდან და სიუჟეტიდან გამომდინარე, შესაძლებელია, სათაურშივე ჩაიდოს რაიმე ინტრიგა, მაგალითად: *ჩემი მარსიანელი მეგობარი; მოგ ზაურობა უცნაურ არსებებთან ერთად* და ა.შ.

7. ბოლოს, მიეცით საშუალება მოცემული სქემის გამოყენებით თავად მოიფიქრონ და შექმნან მოთხრობა. შესაძლებელია, მოსწავლეები ამუშაოთ წყვილებში ან მცირე ჯგუფებად.

8. ბოლოს, როდესაც დარწმუნდებით, რომ მოსწავლეები მზად არიან წერის დასაწყებად, შესთავაზეთ სამუშაოს შესრულება.

წერის ეტაპი. ამის შემდეგ ჯგუფები იწყებენ მუშაობას. ქმნიან ჯერ პირველად, შავ ვერსიას. სასურველია, მასწავლებელმა შორიდან აკონტროლოს მუშაობის პროცესი და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ჩაერიოს კონკრეტული რჩევებითა და რეკომენდაციებით.

შესაძლებელია, საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს დაევალოთ ცალკეული პერსონაჟების ან შესაბამისი სიუჟეტური ნახატების შექმნა ზღაპრისთვის.

შავი ვერსიის დასრულების შემდეგ სთხოვეთ ჯგუფებს, წაიკითხონ და შეასწორონ საკუთარი ნამუშევრები – საჭიროებისამებრ, შეიტანონ მასში ცვლილებები, ჩაამატონ ან ამოიღონ

კონკრეტული დეტალები, გამართონ ენობრივად, ყურადღება მიაქციონ სტილს (გასაგებად და თანმიმდევრულად გადმოსცემენ თუ არა სათქმელს; ბუნდოვანი ხომ არ არის აზრი და ა.შ.), პუნქტუაცია და მართლწერის საკითხებს.

წერის შემდგომი ეტაპი. სთხოვეთ ჯგუფებს, გადათეთრებამდე კიდევ ერთხელ დაუბრუნდნენ ნაწერებს საბოლოო რედაქტირებისათვის. გაასწორონ ის ენობრივი (გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომები) და შინაარსობრივი ხარვეზები, რომლებიც გამოეპარათ პირველი გასწორებისას.

გადათეთრების შემდეგ ჯგუფები წარადგენენ საკუთარ ნამუშევრებს შესაბამის ნახატებთან ერთად. განიხილავენ, მსჯელობენ, ადარებენ ერთმანეთს და ა.შ.

შეფასებისას გამოიყენეთ შემდეგი კრიტერიუმები:

- პირობასთან შესაბამისობა (იცავს თუ არა შინაარსობრივ მოთხოვნებს);
- კომუნიკაციური უნარ-ჩვევები (იცავს თუ არა აზრობრივ და ლოგიკურ კავშირებს; გასაგებად და თანმიმდევრულად აყალიბებს თუ არა აზრს/სათქმელს);
- ენობრივი უნარ-ჩვევები (იცავს თუ არა ენობრივ-გრამატიკულ და ორთოგრაფიულ სიზუსტეს; ადეკვატურად იყენებს თუ არა ლექსიკას; სათანადოდ ხმარობს თუ არა სასვენიშნებს);
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევები (ავლენს თუ არა ფანტაზიის/წარმოსახვის უნარს; იჩენს თუ არა ორიგინალობას);
- სოციალური უნარ-ჩვევები (ავლენს თუ არა მუშაობისას სხვებთან თანამშრომლობისა და ამ პროცესში კონსტრუქციული ურთიერთობების უნარს).

მოსწავლის შეფასება და შეფასების რუბრიკები

მოსწავლეთა შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ სწავლის შედეგზე, არამედ სწავლის პროცესზე ორიენტირებასაც. ამიტომ მოსწავლის შეფასება, პირველ რიგში, უნდა ემსახურებოდეს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. შესაბამისად, მასწავლებელი მოსწავლეთა შეფასებისას ორიენტირებული უნდა იყოს უფრო მეტად უკეთესი შედეგების მიღწევაზე, ვიდრე უბრალოდ ცოდნის შემოწმებაზე. ცხადია, შეფასებაში არ იგულისხმება არც ნიშნებისა და არც ქულების დაწერა.

მაშ, რისთვის გეჭირდება მოსწავლეთა შეფასება?

თქვენმა შეფასებამ ხელი უნდა შეუწყოს, ერთი მხრივ, მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას და, მეორე მხრივ, განსხვავებული პოტენციალის მქონე ყველა მოსწავლისათვის თანაბარი პირობების შექმნას იმისათვის, რომ ყველამ შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება.

თქვენი შეფასების მიზანი სწავლის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა და სწავლების პროცესში თითოეული მოსწავლის განვითარებისათვის მაქსიმალურად ხელშეწყობა უნდა იყოს.

თქვენ გეჭირდებათ მოსწავლეთა მიღწევის დონის შემოწმება არა ნიშნების დასაწერად, არამედ მათ დასახმარებლად. მნიშვნელოვანია, რომ სწავლის პროცესში დააკვირდეთ თითოეულ მოსწავლეს და შეისწავლოთ მათი საჭიროებები იმისათვის, რომ თითოეულ მათგანს მაქსიმალურად შეუწყოთ ხელი წინსვლაში და, მეორე მხრივ, ამ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით დაგეგმოთ საგაკვეთილო პროცესი.

ენობრივი ცოდნისა და უნარების შეფასებისას უნდა შეამოწმოთ მოსწავლის:

- ლექსიკური ცოდნა
- გრამატიკული ცოდნა
- ლექსიკური და გრამატიკული უნარ-ჩვევები (ანუ, როგორ შეუძლია მას ამ ცოდნის კონტექსტში გამოყენება)
- გამოთქმა
- მართლწერა

კომუნიკაციური უნარების შეფასებისას კი მოწმდება:

- კითხვა-გაგება
- ხმამალალი კითხვა
- მოსმენა-გაგება
- ზეპირი კომუნიკაცია (ინტერაქცია, გაბმული ლაპარაკი)
- წერიტი კომუნიკაცია

ენობრივი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება ხდება შემდეგი დავალებებით:

1. სხვადასხვა ტიპის გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოებით (მაგ., რამდენად ახერხებს მოსწავლე: სწორი ფორმის ამოცნობას; ფორმის / კონსტრუქცი-

ციის შეცვლას ნიმუშის მიხედვით; შეცდომების ამოცნობა-გასწორებას; სინონიმებისა და ანტონიმების დაკავშირება / მოფიქრებას; ნაკლულ ტექსტში სიტყვების ჩასმასა და სხვა.

2. სხვადასხვა ტიპის საკითხავი და მოსასმენი ამოცანების გადაჭრით (მაგ., შემოხაზე სწორი ვარიანტი; მონიშნე, სწორია თუ არა; იპოვე სწორი თანამიმდევრობა; ამოიცანი უცნობი სიტყვები კონტექსტის მიხედვით და სხვა);
3. სხვადასხვა ტიპის ზეპირი აქტივობის შესრულებით როგორც დამოუკიდებლად, ისე მენწყვილესთან ერთად ან ჯგუფურად (მაგ., დიალოგის გათამაშება მენწყვილესთან ერთად; მინიინტერვიუები; აღწერა-დახასიათება; საკუთარი თავის ან სხვის შესახებ საუბარი; თანაჯგუფელების გამოკითხვის გზით კონკრეტული კითხვარების შევსება და შემდეგ ამ კითხვარებზე დაყრდნობით ინფორმაციის გადაცემა და სხვა).

წერითი და ზეპირი დავალებებისათვის მნიშვნელოვანია, შემოწმდეს:

- პირობასთან შესაბამისობა (იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს);
- კომუნიკაციური უნარ-ჩვევები (მაგ., გასაგებად გადმოსცემს ინფორმაციას;
- საუბრობს გარკვევით; აზრის გადმოცემისას იცავს თანმიმდევრულობას და ა.შ.);
- ენობრივი უნარ-ჩვევები (სწორად იყენებს ნასწავლ ზმნებს; ადეკვატურად იყენებს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებსა და შესაბამის ენობრივ ფორმებს; იყენებს ნასწავლ ლექსიკას და ა.შ.);
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევები (იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით; არ უფრთხის შეცდომებს და ა.შ.).

ხმამაღალი კითხვისთვის მნიშვნელოვანია, შემოწმდეს: კითხულობს თუ არა:

- უშეცდომოდ და შეუფერხებლად;
- გარკვევით და მკაფიოდ;
- გამომსახველობით – შესაბამისი ინტონაციით, სასვენ ნიშნების მართებული გამოყენებით და ა.შ.

ჩუმი კითხვისთვის მნიშვნელოვანია, რამდენად შეუძლია მარტივი საკითხავი ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრა.

გთავაზობთ შეფასების სქემებს, რომლებიც დაგეხმარებათ, რა შემთხვევაში, როდის და როგორ შექმნათ მსგავსი სქემები.

ნიმუში 1: (საანბანო პერიოდში)

პირველი თემა (ანბანი)	ათვისებულია	ათვისების პროცესშია	ათვისებულია
კითხვა			
ასოების ცნობა და გახმოვანება			
კითხვის მოქნილობა (სავარჯიშო ტექსტების დამოუკიდებლად წაკითხვა)			
კითხვა-გაგება (სიტყვების, წინადადებების დაკავშირება შესაბამის სურათთან)			
წერა			
ოთხხაზოვან სისტემაში ასოს ჩანერის წესების დაცვა (განლაგება, ზომა და მიმართულება)			
სიტყვების სწორად გამონერა			
ცალკეული სიტყვებისა და წინადადებების გადანერა			

მოსწავლეთა შესაფასებლად შეგიძლიათ, გამოიყენოთ ის ტიპური სავარჯიშოები, რომელთაც სწავლების პროცესში იყენებდით.

ნიმუში 2: ზეპირმეტყველების შეფასების ზოგადი სქემა – ინტერაქცია (დიალოგური საუბარი):

- ქულები:** 0 = ვერ აკმაყოფილებს
 1 = ნაწილობრივ აკმაყოფილებს
 2 = სრულად აკმაყოფილებს

	I მონაწილე	II მონაწილე
შეფასების კრიტერიუმები		
• სათანადოდ რეაგირებს კითხვა-პასუხზე (0 – 1 – 2)		
• რეპლიკები გასაგებია (0 – 1 – 2)		
• საუბრობს გარკვევით და ხმამღლა (ინტონაცია, ხმის ტონი, მიმიკა-ჟესტიკულაცია) (0 – 1 – 2)		
• იყენებს შესაბამის ფორმულებს (0 – 1)		
• სწორად იყენებს ნასწავლ გრამატიკულ საკითხებს (0 – 1 – 2)		
• ავლენს ფანტაზიას, ენობრივ გაბედულებას (0 – 1)		

ნიმუში 3: წერიტმეტყველების შეფასების ზოგადი სქემა

- ქულები:** 0 = ვერ აკმაყოფილებს
 1 = ნაწილობრივ აკმაყოფილებს
 2 = სრულად აკმაყოფილებს

	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
<ul style="list-style-type: none"> ასრულებს პირობის (დავალების ინსტრუქციის) შინაარსობრივ მოთხოვნებს 	0 – 1 – 2
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
<ul style="list-style-type: none"> გასაგებად გადმოსცემს ინფორმაციას; აზრის გადმოცემისას იცავს თანმიმდევრულობას. 	0 – 1 – 2
ენობრივი უნარ-ჩვევები	
<ul style="list-style-type: none"> სწორად იყენებს სახელისა და ზმნის ნასწავლ გრამატიკულ ფორმებს; სწორად იყენებს ენობრივ კონსტრუქციებს; იყენებს თემაში შესწავლილ ლექსიკას. 	0 – 1 – 2

ნიმუში 4: მინისიტუაციების გათამაშება (როლური თამაშები)

სწორი სამეტყველო ქცევის ჩამოსაყალიბებლად – ენობრივი რესურსების (მაგ., წინადადებების მოდალობების – თხოვნა, შეკითხვა, ბრძანება; სამეტყველო ეტიკეტის ენობრივი ფორმულებისა და ა.შ.) და მეტყველების ვერბალური და არავერბალური საშუალებების (ინტონაციის, შესტის, მიმიკისა და ა.შ.) სწორად შერჩევა და გამოყენება. წყვილებს შეთავაზეთ ერთმანეთისაგან განსხვავებული სიტუაციები. ყოველი ახალი სიტუაციის შეთავაზებისას აუხსენით საკომუნიკაციო სიტუაცია – ვის შორის მიმდინარეობს დიალოგი და ვინ არიან ისინი ერთმანეთისთვის, სად მიმდინარეობს ეს დიალოგი, რა არის საუბრის თემა და ა.შ.

მასწავლებლის დაკვირვების ფურცელი.

	I ნყვილი	II ნყვილი	III ნყვილი
პირობასთან შესაბამისობა: იცავენ შინაარსობრივ მოთხოვნებს – კი / არა			
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები საუბრობენ: <ul style="list-style-type: none"> მკაფიოდ და გასაგებად – კი / არა სათანადო პაუზებით – კი / არა შესაბამისი ინტონაციის დაცვით – კი / არა პარაზიტი ჩანართების გამოყენების გარეშე – კი / არა 			
ენობრივი უნარ-ჩვევები სწორად არჩევენ ენობრივ რესურსებს: <ul style="list-style-type: none"> ლექსიკას – კი / არა წინადადებების მოდალობებს – კი / არა სამეტყველო ეტიკეტის ენობრივ ფორმულებს – კი / არა 			
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები: ექსპრესიულად თამაშობენ როლს – კი / არა			

რეკომენდაციები ზოგად რუბრიკებთან დაკავშირებით:

- რუბრიკები უნდა დაკონკრეტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- შეფასების სქემაში აუცილებლად უნდა ფიგურირებდეს პირველი სამი კრიტერიუმი (პირობასთან შესაბამისობა, კომუნიკაციური უნარ-ჩვევები და ენობრივი უნარ-ჩვევები);
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების შემოწმება დამოკიდებულია დავალებასა და საგანმანათლებლო პრიორიტეტებზე.
- ენობრივი სიზუსტის დაცვა მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ ნასწავლ მასალასთან მიმართებით. უცნობ ენობრივ მასალაში დაშვებული შეცდომის გამო მოსწავლეს ქულა არ უნდა დააკლდეს.

შენიშვნა: მოცემული შეფასების სქემა შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერ საფეხურზე დიალოგური მეტყველების (მინიდილოგებში, ინტერვიუებში, ზეპირი კითხვარების შევსებისას და ა.შ.) შესამოწმებლად.

რეკომენდაცია: მინიინტერვიუების მონყობა შესაძლებელია ნებისმიერ ნასწავლ ტექსტში მოცემული თემის გარშემო პირად გამოცდილებაზე გადატანით. მაგალითად, სასწავლო ტექსტი ეხება ცხოველების თემას. ტექსტზე მუშაობის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი ამზადებს მოსწავლეებს ამ თემაზე ერთმანეთთან მინიინტერვიუების მოსაწყობად. ა) შესაძლებელია მოსწავლეებთან ერთად წინასწარ კითხვარის შედგენა, რა ტიპის შეკითხვები შეიძლება დაუსვან ერთმანეთს, მაგ., უყვარს თუ არა ცხოველები? რომელი ცხოველი უყვარს/არ უყვარს და რატომ? ჰყავს თუ არა სახლში ცხოველი? რომელი ცხოველი ჰყავს, რა ჰქვია, როგორია? და ა.შ. ბ) მინიინტერვიუების მონყობა შესაძლებელია: საკუთარი ნახატების გარშემო; საყვარელ ავტორთან, ნაცნობ პერსონაჟებთან (ერთ-ერთი მოსწავლე ირგებს „პერსონაჟის“ როლს, დანარჩენები უსვამენ შეკითხვებს ტექსტის შესახებ) და სხვა.

დაკვირვების ფურცლები.

დაკვირვების ფურცლების გამოყენება ძალიან ეფექტურია, მით უფრო ზეპირი აქტივობებისათვის (იქნება ეს მარტივი ინტერაქცია თუ როლური თამაშები). შესაძლებელია, მასწავლებელმა ერთი აქტივობის ფარგლებში რამდენიმე დაკვირვების ფურცელი გამოიყენოს (ასეთ შემთხვევაში, ისინი სხვადასხვა უნარს უნდა ამოწმებდეს). გთავაზობთ ორიოდ ნიმუშს:

დაკვირვების ფურცელი 1. (როლური თამაშისთვის)

	I ნვეილი	II ნვეილი	III ნვეილი
საუბარი:			
1. საუბრობენ გარკვევით კი / არა			
2. საუბარი რთული გასაგებია კი / არა			
3. საუბრობენ გაურკვეველად კი / არა			
შინაარსობრივი გამართულობა:¹			
ენობრივი გამართულობა:			
1. მიზნობრივად იყენებს ნასწავლ ენობრივ ცოდნას კი / არა			
2. უშვებს გრამატიკულ შეცდომებს კი / არა			
3. სწორად იყენებს ლექსიკას კი / არა			
4. აქვს მწირი ლექსიკა კი / არა			
ექსპრესიულად თამაშობენ როლს კი / არა			

დაკვირვების ფურცლები შეგიძლიათ გამოიყენოთ მონოლოგური მეტყველების დროსაც. მთავარია, წინასწარ უნდა განსაზღვროთ, რა არის თქვენი შეფასების მიზანი.

დაკვირვების ფურცელი 2. (გრამატიკული შეცდომებისათვის)

	I ნვეილი	II ნვეილი	III ნვეილი
შეცდომა:	1. ----- 2. ----- 3. -----	1. ----- 2. ----- 3. -----	1. ----- 2. ----- 3. -----
უნდა იყოს:	1. ----- 2. ----- 3. -----	1. ----- 2. ----- 3. -----	1. ----- 2. ----- 3. -----

მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად და სასწავლო პროცესში აქტიურად ჩასართავად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეფასების რუბრიკის შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობას. ურთიერთთანამშრომლობის გარდა, ამ პროცესებში მოსწავლეთა თანამონაწილეობა აყალიბებს მათში თვითშეფასებისა და თვითგანვითარების უნარ-ჩვევებსაც.

¹ აქ მიეთითება შინაარსობრივი საკითხები – რის შესახებ უნდა ისაუბრონ მოსწავლეებმა, რა უნდა შეეხონ და ა.შ.

დანართი

1. დამატებითი რესურსები

I. საკითხავი და მოსასმენი მასალა საანბანო პერიოდისათვის

გამოცანები და გასართმები

ვის შვილს რა ჰქვია?
თან დასდევენ ყოველგან,
აქ არის თუ იქ არის,
ცხვარსა – კრავი – ბატკანი,
თხას კი თავის... (თიკანი).

მარჯვე ბავშვი იქნები,
თუკი უცებ იტყვი:
დიდი სპილოს ნაშიერს –
შვილს რა ა ჰქვია – ... (სპლიყვი).

აბა, გამოიცანი,
ჩემო ოთარ, ოთია:
თხის შვილს ჰქვია თიკანი,
ხოლო ჯიხვის – ... (ფოთრია).

ქორს სიმაღლე ზეცისა
არ აშინებს სრულებით,
ქორის ბარტყებს რა ჰქვიათ?
რა ჰქვიათ და... (ქულები).

ბამბის ქულები ხართო, –
ყვავმა შვილებს ახარა.
შაშვის შვილი ბარტყია,
ყვავისა კი – ... (ბახალა)

თუ შეეჭიდე, ნიადაგ
დიდი ჯახირი მოგელის,
ლომის და ვეფხვის ლეკვებსა
ორთავეს ჰქვია – ... (ბოკვერი)

მწერი ნაზი, ფაქიზი,
უნდა მცირე კვება,
პირველ დღეს რომ იბადება,
მესამე დღეს კვდება (პეპელა)

ნათია ჯანაშია

როცა თოვს, ციდან რა ცვივა?
არ უნდა ბევრი ფიქრი,
ბამბის პატარა ფთილას ჰგავს,
გამოიცანით! ... (ფიფქი)

აღმართ-აღმართ დავატარებთ,
როცა ფიფქი ცვივა ციდან,
დაღმართებში არხინად
დაგვაქროლებს. რაა? ... (ციგა)

თოვლისაგან გავაკეთე,
რა ახურავს თავზე? – ტაფა!
ცხვირი კურდღელს მოუპარავს,
თქვით, რა არის? ... (თოვლის პაპა)

ყინვისაგან როცა წვეთებს
ეყინება ბოლოები,
საწვეთურებს რა ჰკიდა?
გამჭვირვალე ... (ლოლუები)

გივი ჭიჭინაძე

ჭარბად ტვირთს მიათრევს ველად,
გამრჯე მწერი ... (ჭიანჭველა)

ილია სიხარულიძე

ნაწვიმარზე ამოვდივართ
და ცალ ფეხზე სწორად ვდგებით;
ქოლგა მუდამ მიტომ გვხურავს,
რომ სულ წვიმას ველოდებით! (სოკო)

ვასილ გულეური

დღისით წიგნებს კითხულობს,
არ შორდება ფულუროს.
ღამით გარეთ დაფრინავს,
ვარსკვლავებს რომ უყუროს. (ბუ)

ქსელს ამზადებს იმისთანას,
ვერც ხერხი ჭრის და ვერც დანა...
ირგვლივ ისე შემოფინა,
ბუზიც ველარ შემოფრინდა! (ობობა)

ასოებზე სამუშაოდ:

გივი ჭიჭინაძე (ასოხატულა კუნწულები)

*

ჭინჭრებს შუა ჭივჭავები
ჭანჭურს ჭამენ ჭიანაჭამს,
ჭრიჭინები გაჭყეპილან,
ჭინჭილებით სვამენ მაჭარს.

*

ტატას ბატი ფარფატა
ტალახ-ტალახ ტანტალებს.

*

შარიშურა შინდიანში
შტოზე შეჯდა შვიდი შაშვი,
შეხვეწა შაქრო შიოს:
– შვილო, შურდულს შეეშვიო.

*

ცივი ცვარი ცვივა ციდან,
სცივა, სცივა ციდა ცინდალს.
ცხიკ და ცხიკო! – აცემინებს,
ციცქნა ცხვირი გაუცივდა.

*

ზარი ზანზარებს უზარმაზარი,
ზარმაც ზაზუნებს დასცა თავზარი.

*

ქრის, ქრის, ქრის
ქარი სექტემბრის.
ფარფატელა ჭადრის ფოთოლს
მიაქანებს ძირს.

*

მელამ მოგაგნო მ მამალო,
მურას მოუხმე მალეო!
მანამ მშველელი მოგივა,
მაყვლნარში მიიმალეო.

*

ჩუმად გამცალა ყვინჩილამ
ჩარდახში არა დამრჩა რა...
ჩირი, ჩურჩხელა, ჩამიჩი
ჩანთით შინ წააჩანჩალა.

*

ბილიკ-ბილიკ ბურტყუნებს
ბრიყვი ბელი – ბელუკა:
– ბანით ვჯობნი ბულბულებს,
ბეჭებით კი – ბერმუხას.

*

გუგუ – გუგუ! – გუგულმა
გულჭრელათა გვარისამ,
გამარჯობა გვისურვა,
გული გაგვიხალისა.

*

წვიმიანში განწილი
წისქვილის წინ წუხს წინილი,
– წია, წია! – მწარედ წივის,
წნორის წნელზე წაჰკრა წვივი.

*

ხევ-ხევ ხერხი მოცუხცუხებს
აცახცახებს ვერხვებს, მუხებს.

*

ფრთაფოფინა ფარშავანგი
ფანტავს ფერად ფერებსაო,
ფრინველეთის დედოფლობას
ფრიად შეიფერებსაო.

*

ყანჩა – ყუნტა აყლაყუდა, რიყე-რიყე წალაყუნდა.
აყიყინდნენ ბაყაყები, – გადაყლაპავს ბაყბაყდევი!

*

ლობის თავზე ველარ ვხედავ
ლუდლუდელა ლოღნაშოსა! –
ოღროღოღრო ღელის გაღმა
შეღრუტუნა ღორმა ღორსა.

*

ძეძვის ძირს მიძინებულმა
ძლივს მგაიღვიძა ენძელამ.

*

ჯანსუღმა და ჯმუხმა ჯარჯიმ
ჯადოქარზე გაიმარჯვეს,
ჯახი-ჯუხი აღარ გააქვს
ჯოხის ხმლებს და აბჯარ-ხანჯლებს.

*

ჟოლოს ჟვერიდან ჟინჟული ჟონავს,
ჟანგისფერ ჟირაფს შეაჟრჟოლა.

*

ენაჭიკჭიკა ელენე
ექვს სტუმარს ერთად ელისო:
ეკუნას, ელგარს, ექვთიმეს,
ევას, ემზარს და ელისოს.

*

თეთრ თელასთან ფთილაა თუ
თეოს თეთრი თრითინა თვლემს.

*

ნამნაპკური ნანას ყანა
ტანს იმშვენებს თანდათანა.

2. ცალკეულ დავალებათა პასუხები

გვ. 4, №5

ია თეა ხე უთო თხა თითი

					უ	თ	ო		
		ი	ა					ხ	ე
				თ	ხ	ა			
	თ	ე	ა						
					თ	ი	თ	ი	

გვ. 10, №1

ზებრა თმა ზარი სოსისი ბუზი მაიმუნი მზე საათი

ს	ო	ს	ი	ს	ი				ს
					ბ				ა
	მ	ა	ი	მ	უ	ნ	ი		ა
	ზ				ზ	ა	რ	ი	თ
ზ	ე	ბ	რ	ა	ი				ი
						თ	მ	ა	

გვ. 16, №4

პინგვინი პეპელა კატა ზამბახი ხურმა ველოსიპედი

	პ	ი	ნ	ბ	ვ	ი	ნ	ი	
ვ	ე	ლ	ო	ს	ი	პ	ე	დ	ი
	პ			კ					
	ე		ზ	ა	მ	ბ	ა	ხ	ი
	ქ			ტ					
	ა			ა	ხ	უ	რ	მ	ა

გვ. 18, №1

						1	მ	ტ	რ	ე	დ	ი		
						2	თ	ხ	უ	ნ	ე	ლ	ა	
					3	კ	ა	კ	ა	ლ	ი			
					4	კ	ა	ტ	ა					
					5	ა	კ	ვ	ა	რ	ი	უ	მ	ი
					6	თ	ხ	ა						
7	პ	ო	მ	ი	დ	ო	რ	ი						
					8	თ	ხ	ი	ლ	ი				

გვ. 20, №2

ფოთოლი ფარშავანგი ღრუბელი კოლო ქლიავი ქათამი ქოქოსი ლეღვი

ფ	ა	რ	შ	ა	ვ	ა	ნ	ბ	ი	
			ქ	ა	თ	ა	მ	ი		
კ	ო	ღ	ო					ლ		
			ქ	ღ	ჩ	უ	ბ	ე	ლ	ი
		ფ	ო	თ	ო	ლ	ი	ლ		
			ს					ვ		
	ქ	ლ	ი	ა	ვ	ი		ი		

გვ. 26, №3

პირველი
ერთმა ქორმა იხვი დაიჭირა. ამ დროს მონადირისაგან შეშინებულმა კაკაბმა თავზე გადაუფრინა. ქორი წაეტანა, ამასაც დავიჭერო. იხვმა იდროვა, ქორს კლანჭებიდან გაუსხლტა და თავს უშველა.

მეორე
ერთმა ქორმა იხვი დაიჭირა. ამ დროს შეშინებულმა კაკაბმა თავზე გადაუფრინა. ქორი წაეტანა, ამასაც დავიჭერო. იხვმა იდროვა და ქორს გაუსხლტა. ქორმა ვერც კაკაბი დაიჭირა და იხვიც დაკარგა!

გვ. 30, №1

1	მ	ი	ნ	დ	ო	რ	ი											
2	მ	ც	ხ	ე	თ	ა												
3	შ	ე	მ	ო	ღ	ბ	ო	მ	ა									
			4	მ	ა	ს	ნ	ა	ვ	ლ	ე	ბ	ე	ლ	ი			
5	ს	ა	ქ	ა	რ	თ	ვ	ე	ლ	ო								
		6	ა	მ	ი	რ	ა	ნ	ი									
							7	ა	რ	ნ	ი	ვ	ი					

ბურჯი ეროვნებისა

გვ. 60, №1

		1	მ	ს	ე	ღ	რ	შ	ლ	ი									
				2	ს	ვ	ე	ტ	ი	ც	ხ	ო	ვ	ე	ლ	ი			
3	მ	თ	ა	ნ	მ	ი	ნ	ღ	ა										
			4	ფ	ა	რ	ნ	ა	ვ	ა	ზ	ი							
	5	ღ	უ	ტ	უ	მ	ე	ბ	რ	ე	ლ	ი							
	6	ა	მ	ი	რ	ა	ნ	ი											
					7	ბ	ა	ლ	ა	კ	ტ	ი	ო	ნ	ი				

გვ. 74, №1

ასომთავრულით ჩასასმელი სიტყვები

						1	ბ	რ	ა	კ	ლ	ი	ა	ნ	ი				
		2	ი	ო	ა	ნ	ე	ზ	ო	ს	ი	მ	ე						
						3		რ	ო	ბ		ი			ი				
	4	კ	ი	ქ	ტ	ო	ბ	რ	ა	მ	ა								
						5	ბ	ე	ლ	ა	თ	ი							
						6	ნ	ი	ნ	ა	მ	უ	რ	ი					
						7	ჯ	ა	ვ	ა	ხ	ი	შ	ვ	ი	ლ	ი		
						8	უ	ნ	ი	ვ	ე	რ	ს	ი	ტ	ე	ტ	ი	
						9	ხ	უ	ც	უ	რ	ი							
						10	ფ	ი	ნ	ი	კ	ი	ე	ლ	ე	ბ	ი		
11	მ	ე	ლ	ი	ქ	ი	შ	ვ	ი	ლ	ი								

გვ. 78, №2

ბ) ენების სიმრავლის გაჩენას

თბილისური ჰანგები

გვ. 105, №6, ბ)

2. ქვეყანაში მიმდინარე მრავალსაუკუნოვანმა ისტორიულმა პროცესებმა.

გვ. 107, №2

- ა) ნიკო ფიროსმანი თბილისში, აბანოთუბანში დაიბადა.
- გ) ფიროსმანს თბილისში სამხატვრო სახელოსნო ჰქონდაგახსნილი, სადაც ბავშვებს ხატვას ასწავლიდა.
- ვ) ფიროსმანი მხოლოდ თავისი სურვილით ქმნიდა ნახატებს.
- ზ) ნიკო ფიროსმანი 1918 წელს ერთ-ერთი კიბის ქვეშ, პატარა ბნელ სარდაფში გარდაიცვალა.

ფესვები

გვ. 139, №2

	სწორია	არ არის სწორი	არ ჩანს ტექსტში
1. სათვალთვალ კოშკი ზემოდან დაჰყურებს საცხოვრებელ ტერასას.	✓		
2. მუცო ყველა მხრიდან მიუვალი სოფელი იყო.		✓	
3. მუცოელები განთქმული მონადირეები და მეომრები იყვნენ.			✓
4. ქვედა ტერასას მუცოდ მოდსხლეობა აკლდამებად იყენებდა.	✓		
5. მუცოელები მშვილდებს ჯიხვის რქისაგან აკეთებდნენ.			✓
6. მუცოს სამი მხრიდან ორი კაცის სიმაღლის გალავანი ერტყა.		✓	

გვ. 140, №1

რატომ იყო სახლის კედლები, დაახლოებით 1 მეტრი სისქის?

გ) სტაბილური ტემპერატურა რომ შეენარჩუნებინათ.

დამატებით კიდევ რა უნობდა ხელს ტემპერატურის სტაბილურობას?

ბ) ერთმანეთზე მიდგმული ნაგებო

ადამიანი და სზოგადოება

გვ. 152, №3

გ) მუშები, ჯარისკაცები, მზვერავები და ძიძები

ადამიანი და ბუნება

გვ. 185, №6

<p>ა. ტიპი მაშინ ერთი წლის და ნახევრის იყო.</p> <p>ბ. სპილოს სულ გვერდზე ჰყავდა გოგონა.</p> <p>გ. სპილო გოგომას ქვენარმავლებიდან იცავდა.</p> <p>დ. ტიპი ყველაზე უფრო ლეოპარდთან მეგობრობდა.</p> <p>ე. გოგონა მიეჭრა მის ოთხფეხა მეგობარს.</p> <p>ვ. მან უგვანო საქციელის გამო მეგობარს ლაზათიანი სილა გააწნა.</p>	<p>წლინახევრის გვერდით ქვენარმავლებისგან მეტად თავის საქციელისათვის</p>
---	---

გვ. 187, №5

	სწორია	არ არის სწორი	არ ჩანს ტექსტში
1. წიგნი სავალდებულოა ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელთა ტერიტორიაზეც გადაშენების პირას მყოფი მცენარეები და ცხოველები არსებობს.		✓	
2. წიგნის შემქმნელებს ადარდებთ ადამიანების ბუნებასთან არასწორი ურთიერთობები.	✓		
3. საქართველოს „წითელი წიგნის“ I ნაწილი მოიცავს იშვიათ ცხოველებს, II ნაწილი – მცენარეებს და III ნაწილი – არაორგანული ბუნების ძეგლებს.			✓
4. წიგნის პირველი გამოცემა გამოვიდა მეოცე საუკუნის II ნახევარში.	✓		
5. წითელ წიგნში მოცემულია თითოეული სახეობის გავრცელებული სახელი, მეცნიერული სახელი (რომელიც ყოველთვის ლათინურ ენაზე ინერება), საფრთხის ხარისხი და ა.შ.			✓
6. წითელ წიგნში შესულია დედამიწაზე არსებული ყველა მცენარე და ცხოველი.		✓	

ადამიანი და ბუნება

გვ. 220

	სწორია	არ არის სწორი	არ ჩანს ეპიზოდში
ცასწავალა მარტო ცხოვრობდა.			✓
ცასწავალა ღონის გამოცლამდე მიფრინავდა ცისკენ.	✓		
ცასწავალას ცაში აჭრას მხოლოდ ფრთოსნები ადევნებდნენ თვალს.		✓	
ფრინველებს არ მოსწონდათ ცასწავალას უცანური საქციელი.	✓		
გორაზე ყველაზე ბოლოს ორბები მოფრინდნენ.			✓
ცასწავალამ მხოლოდ ერთხელ სცადა ცაში აჭრა.		✓	

ფანტაზიის გაკვეთილები

გვ. 224, №1

	სწორია	არ არის სწორი	არ ჩანს ტექსტში
ა) წყლის აღმოჩენა უცხოპლანეტელებთან მიგვიყვანს.	✓		
ბ) მარსზე შეუძლებელია სიცოცხლის არსებობა.		✓	
გ) ადამიანები ვერასოდეს გაფრინდებიან მარსზე.			
დ) მარსის გამოსაკვლევად 3 მილიონი დოლარია საჭირო.			✓
ე) მზის სისტემაში აზრი არ აქვს უცხოპლანეტელების ძებნას.		✓	
ვ) უცხოპლანეტელები აუცილებლად მზის სისტემის გარეთ უნდა ვეძებოთ.	✓		



საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

„თავისუფლება“

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.

თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება.

დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

